

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა

ებისტოლური მემკვიდრეობა

ტომი X

გრიგორ თრიტონი (ნაწილი IX)

ტომი
X

ებისტოლური მემკვიდრეობა



XIX–XX საუკუნეების ქართველ მწერალთა
ეძისტოლური მექუდრეობა

ტომი X

გრიგოლ თბილელიანი (ნაწილი IX)



გამოშევა „უნივერსალი“
თავისი 2023

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6
გ-726



ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
Teaching-Research Institute for Interdisciplinary Humanities



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

სამეცნიერო პროექტი „**XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (X-XI ტომები)**“ (გრანტი №FR-21-2197) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მსარდაჭერით. წინმდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project „**Scholarly Edition of the 19th-20th cc. Georgian Writers' Epistolary Legacy (Volumes X-XI)**“ (Grant №FR-21-2197) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

ც ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს სახელი №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

Tbilisi, 0186, a. politkovskaias №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gammomcemlobauniversali@gmail.com
ISBN 978-9941-22-185-9 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-33-596-9 (X ტომი)

**პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგის დოქტორი, ია-კობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი მზია გიგაშვილი**

ტომის რედაქტორები:

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან გიგაშვილი
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მაია (მარიამ) ნინიძე
ისტორიის დოქტორი,
პროფესორი გიორგი გოცირიძე

კრებული იბეჭდება ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.

შესავალი

წინამდებარე X ტომით ვაგრძელებთ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეულის აკადემიურ გამოცემას, რომლითაც მკითხველის წინაშე ნარვადგენთ გრიგოლ ორბელიანის წერილების მე-9 ნაწილს. მისი ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1874-1877 წლებში დაწერილ ბარათებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ დასახელებული ავტორის წერილები ჩვენი მრავალტომეულის გამოცემაში მე-2 ტომი-დან იქნება.

II და III ტომებში¹ შევიდა პოეტის წერილების | და II ნაწილები, რომლებმაც მოიცავა 1832-1850 წლებში დაწერილი 191 წერილი. II ტომში გამოქვეყნდა 1832-1844 წლების ბარათები. მათმა რაოდენობამ 82 შეადგინა. აქ შევიდა აკაკი განერელიას გრიგოლ ორბელიანის წერილების | ტომში² დაბეჭდილი 63 წერილი, რომლებსაც დაემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში³ პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, ზუგდიდის ისტო-

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

² გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი პირველი, 1832-1850, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კოტე გორდელაძის წინასიტყვაობით, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1936.

³ 6. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ს. ფირცხალავას გამოც., ტფ., 1922.

რიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების | ტომში⁴ (რომელიც სოლომონ ცაიშვილმა გამოსცა) ასევე პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, გამოუქვეყნებელი 12 რუსული და 5 ქართული წერილი. ასე რომ, II ტომში პირველად გამოქვეყნდა 17 წერილი. გამოცემაში დათარილდა 74 ეპისტოლე.

III ტომში დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის 1845-1850 წლებში დაწერილი 109 წერილი: მათგან 4 რუსული, ხოლო დანარჩენი – ქართული. ოთხივე რუსული ბარათისთვის ჩვენი გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო. აქვე პირველად გამოქვეყნდა ილია ორბელიანისადმი გაგზავნილი 5 წერილი. ასე რომ, III ტომში პირველად დაიბეჭდა 9 წერილი. დათარილდა 20 ეპისტოლე.

III ტომში წარმოდგენილი წერილების უმრავლესობა შესულია აკაკი განერელიას „გრიგოლ ორბელიანის წერილების“ | ტომში, სამი გამოქვეყნებულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების | ტომში, ხოლო 1 – ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში.

IV ტომმა⁵ მოიცვა 1851-1852 წლების წერილები, რომელთა რაოდენობამ 77 შეადგინა. მათგან 34 ბარათი რუსულია. ისინი ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. აქვე პირველად დაიბეჭდა 3 ქართული წერილი, რომლებიც დაუთარილებელი იყო და დათარილების შემდეგ 1851-1852 წლების წერილების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა. ასე რომ,

⁴ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947.

⁵ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი (წაწილი III), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.

ჩვენი გამოცემა 37 წერილისთვის პირველი პუბლიკაცია იყო. IV ტომში დათარიღდა 6 ბარათი. წერილების უმრავლესობა გამოაქვეყნა აკაკი განერელიამ 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის წერილების || ტომში,⁶ ხოლო 4 წერილი დაიბეჭდა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში.

V ტომი დაეთმო გრიგოლ ორბელიანის 1853-1855 წლების წერილებს, რომელთა რაოდენობამ 133 შეადგინა. ამათგან 38 წერილი რუსული იყო, რომლებიც ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. ასევე პირველად დაიბეჭდა 7 ქართული ეპისტოლე. ამდენად, V ტომში პირველად გამოქვეყნდა 45 წერილი. დათარიღდა 8 უთარილო ბარათი.

VI ტომში დაიბეჭდა 1856-1858 წლების 134 წერილი, ამათგან პირველი პუბლიკაციის სახით – 46: 31 რუსული, 15 – ქართული. დათარიღდა 21 წერილი, ხოლო ერთ ბარათში გამოვლინდა მექანიკური შეცდომა (31 ოქტომბრის ნაცვლად ავტორს ენერა 31 ნოემბერი).

VII ტომში შევიდა გრიგოლ ორბელიანის 88 ეპისტოლე. აქედან 12 წერილი, დაწერილი 1859 წელს, გამოქვეყნებულია აკაკი განერელიას მიერ 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის წერილების ზემოთ ნახსენებ || ტომში (მკვლევარმა პოეტის წერილების გამოცემა სწორედ 1859 წლით დაამთავრა), 3 წერილი კი გამოცემულია სოლომონ ცაიშვილის მიერ 1947 წელს ზემოთ ნახსენებ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში.⁷

1860 წლის შემდგომი წერილების აბსოლუტური უმრავლესობა და აგრეთვე უთარილო წერილები (რომლებიც დათარიღების შედეგად 1859-1864 წლების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა), დღემდე გამოუქვეყნებელი იყო. ისინი VII ტომში

⁶ გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1937.

⁷ გვ.: 302-334.

პირველად დაიბეჭდა. ასეთი იყო 73 ეპისტოლე. ამათგან 34 – რუსული, ხოლო 39 – ქართული.

ტომში დათარიღდა 14 ბარათი.

VIII ტომში დაიბეჭდა ავტორის 104 წერილი, 76 რუსული, 28 – ქართული. გამოცემაში დათარიღდა 13 ბარათი. ათეულობით წერილი ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა.

IX ტომში შევიდა პოეტის 102 წერილი, აქედან 56 რუსული, დანარჩენი – ქართული. მათგან დღემდე დაბეჭდილი იყო 8 წერილი. აქედან ორი – იონა მეუნარგიას მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვანწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“,⁸ ხოლო 6 – ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში. 13 წერილის ნაწყვეტი გამოქვეყნებულია იონა მეუნარგიას მონოგრაფიაშივე, მათგან 1 ფრაგმენტი იმ 6 წერილიდან ერთ-ერთიდანაა, რომელიც ზუგდიდის მუზეუმის შრომებშია დაბეჭდილი. ეს არის ლევან მელიქიშვილისადმი №5 (801). 1 ფრაგმენტი გამოქვეყნებული აქვს ნათელა იმედაძეს.⁹ ამდენად, IX ტომში პირველად გამოქვეყნდა 94 ბარათი. დათარიღდა 22 ეპისტოლე.

იონა მეუნარგიას ზემოთ ნახსენებ მონოგრაფიაში გვხვდება 1870-1873 წლებში დაწერილი სხვა წერილების ფრაგმენტებიც, რომელთაც ვერ მივაკვლიეთ ჩვენს სიძველეთსაცავებში. საფიქრებელია, რომ ეს წერილები დაიკარგა. ამ ნაწყვეტებიდან ორი ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოსადმია გაგზავნილი (არ არის გამორიცხული, ორივე ნაწყვეტი

⁸ მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი:

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/5/Cxovreba_Da_Ghvawli_Grigol_Orbelianisa_1905_Gateqstebuli.pdf (ხელმისაწვდომი იყო 2023 წლის 18 ივლისისთვის).

⁹ გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლისათვის: „უურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1978.

ერთი წერილიდან იყოს. მეუნარგიას ერთისტვის ზუსტი თარიღი აქვს მიწერილი, ხოლო მეორისტვის – მხოლოდ წელი და დანამდვილებით ამისი მტკიცება, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია); ორი ნაწყვეტი (ორივე ერთ წერილს ეკუთვნის) ლევან მელიქიშვილისადმია, ხოლო ერთიც – ერმოლოვისადმი (სავარაუდოდ, ალექსეი ერმოლოვისადმი).

წინამდებარე X ტომში შესულია გრიგოლ ორბელიანის 100 წერილი. ამათგან – 39 ქართული და 61 რუსული. გამოცემაში დათარიღებულია 8 პარათი.

წერილების ნაწილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ნაწილი – ეროვნულ ისტორიულ არქივში, სამი წერილი – ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №8 (830) და №9 (855), ასევე ნიკო დადიანისადმი №1 (831) პირველი პუბლიკაციის სახით დაბეჭდილია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში (1947 წელი).¹⁰ იონა მეუნარგიას წიგნში კი – „ცხოვრება და ლვანწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“ – შესულია ფრაგმენტები შემდეგი წერილებიდან: ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №63 (835), №71 (874), №74 (897) და №76 (923), ანასტასია ორბელიან-ოკლობუიოსადმი №2 (860), ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №131 (865), გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკი-სადმი №1 (866), ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №16 (899), №17 (902), №18 (906) და №19 (918), ნესტორ წერეთლისადმი №1 (896), ნიკოლოზ კარმალინისადმი №1 (903), ივანე ოკლობუიოსადმი №2 (909), სალომე დადიან-მიურატისადმი №2 (924), ასევე თითო-თითო ფრაზა ორიოდე სხვა წერილიდან. აღნიშნული წერილები სრული სახით და ასევე ყველა დანარჩენი წერილი ქვეყნდება პირველად.

იონა მეუნარგიას წიგნშივე დამოწმებულია ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ალექსანდრე ბარიატინსკის სიმამრის – დიმიტრი ორბელიანისადმი მიწერილი 1875 წლის

¹⁰ იმ პერიოდში ასე იწოდებოდა მუზეუმი.

26 იანვრით დათარილებული წერილიდან,¹¹ რომელიც არ არის შემონახული. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაიკარგა. იმის გამო, რომ ის ნაწყვეტია, წერილების რიგში ვერ ვძეჭდავთ, თუმცა წარმოვადგენთ აქ, შესავალ ნაწილში, იმ სახით, რა სახითაც არის მოცემული მითითებულ წიგნში:

„...ნეტაი შენ, დიმიტრი, რომ ხარ მოშორებული და არ გესმის ყოვლის მხრით ამათი (თავად-აზნაურთა) კვნესა სიღა-რიბისა გამო! მოვიდა ჩვენზე წარლვნა და არსადა სჩანს ახა-ლი ნოეს კიდობანი, სადაცა შევაფაროთ თავი ჩვენი, არსადა სჩანს გამომხსნელი! ვითხოვეთ მილლიონი სესხად ხაზინისა-გან სამის პროცენტით, როგორცა ისესხა პრივაზმა; ეს იყო უკანასკნელი ჩვენი იმედი და ღონისძიება და მინისტრმა გვი-თხრა უარი, და ან მინისტრი რას დასდევს ჩვენს განწირულს მდგომარეობას და საუკუნოდ დაეცემა ჩვენი თავად-აზნაუ-რობა, ოდესმე ბრწყინვალე თავის ისტორიულის ცხოვრებითა, რომლისა სახელი პატივის-ცემით იხსენებოდა თვით ინდოეთ-შიაცა და რომელიცა აწცა არის ღირსი ყოვლად მოწყალისა ყურადღებისა თავის თავ-დადებით ერთგულებითა; განკერე-ბა ჩვენი სახსენებელი მიწისა პირით, მაგრამ მართებლობამ უნდა კი იცოდეს, რომ ჩვენს ადგილზე ღირსებით ვერ და-დგებიან ვერცა სომხობა, ვერცა თათრობა და ვერცა თვით რუსობა. აქ მხოლოდ ჩვენა ვართ და უნდა ვიყვნეთ ჩვენვე, თვით მართებლობისვე სასარგებლოდ; თორემ, ვინ იცის, იქ-ნება მოვიდეს ის დღე, რომ სანთლებით დაგვიწყონ ძებნა და ვეღარ გვიპოვონ განყალებულნი! ეს არის სამწუხარო, რომ ჩვენთან ერთად იღუპება მთლად გლეხობაცა: კახეთის ვენა-ხები ერთიანად დაგირავებულია სომხების ხელში, ისე რომ თავის დღეში ვერ გამოვლენ ვალიდამ და ხალხი მუშაობს მხოლოდ სომხებისთვის მუქთად... მუქთად!!! განა უნინ ბა-ტონები ასე იყენენ საზარელნი?“

გრიგოლ ორბელიანის არქივში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (C: №701 / №100), ინახება და-

¹¹ გვ. 111.

ვით ჩუბინოვის (ჩუბინაშვილის) მისდამი 1876 წლის 17 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი, რომლის ბოლოშიც მისი მინანერია: „დავპშთი პირშავად, პასუხი ვერ მივჰსნერე ავათმყოფობისა და სიბერის უძლურებისაგამო. გრიგოლი 1877 წელი მაისის 15^ს.“ რადგანაც ეს მხოლოდ მინანერია და არა წერილის პასუხი, წერილების რიგში ვერ შეგვაქვს, თუმცა მისი დაკარგვაც არ გვინდოდა და ამიტომ შესავალ ნაწილში წარმოვადგინეთ.

წერილების აბსოლუტური უმრავლესობა მოღწეულია ავტოგრაფის სახით. მხოლოდ ერთი წერილის შემთხვევაში გვაქვს ასლი. ეს არის რევაზ ანდრონიკაშვილისადმი №1 (884), რომელიც თარიღდება 1876 წლის 15 ოქტომბრით (A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, 35r-v).

ორი წერილი (ეკატერინე ჭავაჭავაძე-დადიანისადმი №9 (855) და ივანე ოკლობუიოსადმი №2 (909) დაცულია როგორც ავტოგრაფის, ისე ასლის სახით. პირველი წერილი თარიღდება 1875 წლის 3 აპრილით (მისი ავტოგრაფიც და ასლიც ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში სხვადასხვა ნომრით: ავტოგრაფი: Z (ზსიებ), 24525 /ლიტ. არქ. 1125; ასლი: Z (ზსიებ), 36253 /ლიტ. არქ. 2172), ხოლო მეორე – 1877 წლის 26 ივნისით (მისი ავტოგრაფი და ასლი დაცულია ეროვნულ ისტორიულ არქივში: ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 58r-v; ასლი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515, 96r-v, 97r-v).

წინა (IX) ტომის მასალაზე მუშაობისას პირველად შეგვხდა წერილის ორი ავტოგრაფული ნუსხა. ეს იყო სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №3 (804). მისი ერთი ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №485), ხოლო მეორე – ეროვნულ ისტორიულ არქივში (A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 117r-v).

წინამდებარე ტომში შეგვალ რამდენიმე წერილსაც აღმოაჩნდა ორი ავტოგრაფული ნუსხა, რომელთაგან ერთი თეთრი პირია, ხოლო მეორე – შავი. შესაბამისად, მოგვეცა

საშუალება, პირები ერთმანეთისთვის შეგვედარებინა და გა-
გვეგო, რას ცვლის გრიგოლ ორბელიანი გადათეთრების
დროს, როგორია მისი ტექსტისადმი დამოკიდებულება. საკი-
თხის მოკლე ანალიზს წარმოვადგენთ წერილში „ტექსტისა-
თვის“, რომლითაც იწყება წინამდებარე გამოცემის სამეცნიე-
რო აპარატი. აქ მხოლოდ დავასახელებთ ასეთ წერილებს:

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №10 (848);

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №11 (877);

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №17 (902);

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №18 (906);

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №19 (918).

ტომში, ცხადია, დაბეჭდილია წერილების თეთრი პირე-
ბი, სამეცნიერო აპარატში მოცემულია სრული ინფორმაცია
(პასპორტები) შავი პირების შესახებ. მკითხველისთვის გრი-
გოლის წერილების თეთრი და შავი პირების ურთიერთმიმარ-
თებაზე ნათელი წარმოდგენის შექმნის მიზნით, ნიმუშად ავი-
ღეთ ერთ-ერთი წერილი, კერძოდ, ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავა-
ძისადმი №11 (877) და შავი პირის მონაცემები სრულად ავსა-
ხეთ სქოლიოში (აღნიშნული გვაქვს B ლიტერით).

წინამდებარე გამოცემაში დაბეჭდილი წერილების ადრე-
სატები არიან გრიგოლ ორბელიანის რძალი, ილია ორბელია-
ნის ქვრივი – ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისა (14 წერი-
ლი); ბიძაშვილის, ანა ასლანის ასულ ორბელიან-ჭავჭავაძის,
ვაჟი – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე (10 წერილი); იმხანად
მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფ-
როსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი (5 წერილი); ასე-
ვე რძალი, ზაქარია ორბელიანის ქვრივი – ქეთევან ალექსი-
მეხიშვილი-ორბელიანისა (4 წერილი); ბიძაშვილი – ყაფლან
ასლანის ძე ორბელიანი (4 წერილი); კავკასიის სამხედრო ოლ-
ქის შტაბის უფროსი – პლატონ პავლოვი (4 წერილი); კავკა-
სიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, მეუღლე – ოლღა
თეოდორის ასული ბადენელი-რომანოვისა (4 წერილი); გრი-
გოლის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დიმიტრი ჯორჯაძე
(3 წერილი); სამეგრელოს დედოფალი – ეკატერინე ჭავჭავაძე-

დადიანისა (2 წერილი); ეკატერინეს ქალიშვილი – სალომე და-დიანი-მიურატისა (2 წერილი); გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, მეუღლე – გენერალი დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი (2 წერილი); კავკასიის მეფის-ნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყო-ფილების დირექტორი – ნიკოლოზ ივანეს ძე ბარანოვსკი (2 წერილი) და სხვები.

წერილები გამოცემაში დაბეჭდილია ძირითად ტექსტად, ხოლო ქართული თარგმანები მათ შემდეგაა წარმოდგენილი. ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშნული გვაქვს ქართულ წერი-ლებში ჩართული რუსული სიტყვები თუ ფრაზები და მათი თარგმანები მოცემული გვაქვს წერილის ბოლოს.

კრებული პროდუქტია ადგილობრივი ინსტიტუციური თანამშრომლობისა. იგი მომზადდა ინტერდისციპლინური ჰუ-მანიტარის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ წამყვან დაწესე-ბულებას. ტომის მომზადებაში ჩართული იყვნენ მეცნიერები იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტიდან, სოხუმის უნივერსიტეტიდან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, პასპორტები, შენიშ-ვნები, შესავალი წერილი, სტატია „ტექსტისათვის“, რეპრიკა „ადრესატის მისამართი“ და ლექსიკონი დაურთეს მზია გიგაშ-ვილმა და ქეთევან გიგაშვილმა, კომენტარები და დათარიღება ეკუთვნის მაა (მარიამ) ნინიძეს, პირთა და გეოგრაფიულ სა-ხელთა ანოტირებული საძიებლები – გიორგი გოცირიძესა და თამარ ლეკაიძეს.

ქართულენოვანი წერილები ავტოგრაფებიდან გადმოწერა და ხელნაწერები აღწერა ნათია ხუცურაულმა, ხოლო რუსული წერილები დაამუშავეს ლია კიკნაძემ, ეთერ ბერუაშვილმა და არსენ ბერთლანდა.

პროექტის სამეცნიერო ჯგუფი მადლობას უხდის წა-მყვანი დაწესებულების აღმასრულებელ დირექტორს, ისტო-

რის დოქტორს, პროფესორ გიორგი გოცირიძეს, მხარდაჭე-
რისათვის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

ვრცელი შესავალი წერილი იხ. ჩვენი გამოცემის II ტომ-
ში: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური
მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), თბ.,
2012, გვ. 3-12.

A handwritten signature in black ink, appearing to read "Nicholas II".

ეკატერინე ჭავჭავაძე-დაღიანისაღმი №8 (830)

უგანათლებულესო კნეინავ,
უმოწყალესო დაო ეკატერინავ!

წუხელის სრულიად მოულოდნელად თქუცნმა ნიკომ
მაცნობა ტელეგრამითა სასიხარულო ამბავი: დანიშვნა თვის
ღრაჭინია მარია ადელბერლისასზე. ღმერთმან მოუვლინოსთ
კურთხევა თვისი ნიკოსაცა და მის სასაძლოსაცა და ჰყოს სი-
ცოცხლე მათი ბედნიერად ურთიერთისა სიყუარულითა, ისე
როგორცა ჰსურს გულსა თქუცნისა. – ასე არის აქ ჩუცნი სა-
ზოგადოდ ლოცუა ღთისადმი¹ და თქუცნცა მოგილოცავ ჭეშ-
მარიტისა სიხარულითა. ახლავი განისვენებს გული თქუცნი
ღელვისაგან მუხთალისა სოფლისა.²

დაგიკოცნი ხელებსა და ჭეშმარიტითა პატივისცემითა
და ერთგულებით სიყუარულითა ვეგები მარადის

თქუცნისა უგანათლებულესისა
ერთგული მოსამსახურე თ³ გრიგოლ ორბელიანი

^{5⁴} იანვ: 1874.

თბილისით.⁴

[მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

თქუცნი სასურველი ანდრია ვნახე და მაგისმა ხილვამ
გულით გამახარა.

6030 დადიანისადმი №1 (831)

თქუმინო უგანათლებულესობავ,
კნიაზო ნიკოლოზ დავითისძევ!

გულით, სულით, ჭეშმარიტის სიყუარულით მოგილოცავ
დაწინდვასა ლრაჭინია მარია ადელბერლისასზე. უფალსა
ღმერთსა ვჰსთხოვ მოილოს ორთავე თქუმინზე კურთხევა თვ-
სი დღეგრძელობისა და ბედნიერად ცხოვრებისათვს თქუმინი-
სა. მერწმუნეთ, ამავე სიტყუპბითა გლოცავენ ყოველნი თქუ-
მინი ნათესავნი და ძველად პატივისმცემელნი თქუმინისა
ოჯახისა.

ჭეშმარიტითა პატივისცემითა და ერთგულებით სიყუა-
რულითა ვეგები მარადის

თქუმინისა უგანათლებულესისა
მორჩილი მოსამსახურე
თ^ა გრიგოლ ორბელიანი

5^ს იანვ: 1874.

თბილისით.²

6030ლოზ პარანოვსკისადმი №6 (832)

6^{го} Генв: 1874.¹

Николаю Ивановичу Барановскому.²

Наступил новый год, и я, по заведенному порядку, опять обращаюсь к вам с моему покорнейшею просьбою: сделать ваше обычное распоряжение о переводе Пенсии из здешняго Казнач:^{8а}

в С: Петерб:^{оё}, следующей Генерал Майорше Варв: Ильин^{не}
Княги^{не} Орбел: и ея сыну Георгию Ильичу³ К^ю Орбеліані.

Радостно пользуюсь этим случаем, чтоб совсемо искренностью пожелать вам с вашим семейством жизни покойной, ми-ра душевнаго и уверить вас в моем истинно-глубоком уваженіи, с коим имею честь быть.

БІОГРАФІЧНІ ДАКТАРИЗАЦІЇ №6 (832)

6^ж квітня 1874.

Біогравія із архіву Івана Ільїча Орбеляні.

Дафтага авалю Ієлло да Мє, Шємоплєб'уллю Ієсаиса Мєбр, квілд-
заць монгомартауза та ємомархійллю сіль та бороніт: Ієв'улєбіса Мєбр місії-
тот та аєауро баზінідіа мі: 3єтієрд:^ш 3єнсініс гафарічезвіс та орда-
нєд, дїнєркал міноріш мірвіа ріа лініб:^ш да міс вазіс, гіонрігі
іллініс 3^і орб'єлінаң, ріом єк'утвініт.

Сібіа рівніт гасаргєб'уллік ам Шємтєв'євіт, ріата таєв'єн да
тєв'єнс таєв'єнс мітєллю гаулют гіосурув'ют мішвідомінаңі 3єв'ор'єба,
сіллієрікі сімшвідде да дағарнім'юніт 3єміс 3єшмарікітса да 3є-
дағтівісізгімаші, ріомлініт аз 3єтіві міајвіс, зіпум.

БІОГРАФІЧНІ ДАКТАРИЗАЦІЇ №7 (833)

8^{го} Генв: 1874.¹

Николаю Ивановичу Барановскому.²

В вашем обязательном письме ко мне от вчерашняго числа, видно, что К^я Варвара Ильин:, по распоряжению вашему, получит в свое время Пенсію из Петер: Казнач:^{ва}; но относительно

ея сына, которому также определено ежегодно по 1000 р., ничего не упоминается.

Это недоумение мое вынудило меня вновь обращаться к вам с докучливым вопросом – которым я нежелалбы беспокоить вас – разрешить мне: откуда сын К^и Варвары Ильинишины должен получить определенное ему содержание?

БЮЗОЛЛЮЧ პარაԵՐՅԱՎՈՒՍԱԳԹՈ №7 (833)

8^կ օանց: 1874.

նոյոլլութ օվանովոի ծարանովսկուս.

Իյմֆամո տյշենո ցշմօնքը լո տաշանուանո նյրուուամ հանս, րոմ տյշենո մոտուուենո ց զ զարշարա ոլոնի՛նա գրուլագ մոուլուն զյենսուա ձյեթը: Եանինք; մացրամ արացյերու նատյշամո մոսո զայսու շյեսա-նյեծ, րոմելսաց ասյզ դանոնյուլո այվա պաշալնուուրագ 1000 ր.:

Իյմմա ամ շյեցնյեծամ մաօժուլա յավլազ մոցմարտոտ մոմածյեթ-րյելու տեռանուու - րոմլուուաց ար մեսյուրդա շյեմենյեծենյետ - զամարյցուու: Տաօդան յնդա աոլոս զարշարա ոլոնի՛նաս զայմա յաւուցնուու զյենսուա?

ԱԼԵԿՍԱՆԴՐՈ ՍՅՈՍՖՄԵՐՅՈՎՈՒՍԱԳԹՈ №4 (834)

11^{րո} փև: 1874: Свистунову. Началь: Окр: штаба
Кавказ: Воен: Округа.¹

М: Г:
Александр Павлович!²

Кутайсск^{го} Конно Иррег^{наго} полка Ротмистр Петр Копей-швили увольняется в отставку, после 29^и летней боевой его

службы, из коих 14 лет прослужил в этом полку, получил в награду отличной службы Чины: штабРотмистра и Ротмистра, ордена: Св: Станисл: 3^{ей} степени с бантом и Св: Анны 3^{ей} ст: с бантом, командуя 5 лет постоянно Сотнею.

Конечно, всему есть предел, и Копейшвили, подобно другим служащим, когданибудь должен оставить Службу. Но, отставка для того, кто, после 29^и летней верной службы, ненавидит даже хижины, гдебы мог укрыться с семейством от непогоды, ни клочка земли, обработка которой, быть может, доставила бы ему хоть скучное средство к жизни, – отставка для того есть верный приговор к голодной смерти, так как, к несчастью Копейшвили 15 лет волонтерной его службы совершенно теряются, неприбавляя ничего к законному праву на получение в отставке содержания! –

Ваше Прево, не удивляйтесь, если я, ходатайствуя за него, прошу вашего милостиваго, милосерд(н)аго вниманія к нему. Мне грешно забыть его 15^и летнюю боевую службу в Дагестане, где я, неоднократно, был свидетелем его замечательной храбрости и самой чистой преданности к Правительству. Теперь, мир; а в мирное время все мы хороши, все мы из преданности шумим о самопожертвованії. Но, верьте, совсем нето бывает большею частью, навойне! А Копейшвили, ныне почти никому неизвестный, имел свое значение, когда своею личностью, он увлекал массу Дагестанских Всадников в самый разгар битвы! Как видно, он и в этом полку не переставал отличаться своею обычною храбростью, что доказывается полученными им орденами с бантом. – И такие заслуженные старики, обезпеченные милостью Правит^{ва} насущным хлебом, за верную их службу, всегда и везде бывают лучшими проповедниками, красноречивейшими распространителями среди молодого поколенія идеи о святом чувстве верности и преданности к великодушному Правительству. Не оставляйте таких стариakov на жертву голода, потому только, что они, по ветхости, уже бесполезны для службы!

С радостью присоединяю к моему ходатайству письмо командира Кутаис^{аго} полка, свидетельствующее о похвальной службе Копейшили, и убедительно прошу ваше Прево: Примите участие в судьбе старого служиваго, окажите ему с семейством помощь, возможность к скучному существованию; и, верьте, чтобы вы ни сделали в пользу его, все будет справедливо, все будет благо пред Богом!

ალექსანდრე სვისტუნოვისაძე №4 (834)

11^б თებ: 1874: სვისტუნოვს. კავკას: სამხედ: ოლქის
საოლქ: შტაბის უფრ:

მოწ: ხელ;
ალექსანდრ პავლოვიჩ!

ქუთაის^{შე} ცხენოსანთა ირეგულარ^{ული} პოლკის როტმისტრი პეტრე კოპეიშვილი 29 წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ, საიდანაც 14 წელი ნამსახურევი აქვს ამ პოლკში, აპირებს გადადგომას. საუკეთესო სამსახურისთვის იგი დაჯილდოებულია შტაბროტმისტრისა და როტმისტრის ჩინებით; ორდენებით: წმ. სტანისლ: მე-3 ხარისხის ბანტითა და წმ. ანას მე-3 ხარისხის ბანტით, 5 წელი მუდმივად მეთაურობდა ასეულს.

რა თქმა უნდა, ყველაფერს აქვს საზღვარი და კოპეიშვილიც, სხვა მოსამსახურეთა მსგავსად, ოდესმე უნდა გადადგეს სამსახურიდან. მაგრამ ადამიანისთვის, ვისაც 29-წლიანი ერთგული სამსახურის შემდეგ ქოხიც კი არ გააჩნია, რომ ოჯახთან ერთად თავი შეაფაროს უამინდობისას, ერთი მტკაველი მიწაც კი არა აქვს, რომლის დამუშავება მისცემდა მას სულ მცირე საარსებო სახსრებს, – სამსახურიდან გადადგომა აშკარა განაჩენია შიმშილით სიკვდილისათვის, რადგანაც, საუბედუროდ, 15-წლიანი მოხალისეობრივი სამსახური მთლიანად ეკარგება, ვინაიდან სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ხელფასი არ ენიშნება.

თქვენი აღმატებულებავ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ შუამდგომლობისას ვითხოვ თქვენს მოწყალე, გულისხმიერ ყურადღებას მის-

დამი. ცოდვად მიმაჩნია მისი 15-წლიანი სამხედრო სამსახურის და-
ვიწყება დაღესტანში, სადაც მე არაერთხელ გავმძღვარ მისი შე-
სანიშნავი სიმამაცისა და მთავრობისადმი უზაფო ერთგულების
მოწმე. ახლა მშვიდობაა და მშვიდობიან დროს ჩვენ ყველანი კარგე-
ბი ვართ, ყველანი ვყვირივართ ერთგულებასა და თავგანწირვაზე,
მაგრამ, მერწმუნეთ, უმეტეს შემთხვევაში სულ სხვანაირადაა ოშში.
კოპეიშვილს კი, რომელსაც დღეს თითქმის არავინ იცნობს, ჰქონდა
ფასი, როცა თავისი პიროვნული თვისებებით ყველაზე ცხარე
ბრძოლებში გაიყოლებდა ხოლმე დაღესტნელ მხედრებს. როგორც
ჩანს, ის ამ პოლკშიც გამოირჩეოდა თავისი ჩვეული სიმამაცით,
რაც აშკარად ჩანს მის მიერ მიღებული ბანტიანი ორდენებით. — და
ასეთი დამსახურებული მოხუცები, თავიანთი ერთგული სამსახუ-
რისთვის მთავრობის წყალობით უზრუნველყოფილი ჩვენი არსო-
ბის პურით, ყველგან და ყოველთვის წარმოადგენენ საუკეთესო
მქადაგებლებს, ახალგაზრდა თაობაში სულგრძელი მთავრობის მი-
მართ ერთგულებისა და თავდადების წმინდა იდეების ყველაზე
მჭევრმეტყველ გამავრცელებლებს. ნუ გასწირავთ ასეთ მოხუცებს
შიმშილისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ სიძაბუნის გამო სამსახუ-
რისთვის ახლა უკვე გამოუყენებელი არიან.

ჩემს შუამავლობას სიხარულით ვურთავ ქუთაისის პოლკის
მეთაურის განცხადებას, რომელიც ადასტურებს კოპეიშვილის სანა-
ქებო სამსახურს, და დაბეჯითებით ვთხოვ თქვენს აღმატებულებას:
მიიღეთ მონანილეობა ძველი ჯარისკაცის ბედში, აღმოუჩინეთ და-
ხმარება ოჯახთან ერთად, მიეცით მნირი არსებობის საშუალება და
მერწმუნეთ, რომ რაც არ უნდა გააკეთოთ მის სასარგებლოდ,
ღვთის წინაშე ყველაფერი იქნება სამართლიანი და სიკეთისათვის
ქმნილი!

პარბარე პატრატიონ-ორგანიანისადმი №63 (835)

24 февр: 1874. Тифlis.¹

Мой друг Варвара! Имею честь, или точнее выразиться,
честь имею, прислать вашему здоровью 300 р;² и этим можнобы
закончить письмо; но, странно, откуда рождается вопрос: вида-

лали ты Конскую скачку? Когда один самонадежно несется как вихрь и в минуту проскакивает круг, в то время как другой тащится заним джанд(ж)алом,³ в поте лица, задыхаясь; но, всётаки приходит кагданибудь к цели! Этим сравненiem, я хочу спросить тебя, Георгій пролетелли экзаменный круг, или джанджалом, спотыкаясь дотащился до 4^х или 5^и балов?

Что мой Вано поделывает? Помоголи его ревматизмам лекарство, отсюда высланное? Бедная Залуа Хорешана, как мы уважали её! Что делать? В этом міре слёзы и радость живут вместе водной квартире. Эту истину все мы знаем, а сердце рвётся от печали! Цалую мою Патара Залуа Сашу.

Вчера был у меня Нико Мингрельский; славный молодой человек. Он выезжает 12 марта в Петерб:, где на праздниках будет свадьба его с дочерью Адельберга. Я душевно радуюсь, слыша совсех сторон похвальный отзыв об ней.

В то время, когда мы ждали, вотвот, разцветут миндальныя и персиковыя деревья, февраль принёс нам неожиданно страшную зиму: снег по колено, морозы до 13 гр:, незнаем, как спастись, на дворе мороз, в домах холод, печи и камини не согревают комнат! Сказано Азія, ну, Азія и есть! Всё неожиданности, да восторженности; хотьбы когданибудь спокойное немецкое постоянство.

Вот как, наши молодыя дамы ревностно стараются день и ночь! Майко⁴ родила дочь, так легко, так скоро, точно ребёнок был завернут в платке. Како⁵ родила дочь; еще прежде их Тамара⁶ родила дочь. Только бедная Елена⁷ родила сына, но он вскоре умер, а она сама заболела без надежды; но теперь, Благодареніе Богу, ей лучше и лучше. Аннета здесь.

Я⁸ прохворал всю зиму, немогу освободиться от простуды. Ираклій⁹ едва не умер; Вахтанг¹⁰ отчаянно был болен; Леван Меликов¹¹ заболел здесь сильно, теперь всем им хорошо. У Статковских умер сын 3^х лет. Глубоко опечалены родители, в особенности Алексей Петрович. Одна только Бабале переносит

Горе с твердостью, утешая и поддерживая их всех. Махлаз, не совсем приятно проходит для нас эта зима.

Вот самая новая¹² новость из новостей: Мадам Минквиц приехала в Тифлис с намерением жить постоянно в Дербенде. Не думаю, чтоб этот ея выбор был удачен. Старший ея сын очень высок, очень строен, очень красив, в особенности очень сильно здоровый Прaporщик Джагунского Полка.

Цалую моего Дядю Георгия и благословляю вас.

პარტარე პატრატიონ-ორგანიანისაღმი №63 (835)

24 თებერვალი 1874. თბილისს.

ჩემო მეგობარო ვარვარა! მაქს პატივი, ან უფრო ზუსტად რომ გამოვხატო, პატივი მაქს, თქვენი ჯანმრთელობისთვის გამოგზავნოთ 300 მან. და ამით შეიძლებოდა დამტკიცებინა წერილი, მაგრამ საოცარია, საიდან მებადება კითხვა: გინახავს შენ ცხენების დოლი? როცა ერთი თავდაჯერებით მიერის გრიგალივით და ერთ წუთში გაირბენს წრეს, ხოლო ამ დროს ჯანჯალით მისდევს მას მეორე, სახეგაოფლილი, აქოშინებული, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიდის მიზნამდე! ამ შედარებით, მინდა გკითხო, გიორგიმ ქროლვით ჩაიარა საგამოცდო წრე, თუ ჯანჯალით, ბორძიკ-ბორძიკით, გაჭირებით მიჩანჩალდა 4 ან 5 ქულამდინ?

რას შვრება ჩემი ვანო? უშველა მის რევმატიზმებს აქედან გამოგზავნილმა წამალმა? სანყალი ძალუა ხორეშანი. როგორ პატივს ვცემდით! რას იზამ? ამქვეყნად ცრემლები და სიხარული ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ. ეს ჭეშმარიტება ყველამ ვიცით, მაგრამ გული დარდს გაურბის! ვკოცნი ჩემს პატარა ძალუა საშას.

გუშინ ნიკო მინგრელსკი იყო ჩემთან. დიდებული ახალგაზრდაა. 12 აპრილს მიემგზავრება პეტერბ:, სადაც დღესასწაულებზე მისი და ადელბერლის ქალიშვილის ქორწილი გაიმართება. მე სულით და გულით ვხარობ, მესმის რა მისი ქება ყოველი მხრიდან.

მაშინ, როცა ყველანი მოუთმენლად ველოდით ნუშისა და ატ-მის ხეების აყვავებას, თებერვალმა საშინელი ზამთარი მოგვიტანა:

მუხლებამდე თოვლი, 13 გრ-მდე ყინვა, არ ვიცით, როგორ ვუშვე-ლოთ თავს, გარეთ ყინვაა, სახლებში სიცივე, ღუმელები და ბუხრე-ბი ვერ ათბობენ ოთახებს! ნათქვამია, აზიაა, და, მართლაც, აზიაა! ერთავად მოულოდნელობები და აღფრთოვანებები, ოდესმე მაინც გველირსებოდეს გერმანული მშვიდი უცვლელობა.

აი, როგორი მონდომებით მოქმედებენ ჩვენი ახალგაზრდა ქა-ლები დღედაღამ: მაიკომ გააჩინა გოგონა, ისე ადვილად და სწრა-ფად, თითქოს ბავშვი თავსაფარში ყოფილიყო გახვეული. კაკოს შე-ეძინა გოგონა; მათზე ადრე თამარმა გააჩინა გოგონა. მხოლოდ საპ-რალო ელენეს შეეძინა ვაჟი, რომელიც მალევე გარდაიცვალა, თვი-თონ კი უიმედოდ გახდა ავად; მაგრამ ახლა, მადლობა ღმერთს, უკეთ არის. ანეტა აქ არის.

მე მთელი ზამთარი ვიავადმყოფე, გაციებისგან ვერ გავთავი-სუფლდი. ირაკლი ლამის მოკვდა; ვახტანგი უიმედოდ იყო ავად; ლევან მელიქოვი აქ მძიმედ იყო ავად, ახლა ყველა კარგადაა. სტატკოვსკებს მოუკვდათ 3 წლის ბიჭი. მშობლები ღრმად დამწუხ-რებულნი არიან, განსაკუთრებით ალექსეი პეტროვიჩი. მარტო ბაბა-ლეს გადააქვს მწუხარება მოთმინებით და დანარჩენებს აიმედებს და ამშვიდებს. მახლაზ, არცთუ სასიამოვნოდ მიდის ეს ზამთარი ჩვენთვის.

აი, ყველაზე ახალი ამბავი ახალი ამბებიდან: მადამ მინკვიცი ჩამოვიდა თბილისში მუდმივად დერბენდში ცხოვრების მიზნით. არა მგონია, მისი ეს არჩევანი კარგი იყოს. მისი უფროსი ვაჟი ძალიან მაღალი, ძალიან ლამაზი აღნაგობის, ძალიან ლამაზი და, განსაკუთ-რებით, ძალიან დიდი ფიზიკური ძალის მქონე პროპორშჩიკია დრა-გუნთა პოლკში.

ვკოცნი ჩემს ბიძია გიორგის და გლოცავთ.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №15 (836)

13^{го} марта 1874.¹

Баро: Алекса: Павл: Николаю.²

Глубоко опечален, что мое нездоровье лишает меня, поистине, искренняго удовольствія быть у вас наобеде среди лиц, которых я привык любить и уважать, и притом вспомнить всегда незабвенное для нас время быстро-пролетевшей юности, и того великаго нашего учителя к^н Михайла Семеновича, с именем котораго связывается всѣ лучшее внас, всѣ благое внашой жизни и службе.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №15 (836)

13^ს მარტს 1874.

ბარ: ალექს: პავლ: ნიკოლაის.

ძალიან მწყდება გული, რომ ჩემი ავადმყოფობა არ მაძლევს საშუალებას, ჭეშმარიტად გულწრფელი სიამოვნება მივიღო ოქვენთან სადილზე ყოფნით იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მიყვარს და პატივს ვცემ და, ამასთანავე, გავიხსენო სწრაფად გაფრენილი ჩვენი ახალგაზრდობის წლები და ჩვენი დიდი მასწავლებელი, თავადი მიხეილ სიმონიჩი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ყველაფერი საუკეთესო, რაც ჩვენშია, ყველა სიკეთე ჩვენს ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში.

სოფიო ერისთავ-ორგანიაციადმი №5 (837)

1874-მარტ: 17^ს დღესა თბილისით¹ ბოთლიხს.

ჩემო საყუარელო ძალუავ, დედავ, დაო სოფიო! ძლივს
მომეცა იმოდენი ძალი, რომ ჩუმულებრივ კიდევ შევიძელ მო-
წერა შენდა. ავად ვიყავ; ეხლაც ვერა ვარ სრულებით კარგად;
მთელი ზამთარი გავატარე ხველითა და გულისტკივილითა;
ჩემთვს არციყო თეატრი, არცა ბალები, არცა კრუზოკი და
კლუბი; მეტადრე მანუხებდა უბოსტონობა. — ეჲ, ასე ყოფილა
თურმე: ჯერ ერთი მოგუაკლდება, მერე მეორე; ხან იმასა
ვჰსჩივით, ხან იმას მივტირით, და ასე ნელ-ნელა, ნელ-ნელა
ვეჩუმეტვით მოშორებასა ყოვლისა მისგან, რაცა უწინ ან გუა-
სიამოვნებდა, ან გუახარებდა, ან გუაბედნიერებდა; და ბო-
ლოს, ასე ვჰსჩივებით მარტო, ასე² უცნობ გარეშეთათვს, რომ
როცა გადავალთ საიქიოს, ერთი ფოთოლიც არ შეირყევა საა-
ქაოს. „ბიჭო, ეგ ვისა ჰმარხვენ? რა მოგახსენო შენიჭირომე“
აი, ეს იქნება მხოლოდ.³ ამ ფიქრებს ადრევე უნდა შეეჩიოს
კაცი, მაგრამ, ეჲ, არც ეს ყოფილა ადვილ შესაძლებელი, და
არცა ხან-გრძელი სიცოცხლე სანატრელ, რადგანაც გვიჩვე-
ნებს მხოლოდ ამაოების წელმწიფობას და ყოვლისა წარმავა-
ლობასა! ამ სოფელში მხოლოდ ერთია უეჭველი, აუცდენელი
— სიკუდილი. ვიპადებით, რათა მოვპეუდეთ! ეს ზეგარდამო
შეურყეველი წესი დიდი საშინელებაა გულის-წმიერის
მგრძნობელის კაცისათვს, თუ არჰსუფევდეს ღმერთი სიმართ-
ლისა და სიყუარულისა, რომელიცა ამა წესითა⁴ უფრო ცხა-
დად გვიჩუმენებს უკეთესა სიცოცხლესა! თვარემ სადღა იქ-
ნებოდა სიმართლე მისი?⁵ ნეტარ მას, ვისაცა ჰსნამს ესე.

აი სისუსტე სხეულისა, აი დიდმარხუა და მისი ნისლიანი
დღეები, სად გაიტაცებენ კაცის ჰაზრებსა? აბა, შემეძლოს და
წავიდე ამაღამ კონცერტსში, სადაცა განთქმული ევროპასში
ვიოლონჩიელისტი⁶ მიგველის, რომ დაგვატკბოს,⁷ დაატყუცოს
თავის მუზიკითა,⁸ თუ მაშინვე სრულებით არ ვიყო სხუა გუ-
ნებაზედ, სხუა ფიქრებზე; ეს რაღა არის? საკურვლად არის

დაბადებული კაცი! არცა იმის ღონე აქუს, რომ სულ ჰსია-
მოვნებდეს, არცა ის შეუძლიან, რომ სულ ჰსწუხდეს; ამ სოფ-
ლის სიამოვნებისათვაც თავს იკლავს, იმ სოფლის უკუდაე-
ბისათვაც ჰზრუნავს გულ-მტკივნეული! ეს მეტის მეტი გაუ-
მაძლრობაა; მაგრამ⁹ ამ გაუმაძლრობასაც დიდი მნიშვნელობა
აქუს: ამით¹⁰ ეძებს უკუდაებასა; მხოლოდ უკუდაება გაა-
ძლობს კაცსა და ესე უზენაესი¹¹ მღუთაებრივი ჰაზრი საიდამ
და რათა აქუს გულსში ღრმად დანერგილი, თუ მართლად
არა რა არის¹² სიკუდილის მეტი? შე, უბადრუკო დედაკაცო,
იწამე და!

მართლად, ამ ბაიყუშმა ზამთარმა მოიცალა მარტო ჩუ-
ცნზე: მე ვიყავ ავად აქამომდის; ირაკლი კინალამ არ მოკუდა
და ეხლაც ძლივს ხინხილებს; ლევან დაიტანჯა, აქიმებმა ვერა
გაიგესრა სწრულებისა, ასმევდენ ქინაქინას 20, 40, 50 გრამსა
და¹³ ბოლოს რევანდმაკი მოარჩინა, და მაშინვე¹⁴ გამოსწია¹⁵
შურისაკენ; ჭილაევი კინალამ არ დაახრჩო ქუნთრუშამ; საწყა-
ლი ჯომარდიძეს ცოლი ძლივს ჰყეთქავს; გიორგი მუხრან-
სკის ცალი თვალი უხდება; შენი საკუთარი ისაკ მხოლოდ ეხ-
ლა გამობრწყინდა ვიზიტებად; საწყალს ელენას ასტაჭიევისას
ეყოლა ვაჟი და მოკუდა და თვთცა კინალამ არ გაგიუდა
რძის თავში ავარდნითა. რაღა ვჰსთქუა, შენნი თანამედროვენ-
ნი კინალამ ერთიანად არ გადავსახლდით საიქიოს; მხოლოდ
გიორგი სარაჯევიკი დამარხეს ამ დღეებში.

ჩუცნი ბანკი ჯერაც გარიყულია; ამითკი ნუგეშგუცემენ,
რომ მალე შეიტანენ ღოსუდარს: სოვეტსში. დიახ კარგი; მაგ-
რამ მე საბოლოოდ მაინც ვერარსა ვჰხედავ კეთილსა მიზეზი-
საგამო სხვსა და სხვსა. ღთშან¹⁶ ჰქმნას, რომ ამასში მე ვიყო
შემცდარი. პრიკაზი დაიკეტება და ამის ანგარიშებსა და საქ-
მეებსა გადაჰსცემენ აქაურს ღოსუდარსგ: ბანკსში; მაშინ მო-
ხდება გაყიდვა იმ მამულებისა, რომელთაგან არ შეუტანიათ
პროცენტები, ესე იგი, თითქმის მთლად საქართველო გაიყი-
დება. შენ წარმოიდგინე, რა ვაება, გოდება, მოელის ჩუცნს¹⁷
ქუცყანასა! ეს არის.

საკუთრივ საქართველოსათვს ახალი წარდუნა, რომლი-დამაც იშვიათი ვინმე გადარჩება ახალს ნოეს კიდობანში....¹⁸ აქ ხომ მსყიდველნი არ არიან სომხების გარდა, და რაღა თქმა უნდა, რომ სულ უფასოდ წაგვივა მამულები ან სომხების ხელში, ანუ ხაზინასში, და დარჩება განყალებული, ულუქმა-პუროდ, უნუგეშოდ, საბრალო ჩუტინი თავად-აზნაურობა, რო-მელიცა იყო აქამომდე ამ ქუცინისა პატრონი, მფარველი, მე-ბრძოლე, შემნახველი ათასწელინადების განმავალობასში. ესეთთა¹⁹ ბრწყინვალეთა დღეთა²⁰ მოელის ამ ახალს²¹ ხანს ჩუტინი საქართველო, და საკურველი ეს არის, რომ მაინც კი-დევ ვერა ვპხედავთ დაბრმაებულნი იმ ბეჭედს უფსკრულსა, რომელსშიაცა უთოოდ²² უნდა ჩავჰავდეთ; მაგრამ, ვინ იცის, იქნება ამგუარ შემთხუცვასში ჰსჯობია დაბრმავება? რაზე გავიხეთქოთ ადრე გული უბედურების შორიდამ²³ დანა-ხვითა? როცა ჩავჰავდებით, მაშინ ჩავჰავდეთ, და მა-ნამდისკი... ზინკრი კიკო, ზინკრი კიკო!! დაჰკარ!²⁴

რა საკურველია, ადრევე შეიტყობდი, რომ ტასო და ონიკოვი მორიგდნენ: ტასომ გამოისყიდა იმისაგან²⁵ ექუსია-თასის თუმნისა თამასუქები სამიათასად; ეს კარგად მოხდა. ახლა ტასო შეუდგა იმ ფიქრებსა და პლანებსა, რომ დანარჩე-ნიცა როგორმე გამოიხსნას მოვალეებთან მორიგებითა, და ამ განზრახვისათვს²⁶ ამერიკანეცი გაგზავნა რუსეთში, რომ²⁷ გა-სყიდოს ყირიმის მამული; და თუ ესე კეთილად დაბოლოვდა, საკუთრივ ჩემთვს იქნება დიდი ბედნიერება, რომ კიდევ მე-ლირსება ჩუტულებრივ თქუცინთან ყოფნა; დრო ალარ არის ჩუტინის დაშორებისა....²⁸ ჩემს გულით საყუარელს იგანეს და ნიკოს დავკოცნი;²⁹ და ლთი³⁰ იყოს მარადის თქუცინი³¹ მფარ-ველი.³²

როგორ არის და ან სადა, ვისთან, ჩემი მაჰმადა?

ФАБОГЛІ 3 ПІЗНУЮЧЕ ЗМІСТУ №1 (838)

13^{го} Апр: 1874. г. В Шуру¹

Протоієрею Попруженко.

Глубокоуважаемый Отче Данійл! Выезжая в Россію из Кавказа вы вспомнили обомне и почтили меня прощальным письмом. Невыразимо чувство глубоко-покойной радости, невыразимо и истинное чувство моей благодарности за память, которую вы сохранили обо мне в течениі 30 лет! Ваше письмо оживило в моём сердце, и те грозныя события, которыя, спомощью Божьего, преодолены были нами, и те немногія лица, которыя оживляли, одушевляли Геройским мужеством небольшой наш отряд, запертый в трущобе Зираны! Прошло то грозное событие, прошли и те лица, только нам с вами знакомыя; настало новое время мира; оно всегда заслоняет собою прошедшее, и теперь новыя требования времени кипятят новую жизнь и о старом нет досуга вспоминать. Всему своя очередь. Но с чистою, светлою совестью можем сказать, что и мы, в своё время, послужили Богу и Великому Государю верою и правдою! Мы прошли грозное поле войнскай деятельности. За нами появились новые деятели мира. Дай Бог им более мужества, более правды, которыя некогда одушевляли и нас! Дай Бог, чтоб населеніе огромнаго края, после кровавой войны, отдохнуло, успокойлось, твердо стало на истинный путь цивилизациі под благотворным покровительством законности, Правосудія и того сердечнаго преподательства, которое одно только и привязывает с благословением народ к Правительству!

Помнители беднаго Пассека, так безвременно погибшаго? Помнители Ясинского, который в Зиринах, в трудныя минуты, пел по Польски молитвы: Святый Бозе, Святый мощный,

Святый несмртельный, Змиуйся над нами! Помнители Суровыя лица наших солдат, которые с героическим мужеством переносили зимные невзгоды, в грязи, в снегу, в метели, работая безропотно по укреплению. Помнители, как вы уговоривали, благословляя голодных солдат, петь Конину, которые сверх изодранной одежды носили сырую конскую кожу? Да, незабвенные эти трудные дни для тех, которые пережили их! Смешно, но я помню даже вашего дячка, который, – во время нашего внезапного отступления из Хунзиха, – на ваш вопрос: почему не взял с собою хлеба, а несет ни к чему ненужный глиняный кувшин, отвечал: «Батюшка, да ведь эта водка»!!! Так, воспоминания о давно прошедшем, даже с умиленiem³ о пустяках порождают улыбку удовольствия.

Уважаемый Отче! Состарелся я; снегом покрылась моя голова; грудь болит; силы изменяют, словом: все прелести старости познакомились со мною. Вижу, близиться роковой час переселения... Что ж? Уповая на милосердіе Всевышняго, к[ак]⁴ Христіанин, ожидаю безропотно, смиренно, минуты перехода туда... туда!... [Вс]его⁵ один grenaderскій шаг!!!

Бог да благословит вас, и там, где вы теперь, и там, где вы будете, но, иногда помяните и меня добрым словом в ваших молитвах. Грешен я, яко есьмъ человек!

С чувством истиннаго, искреннега уваженія имею честь быть....

დანიელ პოპულარული საღმი №1 (838)

13^ს აპრ: 1874 წ. შურას

პროტოიერეი პოპრულენკოს.

ლრმად პატივცემულო მამაო დანიელ! კავკასიიდამ რუსეთს გამგზავრებისას გაგახსენდით და პატივი მეცით გამოსამშვიდობებელი წერილით. გამოუთქმელია ლრმა, დამამშვიდობებელი გრძნობა სიხარულისა, გამოუთქმელია ასევე ჩემი წრფელი გრძნობა ხსოვნის-თვის, რომელიც 30 წლის მანძილზე შემოგინახავთ ჩემზედ! თქვენმა წერილმა გულში გამიცოცხლა ის მრისხანე მოვლენები, რომლებიც, ლვთის შენევნით, დავძლიერთ, ის არცთუ მრავალრიცხოვანი ადამია-ნები, რომლებიც გმირული ვაჟყაცობით აცოცხლებდნენ, ასულიე-რებდნენ ზირანის ქვესკელში გამომწყვდეულ ჩვენს მცირე რაზმს! ჩაიარა იმ მრისხანე ამბავმა, წარვიდნენ ის პიროვნებებიც, ნაცნობ-ნი ოდენ ჩვენთვისა; დადგა ახალი დრო მშვიდობისა; ის მუდამ წინ ეფარება წარსულს და ან დროის ახალი მოთხოვნები ამოძრავებენ სიცოცხლეს და დრო აღარ რჩება წარსულზე ფიქრისათვის. ყველა-ფერს თავისი წესი აქვს. მაგრამ სუფთა, ნათელი სინდისით შეგვიძ-ლია ვთქვათ, რომ თავის დროზე ჩვენც რწმენითა და სიმართლით ვემსახურეთ ღმერთსა და დიდ ხელმწიფესა! ჩვენ გავიარეთ სამხედ-რო მოღვაწეობის მკაცრი ეტაპი. ჩვენს შემდეგ გამოჩნდნენ ქვეყნის ახალი მოღვაწენი. ღმერთმა მისცეს მათ მეტი სიმამაცე, მეტი სი-მართლე, რაც ოდესლაც ჩვენ გვაგულიანებდა! ღმერთმა ინებოს, რომ სისხლიანი ომის შემდეგ [ამ] ვრცელი მხარის მოსახლეობამ და-ისვენოს, დამშვიდდეს, მყარად დადგეს ცივილიზაციის ჭეშმარიტ გზაზე კანონიერების, სამართლიანობისა და იმ გულითადი მზრუნ-ველობის ქვეშ, რომელიც ერთადერთია, რაც ხალხს აკავშირებს ხე-ლისუფლებასთან!

თუ გახსოვთ საპრალო პასეკი, აგრე უდროოდ რომ დაიღუპა? იასინსკი თუ გახსოვთ, განსაცდელის უამს ზირინაში პოლონურად რომ გალობდა ლოცვებს: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგვინყალენ ჩუენ! გახსოვთ მკაცრი სახეები ჩვენი ჯარის-კაცებისა, რომლებიც გმირული ვაჟყაცობით იტანდნენ ზამთრის გა-ჭირვებას სიმაგრეებზე მუშაობისას ტალახში, თოვლში, ქარბუქში? გახსოვთ, კონინას მღერას რომ მოუწოდებდით მშიერ ჯარისკაცებს,

რომლებსაც დაგლეჯილი სამოსით მიპქონდათ ცხენის ნედლი ტყავი? დიახ, დაუვიწყარია ეს მძიმე დღეები მათთვის, ვინც ისინი გადაიტანა! სასაცილოა, მაგრამ მე მახსოვეს თქვენი დიაკვანიც კი, რომელმაც ხუნდახიდამ ჩვენი მოულოდნელი დახვეის დროს თქვენს კითხვაზედ: რატომ არ წამოიღო პური და არაფრის მაქნისი თიხის დოქი კი მოჰქონდა, გიპასუხათ: „მამაო, ეს ხომ არაყია!!!“ ასე, დიდი ხნის გარდა-სული ამბების მოგონებანი, გულსაც რომ გვიჩუყებენ, კმაყოფილ ღი-მილს გვგვრიან უმნიშვნელო რამებზედა.

პატივცემულო მამაო! დახტერდი; თოვლით დამეფარა თავი; მკერდი მტკივა; ძალ-ლონე გამომეცალა, მოკლედ: სიბერის ყველა ხიბლი მეწვია. ვხედავ, მიახლოვდება გადაბარგების საბედისწერო წუთი.... რას იზამ? უფლის წყალობის იმედადა ვარ, როგორც] ქრისტიანი, და უდრტვინველად, მორჩილად ველი იქ წასვლის წუ-თებს იქა!... ოდ[ენ] ერთი გრენადერული ნაბიჯილა რომ დარჩა!!!

ღმერთმა დაგლოცოთ იქაც, საცა ან იმყოფებით, და იქაც, საცა იქნებით, მაგრამ კეთილი სიტყვით ხანდახან მეც გამიხსენეთ თქვენს ლოცვებში. ცოდვილი ვარ, ვითარცა კაცი!

ჭეშმარიტი, წრფელი პატივისცემის გრძნობით პატივი მაქვს, ვიყო....

ვლადიმერ ლევაშოვისადმი №2 (839)

22^{го} Апр: 1874. Графу Владимиру Васильевичу Левашеву.¹

Старый мой товарищ Исацлов просил меня быть ходатаем пред вашим Сият:^{БОМ} о деле его, которое, по уверению здешняго начальства над Государст: Имуществами, находится ввашем Правлені. Дело это состоит втом, что у Исацлова есть горныя пустоши, принадлежащія ему по купчим крепостям; но лесничіе с недавняго времени воспрещают ему пользоваться своим именіем. Об этом Исацлов обращался здесь с просьбами, но ему отвечали, что от вас, как от Главнаго началь^а в Кутайс:^{ОЙ} Губерніи, зависит решеніе этого дела.

Решив явиться пред вами ходатаем за Икарлова, я покорнейше прошу, впервых: снисходительно взглянуть на это письмо без нахмуренія бровей и, ввторых: приказать разсмотреть дело это, и, по мере справедливости, оказать Икарлову ваше милостивое покровительство.

Не в моем характере беспокоить коголибо, тем менее вас, Граф, подобными просьбами, приносящими немало скуки; но, что делать? Существуют отношения, являются невызываемые нами обстоятельства, которые превышают силы человеческія.

Вы, конечно, знаете от какой опасности Бог спас жизнь Вел: Князя в Лагодехе. Но, бедный Ден² досихпор еще несовсем в надежном состояні. К: Мирскій с женою находится там, ожидая с трепетом сердца положительно вернаго ответа от врачей, которые еще не совсем убеждены в благопріятном исходе лечения разбитой у Дена ноги. Какой бедственный Случай! Какое мучительное положеніе Мирских!

Прошу Глубокоуважаемую Графиню принять от меня выраженіе чувства самой истинной, самой искренней преданности.

ՅԱՌՈՂԵՐ ՀԵՎԱՅՊՅՈՍԱՌՅՈ №2 (839)

22^ւ ամ: 1874. շրայ վլագոմեր զասոլեզօի լեզաթեց։

Ի՞մմա մշելմա ամեանցմա օսարլովմա մտեռվա Շոյամավլոնձ տէվեն ծրնցին:^մ Ենճամե մու սայմեստան դաշապնիրենու, րոմելու, սա Ելմեն: յոնենու այսպիս շոյրուսոնձու հնմունենու, տէվենս ցամցեծլոնձուան: սայմե օսաա, րոմ օսարլովս այզս մտացորուանո շոյարցեծլու մոնս, րոմելու մու շայուղենու նասպուղոնձու և օգոլուս սայսպելութե, մացրամ ծոլլու քրու մեթպազենու շոյրմալազեն տազուսու մոնու սարցեծլոնձուան: ամու տառձանց օսարլովմա բամցենչերմե տեռվնու մոմարտա այ, մացրամ մաս ձասշեռնունեն, րոմ ամ սայմու ցագանչպազեն գամոկուդը շոլու ոյս տէվենից, րոգորու յուտասու:^մ շոյնունու շոյրունուն։

რაკი ვიკისრე თქვენ წინაშე ისარლოვის შუამდგომლობა, უმორჩილესად გთხოვთ, რომ, ჯერ ერთი: შეწყნარებითა და წარპების შექმუხვნის გარეშე შეხედოთ ამ წერილს, და მეორე: უბრძანოთ ამ საქმის განხილვა და ისარლოვს სამართლიანობის ფარგლებში აღმოუჩინოთ თქვენი გულმოწყალე მფარველობა.

მე არ მჩვევია ვინმეს შეწყნება მსგავსი, უსიამოვნების მომტანი, თხოვნით და, მით უმეტეს, თქვენი, გრაფო, მაგრამ რას იზამ? არსებობს ურთიერთობები, ჩვენგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც ადამიანურ ძალებს აღემატება.

თქვენ, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, როგორი საფრთხისაგან იხსნა ღმერთმა დიდი თავადი ლაგოდებში. საბრალო დენის ჯანმრთელობა მაინცდამაინც საიმედო არ არის. კ: მირსკი მეუღლი-თურთ ისევ იქ არის და გულის კანკალით ელოდება დადებით პასუხს ექიმებისგან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებულნი დენის მოტეხილი ფეხის მკურნალობის სასიკეთოდ დამთავრებაში. რა ცუდი შემთხვევაა! რა სატანჯველში არიან მირსკები!

ღრმად პატივცემულ გრაფინიას ვთხოვ მიიღოს ჩემგან ყველაზე ჭეშმარიტი, ყველაზე გულწრფელი ერთგულების გრძნობის გამოხატვა.

ივანე კონსატინეს ძე ორგალიანისაღმი №1 (840)

რა მშვენიერი დარებია; რამდენს გიგონებთ მანდაურს წირპლიანს ღრუბელში მყოფსა!¹ აქ ქვეყანა სულ გარეთ არის; დადიან, დარბიან, მიაჭენებენ; შინ მიდიან მხოლოდ დასაძინებლად. ნათელი, მყუდრო, წმინდა ჰაერი, მზე კაშკაშებს; ერთის სიტყვით ქვეყანაზე მხოლოდ ერთი არის საქართველო, ისიც ჩულენი! კაცმა აქ უნდა იცხოვროს, პეტრებულშიკი ემსახუროს, ისიც მოკლეს ხანს. – ასე ჩემო ვანო, ახლა აპა მიამბე შენის ფეხების ამბავი.

[1874 წლის 19 მაისამდე]

ბარბარე ბაგრატიონ-მრგვალიანისადმი №64 (841)

19 Мая 1874 г: Тифлис.¹

Мой друг, моя Матушка Варвара! Благодарю, истинно благодарю за известіе о успешном экзамене, зданном Георгіем на Званіе Камер-Пажа. Давно, очень давно, я ничему нерадовался так искренно, как вчера утром, когда совершенно машинально, ни от кого ничего неожидала, я взял с письменного стола пакет, распечатал и прочел твою телеграмму. Спасибо тебе; Урра Георгію, кричу во всё горло! – Знаю обычай, что в подобных слугах подноситься подарок, конечно денежный; но, увы, я Банкрот; карман мой дырявее кармана Георгія; Пусть я буду в долгу унего. Знаю однакож и то, что ты великий Министр Экономії и великая мастерица делать всё из ничего. Выручи меня пред Георгіем; за мною не пропадет.

Но.....² этим словом я часто надоедаю тебе, т: е:, я хотел бы сказать, неужели Георгій остановиться на этом Экзамене, на половине дороги, полагая, что он достиг цели окончательно! Ведь, всё, что он делал досих пор, было только лишь приготовленіе к вступленію в высшее учебное Заведеніе? и, неужели он в своё время, не шагнёт большим Гренадерским шагом в Академію? Ааа!.. Ну, мой дядя Гіоргій, дай слово теперь же! Я неупомянулбы об этом, еслибы не надеялся на твои способности. Зачемже зарывать их в землю? Дай им развернуться всё сторонно, во всём блеске. Самая большая затрудненія уже преодолены тобою; остается немного, чтоб довершить зданіе. Быть офицером, хотябы и гвардейским, право, невеликое слово! Надо быть академиком по какой нибудь отрасли знанія, а твои умственные силы, более нижели достаточны для этого. Почемуже тебе небыть тем, чем можешь быть?

Мой любимец Вано был здесь и уехал на воды вместе с сестрой Тасо и ея детьми. Он, в самом деле, болен; но, невзирая

на его ревматизм, пріезд его взволновал Тифлис и пошли обеды сменятыя ужинами!

Какая безпутная погода здесь! В апреле вдруг жары дошли до 25 гр.; они выжили, высушили поля; а теперь, даже сегодня, только 9 гр.; и дует, непрерывный холодный, ядовитый ветры с Севера. Словом, настоящая Азія! Голод угрожает нашей стране; нехорошо.

Мы узнали только вчера о жизни матери Исаака Туманова, потому, что похорониди её! Она прожила 95 лет, и никто уже не знал о ея существованиі, кроме Исаака. Жить столько лет в забвениі!!! и зачем?

Цалую тебя, твои руки, твою голову и голову Георгія, и благословляю.

პარტარე პაგრატიონ-ორგალიანისადმი №64 (841)

19 მაისს 1874 წ: თბილისი.

ჩემო მეგობარო, ჩემო დედილო ვარვარა! მადლობელი ვარ, გულწრფელად გმადლობ გიორგის მიერ კამერპაჟის წოდების მოსაპოვებლად გამოცდის წარმატებით ჩაბარების ამბის შეტყუბინებისათვის. დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანია, არაფერს გავუხარებივარ ასე გულწრფელად, როგორც გუმინ დილით გავიხარე, როცა სრულიად მოულოდნელად, ისე, რომ არავისგან არაფერს ველოდი, სანერი მაგიდიდან ავიდე პაკეტი, გავხსენი და შენი ტელეგრამა წავიკითხე. მადლობა შენ; ვაშვემა გიორგის, ვყვირი მთელი ხმით! – ვიცი, რომ ასეთ შემთხვევებში, ჩვეულების თანახმად, საჩუქარს მიართევენ ხოლმე, რა თქმა უნდა, ფულადს, მაგრამ, ვაგლახ, მე ბანკროტი ვარ; ჩემი ჯიბე გიორგის ჯიბეზე ცარიელია; ისევ მე ვიყო მის ვალში. მაგრამ ვიცი, რომ შენ ხარ დიდი მინისტრი ეკონომისა და დიდი ოსტატი არაფრისგან ყველაფრის შექმნისა. გამომიყვანე მდგომარეობიდან გიორგის წინაშე; ჩემთან არ დაგევარგება.

მაგრამ... ამ სიტყვით ხშირად გაბეზრებ თავს, ე. ი., მინდოდა მეთქვა, რომ ნუთუ გიორგი შეჩერდება ამ გამოცდაზე, შუა გზაზე იმ

ფიქრით, რომ საბოლოოდ მიაღწია მიზანს! ყველაფერი, რასაც დღემ-დე აკეთებდა, ხომ მხოლოდ მზადება იყო უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად? ნუთუ ის თავის დროზე დიდ გრენადერულ ნაბიჯს არ გადადგამს აკადემიისკენ? ააა!.. აბა, ჩემო ბიძია გიორგი, მომეცი სიტყვა ახლავე! ამას არ ვახსენებდი, შენს შესაძლებლობებს რომ არ ვეყრდნობოდე. რატომ უნდა დამარხო ისინი მინაში? მიეცი მათ სა-შუალება, შემობრუნდნენ ყოველმხრით მთელი თავისი ბრწყინვალებით. ყველაზე დიდი სირთულეები უკვე გადალახული გაქვს; შენობის დასრულებამდე ცოტადა დარჩა. იყო ოფიცერი, თუნდაც გვარდიისა, მართლაც, დიდი ვერაფერი სიტყვა! უნდა იყო აკადემიკოსი ცოდნის რომელიმე დარგში, შენი გონებრივი შესაძლებლობები კი საკმარისზე მეტიცაა ამისათვის. რატომ არ უნდა იყო ის, ვინც შეიძლება იყო?

ჩემი საყვარელი ვანო იყო აქ და წავიდა წყლებზე თავის დას-თან, ტასოსთან, და მის შვილებთან ერთად. ის ნამდვილად ავადაა, მაგრამ, მიუხედავად რევმატიზმისა, მისმა ჩამოსვლამ ააფორიაქა თბილისი და გაიმართა საფილები და მასზე მოყოლებული ვახშები!

რა უთავბოლო ამინდებია აქ! აპრილში სიცხემ მოულოდნე-ლად 25 გრ-ს მიაღწია და გადაბუგა და გაახმო მინდვრები; ახლა, დღესაც კი, მხოლოდ 9 გრ:-ია და უბერავს უწყვეტი, ცივი, შხამიანი ქარი ჩრდილოეთიდან. ერთი სიტყვით, ნამდვილი აზიაა! ჩვენს ქვე-ყანას შიმშილობა ემუქრება; ცუდია.

მხოლოდ გუშინ გავიგეთ ისაკ თუმანოვის დედის არსებობის შესახებ, რადგან დავმარხეთ! მან 95 წელი იცოცხლა და მისი არსე-ბობის შესახებ არავინ იცოდა, ისაკის გარდა. იცხოვრო ამდენი წე-ლი დავინყებულმა!!! და რატომ?

გკოცნი, გიკოცნი ხელებს, თავს და გიორგის თავს და გლო-ცავთ.

პარპარე პატრატიონ-ორბელიანისადმი №65 (842)

2^{го} Июля 1874. Тифлис.¹

Мой друг Варвара! Посылаю 300 р.;² это прежде всего. Потом, твое последнее письмо свопросом о том, куда Георгию выдти из Корпуса, поставило меня в затруднительное положение.

Долго размышляя, обсуждая вопрос со всех сторон, прихожу всякий раз к одному и тому же заключению, что Георгий, к глубокому моему огорчению, по своим средствам неможет служить, ни в Кавалергард:, ни в Конной Гвардії, ни в Лейб Гусарах.

По твоим словам, в первый же год потребуется на самые необходимые, неотложные расходы, 11/т: р:, т: е: ¼ часть его капитала; а потом ежегодно на содержание 6/т: р:.

Моеже убежденіе вот что нашептывает: В этих полках служат и могут служить одни только богачи. В этом обществе богачей никакія суммы определенныя – нельзя разсчитывать; никто неможет с уверенностью сказать «Я издержу только столько тысячи.» Самыя богатейшіе молодые люди наживаю там богатыя болезни и громадные долги, которые погубили неодну знатную фамилію в Россіи. Роскошь, дошедшая до безумія, с ея многообразными прихотями, неимеющими границ, – с ея подавляющею силою увлеченія, слишком могущественно вліяет на юное сердце, даже и на неюное. Человек слаб, противиться неможет ея чарам, которыя ежедневно, на каждом шагу, опустовывают молодое сердце, и в театре, и в садах, и на гуляніе, и в обществе дам, и в обществе холостых товарищей; и на всѣ это необходимы деньги и деньги, вино, карты, хорошенъкія женщины – чаровницы! да где же взять силы для сопротивленія? Какія тут помогут расчеты, или характер? И что такое твои 6/т:? Подавай 60/т:; есть куда и на что расходовать; и все эти расходы будут необходимы, все нужны до зареза! Нельзяже твоему сыну, живя в кругу обольщеній, отречся отних. В Петербурге нет Пуритан; ну, и Георгію нельзя всегда сидеть в заперти, отчужденный от товарищей. И так, по моему убежденію, Георгій неможет служить в этих трех полках. Переидем к другому роду оружія. Это – моя любимица Артиллерія. Неможетли Георгій поступить туда? Там, между офицерами господствует скромность, степенность, единство, братство, строгая нравственность, научныя занятія. Блеск развратной роскоши, или пустота свет-

ской жизни, несуществуют там. Конечно, и между артиллеристами есть много молодых богатых людей; но дух, но направление совершенно иное. Все нравственные начала, возвышающие достойство человека, какими подмечаются и в Георгии, в этом обществе, устанавливаются, укрепляются в нем на всю жизнь, и современем, он бы был человеком, уважаемым по характеру. Полагаю, что здесь 4/т: в год поддержали бы достойство Георгия между его товарищами.

Но, ежели и этого неимея, тогда, по моему мнению, Пребор: им. Семенов: Полк, представил бы Георгию теже выгоды по службе в Гвардии, но с меньшим расходом, т: е: в 4/т:; тогда, как средство Георгия едва хватит на два года, служа в Кавалергардах, или в Лейбгусарах. А потом, потом, всетаки надо выйти куда нибудь; но уже неимея ничего.

Впрочем, высказывая мое мнение, я еще неостановился на нем окончательно. На днях переговорю с К^м Мирским, и тогда дам решительный ответ навопрос, который и для меня важен.

Найди случай представиться Ея Высочайшему Ольге Феодоровне, которая теперь уже в Петербург: и любит тебя. Она, зная все опасности роскошной Стальной жизни, серьезно озабочена, не менее тебя, мыслию о старшем своем сыне, кому отдать его, куда определить, чтоб он не попал в тот омут расплена, в котором гибнет жизнь кипучей, не опитной молодости. Столкуйтесь! Переговорите о ваших сыновьях.

Сегодня я получил письмо от Вано из Пятигорска; ему очень полезны воды; теперь он в Эсендуках, откуда, после 15^и ванны, переедет в Железнодворск, где и Тасо Оглобжю с детьми и Сагиновы. Кетевана в Боржоме; думаю, более из подражания.

Недавно похоронили бедную Елену Джомардизеву; и стало одною красавицею мене.

Мирские и Опочинины в Коджоре; я наднях выезжаю в Табахмели, но досихпор и здесь холодно; вчера было всего 14 гр: утром. Какое странное лето!

Давид здесь, совсем помолодел, похорошел; Сандро, первый меч на вечерах. Тифліс: кружки, незнает усталости в танцах.

На днях военно окруж: Суд приговорил старшаго сына Минквица к 4^х летнему аресту в крепости за дуэль, на которой убил своего товарища Ваха. Мать в отчаяніи. Дело началось с попойки и кончилось смертью молодаго Ваха. Вот последствія дурнаго воспитанія.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №65 (842)

2^ხ ივლისს 1874. თბილისი.

ჩემო მეგობარო ვარვარა! ვიგზავნი 300 რ;; ეს პირველ რიგში. შემდეგ: შენმა ბოლო წერილმა, რომელშიც მეკითხები, თუ რა უნდა ქნას გიორგიმ კორპუსიდან გამოსვლის შემდეგ, მძიმე მდგომარეობაში ჩამაყენა. ამ საკითხზე დიდი ხნის ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე დასკვნამდე მივდივარ, რომ გიორგის, ჩემდა სამწუხაროდ, თავისი სახსრებით არ შეუძლია სამსახური არც კავალერგარდში, არც ცხენოსანთა გვარდიაში და არც ლეიბგუსარებში.

შენი თქმით, პირველივე წელს ყველაზე აუცილებელ, გადაუდებელ ხარჯებს დასჭირდება 11/ათასი რ:. ე. ი. მისი კაპიტალის ¼ ნაწილი; შემდეგ, ყოველ წელს არსებობისთვის – 6/ათასი რ:

ჩემი რწმენა კი, აი, რას ჩამჩურჩულებს: ამ პოლკებში მსახურობენ და შეუძლიათ იმსახურონ მხოლოდ მდიდრებმა. ამ საზოგადოებაში ვერანაირ გარკვეულ თანხაზე ვერ დააწყობ გეგმებს. არავის შეუძლია დაბეჯითებით თქვას, რომ „მხოლოდ ამდენ ათასს დავხარჯავ.“ უმდიდრესი ახალგაზრდები იძენენ იქ სერიოზულ სწეულებებსა და უზარმაზარ ვალებს, რამაც არაერთი რუსეთში ცნობილი გვარი დაღუპა. უგონობამდე მისული განცხრომა თავისი ათასნაირი უსაზღვრო ახირებით, გატაცების ყოვლის დამთრგუნველი ძალით ძლიერ მოქმედებს ახალგაზრდა გულზე და არაახალგაზრდა გულზეც კი. ადამიანი სუსტია, ვერ ერევა მის ჯადოსნურ ძალას, რომელიც ყოველდღიურად, ყოველ ნაბიჯზე ანადგურებს ახალგაზრდა გულს თეატრშიც, ბალებშიც, სეირნობის დროსაც, ქალთა სა-

ზოგადოებაშიც, უცოლო ამხანაგების საზოგადოებაშიც; და ამ ყველაფრისთვის აუცილებელია ფული და ისევ ფული, ღვინო, ბანქო, ლამაზი ქალები – ჯადოსნურად მიმზიდველები! და სად გამონახონ ძალა წინააღმდეგობის გასაწევად? რას უშველის აქ ანგარიშიანობა ან ხასიათი? და რა არის შენი 6/ათასი რ?: 60/ათასიც რომ მისცე, გამოჩნდება, სად და რაზე უნდა დაიხარჯოს; და ეს ხარჯები იქნება აუცილებელი, უკიდურესად აუცილებელი! შენი ვაჟი, რომელიც ამ ცდუნებების წრეში იცხოვრებს, თავიდან ვერ აიცილებს მათ. პეტერბურგში პურიტანები არ არიან და, ამდენად, გიორგი მუდამ ჩაკეტილი ვერ იცხოვრებს, ამხანაგებისგან მონყვეტილი. ამგვარად, ჩემი რწმენით, გიორგის არ შეუძლია ამ სამ პოლკში სამსახური. გადავიდეთ სხვა სახის იარაღზე. ეს ჩემი საყვარელი არტილერიაა. ვერ შეძლებს გიორგი იქ შესვლას? იქ ოფიცრებს შორის გაბატონებულია მორიცდებულობა, სიდინჯე, ერთიანობა, ძმობა, მეცაცრი ზნეობრიობა, მეცნიერული მეცადინეობები. გარყვნილი ფუფუნების ბრწყინვალება ან მაღალი წრის საზოგადოების ცხოვრების სიცარიელე არ არსებობს იქ. რა თქმა უნდა, არტილერისტებს შორისაც არის ბევრი მდიდარი ახალგაზრდა, მაგრამ იქ სულ სხვა სული, სხვა მიმართულებაა. ამ საზოგადოების ყველანარი ზნეობრივი საწყისი, რაც ამაღლებს ადამიანის ლირსებას და რაც გიორგიშიც შეიმჩნევა, გამყარდება, განმტკიცდება მასში მთელი ცხოვრების მანძილზე და დროთა განმავლობაში ის დადგება ხასიათით საპატივცემულო ადამიანი. ვფიქრობ, რომ იქ 4/ათ: ნელინადში დაიცავდა გიორგის ლირსებას ამხანაგებს შორის.

მაგრამ, თუ ესეც არ ექნება, მაშინ, ჩემი აზრით, პრეობრ: ან სემიონ: პოლკი გიორგის იმავე სარგებელს მისცემდა გვარდიაში სამსახურისას, ოლონდ ნაკლები ხარჯებით, ე.ი. 4/ათასით მაშინ, როცა გიორგის თანხა ორ წელსაც ვერ გასწვდება კავალერგვარდიაში, ან ლეიბგუსარში სამსახურის პირობებში. შემდეგ კი, შემდეგ უნდა წავიდეს სადმე სხვაგან, მაგრამ უკვე არაფრის მქონე.

სხვათა შორის, ჩემი აზრის გამოთქმისას მე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ვჩერდები მასზე. ამ დლებები მოველაპარაკები კაშ მირსკის და მაშინ მოგცემთ გადაწყვეტილ პასუხს კითხვაზე, რომელიც ჩემთვისაც მნიშვნელოვანია.

გამოძებნე შესაძლებლობა, წარუდგე მის უმაღლეს: ^ჭ, ოლღა თეოდოროვნას, რომელიც ახლა პეტერბურგშია და უყვარხარ. მან იცის მდიდრული, დედაქალაქური ცხოვრების ყველა საშიშროება,

ის შენზე ნაკლებად არ არის შეწუხებული თავის უფროს ვაჟზე ფიქრით, თუ ვის ჩააპაროს, სად განამწესოს, რათა არ მოხვდეს გა-ხრწნილების იმ მორევში, რომელშიც იღუპება მჩეულებელი, გამოუც-დელი ახალგაზრდების სიცოცხლე. ისაუბრეთ! მოილაპარაკეთ თქვენს ვაჟიშვილებზე.

დღეს მივიღე ვანოს წერილი პიატიგორსკიდან; წყლები ძალი-ან მოუხდა; ახლა ის ესენდუკშია, საიდანაც 15 აბაზანის შემდეგ გა-დავა ჟელეზნოვოდსკში, სადაც არიან ტასო ოკლობჭიო შეიღებით და საგინოვები. ქეთევანი ბორჯომშია, მგონია, უფრო მიბაძვით.

ცოტა ხნის წინ დაკრძალეს საწყალი ელენე ჯომარდიძე; და ერთი ლამაზმანით ნაკლები დარჩა.

მირსკები და ოპოჩინინები კოვორში არიან; მე რამდენიმე დღეში წავალ ტაბახმელას, მაგრამ ამ დრომდე აქაც სიცივეებია: გუშინ მხოლოდ 14 გრ. იყო დილით. რა უცნაური ზაფხულია!

დავითი აქ არის, ძალიან გაახალგაზრდავდა, გაღამაზდა; სან-დრო პირველი მამრია საღამოებზე, თბილის: წრეებში, ცეკვაში და-ღლა არ იცის.

რამდენიმე დღის წინ სამხედრო საოლქო სასამართლომ მინკვი-ცის უფროს ვაჟიშვილს 4-წლიანი პატიმრობა მიუსავა ცხე-სიმაგრეში გატარებით, დუელისთვის, რომელშიც მოკლა თავისი ამხანაგი ვახო. დედა სასონარკვეთილებაშია. საქმე დაიწყო ქეიფით და დამთავრდა ახალგაზრდა ვახოს სიკვდილით. აი, ცუდი აღზრდის შედეგი.

ქათევან ალექსი-მასხეტვილ-ორბელიანისაღვი №128 (843)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! ვჰმადლობ ღმერთ-სა, რომ მშვიდობიანად დაბინავებულხართ ბორჯომსა, მაგრამ ბორჯომის წყალს აგრე მალე რომ გამოუჩენია თავისი ძალი ვერ არის კარგი ნიშანი: თვალების სისუსტე თურმე სიბერესა ჰსცოდნია; ჭეშმარიტად ასე ჰსტექუა ძალუა მაკრინემ, ამ ნიშ-ნით, რომ სოსიკოსთან ჩაისა ვჰსუამდით ერთად. – და იმედი მაქუს, რომ ახლავი დაიჯერებთ, რომ რაცა დაძველდა, იმას ვეღარა გაა(ა)ხლებს,¹ ვეღარა გააყმანვილებს, ვერცა ბორჯო-მი და ვერცა იმის იქითაც, და ტყუილად არის შრომა თქუც-

ნი! იქნება ეს სიტყვები მაკრინემ თქუცნზე არა ჰსთქუა, მაგრამკი ასე ჰსთქუა ჩაცინებითა. რა საკურველია, სოსიკომ და მეცა ტაში დაუკარით ყიუინითა.

აქ, თითქმის, ყოველს დღეს მოდის წვიმა რამდენსამე საათს, და აგრილებს ჰაერს, ასე რომ ჯერ ისევ პალტოები არ მოგვიხსნია. არის დიდი კონცერტობა და თეატრი; გამოჩენდა ახალი მომღერალი ქალი ბიჩურინა,² და ჩუცნცა ვიძახით, ბრავო! ბრავო!!

ხვალ, ან ზეგ წამოვა ბორჯომს ირაკლი თავის სახლობით; დავით ჭავჭავაძე წავიდა წინანდალს და წაიყუანა კაკოცა.

ვარინეა და გიორგი კარგად არიან; გიორგი ლაგირშია. ელისაბედს ძალიან მოჰედენია ქართლში მგზავრობა; ძალიან მხიარულობს; იმ დღესაც დიდი წვეულობა ჰქონდა, ქალებით სავსე გაჭიმული სადილი. ყაფლანც კარგად არის.

მაკრინამ მითხრა, რომ ლიზა როგორდაც ვერ არის კარგათაო, მაგრამ ალექსანდრეკი არასა მწერს. ამ დღით მაკრინე ჰზის ფანჯარასთან და ჰშლის ქაღალდსა. დღეს დილით შემომძახა, მოვლენ და ვნახავთ! მე ვპეითხე, ვისზე ლაპარაკობ? – გაიცინა და არა მითხრარა!

ახლაკი დროა რომ დაბრუნდეთ. თუმცა ვიცი, რომ შენი დაბრუნება არ არის შენს ნებაზე, მაგრამ მაინც მოგაგონე, რომ ნუ აჰყოლიხარ თავშლაპკიანსა და გრძელკუდას ქალსა, კეთილს არაფერს შეხვდები. –

მომილოცავს, ჯეირანკას ორი ლამაზი ლეკვი ჰყავს, გიამებათ.

რათ გიკვირს, რომ ტასომ არ იცოდეს ქართული? რა საჭიროა, ან ვინ იცის? რათ უნდა? ქართული წიგნები უსარგებლოა კითხვისათვს, და ბარათების ქართულად მიწერა, მეტად დასაძრახისა. – ერთი შენღა დარჩი, რომ მიჰზიდევ ქართულს ენას და ქართულს თა(ვ)საკრავსა.³ ამ დღეებში ქართლიდამ მოვიდნენ ორნი ქმრიანი ქალები, აქ ჩაიცვეს რუსულად და ისე დაპრუნდენ შინ. – აი ამას გიქადაგებს შენ ყოველ დღე ტასო, რომ ნუხარ აგრე დარჩენილი, ქუცყანიდამ გამორჩეული! სხუა არა იყოსრა, ტასოსთვაც მეტად ძნელია შენთან ერთად სია-

რული ბორჯომის წყალთან, აბა რას იტყვიან?

თქუცი მარადის ერთგული და პატივისმცემელი
გრიგოლ ორბელიანი

10^ს ივლისს 1874.
თბილისით.⁴

[IV გვერდზე ავტორის მინაწერია რუსულად:]

от Княгини Орбеліані
от Княгин Орбеліані⁵

ქათავან ალექსი-მასეიშვილ-ორბელიანისადმი¹ №129 (844)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! გეტყობათ ძალიან ჩაგიტებათ ბორჯომი, რომ ერთხელ ვეღარ მოიცალეთ წიგნის ჩემთან მოწერისათვს. როგორ მოუხდა თქუცის რევმატიზმებს, ან ტასოს ჭანტაზიებსა მანდაური წყალი? მგონია, ახლაკი დრო იყოს საქრისტიანოსაკენ დაბრუნებისა. ხომ ნახეთ ბორჯომი და თქუცინცა გნახეს, აღსრულდა თქუცი სურვილი, და დაბრუნდით! თუ გინდა ოთხი თვეც დარჩეთ, ისევ ეგვევ ბორჯომი იქნება, და ცვლილება არა მოხდებარა.

ქალაქიდამ გასვლა თუ გაგიგონიათ, აი ისე უნდა გავიდნენ, როგორცა წასულს ორშაბათს გაბრძა(ნ)და² მარტყობისაკენ ჩუცი სოფიო! ერთს ჭაეტონში უჯდა მაკრინე და პატარა თავისი ქალი; მეორე ჭაეტონში უსხდნენ რიუოვა მისის, მგონია, დისწულით; მესამე ჭაეტონში უჯდა თალალა ქალითა მისის შვილითა და მართა; ერთს ჭურღონში უსხდნენ თავის მუახლები,³ ბიჭები და თავის საკუთარი ბარგი; მეორეს ჭურგონში უსხდნენ რიუოვის გოგო-ბიჭი, მაკრინესი და მათი ბარ-

გი; მესამეს ჭურგონში იყო მხოლოდ მიხეილა პოვორი თავის სამზარეულოთი და ყოველგუარ საგძალითა; მეოთხეს ჭურგონში პაჭუა ივანე ბიჭი თავის ცოლითა და ერთი კიდევ ვიღაცა დედაკაცი უჯდათ ერთის ძიძათი და პატარა ყმანვილითა; ერთი ჭურგონიც იყო კიდევ ბიჭების ბარგი და ერთი ტიკი ღვინო და ორი ტომარა ფქვილი. – ასე გაბძანდა სოფიო მარტყოფში სალოცავად, სადაცა დაჟყოფს მარიამობის სწორამდის. – მერნმუნეთ, მე ამას არ გეხუმრებით; არქიერსაც დიდის პატივით მიუღია, და უბძანებია ამათთვეს სახლების დაცლა და მომზადება.

დღეს ტაბახმელის საყდარში იყო ქორწილი, ჩინოვნიკმა შჩუკინმა შეირთო, მგონია, უდანოვა ქვრივი, მაგრამ ყმანვილი ქალი და ლამაზი. საყდარიდამ⁴ შემოვიპატიუე ჩემს სახლში ზურნით, საზანდრებითა; შამპანსკით მილოცუა, შოკოლადი, ყავა, ხილი; აქვე იყუნენ მეფე-დედუფლის დედმამა, მირსკი და სოფიო; სოსიკო, აგლობუიო, ამიროვი, ონიკოვი,⁵ ყაფლან და სხუანი შატერები. – მერმე მეფედედუფალი შატერებით და მირსკიანნი წავიდნენ კოჯორსა და დანარჩენნი ჩემთან იყუნენ სადილათ, ვიკოზირეთ საღამომდის და მერმე ესენიც წავიდნენ ქალაქს და ყაფლან კოდაზე. – აი რა ამბავი იყო დღეს ტაბახმელას, სრულებით მოულოდნელი.

მირსკის შვილი დღეს მოსულა კოჯორს ოტპუსკში და ჯერ მე არ მინახავს.

აქ ამაზე მეტი არა ვიცირა, და თუ თქუმინ მომატებული რამე მოგხესენდათ, მეც მაცნობეთ.

ტასოს სიყუარულით მოვიკითხავ; ამ წიგნს ჰალალბედზე ვჰვანი, არ ვიცი სადა ხართ.

თქუმინი მარადის ერთგული
თ⁶ გრიგოლ ორბელიანი

31^ს ივლისს 1874.

ტაბახმელა⁷

ବାରକାର୍କ ବାଦନାତୀମ୍ବ-ମରଙ୍ଗଲୋବୋଲ୍ଡି ନଂ 66 (845)

1874 Авг: 18. Табахмела. В Петер:¹

Мой друг Варвара! На последнее твоё письмо от 19^{го} Июля, я как ни старался скорее ответить, но досих пор, как будто, всё недоставало уменя времени; а между тем, я ездилже в Коджори и на рожденіе Майки;² и на рожденіе Алексея Петровича, играл и в Яралаш, и в Бостон, и делал визиты (с) Свистуновой. Вот таково всегда то покоряющее вліяніе условій обществ: жизни, сила той окружающей сферы, в которой, по воле судьбы, человеку приходится жить, как члену общества. Хочешь, не хочешь, покоряйся, исполняя в точности установленные условия. Я, кажется, уже немолод, много видел на путях жизни, многое испытал, страсти углеглись, и могбы, конечно, теперь разорвать пути этих условій, но всётаки, непризнавая их, покоряюсь им. Я говорю всё это, имея в виду будущность Георгія, зная по опыту, как трудно юному сердцу бороться с мненіем окружающей нас среды. Вот почему Кавалергардский полк ужасает меня. Страшусь, чтоб Георгій, увлечённый вихрем молодой жизни, не испытал, подобно мне, в годы юности, что значит горькая чаша бедности. Я трус, потому что воображение мое забегает слишком впереди. Ты, матушка, меня прости за трусость; прошу не за себя, а за будущность Георгія, до которой, быть может, я и недоживу. Но, лучше отвечать по пунктам.

1) Никто сильнее меня не желает, чтоб Георгій служил в Кавалгар: в этом отношении из лучших Гвардейс: полков; но, можетли он, по своему состоянію,³ жить там? В этом заключается весь вопрос, и разсмотрим его.

2) Георгій имеет $\frac{45}{7}$ р: – на первое его обзаведеніе в полку, по твоему расчету, нужны $\frac{7}{7}$. Значит, надо тронуть капитал, кото-

рый сократиться до $\frac{37}{71}$, потому что билеты теряют при промене, покрайней мере, 15р: на 100. Для счастія Георгія, конечно, можно потерять $\frac{8}{71}$; но, кто порукою, что потери непойдут, впоследствіі еще далее, до последнаго нуля. Вот, где мой страх. Ты – мать, можешьли и ручаешьсяли за сына? Отвечай твердым и решительным голосом мне.

3) Мое іменіе на Кавк: Линії даст 2500р:; из них Казначейство удерживает 500 р: на разныя Губер: повинности; остальныя $\frac{2}{71}$ Георгій будет получать аккуратно в три трети.

Проценты с $\frac{37}{71}$ и к ним добавочный небольшой доход с іменія Георгія также составит $\frac{2}{71}$, да твоих $\frac{1}{71} = \frac{5}{355}$ рублям. Вот всё.

Ради Іисуса Христа, можетли Георгій, неоставаясь всегда в тени, жить в Кавалерг: полку, где нужны нетолько дорогія верховыя лошади, но и экипаж, рысаки, и многое, многое, по нашему пустыя, но там весьма необходимыя, до зареза, вещи и расходы? Ты говоришь о какомто офицере-феномене, который только с 3500 р: служит в этом блестящем, по богатству и изящному вкусу, полку. Это – удивленіе, и должен быть Немец! Но, если он на ваш вопрос ответит с чистосердечием, вы узнали бы много горечи в его жизни, которую выдерживает из расчетов по службе, и за это ему Слава! Твой же сын будетли таким феноменом? Имеетли силу характера остановиться на $\frac{5}{355}$? Страхись испытывать Судьбу.

4) Предлагая Артиллерію, или Преобр: Полк, я помнил и о изломанной ноге Георгія; помнил и то, что Артил: офицеры верхами, а в Пехоте все Адъютанты. Но ты говоришь, что для Георгія, или Кавалергардія, илиже Армія! По моему мненію, это – резкая крайность.

Высказывая всё это по святому чувству моего долга, я всё-
таки не противлюсь твоему намеренію. Средства к жизни Ге-
оргія известны тебе; необходимые расходы Кавалерг: офицера
также известны; сообрази всё это, и если найдешь возможным
для Георгія служить в этом полку, зачем я стану противиться
счастію Георгія? Конечно, Кавалерг: полк лучше Селенгинского
Пехотнаго! Следоват: вопрос в сущности очень простой и зак-
лючается только в том: ⁵ — достаточныли для Георгія, служа в
Кавалерг?: Если достаточны, ну с Богом и нечего разсуждать!!
Если же нет, пусть выбирает Артил:, или Преобр: полк. И там он
может быть верхом, и с этими средствами уже небудет в тени, а
к тому времени подрастут и Арабскіе жеребяты в моем табуне.
Скачи Георгій с приказаніями.

19^{го} Авгу:⁴

Вот и это письмо немог я докончить: поскакал вчера в
Коджори праздновать Семнадцатилетіе Пети и Генерал Адъю-
танство К^а Николая Мирского. Пили за их здоровье, пили и за
твое с Георгіем здоровье; после обеда молодежь пела, играла в
Крок, старики в вист; Алексей Петрович читал письмо в стихах
К^и Дмитрію Орбел:, еще недоконченное. Вечером я возвратился
в Табахмели.

К: Дмит: Мирскій пріедет в Петер: в Октябре, или даже
ранее; прошу тебя, моя матушка, поговори с ним относительно
Георгія.

Петя, и днём, и ночью, в КамерПаж: мундире, даже спит в
нем.

Поразведай о Пенсії Георгія; здесь я боюсь возбудить
вопрос об этом.

პარპარე პაგრატიონ-ორპელიანისადმი №66 (845)

1874 18 აგვ: ტაბახმელა. პეტერ:^ჭ

ჩემო მეგობარო ვარვარა! როგორ ვცდილობდი, მალე მეპასუ-
ხა შენს ბოლო, 19 ივლისის, წერილზე, მაგრამ დღემდე თითქოს
დრო არ მყოფინიდა; ამ დროს კი ხომ ნავედი კოჯორშიც, მაიკოს
დაბადების დღეზეც, ალექსეი პეტროვიჩის დაბადების დღეზეც.
ვთამაშობდი ერალაშს, ბოსტონს, მივდიოდი სტუმრად სვისტუნი-
ვასთან. ასეთია დამმორჩილებელი გავლენა საზოგ: ცხოვრების პი-
რობებისა, ძალა იმ გარემომცველი წრისა, რომელშიც, ნებსით თუ
უნებლიერ, ბედის განგებით უწევს ადამიანს ცხოვრება, როგორც
საზოგადოების წევრს. გინდა, არ გინდა, უნდა დაემორჩილო და
ზუსტად შეასრულო დადგენილი პირობები. მე მგონი, უკვე აღარა
ვარ ახალგაზრდა, ცხოვრების გზაზე ბევრი რამ ვნახე, ბევრი რამ
გამოვცადე, ვნებები დაცხრა და, რა თქმა უნდა, შემეძლო ახლა მა-
ინც გადავსულიყავ ამ პირობების გზიდან, მაგრამ, მიუხედავად იმი-
სა, რომ არ ვეთანხმები მათ, მაინც ვემორჩილები. ამ ყველაფერს
რომ ვამბობ, გიორგის მომავალს ვითვალისწინებ, რადგან გამოცდი-
ლებით ვიცი, როგორი ძნელია ახალგაზრდა გულისთვის გარემო-
ცველი წრის წინააღმდეგ ბრძოლა. აი, რატომ მზარავს კავალერ-
გარდის პოლკი. მეშინია, ახალგაზრდული ცხოვრების ქარიშხლით
გატაცებულმა გიორგიმ სიჭაბუკის წლებში ჩემსავით არ განიცა-
დოს, რას წინააღს სილარიბის მწარე ფიალა. მე მშიშარა ვარ იმი-
ტომ, რომ ჩემი წარმოსახვა ძალიან შორს მიდის. დედილო, მაპატიე
ჩემი სიმხდალე; ჩემთვის კი არ გთხოვ, არამედ გიორგის მომავლი-
სათვის, რომელსაც მე შეიძლება ვერც კი მოვესწრო. თუმცა ჯობს
პუნქტობრივად გიპასუხო.

1) ჩემზე მეტად არავის უნდა, რომ გიორგი კავალერგარდში
მსახურობდეს: გვარდიის პოლკებს შორის საუკეთესოში; მაგრამ თა-
ვისი ფინანსური მდგომარეობით შეუძლია კი გიორგის იქ ცხოვრე-
ბა? აი, ამაში მდგომარეობს მთელი კითხვა და, მოდი, განვიხილოთ.

2) გიორგის აქვს 45/ათ: რ: შენი ანგარიშით, პირველადი მო-
წყობისათვის პოლკში საჭიროა 7/ათ.: ე. ი. უნდა შევეხოთ კაპი-
ტალს, რომელიც 37/ათ.: მდე შემცირდება იმიტომ, რომ ბილეთების
გადაცვლისას, სულ ცოტა, 15 რ: მაინც იკარგება ყოველი 100-იდან.
რა თქმა უნდა, გიორგის ბედნიერებისათვის ლირს 8/ათ:-ის დაკარ-

გვა, მაგრამ ვინ იქნება თავდები, რომ შემდეგში დანაკარგი უფრო შორს არ წავა, უკანასკნელ ნულამდე. აი, რისი მეშინია. შენ დედა ხარ, შეგიძლია თავდებად დაუდგე შვილს? მტკიცედ და გადაწყვეტით მიპასუხე.

3) ჩემი მამული კაგვა: ხაზზე მომცემს 2500 რ.; აქედან 500 რ.-ს ხაზინა აკავებს სხვადასხვა საგუბერნიო ბეგარში; დანარჩენ 2/-ათ:-ს გიორგი აკურატულად მიიღებს ხოლმე სამ ნაწილად.

პროცენტები 37/ათ:-იდან და მასზე დამატებული მცირე შემოსავალი გიორგის მამულიდან აგრეთვე შეადგენს 2/ათ:-ს და კი-დევ შენი 1/ათ: = 5/ათ: რუბლს. აი, სულ ეს არის.

იესო ქრისტეს გულისათვას, შეუძლია კი გიორგის მუდამ ჩრდილში ყოფნის გარეშე იცხოვროს კავალერგ: პოლკში, სადაც საჭიროა არამარტო ძვირფასი საჯდომი ცხენები, არამედ ეკიპაჟიც, ჩირთით მოსიარულე ცხენებიც და ბევრი, ბევრი, ჩვენი აზრით, სრულიად უბრალო რამე, მაგრამ იქ ძალიან აუცილებელი, ყელის გამოჭრამდე საჭირო საგნები და ხარჯები? შენ ლაპარაკობ ვიღაც ოფიცერ-ფენომენზე, რომელიც მხოლოდ 3500 რ:-ით მსახურობს ამ სიმდიდრითა და დახვეწილი გემოვნებით მბრწყინავ პოლკში. ეს საოცრებაა და გერმანელი უნდა იყოს! მაგრამ თუ ის გულწრფელად უპასუხებს თქვენს შეკითხვას, თქვენთვის ცნობილი გახდებოდა მის მიერ გავლილი ბევრი სიმწარე, რომელსაც უძლებს სამსახურის გათვალისწინებით, და ამისთვის დიდება მას! შენი შვილი იქნება კი ასეთი ფენომენი? აქვს ძალა, რომ იცმაროს 5/ათ?: გეშინოდეს ბედის გამოცდის.

4) არტილერიის პრეობრ: პოლკის შეთავაზებისას მე მახსოვ-და გიორგის მოტეხილი ფეხი; მახსოვდა ისიც, რომ არტილ: ოფიც-რები ცხენოსნები არიან, ქვეითი ჯარისა კი – ადიუტანტები. შენ კი ამბობ, რომ გიორგისთვის ან კავალერგარდია, ანდა არმია! ჩემი აზ-რით, ეს იშვიათი უკიდურესობაა.

ამ ყველაფერს ვამბობ ჩემი მოვალეობის წმინდა გრძნობით, მაგრამ შენს განზრახვას მაინც არ ვეწინააღმდეგები. გიორგის ფინანსური შესაძლებლობები შენთვის ცნობილია; ასევე ცნობილია კავალერგ: ოფიცრის აუცილებელი გასავალი. გაითვალისწინე ეს ყველაფერი და, თუ შესაძლებლად მიიჩნევ გიორგის სამსახურს ამ პოლკში, მე რატომდა აღვუდგები წინ მის ბეგნიერებას? რა თქმა უნდა, კავალერგ: პოლკი ჯობია სელენგინის ქვეით ჯარს! აქედან გამომდინარე, საკითხი, არსებითად, ძალიან მარტივია და მდგომარე-

ობს მხოლოდ შემდეგში: 5/ათ: ეყოფა თუ არა გიორგის კავალერგ: სამსახურისას. თუ სამყოფია, ღმერთმა უშველოს და სალაპარაკოც ალარაფერია!! თუ არადა, მაშინ აირჩიოს არტილ: ან პრეობრ: პოლკი. იქ ის იქნება ცხენოსანი და ამ სახსრებით უკვე აღარ იქნება ჩრდილში. იმ დროისათვის კი ჩემს ჯოგში არაბული კვიცებიც წა-მოიზრდებიან. გააჭერე, გიორგი, გაეცი ბრძანებები.

19^ს აგვ:

აი, ეს წერილიც ვერ დავამთავრე: გუშინ ცხენით წავედი კო-ჯორში პეტიას ჩვიდმეტი წლის იუბილესა და კ: წ ნიკოლაი მირსკის გენერალ ადიუტანტობის საზეიმოდ აღსანიშნავად. შევსვით მათი ჯანმრთელობისთვის, შევსვით შენი და გიორგის ჯანმრთელობის-თვისაც; სადილის შემდეგ ახალგაზრდები მღეროდნენ, კროკს თამა-შობდნენ, მოხუცები კი – ტვისტს; ალექსეი პეტროვიჩი კითხულობ-და კ: წ დიმიტრი ორბ: -დმი ლექსად დაწერილ წერილს, ჯერ კიდევ დაუმთავრებელს. საღამოს ტაბახმელაში დავბრუნდი.

კ: დიმიტ: მირსკი ოქტომბერში ჩამოვა პეტერ: შეიძლება უფ-რო ადრეც; გთხოვ, ჩემო დედილო, დაელაპარაკე გიორგის შესახებ.

პეტია დღისით და ღამით კამერპაჟის მუნდირშია გამოწყობი-ლი, ძილის დროსაც კი აცვია.

გაიკითხე გიორგის პენსიის ამბავი; ამ საკითხის აქ აღვრის მეშინია.

პარარუ პაგრატიონ-ორგელიანისადმი №67 (846)

Октябр: 1874 Тифлис.

Не стану упрекать тебя, мой друг Варвара, зато, что в два месяца едва, едва, я получаю от тебя одно письмо. Чтож! И за это спасибо, благодарю искренно. Главное, ты и Георгий здоровы, ну, и слава Богу! Но, при всем том, мне хотелось бы знать, как Георгий дежурил при нашей Вел: Княгине вовремя Петербургских праздников, о которых, без сомнения, напишешь мне

потому, что вдруг, неожиданно, явились препятствія: наем квартиры, устройство ея, раставленіе мебели, картин ипр. Ну, и за это, слава Богу, что, наконец, нашли квартиру по сердцу. Хорошая квартира в жизни играет великую роль в отношении здоровья и, следовательно, в отношении расположения духа. Я искренно радуюсь этой твоей находке, предвидя, что отныне из твоей хорошенкой квартиры я уже буду получать в два месяца два письма.

Барон Николай с дочерью выехал За границу в отпуск на 11 месяцев. Зиму он проведет в Риме, чтобы познакомить свою дочь с изящными искусствами, которыми так богат этот вечный город. Я очень люблю Маку¹ за ея ум, за белизну ея сердца и доброту души, которая так резко отличают ея от ея ровесниц. Потом проедут через Петерб: в Финляндію, а в Сент: возвратятся в Тифлис.

К: Дмит: Мирскій и Софія прибудут в Петерб: в начале Нояб:. Ден² почти совсем здоров, теперь выправляют ему ногу, но кажется будет хромать.

Их Высочества прибудут из Боржома в Тифлис 14^{го} Окт:, и тогда начнутся смотры и маневры в Лагере за Верою.³

Здесь чудная осень, тепло, светло; обеды всадах; всё живет на открытых воздухе; только поздняя ночь загоняет людей вдома. Жить надо здесь! Чтоже ты, моя матушка, прижалась к печке, чтоб согреться? Пора, брось этот плаксивый, печальный Петерб:, царство ревматизма, кашля, холеры, чахотки! Жить можно только в Грузіи; да в мире только одна Грузія есть!

С нетерпением жду от тебя подробного письма, брось Багратионовскую леность.

Цалую тебя и Георгія и благословляю.

პარპარე პაგრატიონ-ორპელიანისადმი №67 (846)

ოქტომბ: 1874 თბილისი.

არ გისაყვედურებ, ჩემო მეცობარო ვარვარა, იმისათვის, რომ ორ თვეში ერთხელ ძლიერ, ძლიერ ვიღებ შენგან ერთ წერილს. რას ვიზამ? ამისთვისაც მადლობა, გმადლობ გულწრფელად. მთავარია, შენ და გიორგი ჯანმრთელად ხართ, მადლობა ღმერთს! მაგრამ, ამასთანავე, მინდა ვიცოდე, როგორ მორიგეობდა გიორგი ჩვენს დიდ კნეინასთან პეტერბურლის დღესასწაულებზე, რაზეც უეჭველად მომწერ, რადგან, დავუშვათ, მოულოდნელად გაჩნდა დაბრკოლებები: ბინის დაქირავება, მისი მოწყობა, ავეჯისა და სურათების განლაგება და ა.შ. ჰოდა, ამისთვისაც მადლობა ღმერთს, რომ, ბოლოს და ბოლოს, იპოვეთ სასურველი ბინა. ცხოვრებაში კარგი ბინა უდიდეს როლს თამაშობს ჯანმრთელობასთან და, შესაბამისად, სულიერ განწყობასთან მიმართებით. გულწრფელად მიხარია შენი ეს მონაპოვარი იმის გათვალისწინებით, რომ ამიერიდან შენი ლამაზი ბინიდან ორ თვეში უკვე ორ წერილს მივიღებ.

ბარონი ნიკოლაი ქალიშვილთან ერთად 11 თვით საზღვარგარეთ წავიდა შვებულებით. ზამთარს რომში გაატარებს, რათა ქალი-შვილს გააცნოს სახვითი ხელოვნება, რომლითაც ასე მდიდარია ეს მარადიული ქალაქი. ძალიან მიყვარს მაკა თავისი გონების, სუფთა გულისა და გულკეთილობის გამო, რაც ასე მკვეთრად განასხვავებს მას თანატოლებისაგან. შემდეგ პეტერბურლის გავლით გადავლენ ფინეთში, სექტემბერში კი დაბრუნდებიან თბილისში.

კ: დიმიტ: მირსკი და სოფია ჩამოვლენ პეტერბურლს ნოემბ: დასაწყისში. დენი თითქმის სრულიად ჯანმრთელია, ახლა ფეხს უსწორებენ, მაგრამ, ეტყობა, იყოჭლებს.

მათი უდიდებულესობანი 14 ოქტომბერს ჩამოვლენ თბილისში ბორჯომიდან, შემდეგ კი დაიწყება დათვალიერებები და მანევრები ვერის ბანაკში.

აქ მშვენიერი შემოდგომაა, თბილა, სინათლეა; სადილები ბალებში; ყველაფერი ლია ცის ქვეშ; მხოლოდ გვიანი ღამე აიძულებს ადამიანებს, შევიდნენ სახლებში. კაცმა აქ უნდა იცხოვოს! რა გემართება, ჩემო დედილო, ღუმელს ეფიცხები გასათბობად? დროა, მიატოვო ეგ მტირალა, მოწყენილი პეტერბ:, რევმატიზმის, ხველების, ქოლერის, ჭლექის სამეფო! ცხოვრება შეიძლება მხოლოდ სა-

ქართველოში; დიახ, მსოფლიოში მხოლოდ ერთი საქართველოა!
მოუთმენლად ველი შენგან ვრცელ წერილს, უკუაგდე ბაგრა-
ტიონისეული სიზარმაცე.
გკოცნით შენ და გიორგის და გლოცავთ.

პონტიატის მრავალსადმი №4 (847)

...Октябрь 1874 г:

Тифлис: Губер: Константину Ивановичу Орловскому.²

В Астаре, стране Скорпионов и Лихорадки заброшен службою и бедностью Надвор: Совет: К: Леонид Баратов и сидит там с женою и детьми, служа по карантинно, таможной части. Конечно, для человечества еще невелико несчастие, если он и погибнет; земной шар не сдвинется с своей оси, в Европе невозникнутся волнения; разве Бисмарк скажет, ну, слава Богу, одним врагом менее! Но, жена бедного Леонида, моя родная племянница; ея дети растут в бедности, в глупши, без всякой Азбуки!

К этим словам ничего неприбавляю, зная по опыту, что ваше сердце, всегда добру доступное, заранее поймет мою задушевную просьбу: 1) Простить прошлое по службе Леониду и 2) Назначить его Мировым посредником в Тифл: участке, если Исрафил Бек, по какому нибудь случаю, оставит это место.

Ради ваших детей, подайте руку спасения ему, забытому и Богом, и людьми; будьте воскресителем его несчастного семейства.

პონსტანტინე ორლოვსკისადმი №4 (847)

...ოქტ: 1874 წ:

თბილის: გუბერ: კონსტანტინე ივანოვიჩ ორლოვსკის.

ასტარაში, მორიელებისა და ციებ-ცხელების ქვეყანაში, სამსახურისა და უსახსრობის გამო უპატრონოდა მიგდებული ნადვორ: სოვეტ: ქ: ლეონიდ ბარათოვი და ზის იქ ცოლასა და შვილებთან ერთად და მსახურობს საბაჟოს საკარანტინო განყოფილებაში. ცხადია, კიდეც რომ დაიღუპოს, კაცობრიობისთვის არ არის დიდი უბედურება; დედამინის სფერო არ გადაიხრება თავისი დერძიდან; ევროპაში არ იფეთქებს მღელვარება; მხოლოდ ბისმარკი თუ იტყვის: მადლობა ლმერთს, ერთი მტერი მოგვაკლდაო! მაგრამ საბრალო ლეონიდის მეუღლე ჩემი ალალი დისწულია; მისი შვილები იზრდებიან სიღარიბეში, მიყრუებულ ადგილას, ყოველგვარი ანბანის გარეშე!

ამ სიტყვებს არაფერს ვუმატებ, რადგან გამოცდილებით ვიცი, რომ თქვენი გული, ყოველთვის სიკეთისადმი განწყობილი, წინასწარ მიხვდება ჩემს გულითად თხოვნას: 1) მიუტევეთ ლეონიდს წარსული სამსახურთან დაკავშირებით და 2) დანიშნეთ იგი მომრიგებელ შუამავლად თბილ: განყოფილებაში, თუ ისრაფილ ბეკი შემთხვევით დატოვებს ამ ადგილს.

თქვენი შვილების სასიკეთოდ გაუწოდეთ დახმარების ხელი ამ ლვთისგან და ხალხისგან დავინწყებულ ადამიანს; გახდით მისი საცოდვი რჯახის მკვდრეთით აღმდგენელი.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №10 (848)

ჩემო საყუარელო ძმაო ნიკო! ვჰებრძნობ, რომ ამ წიგნის კითხუაში დაიღმიჭები. მერწმუნე, მეცა დიდად ვერიდები, რომ არ შეგანუხოთ არცა შენ, და არცა კნიაზი ლევან, თხოვნითა, რომლისა აღსრულება ზოგჯერ არცკია შესაძლებელი; მაგრამ, რა ვჰენა? არის კაცთაშორის ზოგიერთი მოვალეობა, რომლისა ტკრთი გვაძევს კისერზე და ამისგამო ვართ თანამდებნი მის მადლობით გადახდისა, მეტადრე მაშინ, როდესაც

ნამსახური სიყრმითვე კაცი, გამომჩენი გაჭირების დროსა თავდადებით, სისხლის დათხევით ერთგულებისა, ანაზღაულად მოგუადგება კარსა მოხუცებული, შვიდის შვილის პატრონი და ჰსტირის ლუკმა-პურისათვს! რა ვპქნა, როგორ არ შეგანუხო, როგორ არ შეგევედრო, რომ ამ წიგნის მომრთმევი, უნინდელი ჩემი ნოქარი, რამდენჯერმე დაჭრილი, მიიღო მოწყალებითა, შეიძრალო ეს საბრალო შტაბსკაპიტანი დიბირმაჟმა,¹ სულგრძელებითა მიუტეო, თუ, ვითარცა კაცი, არის შემცოდე როგორმე, და წარადგინო თორმეტს თუმანს პენციაზე, თუ მეტი არ შეიძლებოდეს, რომ ამით მაინცა, როგორმე გააჩარჩალოს დანარჩენი თვისი სიცოცხლე; ანუ სხუა რიგად, როგორცა დაინახო შესაძლებელად, შეენიე, ოღონდეკი მიეც ღონისძიება ცხოვრებისათვს. მეც აქა შევეხვეწები კნ: ლევანსა, შტაბისნაჩალნიკსა და როგორც იქნება გამოვისნით შიმშილისაგან ამ საწყალსა, რომლისა მამა, გამოჩენილი ნურიჩ, სამის ვაჟკაცების შვილებითა, იყუნენ ჩემნი მახლობელნი, და დღედაღმა მცულელნი ჩემის სიცოცხლისა დასაფარავად! შეენიე ამ საწყალსა, და ღთი² შენცა შეგეწევა! – ეს ასე:

ახლა მოვიდეთ თბილისში. არის მშვენიერი, სწორედ გაზაფხულის დარი, მყუდრო, ბრწყინვალე, თბილი, და მიმორბიან მუშთაიდის გზაზედ ჭაეტონები, კავალკადები, და მეტადრე, ორშაბათობით, გროვა-ქალები, დაქვეითებული, შეთქმულობით, მისეირნებენ დიდუბის ეკკლესი(ი)საკენ,³ და მათ შორის ჩუცნი რძალი მაკრინე, წინამძლომი ჩუცნის ქუჩის ქალებისა. ახლა დიდს მოდაში არის ეს დანგრეული ეკკლესია.

დაინტუა თამამშოგის ქარვასლა და მასთან ჩუცნი მშეცნიერი თეატრი, ძვირფასი სახსოვარი კნ: გაგარინის სახელისა, და მხოლოდ იმ ღამეს შევიტყეთ ზედმინევნით, რომ თბილისში არა ყოფილა პაჟარნის კამანდა. შეგროვდა მრავალი ხალხი და მწუხარებით შეპყურებდა, როგორცა ადიოდა ალი ვარსკულაებამდის!

ილია ჭავჭავაძე წავიდა პეტერბულს, რომ ეგებ ვინმე ბანკირი იპოვნოს ჩუცნის ბანკისათვს; ვნახოთ, ეგებ გამოჩნდეს ვინმე დურაკი. – ნეტავი იცოდე, რა მოუთმენელობით

მოელის ჩუტინი საზოგადოება ბანკის გახსნასა. გულ-დაჯერე-ბულნი არიან, რომ როდესაც ბანკი გაიხსნება, მაშინვე გა-ჰქონდა ვალი თავისთავად!

წაიკითხავდი რესკრიპტსა ღრ: ლევაშოვის სახელზე, რომელმანცა გასაკვირველის გონიერებით მოვლითა ალიყუა-ნა იმერეთი იმ კეთილ-დღეობის სიმაღლედ, რომელზედაც ან ჰსუფევს მხარე იგი, გაბეჭდიერებული მოუღალავის მის მზრუნველობითა.

ახალი სუდის წესი ჯერ ვერ დაძველდა, ესე იგი, ჯერ ვერ შეეჩინა ამას ხალხი, ვერ შეითვას, ვერ მიჰხუდა, უმეცრე-ბისაგამო, ამის სიკეთეს; და ახლა ეს შემოვიდა ჩუტულებად, რომ როდესაც მოიტაცებენ ვეება სურო ცხუარსა, ანუ საქო-ნელსა, პატრონები მიდიან პირდაპირ მტაცებლებთან და თა-ვიანთ საქონელსა იხსნიან ფულითა. მტაცებლობა გახდა აშ-კარა ვაჭრობად. – თუთ ღუბერნატორი თავის ოტიციალნის წარდგენაში ამტკიცებს, რომ მარტო ერთს სოფელს – ახატე-ლი – კახეთიდამ საქონლის მოტაცებითა აქუს ყოველ-წლივ რამდენიმე ათასი თუმანი შემოსავალი!!! აი სიკეთე ახლის სუ-დების გაწყობისაგან! – ახლა ახატელში ჩააყენეს პრისტავი ათის ყაზახითა; ვნახოთ რა გამოვა რისაგან? – თქუტინის და-უდევნელობისაგან დაღისტანიკი დარჩა უკან. თუ გინდათ მაგ მხარის გაბეჭდიერება საჩქაროდ გააწყეთ ახალი სუდი და გა-ნისვენეთ. აბა, როდემდის უნდა მოითმინონ ადათი⁴ ბარბარო-ზობისა? – ყაფლან ამბობს, რომ „ეხლა⁵ მეათც(ხ)რამეტე⁶ სა-უკუნე არის; დრო არის მღვიძარებისა!“

ყაფლან ქულჭათით ჩამოვიდა კოდიდამ მხიარულად, ყოჩალად.

კაკო და ზაქარია შერიგდნენ; შეიტყობდი ამათ შესაწუ-ხარს ამბავსა, რომლისა განმეორება მწყინს და არა გწერ.

ჩემო ნიკო, რად დამივიწყე? როდის შეგიწვი მწუადად გველი? რატომ ერთხელ აღარა მომწერე შენი ამბავი, ანუ მხოლოდ ორი სიტყუა?

ბოთლიხში ვარ,

მშვიდობითა ვარ!

როდესაც ნახო კნ: ლევან, ჩემმაგიერ ჭეშმარიტი გული-
თადი პატივისცემა მოახსენე, ეგრეთუც ჩემს ტეტუშეკას კნეი-
ნას საშას. დამავიწყდა, რაღა დროსია მაგის საშ(ა)ობა?⁷
ვასილი დიდის სიყუარულით მომიკითხე.

შენი მარადის ბედნიერების მოსურნე
თ⁸ გრიგოლ ორბელიანი

1^ა დეკემ: 1874.
თბილისით.⁹

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №109 (849)

ჩემო ბატონო კნიაზო დემეტრე!

ჯერ არცკი დაუმარხავთ საპრალო იოსებ მამაცოვი,
მაგრამ ზედი-ზედ მოვიდნენ ჩემთან ორნი სათხოვნელად,
რომ როგორმე გაურიგო იმათ ადგილი მისი, რომელიცა დაი-
ცალა ვ გუბერნიუმ კრესტიანული და მიხეილ ალექსეევ-მესხი-
ვა.

ამათ შევჰქოცე, რომ მე ვერავის ვერა ვსთხოვ, თუ არ
დდიმიტრის ჯორჯაძესა,¹ და აი მოვჰქოცითავ თქუმნენ ამ
თხოვნითა, იმ ჰაზრითა, – როგორც ამათ მასწავლეს – რომ
ხვალ უთოოდ ნახავთ საყდარში ღუბერნატორსა და იქ ეგების
დაასწროთ თქუმნ სხუათა და თქუმნ ყველაზე პირველად
ჰსთხოვოთ იმას ამ ორთაგან ერთისა დანიშვნა მამაცოვის მა-
გიერ.

ვიცი ამით გაწუხებ, მაგრამ რომ იცოდე, რა რიგად მე
თკა მეწუხება თქუმნი შენუხება, უეჭველად შემიბრალებდი.

თქუმში მარადის ბეჭნიერების მსურველი
თ² გრიგოლ ორბელიანი

7⁶ დეკემ: 1874³

* გლეხთა საქმეების საგუბერნიო განცოფილებაში.

პარტარე პაგრატიონ-მრპელიანისადმი №68 (850)

11^{го} Декаб: 1874. Тифлис¹

Мой друг Варвара! Имея в виду – казенное [кредиторское] – увеличение дохода в пользу Георгія, я решил предложить тебе и Георгію следующую спекуляцию.

Антон Солом: Корганов, к которому я имею полное доверие, как человеку честному, характером благородному, взял на подряд поставку провіанта из Казани в Дагестан, на весьма выгодных условиях. Он постоянно занимается этой операцией, и потому в этом деле очень опытен.

Вам предлагаю дать ему на один год 30/т:² р: банковыми билетами, которые и посылаю вам теперь же с ним. За это, он обязался, по прошествии года, возвратить полностью всю сумму, и теперь в процен:³ загод, т: е: 1800 р:⁴ которые мною уже получены от него, равно и купоны с этих билетов до мая, на 750 р:⁵

Таким образом, Георгій, кроме обыкновенных процентов, получит ещё 1800 р,⁶ что весьма недурно для Георгія, в особенности, в первые дни его офицерства.

Здесь надо сказать и то, что, в этом деле есть и черная сторона, хотя нет опасения в том, чтоб Корганов сделался несостоятельным, по исполнению подряда, взятого им навыгодных условиях, но, он, как человек, может умереть, и тогда, конечно,

возникнут с нашей стороны жалобы, протесты о возврате наших денег. Вот эта черная сторона действительно наводит беспокойство. Однакож, все, имеющіе банковые билеты, поступают таким образом, пуская их в подобные обороты, и неужели, мы одни из всех должны подвергнуться именно этому несчастію, т: е: смерти молодаго контрагента, по своему образу мыслей, достойнаго лучшей участі?

Я выставил вам обе стороны дела, решеніе же его зависит от вас. Ежели согласитесь на это предложеніе, тогда Георгій, как уже совершенно-летный, по указанію Нотаріуса, наложит банковую надпись на билеты, и деньги 1800 р:⁷ и купоны до 1^{го} мая остануться у меня. Если же, нет, тогда банковые билеты в 30 т.⁸ р: удержите у себя, купоны останутся уменя, а полученные мною от купонов 1800 р,⁸ будут мною возвращены ему обратно, равно и его обязательство, которое находится у меня.

Вот в этом состоит всѣ мое Геніальное финансовое соображеніе, которое, откровенно скажу, даже непринадлежит мне: Сосико и другіе друзья мои посоветовали и я принял их Совет.

Воспользуйся пребываніем К^з Дмитрія в Петерб:, посоветуйся сним, а сделай «как твое сердце предскажет.» – Так, никогда великій Руставели учил Грузин – наших предков.

Здесь всѣ обстоит благополучно.

Цалую тебя и Георгія; Да защитит вас Господь.

ბარბარე პატიონ-მრგელიანისადმი №68 (850)

11^б დეკემბ: 1874. თბილის

ჩემო მეგობარო ვარვარა! ვითვალისწინებ რა ხაზინის [საკრე-დიტო] შემოსავლის გაზრდას გიორგის სასარგებლოდ, გადავწყვიტე, შენ და გიორგის შემოგთავაზოთ შემდეგი სპეცულაცია.

ანტონ სოლომი: ყორლანოვმა, რომლის მიმართაც მაქვს სრული ნდობა, როგორც პატიოსანი, ბუნებით კეთილშობილი ადამიანი-სადმი, ნარდად აიღო სურსათის მიწოდების საქმე ყაზანიდან და-ლესტანში სავსებით ხელსაყრელი პირობებით. ის მუდმივად დაკავებულია ამ ოპერაციით და ამიტომ ამ საქმეში ძალიან გამოცდილია.

თქვენ გთავაზობთ, რომ მისცეთ მას ერთი წლით 30/ათ: რ: საბანკო ბილეთებით, რომელსაც ახლავე გიგზავნით მასთან ერთად. ამისთვის მან ვალდებულება იკისრა, რომ ერთი წლის შემდეგ და-გიბრუნებთ მოლიან თანხას, ახლა კი მოგცემთ ერთი წლის პროცენტს, ე. ი. 1800 რ: ა, რომელიც მე უკვე მიღებული მაქვს მისგან და ასევე ამ ბილეთების კუპონები 750 რ: ჟ მაისამდე.

ამგვარად, გიორგი, გარდა ჩვეულებრივი პროცენტებისა, მიიღებს კიდევ 1800 რ: ა, რაც სულაც არ არის ცუდი მისთვის, მით უმეტეს, მისი ოფიცრობის პირველ დღეებში.

აქ უნდა ვთქვა ისიც, რომ ამ საქმეს შავი მხარეც აქვს, თუმცა იმის საშიშროება არ არსებობს, რომ ყორლანოვი გაკოტრდება და ვერ შეასრულებს ნარდს, დადებულს ძალიან ხელსაყრელი პირობებით, მაგრამ იგი, როგორც ადამიანი, შეიძლება გარდაიცვალოს და მამინ, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან აღვძრავთ საჩივარს, პროტესტს ჩვენი ფულის დასაბრუნებლად. აი, ეს შავი მხარე კი მართლაც მადარდებს. თუმცა ყველა, ვისაც საბანკო ბილეთები აქვს, ასე იქცევა და ასე ატრიალებს ფულს და ნუთუ მხოლოდ ჩვენ ერთს უნდა შეგვემთხვეს ეს უბედურება, ე. ი. ახალგაზრდა, აზროვნების მიხედვით უკეთესი ხვედრის ღირსი კონტრაგენტის სიკვდილი?

მე წარმოგიდგინეთ საქმის ორივე მხარე, გადაწყვეტილების მიღება კი თქვენზეა. თუ დათანხმდებით ამ წინადადებას, მაშინ გიორგი, როგორც უკვე სრულწლოვანი, ნოტარიუსის მითითებით, ბილეთებზე გააკეთებს საბლანკო წარწერას, ხოლო ფული – 1800 რ: და კუპონები 1 მაისამდე ჩემთან დარჩება. თუ არ დათანხმდებით, მაშინ 30 ათ: რ: -ის საბანკო ბილეთებს თქვენ დაიტოვებთ, კუპონები ჩემთან დარჩება, ხოლო კუპონებიდან აღებულ 1800 რუბ: უკან დავუძრუნებ მას, ასევე მის ობლიგაციას, რომელიც ჩემთან არის.

აი, ამაში მდგომარეობს მთელი ჩემი გენიალური ფინანსური მოსაზრება, რომელიც, გულახდილად გეტყვი, მე არც კი მეკუთვნის. სოსკომ და სხვა ჩემმა მეგობრებმა მირჩიეს და მეც მივიღე მათი რჩევა.

ისარგებლე კჲ მირსკის პეტერბ.: ში ყოფნით, ჰეითხე მას რჩევა, მაგრამ მოიქეცი ისე, „როგორც შენი გული გიყარნახებს“ – ასე არიგებდა ოდესლაც დიდი რუსთაველი ქართველებს – ჩვენს წინაპრებს.

აქ ყველაფერი კარგადაა.

გკოცნით შენ და გიორგის; უფალი გფარავდეთ.

გარბარე თუმანიშვილ-ანდრევსაძეი №2 (851)

თუმანოვისას.¹

ჩემო საყუარელო დაო ბარბარე! გულ-მტკივნეულობით მოგახსენებ, რომ მომივიდა ამბავი ბანკიდამ, საიდამაც, ეს რამდენიმე ხანია, აღარ იძლევიან სესხსა, თუ არ ორსა, სამსა ვაჭარსა, და დღეს ექნებათ რჩევა იმაზე, თუ რამდენი ხანი უნდა კიდევ ასრე იყოს ბანკი? და თუ ეს მიზეზიც არყოფილიყო, უნდა მოგახსენო გულწრფელობით, რომ მაშინაც ვერ გავძებავდი თავდებად დადგომასა. გუშინ შენმა მწუხარებამ ასე დამიბნია გონება, რომ სრულებით განუსჯელად, უფიქ-რელად, უანგარიშოდ, დაგეთანხმე თავდებობაზე, და როდე-საც წაბდანდი, მეც მაშინ გამოვიდებით, და ცხადად დავი-ნახე ჩემი უგუნურება და შეუძლებლობა, და ღმერთს ერწმუ-ნეთ, რომ მეტის მწუხარებისაგან წუხელის სრულად დამეკარ-გა მოსვენება და ძილი, და მოუთმენელობით ველოდი გათე-ნებას, რომ მალე მეცნობებინა თქუცინთვს ჩემი უგუნურება. რა ვჰქნა, არშემიძლიან! ამას სირცევილით ვამბობ, მაგრამ ალსარება ჰსჯობს გულისინმინდით; და მხოლოდ ამასკი გეხ-ვენები, რომ არ შემრისხო, არ შეჰსცუალო შენი კეთილი გუ-ლი ჩემზე.

მე ამასთანავე ვიბარებ ჩემს ორს მეგობარს, იქნება იმათ შეისყიდონ შენი ნივთები კარგ ფასად. თუ ეს მოხერხდა, დამიჯერე, ეს ჰსჯობს ყოველსა აღებულს ვალსა, რომელიცა მოითხოვს დიდს სარგებელსა და თავის დროზე, მაინც თავ-

ნის დაბრუნებასაცა. და თუ ესეც არმოხდა, მაშინ, მგონია, უკეთესი იყოს, რომ ნივთები დააგირაოთ ჩუპნს დვორიანსკის ბანკში, ორის, სამის, ნლის ვადითა.

ბაბალეჯან, თუ ღთი² გრწამს, ეს ჩემი განუსჯელობით ქცევა მომიტეო, და შენი გული არ შეჰსცუალო ჩემზე.³

[1874 ნლის შემდეგ]

გიორგი პატრატიონ-მუხრანელისადმი №2 (852)

3^ხ მარტს 1875. მუხრანსკის.¹

ჩემო ბატონო, კნ: გიორგი კონსტ! იყო ჩემთან უბად-რუკი შირხან,² რლისა³ ცოლსა ჰეგზავნიან ციმბირში გრიგო-როვის მოკულისათვს, და მთხოვა, რომ ვიშუამდგომელო თქუცნს წინაშე და შეგავედროთ ესე, რათა მიჰსცეთ ამას ნე-ბა თქუცნის ხილვისა, რომ მოგახსენოთ თავის გულის მწუხა-რება. თუ შეიძლება და ინახვინებთ, გთხოვ დაუნიშნოთ დრო.

ამ შირხანის მამისდა აღაბეგუმალა,⁴ იბრაიმ ხანის ქალი, იყო პლი⁵ ცოლი ჭეთალის შაჰისა.⁶

შირხანის ცოლი, განმზადებული საციმბიროდ, არის შვილისშვილი იმ ჯაფარყულისა ხოის ხანისა,⁷ რლიცა⁸ გა-დუდგა რუსეთის ერთგულებისათვს ჭეთალის შაჰისა, და იმპე-რატ: ალექსანდრემ პლშა⁹ უწყალობა მას საუკუნოდ ნუხის სახანო, ხოის სამაგიეროდ.

ასე გახლავსთ ამათი ბიოლრაჭია.

მე, რა საკურველია, არ შევალ სუდის გადაწყვეტილო-ბის განხილუაში; მაგრამ, ამ სამწუხარს საქმეში არისკი ერთი რამე საეჭვო. თუ, მართლად, შირხანის სახლი იყო ბუდედ ავაზაკებისა, მაშინ ცხადია, რომ უნდა დაისაჯოს არა ცოლი მისი, არამედ თუთ შირხანი! განა შეიძლება, რომ ავაზაკები თავისუფლად შედიოდნენ ცოლთან, მასთან შეექცეოდნენ ვახშმად ფლავზე; და ქმარმა მოუთმინოს, და მეტადრე, არც-კი იცოდეს ყოველი ესე, მაშინ, როდესაც ჰყუანან მოზდილნი შვილები და მრავალნი მსახურნი? – ეს, მეტადრე თათრობა-ში, ყოვლად შეუძლებელია.

ჩემის ჰაზრით, – იქნება ვიყო შემცდარი, – ამ საქმეში არის რაღაცა ამბავი, ჯერ ამჟამად აუხსნელი, რლიცა¹⁰ ნათ-ლად გამოჩნდება თავის დროზე, და მაშინ ვინდა, ან რაღა ეშ-

ველება? მაგრამ ესეცი უნდა გუახსოვდეს, რომ ჩუმის საბრალოს მარიამ დედუფალს, ლუთიურს დედაკაცსა, დაპსწამეს სიკუდილი ლაზარევისა.¹¹

მახლაზ, მაინც და მაინცა დედაკაცის ციმბირში გაგზავნა რა არის? პეტროვსკი, გროზნა, სუხუმი, ლამაკინის სატახტო ქალაქი, განა არ ეყოფა საკმაოდ დასასჯელად?

იყავნ ნება უფლისა, რლისა¹² მადლი გფარვიდეს თქუმინ მარადის.

ივანე კონსტანტინეს ქვეყალიანისაღმი №2 (853)

ჩემო გულით საყუარელო ვანო! აქაურს ოკრუჟნ: სუდსა მოუვიდა ბძანება, რომლითაც დაუბარებიათ ობშჩიის სობრანიესში¹ მთლად საქმე საპყალტუთანისა და ამ დღეებშიაც გამოგზავნიან აქედამ. ახლა, ჩემო ბატონო, შენი მეცადინეობა ამჟამად ეს უნდა იყოს, რომ ნემენცების საქმე განიხილოს ობშჩიის სობრანიემ ადრე ცალკე² და არ მოუცადოს საპყალტუთანის საქმესა, რადგანაც შარშან ზაფხულშივე მთლად ნემენცების³ საქმე გამოგზავნილია აქედამ და ტყუილად რათ უნდა მოუცადონ? – მეშინიან, ვაითუ, ეს ორი სრულიად სხუა და სხუა საქმე ერთს დროს მოინდომონ განსახილველად, და ამით ერთს წელიწადს კიდევ გაპსწევს, და ჩუმინკი ეხლავ ვიღუპებით. ამაში შენ უნდა დატრიალდე ჩარხსავით და აქა იქ ჰესტხოვო ათჯერ, ოცჯერ, რომ ეგების მაისამდის გადაპსწევიტონ ერთი მაინცა, ნემენცების საქმე, თუ ორივე ვერ მოახერხეს სიბევრისაგამო! მხოლოდ შენახარ ჩუმინი იმედი და უნდა კიდეც ჰესტლიო ესოდენს დაბრკოლებას, და მისცე მხურვალე მოძრაობა გაყინულსა, გაშეშებულს საქმეს. შენ, ისევ შენ, სხუა არა ვინ არის! საწყალი ივანე დალისტნიდამ ყოველს წიგნში მწერს და მკითხავს „როდის გადაპსწევდება ნემენცების საქმე, რომ მეც მელირსოს საქართველოსში მოსვლა?“

ჩემი საკუთარი ძალუა საშა ჩამიპროშტე.

ძალუა ვარინკას ამბავი არა ვიცირა აი რამდენი თვე არის, და ვარ მოუსვერბლობასში; გიორგი ხომ არ გამხდარა კიდევ ავათ? შენ მაინც დატუქსე ძალუა.

ტასო რას ჰელვეტია, როგორ მოდის დონეზე მაგის საქ-
მე? – კარგად ვიცი, ეგ ვერას გაარიგებს, თუ არ მიეშველები.

სოსიკო და ყველანი შენნი კარგად არიან; დათიკო გლუ-
ხარიჩი დაქორწილდა სარაჯოვის მეორეს ქალზე.

ჩუცნი ბანკი გაიხსნა, მაგრამ ჯერკი ვერავის უსესხნია
ბევრის ჭორმალნოსტების გამო.

ღოთხა⁴ ჰემნას, რომ ჩუცნა თავად-აზნაურობამ მიიღოს
რამე შემწეობა მისგან, მაგრამ მეკი დიდად ეჭვში ვარ.

4 Марта 1875 года.⁵

Пріехал сюда Генерал Корсаков открывать в Тифлисе Во-
енную Гимназію, а во Владикавказе Прогимназію. Конечно,
Правительство делает великое благодеяне Краю, привлекая ты-
сяча праздных молодых людей к образованію; но, по моему мнени-
ю, здешній Край и даже вся Азія, в настоящее время, более
нуждается в Политехнической школе, недостаток которой с
каждым днем становится весьма осозательным. Гимназіи, Уни-
верситеты, Академіи, доставляют людей только для Государ-
ственной службы, и этих людей увидишь только в Канцеляріях
или на Плацу. Все они живут на счет Правительства, и всётаки
масса их умирает в бедности, не принеся никакой пользы свои-
ми познаніями сельскому хозяйству, цветущее состояніе которо-
го и составляет единственную основу благоденствія и для насе-
ленія, и для Государства. Визгалов,⁶ великий математик – Ма-
гистр, сидит в Канцелярії у Губернатора и вместе с Кола Эрис-
товым нумерует текущія бумаги. И сколько, таким образом по-
гибают в Канцеляріях, умственных и нравственных сил! Для Чи-
новников весьма достаточны существующія Учебныя Заведенія.

Нам нужны теперь люди иной Науки, люди, которые возделывали бы Землю, извлекая из недр ея сокрытыя сокровища, и тем обогащая и себя, и весь Край! Чего нет здесь? Железо, медь, свинец, сера, мрамор, нефть, уголь, шелк, хлопчатая бумага, ма-rena, виноград, фрукты, вся канорада, скотоводство, овцеводство, шерсть, табуны лучших в міре лошадей; в лесах орехи, каштаны, негной, Пальма, все, все, а между тем населеніе бедно, бедно! Вот здесъ, единственою помошью может явиться только Политехническая школа, а не Греческій язык; она вскором времени изменила бы вид всего Края, разлив знанія полезнаго труда, результатом котораго везде и всегда довольство и благоденствія. А когда народ богат, Государство богато, и самое Правительство не былобы поставлено в необходимости истрачивать столько материальных средств на народное образованіе. Также самые расходы, ассигнованные ныне Заботливым Правительством на содержаніе воен: Гимназіи, принесли бы иную великую пользу, употребив их на учрежденіе Политехнических школы! – В теченіи 10 лет мало что изменилось здесь в Сельском хозяйстве: тот же плуг, также арба, тот же способ жатвы и мопотбы, уничтожающей силу, самую жизнь работников и рабочей скотины, и тот же прадедовскій Маран. * მახლაზ!

ამ მინუტში მითხვა სოსიკომ, რომ ელიზბარ ერისთავი ნამოვიდა რუსეთში ცოლის შესართავად, მგონია აკაკიას ცოლის და. –

ღთი⁷ იყოს შენი მფარველი; რატომ არასა მწერ? სულ ჩემგან ელი წიგნსა, რომ მხოლოდ პასუხი მომწერო. – საშა კიდევ ჩამიკოცნე.

შენი ბედნიერების მოსურნე თ⁸ გრიგოლ ორბელიანი

4⁹ მარტს 1875
თბილისით.⁹

თუ მაისამდის, ესე იგი, კანიკულამდის, არ გაათავებინე
ნემენცების საქმე მაინცა, მაშინ იცოდე, რომ, ირან ხარაბეს!!

ეხლა დადგა ჩუტინთვს ზამთარი, როცა ნუში და ატამი
აჰყუავდნენ, გაჩნდა თოვლი და 8 გრადუსი ყინვა. Сказано
Азія, Азія и есть.*^{**} ასე ამბობდენ უნინ ძველი სალდათები.

[გვერდის ზედა მარცხენა ნაწილში ავტორის ხელით
შავი ფანჯრით მინანერია:]

Читал***

* 4 მარტი 1875 წელი.

გენერალი კორსაკოვი ჩამოვიდა აქ თბილისის სამხედრო გიმ-
ნაზიის გასახსნელად, ვლადიკავკაზში კი – პროგიმნაზიისა. რა თქმა
უნდა, მთავრობა ძალიან დიდ სიკეთეს ჩადის ჩვენი მხარისათვის,
რომ ათასობით უქმადმყოფ ახალგაზრდას იზიდავს განათლებისკენ;
მაგრამ, ჩემი აზრით, აქაური შხარე და მთელი აზიაც კი ამჟამად
უფრო მეტად პოლიტექნიკურ სკოლას საჭიროებს, რაც დღითიდლე
უფრო აშკარად ჩანს. გიმნაზიები, უნივერსიტეტები, აკადემიები
მხოლოდ სახელმწიფო სამსახურისთვის ამზადებენ ადამიანებს,
რომელთაც დაინახავ მხოლოდ კანცელარიებში, ან სამხედრო სას-
წავლო მოედნებზე. ისინი ყველანი მთავრობის ხარჯზე ცხოვრობენ,
მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა სილარიბისგან იხოცება და
თავისი ცოდნით ვერანაირი სარგებლობა ვერ მოაქვს სოფლის მე-
ურნეობისათვის, რომლის აყვავებული მდგომარეობა წარმოადგენს
ერთადერთ საფუძველს მოსახლეობისა და სახელმწიფოს კეთილ-
დღეობისათვის. ვიზგალოვი, უდიდესი მათემატიკოსი, მაგისტრი,
გუბერნატორის კანცელარიაში ზის და კოლა ერისთავთან ერთად
მიმდინარე საბუთებს ნომრავს. რამდენი გონიერი და ზნეობრივი ძა-
ლა იღუპება კანცელარიაში ასე! ჩინოვნიკებისთვის სავსებით საკმა-
რისია არსებული სასწავლო დაწესებულებები. ჩვენ ახლა სხვა მეც-
ნიერები გვესაჭიროება, ადამიანები, რომლებიც დაამუშავებენ მი-
ნას, ნიალიდან ამოილებენ დაფარულ განძეულობებს და თვითონაც
გამდიდრდებიან და მთელ მხარესაც გაამდიდრებენ! რა არ არის აქ?
რკინა, სპილენძი, ტყვია, გოგირდი, მარმარილო, ნავთობი, ქვანაბში-

რი, აბრეშუმი, ბამბეული, ენდრო, ყურძენი, ხილი, მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მატყლი, მსოფლიოში საუკეთესო ცხენების ჯოგი; ტყეებში კაკალი, წაბლი, ურთხელი, პალმა, ყველაფერი, ყველაფერი, და ამ დროს მოსახლეობა ლარიბია, ლარიბი! აი, აქ ერთადერთ დახმარებად შეიძლება მოგვევლინოს მხოლოდ პოლიტექნიკური სკოლა და არა ბერძნული ენა; ის მოკლე დროში შეცვლიდა მთელი მხარის სახეს, გაავრცელებდა სასარგებლო შრომის ცოდნას, რასაც ყველგან და ყოველთვის მოსდევს დოვლათიანობა და კეთილდღეობა. და როცა ხალხი მდიდარია, სახელმწიფოც მდიდარია, და მთავრობაც არ იქნებოდა იძულებული, ამდენი მატერიალური საშუალებები დაეხარჯა სახალხო განათლებაზე. იგივე თანხა, მზრუნველი მთავრობის მიერ დღეს სამხედ: გიმნაზიაზე დახარჯული, ბევრად დიდ სარგებელს მოიტანდა პოლიტექ: სკოლის დაარსების შემთხვევაში! – 10 წლის განმავლობაში აქ ბევრი არაფერი შეცვლილა სოფლის მეურნეობაში: იგივე გუთანი, იგივე ურემი, იგივე ხერხი, მკისა და ლენტის იგივე მეთოდი, მუშებისა და მუშა საქონლის ძალისა და თვით სიცოცხლის გამანადგურებელიც კი, და იგივე მამაპაპური მარანი.

^{**} ნათქვამია, აზიაა, მართლაც, აზიაა.

^{***} ნავიკითხე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №110 (854)

ჩემო ბატონო,
კნიაზო დემეტრე.

გთხოვ გამახაროთ ხვალ, ესე იგი, კვირას სამს საათზე
ჩემთან სადილად მობძანებითა, შინაურულად.

თქუცინი მარადის ერთგული თ¹ გრიგოლ ორბელიანი

22^ს მარტს 1875.²

ეკატერინე ჭავჭავაძე-დაღიანისადმი №9 (855)

თქუცინო უგანათლებულესობავ,
უმოწყალესო დაო ეკატერინავ.

ჭეშმარიტითა გულითადის სიხარულითა გილოცავ ნიკოს ქალსა, ესე იგი, გილოცავ ბებიობასა. ლთშან¹ ნუ განაშოროს თქუცინის ოჯახისაგან კურთხევა თვისი და მარადის ჰყოს გული თქუცინი სავსედ მხიარულებითა; და მგონია, დროც იყოს.

აქაური ამბავი არა არისრა მწუხარების მეტი. ყოვლის მხრით ისმის კვნესა, ყოვლის თავად-აზნაურის სახე არის მოღრუბლული გამწარებულის ფიქრებითა სიღარიბისაგამო; მთლად ჩუცინი საზოგადოება არის ჩაფლული გადუხდელს ვალში და გამომხსნელი არსად არის, არათუ საქმით, ცარიელი სიტყუაც არ ისმის ნუგეშცემისა. მთლად საქართველო იყიდება, და თუ გამოჩნდა ვინმე ფულიანი, ის დიახ იაფად და ადვილად შეიტმნება ბატონად ქართლისა და კახეთისა! გავჰვემართეთ ბანკი, მაგრამ არავის გუაქუს იმედი, რომ ამით გვეშველოს რამე, და ვართ ასე გულს წელ-დაკრეფილნი! მერწმუნეთ, ჩემის ავათმყოფობის გარ(დ)ა, ესრეთი სამწუხარო მდგომარეობა ჩუცინის საზოგადოობისა უფრო უმეტესი იყო მიზეზი, რომ აქამდის ვეღარ მოგწერეთ; ვიცოდი რომ დიდად შეგანუხებდა ეს შესაწუხარი მოხსენება ჩემი. –

საწყალი მამუკას შვილი დათიკო დავჰვემარხეთ წასულს კვირას სიონში თავის მამაპაპის მეზობლად.

გუშინ გადაწყვიტა ოკრუზნ: სუდმა საქმე საძაგელის კიკო ჩოლაყავევისა და მის საბრალოსა ცოლისა. კიკოს ჰეზავნიან ხუთის წლით ირკუთსკის ღუბერნიაში და მერე თორმეტის წლით ციმბირის ღუბერნიებში საცხოვრებლად. – ძლივს მოაშორეს ამ ქუცყანას ეს კაცი, გულით, გონებით, აყროლებული! ისტორიაში არ იპოება ამის მსგავსი მტარვალი.

ირაკლი, ლთის² მოწყალებით, მოდის ნელ-ნელა ღონეზე, ასე რომ კარგს დარში გამოდის გარეთ და თავის სახლის

წინ ჰეთის ტროტუარზე, და ჩუმშიცა იქვე უკეთებთ ვიზიგსა, უსხედვართ აქეთ იქით და ვლაპარაკობთ ქუმშის ჭორებსა! დავით არის წინანდალს მშვიდობიანად თავის სახლშითა.

ტასო გაგარინისა, მგონია, მალე უნდა გამოვიდეს პეტერბურლიდამ, და ჯერ არ ვიციკი როგორ დააბოლოვა თავის ყირიმის მამულის გაყიდვა.

სრულებით მოულოდნელად ველიკაა კნეუნა გახდა ავად წითელათი,³ კორე,^{*} მაგრამ, ლთით,⁴ არა უჭირსრა. მეტად და მეტად მშვენიერდება; სახე, სიკეთის გამომთქმელი, თავმდაბალ[ი], წყნარი; წელი ნაზი, მაღლა, მაღლა ასული; ხმა – სალამური, ერთის სიტყვით, სწორედ ველიკაა კნეუნა!

ჩემი ძმისწული გიორგი გახლავსთ კამერპაჟი, და მაისში, თუ ლთი⁵ შეენევა, ღვარდიაში გამოვა აფიცრად, და მასთან ერთად კნ: მირსკი, და სუმბათოვი – მიხეილის შვილი. ძალუა ვარინკაც კარგად არის.

იქამდის შეიცუალა ჩუმშულებითა თბილისი, რომ დიდ-მარხვაშიაც არ მოიშალა ტანციობა კრუუკოში! ეს მეტისმეტად გარდამეტებულია, დამლაშებულია. მარხვა არის დაწესებული სასულიერო ფიქრისა და საქმისათვს, და არა ტანციობისათვს, რომელიცა უეჭველად ალვიძებს მხოლოდ გულის-თქმასა ხორციელებრივის ცოომისათვს. მაგრამ თბილისი მალე გაასწრობს პარიჟსა სარწმუნოების უარისყოფითა და ამაო ცხოვრების შეყვარებითა. მე ასე ვჰქედავ.

როდის მოელით ნიკოს ცოლშვილითა? ანდრია როგორ გაეწყო პეტერბურლის ჰაერსა? მშვენიერის სალომესი რა იცით? მაგათის ამბავის დაწვრილებით აღწერითა გამახარეთ, და ჩემმაგიერ მოკითხვა და კურთხევა შეუთვალეთ. სამნივე მეტად კარგები არიან, ლთშან⁶ გიცოცხლოსთ და გიცოცხლოს მრავალუამიერ ჩემდა საბედნიეროდ.

თქუმში მარადის ერთგული მოსამსახურე
თვე გრიგოლ ორბელიანი

3^ს აპრილს, 1875 წ.
თბილისით.⁸

გრიგოლ დადიანი მშვიდობიანად არის. თქუცინი ყაფ-
ლან მოხუცებული პატივისცემით ხელს კოცნას მოგახსენებს.

* წითელა

იაპინთა ალექსი-მესხიშვილისადმი №2 (856)

7^ს აპრ. 1875 თბილისით¹

ჩემო ბატონო, საყუარელო იაკინთე! მომიტევე, ვერ მო-
ვასწარ, რომ შენის წერილის პასუხი წამოელო შენსავე კაცსა.
ქალაქის ამბავი მოგეხსენება: ერთი სტუმარი რომ გაათავებს
ვიზიტსა, მეორე აღებს კარსა, და ასე მიდის დღე სადილო-
ბამდის; სადილის შემდეგ, ჩუცის ხანში მიწევნილის კაცისა-
თვს საჭიროა, ცოტა მაინცა, ჩათვლემა; ამასთანა, დღესასწა-
ულები, პარადები, ვიზიტები, და აბა, სადღა არის დრო წერი-
სათვს?

დაგვიანდა, მაგრამ მაინც კიდევ მოგახსენებთ მე და
ყაფლან დიდსა მადლობასა თუთის ნამყენებისათვს. დიახ
კარგი; მაგრამ მოვესწროვითა ამათ ნაყოფსა? და აი ნახე,
როგორ შეიცუალა საქართველო: ყულლარის ბატონსა მიგ-
ზავნის ზემოქართლელი თუთის ხესა, და კრუუკში² არ იშლ-
იან ტანციობასა დიდმარხუაშიაცა!

ახალი ამბავი ეს გახლავს აქა: ოკრუუ: სუდმა გაამარ-
თლა ლენერ: ისრაჭილბეგ, რლსაცა³ აბრალებდენ კაცის
კვლასა, და ამის წინად დაპირის მყრალი კიკო ჩოლაყ:⁴ ვა ის-
თვანიე სვიე ჯენი^{*} ხუთის წლით ირკუტსკში გაგზავნით და
მერე 12 წლით საცხოვრებლად ციმბირის ლუბერნიებში.

4^ს აპრ იყო ქართულს თეატრში სალიტერატურო და_სა-

მუსიკო სალამო.⁵ – ასე ეწერა აჭიშკაში – ძალიან ცუდად გა-

მოჩნდენ რაჭ: ერისთ: და დიმიტ: ყიფ:,⁶ რაღაც ღთი⁷ გაუწ-
ყრათ, სულ ვერ წაიკითხეს, და ძალიან კარგად იყუნენ დათი-
კო გლუხარიჩი ერისთ, ილია ჭავჭა, და აკაკია წერეთელი.⁸

15 აპრ:⁹

ქ ე¹⁰ აღსდგა!

ახლა ჩუმინცა მოვიდეთ და გამოვიკვლიოთ ზოგიერთი
თვეშება ჩუმინის ენისა. მერწმუნე, შენმა ჭეშმარიტებით კრიტი-
კულად განხილვამ დიდად გამახარა, და გულით ვინატრი შენს
აქ ყოფნას, რომ ანინდელის მწერლებისათვს გვემხილებინა
თვეშება და სიღამაზე ქართულის ენისა. კრიტიკა არ არის არ-
ცა მტერობა, არცა შური და არცა განკიცხუა; არის მხოლოდ
მაჩუმინებელი უწესობისა და უნიჭობისა; წერაში არის მცველი
ენის თვეშებისა და მის სიწმინდისა, და უმისოდ არცა სხუა
რამე ჰელოვნება, არცა გაკეთდება, არცა გამშვენიერდება.
კრიტიკა არის თვთვე კანონი, რლისა¹¹ დარღვევა უეჭველად
წახდენს ყოველსავე ჰელოვნებასა; ამისთვს უთოოდ უნდა
ჰსუფევდეს კრიტიკა და ჰქონდეს მას ლიტერატურაში ხმა მა-
ღალი!

შენი ჰაზრი, რლიცა¹² გამოაჩენს ქართულის ენის
ლრმად ცოდნასა, სრულიად მართალია პრაკტიკის მიხედვით;
მართალია, ვამბობთ და ვჰსნერთ „სახლში, ქუცყანაზე“¹³ და
არა სახლსში, ანუ, ქუცყანასზე, მაგრამ, რა ვჰქნათ, რომ ეს-
რეთი წერა, – თუმცა მეცყი ვჰსნერ აგრე, – არის შეცთომა,
უკანონობა? რა ვჰქნათ, რომ ტეორია, დაფუძნებული ენის
თვეშებაზე, გვიჩუმენებს სრულიად სხუას დაწესებულს კანონ-
სა, რლსაცა¹⁴ უნდა შეცუდგეთ ჩუმინცა? რა ვჰქნათ, როგორ
შევათანხმოთ ტეორია პრაკტიკასა ისე, რომ არა დაირღვეს,
არა წახდეს თვეშება და სიწმინდე ენისა? თბილისში მრავალი
ლაპარაკობენ და ჰსნერენ „იმან მოვიდა, ისინი წავიდა.“¹⁵ და

ესე, ცხადად ჰესჩანს, რომ ჰესწარმოებს მხოლოდ კანონის უცოდინარობითა.

ჯერ პირუტლად მოიხსენე ზოგიერთი ჩუმინის ენისა თვ-სება, ანუ საფუძველი, რლზედაც¹⁶ მე ვჰსდგევარ, და რლის¹⁷ გარე, ჯერ აქამომდის, სხუა არა გუაქუსრა ჭელთ-მ(ძ)ღუანად, თუ არა უკანონო წერა უნიჭო მესხისა და მის მიმდევთა.

ქართველი არის ბუნებით გულ-მსწრაფლი, ფიცხი, მო-უთმენელი; ამისგამო ლაპარაკიცა მისი არის აჩქარებული, გა-ცხარებული; ჰესცდილობს, მალე გააგებინოს ჰეზრი თვისი, თითქოს არა ჰესცალიან ლაპარაკისათვს, და სიფიცხეში არ დაჰსდევს კანონისა, ჰყლაპავს ზოგჯერ ნახევარს სიტყუასა, და ხშირად აკლებს ერთს, ორს ასოსა სიტყუაში. მაგრამ ეს-რეთის ლაპარაკის ძალითა არ უნდა შეიცუალოს, არ უნდა დაიკარგოს წერასში,¹⁸ არცა კანონი უბნობისა, და არცა თვესება და სიწმინდე ენისა. თვთ მეც აქა, ჩემის დაუდევნელო-ბით, ვჰსწერ არეულად, ხან ისე, ხან ასე, წინააღმდეგ ჩემისვე ჰეზრისა: მეც გახლავარ ქართველი, კანონებს ვერ გაუძლებთ; მაგრამ კანონიკი უნდა იყოს!

ჩუუნი ანბანა (sic) არის დიდად მდიდარი ხმის განწილ-ვაში; ხშირად ერთი ბგერა გაიყოფა ორად, ესე იგი, ორ ასოდ, ორ ხმად: გ და ღ, ს და შ, ტ და თ, კ და ქ, ც და წ, პ და ფ, ¹⁹ და ესენი, როცა შეჰეუდებიან ერთიერთსა, მაშინ ამათ შორის უძლიერესი აქრობს უღლონისა და გვესმის მხოლოდ ხმა ძლიე-რისა, ესრეთ: ასო ს იყარგება, ლაპარაკისში, როცა შეჰეუდება მეზობლად შ, ანუ, ზ, და გვესმის მხოლოდ ეს უკანასკნელნი, მაგალ: ლამაზს თვალებსში, გვესმის ლამაზ თვალებში. ამავე კანონით ტ აქრობს თ კ კ კ აქრობს ფ და სხუანი; მაგრამ წერასში უნდაკი იხმარებოდენ, რათა არა დაირღვეს კანონი, გამოკულეული ენის თვესებისაგან.

თანდებულნი ზედა, შინა, მოითხოვენ მიცემითსა ბრუნ-ვასა: ქუცყანასაზედა, სახლსაშინა, და, ზემოხსენებულისა მი-ზეზისაგამო, ლაპარაკისში შემოკლდებიან და გარდაიქცევიან, ზე, ში, რომელნიცა მაინც კიდევ არიან იგივე თანდებულნი,

და მაშასადამე მოითხოვენ მასვე მიცემითსა ბრუნვასა, და რადგანცა ვართ, სიჩქარისაგამო, დაჩუტულნი რაოდენისამე ასოს ჩაყლაპასა, ამისგამო ვამბობთ და ვჰსწერთ, „ქუცყანაზე, სახლში“ და არის წინააღმდეგი კანონისა.

და ახლა გავჭინჯოთ, ქუცყანაზე, სახლში, რლს²⁰ ბრუნვაში არიან? ქუცყანა, არის წრფელობითსში, სახლი არის არა რომელსამე ბრუნვასში; მაშა, რა კანონი უნდა დაიდუას ამა თანდებულთათვს? – თვესება ჩუტინის ენისა მოითხოვს, რომ, რადგანაც სიტყუანი, მაგალითად მყუანილნი (?) უნდა მიიქცნენ მიცემითსში მათის თანდებულის ძალითა, ამისგამო მათ უნდა დაემატოსთ ს, და მერე მიუჯდეს ზე, ანუ, ში, და გამოვიდეს, ქუცყანასზე, სახლსში, რადგანაც გამოთქმასშიაცა მაინც იკარგება ს, და ამისგამო ჩუტულებრივს ლაპარაკ-საცა არ უშლის. თორემ თანდებულნი, ზე, ში, თუ მოითხოვ-დენ წრფელობითსა ბრუნვასა, როგორცა ჰსწერენ მრავალნი „ქუცყანაზე, მიწაში“ და არა მიცემითსა, როგორცა მოითხოვს თვესება ენისა, მაშ როგორ ითქმის ამ კანონით „მობძანდით ჩემი სახლიში, ანუ მაღალი მთაზე?“ მსწავლულიცა და უსწავ-ლელიცა იტყვის „მობძანდით ჩემს სახლში, ანუ მაღალს მთა-ზე!“ და აბა გაშინჯეთ: ჩემსა, ჩემს არის მიცემითი, ეგრეთუც მაღალსა, მაღალს; სახლში, მთაზე, არიან მასვე მიცემითსში, მხოლოდ სიჩქარისაგამო, ვერ გვესმის ასო, ს, განქარვებული უმტან და ზამადან. – მრავალნი ჰსწერენ „ჩემ სახლში მაგრამ ესეც არის უკანონო, და არიან მხოლოდ შემოკლებით გამოთ-ქმულნი „ჩემს სახლსში.“

მე ასე მგონია, და ასეც მჯერა თვესება ჩუტინის ენისა, და ამ შემთხუცვასში სხუა კანონი ჯერ აქამომდის არა გუა-ქუსრა მის მეტი, რაღცა აქა მოვიხსენიე.

მაგრამ, ვინიცობაა, თუ ეს მოხსენებული ტეორია მარ-თლად დაძველდა, გაცუდ(დ)ა, და აღარ ჰშუტის აწინდელსა ჩუტინსა ენასა, მაშინ არ შეიძლება, რომ დაიდუას კანონად ესე; უკანო[ნოდ]კი არ შეიძლება.

1) [ყოველი] სიტყუა, რლიცა²¹ დაბოლოვდება, ა, ე, ო, უ, და რლსაცა²² უნდა მიუჯდეს თანდებული ზე, ანუ ში, მაშინ ის სიტყუა დაიდუას წრფელობითში, მაგალ: ქუცყანაზე, მინაში, ხეში, ხეზე, ოქროში, ოქროზე, და სხუანი; მაგრამ ამ სიტყუციბსა, თუ აქუსთ ზედ-შესრული, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა უთოოდ იყოს მიცემითში, მაგალ: მაღალს მთაზე, ჩემს ქუცყანაში, ფოთლიანს ხეზე, ღრუბლიანს დღეში და სხუა[ნი,] რათა იგულისხმებოდეს მაინცა, რომ არა მარტო ზედშესრული, არამედ არსებითიცა არის მიცემითში.

და 2) ყოველი სიტყუა, რლიცა²³ დაბოლოვდება იშ, და რლსაცა²⁴ უნდა მიუჯდეს რლიმე²⁵ ზემოხსენებულთაგანი თანდებული, მაშინ უკანასკნელი ასო, ი, მოისპობა და დაერთვება მას თანდებული, მაგალ: სახლი – სახლში, სახლზე, კარი – კარში, კარზე, ბაზზე, წყალში, წყალზე, და სხუანი; მაგრამ ამათი ზედშესრულიც მაინც უნდა იყოს მიცემითში, მაგალ: მშუცნიერს ცხენზე, ლამაზს თვალებში, ჩემს წერილში, შენს სახლში და სხუანი.

მგონია, ეს უკანასკნელი კანონი უფრო უადვილესად მიეკრება აწინდელს წერას; მაგრამ, მე თვთ ვჰგრძნობ, რომ არც ეს არის ის შეურყყეველი დედა-ბოძი, რლზედაც²⁶ უნდა დამკვიდრდეს ახალი კანონი ახლანდელთა მწერლებთათვეს. მაშ, რა ვჰქნათ? თუ წელთსამძღუანი კანონი არ დაიდუა, სრულებით გადარევენ ჩუცნს ენასა! აბა, კარგად აჰსწონეთ ეს ჩემი ჰაზრი, – თუ ჰაზრი აიწონება, – და მიბძანე შენი საკუთარი ჰაზრი. სასაცილოკი არის, რომ ორნი მოხუცებულნი, ამ სოფლიდამ თითქმის გასულნი, ვჰლაპარაკობთ და ვჰბაასობთ ქართულს ენაზე!

გუშინ ჩუცნს კლუბში იყო სადილი, სადაცა ბძანდებოდა ველიკი კნიაზიცა. სადილზე მოუვიდა ამას ტელეგრამა იმპერატორისა, რლშიაც²⁷ აუნყებდა, რომ ორი რკინის გზა დაუმტკიცა ჩუცნს მხარეს, თბილისიდამ ბაქოს,²⁸ და თბილისიდამ ვე ჯულჭა. ²⁹ ამაზე შეიქმნა დიდი სიხარული, მილოცვა, სა-

დღეგრძელობი თავისის ურათი! მართლად და ეს გზები დიდად აამაღლებს ჩუმის ქუმყანასა.

მოგილოცავ ქე³⁰ აღდეგსა; ღთშა³¹ მაღირსოს ბევრჯელ ხილვა შენი. ნატალიას წელსკოცნას მოვახსენებ დღესასწაულების მილოცვითა.

ძალუა ქეთევან, ტასო, კარგად არიან; დედაკაცებს რა უჭირსთ; ვაი ჩუმინი ბრალი! ყაფლან ამბობს „ეს ქუმყანა არის დედაკაცებისაო“!³²

19^ს აპრ: 1875.

* თავისი ცოლის წამების გამო.

დიმიტრი ჯორჯაძისა და ვასილი ზოლოტარიოვისადმი №1 (857)

ჩემო ბატონებო
დემეტრე და ვასილი გრიგორი(ს)ძევ!¹

დიდად საჭიროა და გთხოვთ, რომ თუორნივე ერთად ვერ მობძანდებით ჩემთან, ერთერთი მაინც მობძანდით ეხლავ.²

თქუმი ერთგული
თ³ გრიგოლ ორბელიანი

25^ს აპრ.⁴

[არა უგვიანეს 1875 წლისა]

ბარბარე ბაგრატიონ-მრგვალიანისადმი №69 (858)

16 Мая 1875 г. в Петербург.¹

Мой друг Варвара! Цалую тебя записьмо от 4^{го} Мая, кото-
рое я получил третьего дня. Слава богу! В два мѣса² одно письмо,
и неожиданно, и утешительно. Но надо признаться, что и без
этого письма, я имел верныя сведенія о твоем житье-бытье и о
болезни Георгія. Ну, да не об этом теперь.

В последних моих письмах, сколько мне помниться, я,
убежденный твоими выводами, положительно отвечал, выразив
полное согласіе на поступленіе Георгія в Кавалергарды, и пре-
дложил, с своей стороны, только одно условіе, которое предла-
гается и теперь: ежели $\frac{5}{10}$ достаточны для него, то с Богом, пусть
идет в Кавалерг.; а сумма эта будет состоять из $\frac{1}{10}$ твоих, из $\frac{2}{10}$
моих, и $\frac{3}{10}$ самаго Георгія. На этом я стоял и тогда, стою и те-
перь, и благословляю его от души на новую жизнь, на новое
поприще. Правда, вначале, когда возник этот вопрос, мне каза-
лось, что эта сумма слишком недостаточна для Князя Кавалер-
гарда Орбел.; теперь же я радуюсь моей ошибке, совершенно ус-
покоенный, и тво(и)м завереніем, и моим довереніем к Георгію
в том, что он в своих расходах будет строго расчетлив и внима-
телен. Собственноже противу Кавалерг: Полка, лучшаго из
Гвард: Полков, конечно, я немог ничего сказать, кроме похвалы.

Молодость моя прошла в бедности, и знаю, как тяжесть
неумолимой ея силы сгибает шею молодаго человека. Часто я
выступал в поход, неимя и трех руб.; и, конечно, я страдал, но
терпел; и Бог свидетелем, что вомне нерождалось чувство завис-
ти к богатым. Терпел, уповая на милость Всевишняго; Однакож
многіе из моих хороших товарищій погибли навсегда от недос-
татка силы характера.

Конечно, Георгій богаче меня, – и это немного еще значит, – но, всётаки далеко небогатый он человек; поэтому я желалбы, чтоб он был проникнут этою мыслю о своем состоянії, не ужасался недостаточностью. Тогда он небудет в нужде, небудет в зависимости ни от кого. Зависимость – очень горькое положеніе, всегда порождающее рабскія чувства. Небудет в зависимости, потому что, тогда последует он мудрому обычаю Англич., которые никогда не израсходуют всего своего дохода, какбы ничтожен небыл в количестве, неоставив в запасе чтонибудь, хотьбы самую безделицу. Вот этот запас и доставляет, современем, человеку желанную независимость. Независимость – великое дело в жизни: она спасает человека от многих черных дел. Так, каждый, в своей сфере, может быть независим, издерживая только то, что имеет и при том оставляя чтонибудь в запасе, который на языке финансистов известен под именем запасного капитала,³ без котораго самый богатейшій Банк вскоре окажется несостоятельным; у военных запас называется резервом,⁴ безкотораго идти в сраженіе, по меньшей мере, безразсудно; у Интендантовже это названіе заменилось Магазейном.⁵ И еслибы наша фамилія последовала указанію этой немудреной мудрости, она не погиблбы так глупо. Вот, что я желалбы передать Георгію для руководства с тем, чтоб он помнил, в теченії своей жизни; это весьма простое средство быть всегда при деньгах, и следоват:^{но} быть всегда независимым, что и, по самой алгебре, выходит весьма верно: деньги равны независимости.

Георгія надо лечить серёзно, чтобы болезнь не сделалась хроническою. Не следуетли даже ехать ему Заграницу? Впрочем, я всётаки незнаю, чем он болен?

Мирскіе возвратились в добром здоровыи; я даже нахожу, что они помолодели; однакож Дмитрій выезжает Заграницу лечиться. Но, вот удивленіе, Иван Мухр:, а главное, и его жена, выезжают Заграницу!!! Конечно, с ними и Лиза с мужем.

Нынешнее лето проведу я в Цавкисе, разставаясь, с большим сожалением, с чудным климатом Табахмели. А нечего делать, дом едва, едва держиться.

15^{го} Мая Их Высочайшие выехали: Она с детьми прямо в боржом, а Великий Князь кругом на Александрополь туда же на лето.

В настоящее время здесь собраны все начальники, в руках которых находится Судьба Кавказа: Леван Меликов, Бар: Сакен, Нико Чавч:; Кармалин, Лорис Меликов, Рославлев, Старо-сельский и Властов.

Старшая дочь бедной Нины Наталія 9^и лет, а младшая, Анастасія 7^и. Последняя только теперь начинает говорить, и неудивительно: от Леонида нельзя было ожидать лучшего наследства.

Бар: Николай назначается Членом Государ: Совета и более невозвратиться в край. Я уважал его за твердый ум и благородство души; Любил Маку⁶ за ея юность и светлую сердечность. Бог знает, увижули их?

Цалую тебя и Георгія, да защитит вас Господь Бог.

Едва окончил сегодня, т: е: 19^{го} Мая, это письмо, которое передается нашему общему другу Алек: Оникову, отправляющемуся в Петерб:.. –

ბარბარე პაგრატიონ-ორგელიანისადმი №69 (858)

16 მაისი 1875 წ. პეტერბურგს.

ჩემო მეგობარო ვარვარა! გკოცნი 4 მაისის ნერილისთვის, რომელიც მესამე დღეს მივიღე. მადლობა უფალს! ორ თვეში ერთი ნერილი მოულოდნელიცაა და მანუგებებელიც. მაგრამ უნდა გამოგიტყდე, რომ ამ ნერილის გარეშეც მქონდა საიმედო ცნობები შენს

ასავალ-დასავალზედ და გიორგის ავადმყოფობაზედ. მაგრამ ამაზე ახლა არა.

ჩემს ბოლო წერილებში, რამდენადაც მახსოვს, მე, შეს და-
სკვნებში დარწმუნებული, დადებითად გპასუხობდი, გამოვხატავდი
რა სრულ თანხმობას გიორგის შესვლაზედ კავალერგარდში, მხო-
ლოდ ერთი პირობით ჩემი მხრიდან, რომელიც ძალაში რჩება ახლაც;
თუკი ⁵ საკმარისია მისთვის, ღმერთმა ხელი მოუმართოს, შევიდეს

კავალერგ:^{შე}, ეს თანხა შეცსტული იქნება შენი ¹_{სო}-ით, ჩემი ²_{სო}-ით

და თავად გიორგის ²_{სო}-ით. ეს აზრი მქონდა მაშინაც, მაქვს ახლაც
და გულით ვულოვაც მას გზას ახალი ცხოვრებისაკენ, ახალი სარბი-
ელისაკენ. მართალია, თავიდან, როცა საკითხი წამოიჭრა, მე მეჩვე-
ნებოდა, რომ ეს თანხა ძალზე ცოტა იყო კავალერგარდელი კნიაზი
ორბელ:^{თვის}, ან კი, სრულიად დამშვიდებულს, მიხარია, რომ ვცდებო-
დი, რომ შენი რწმენითაც და გიორგისადმი ჩემი ნდობითაც ის ძალ-
ზედ მომჭირნე და ყურადღებისანი იქნება თავის ხარჯებში. ხოლო კა-
ვალერგ: პოლკზე, როგორც გვარდ: პოლკებიდამ საუკეთესოზე, საწი-
ნააღმდეგოს ვერაფერს ვიტყვი, გარდა საქებარისა.

ჩემმა სიჭაბუქემ სიდუშჭირეში განვლო და ვუწყი, მისი ულ-
მობელი ძალა როგორ უგრესს კისერს ჭაბუქსა. ხშირად გავსულვარ
ლაშქრობაში, სამი რუბ: რომ არ მქონია, და, რა თქმა უნდა, გან-
ვიცდიდი, მაგრამ ვითმენდი; და ღმერთია მონამე, რომ ჩემში არ გა-
ჩენილა შური მდიდრებისადმი. ვითმენდი უფლის წყალობის იმედად.
თუმცა კი ბევრი ჩემი კარგი ამხანაგი სამუდამოდ დაიღუპა ხასია-
თის სიმტკიცის უქონლობითა.

რა თქმა უნდა, გიორგი ჩემზე მდიდარია, – და ეს რაღაცას
კიდევ ნიშნავს, – მაგრამ, მაინც, სულ არ ეთქმის მას მდიდარი კა-
ცი; ამიტომ ვისურვებდი, რომ მას გამჯდარი ჰქონდეს ეს ჰაზრი,
მის მდგომარეობას რომ ეხება, თავზარი არ დასცეს უქონლობამა. მაშინ არ იქნება ის გაჭირვებული, არ იქნება დამოკიდებული არა-
ვისზე. დამოკიდებულად ყოფნა ძალზე მნარე ხვედრია, მუდამ მო-
ნურ გრძნობებს რომ ჰბადებს. არც იქნება დამოკიდებული, თუკი
ის გაჰყვება ბრძნულ წესს ანგლ:^{შოსტ}, რომლებიც, რაც არ უნდა
მცირედი ჰქონდეთ, არასოდეს, არასოდეს დახარჯავენ მთელ თავის
შემოსავალს იმგვარად, რომ მარაგში არ დაიტოვონ თუნდაც სულ
მცირედი. აი, სწორედ ეს მარაგია, სასურველ დამოუკიდებლობას

რომ მისცემს ადამიანს დროთა განმავლობაში. დამოუკიდებლობა – დიდებული რამეა ცხოვრებაში: ის იფარავს კაცს მრავალ ბნელ სა-ქმეთაგან. ასე, თავის გარემოში ყველას ძალუძს იყოს დამოუკიდე-ბელი, ხარჯოს მხოლოდ იმდენი, რამდენიც გააჩნია და, ამასთანავე, გადადოს რამე მარაგად, რაც ფინანსისტების ენაზედ ცნობილია სა-რეზერვო კაპიტალის სახელით, რომლის გარეშეც თვით უმდიდრესი ბანკიც კი მალევე გაკოტრდება; სამხედროებთან მარაგს ეწოდება რეზერვი, ურომლისოდაც საბრძოლველად გასვლა, სულ ცოტა, უგუნურებაა; ინტენდანტებთან კი ეს სახელი შეიცვალა მაღაზიითა. და ჩვენი გვარი ამ მარტივ სიბრძნეს რომ მიჰყოლოდა, არ გადაშენ-დებოდა აგრე სულელურადა. აი, რისი გადაცემა მსურდა გიორგის-თვის სახელმძღვანელოდ – იმისათვის, რათა ახსოვდეს მთელი თა-ვისი სიცოცხლის განმავლობაში; ეს ერთობ უბრალო გზაა, რათა მუდამ იქონიო ფული, და აქედან გამომდ:^{შე} იყო მუდამ დამოუკიდე-ბელი, რაც, თვით ალგებრის მიხედვით, გამოდის ერთობ სწორი: ფული უდრის დამოუკიდებლობას.

გიორგის სჭირდება სერიოზული მკურნალობა, რათა ავად-მყოფიბა ქრონიკულად არ ექცეს. ეგებ საზღვარგარეთ წასვლაც კი იყოს მისთვის საჭირო? თუმცა მე მაინც არ ვუწყი, რა სჭირს მას?

მირსკები ჯანსაღად დაბრუნდნენ; გაახალგაზრდავებულებიც კი მეჩვენებიან; თუმცაკი დიმიტრი სამკურნალოდ მიემგზავრება სა-ზღვარგარეთ, მაგრამ, აი, საკირველება, ივანე მუხრ:, ხოლო, რაც მთავარია, მისი მეუღლეც მიემგზავრებიან საზღვარგარეთა!!! აბა, რა, მათთან ერთად, ლიზაც მეუღლითურთ.

ამ ზაფხულს წავეისში გავატარებ, დიდი მწუხარებით დავემ-შვიდობები ტაბახმელას საუცხოო ჰავას. სხვა გზა არ არის, სახლი ძლივსღა დგას ფეხზედ.

15 მაისს მათი უდიდ^{შე} გაემგზავრნენ: ის, ბავშვებთან ერთად, – პირდაპირ ბორჯომს, ხოლო დიდი კრიზი – იქითკენვე საზაფხუ-ლოდ ალექსანდროპოლზე შემოვლითა.

ამჟამად აქ შეიკრიბა ყველა უფროსი, ვის ხელთაც არის კავ-კასიის ბედი: ლევან მელიქოვი, პარ: საკენი, ნიკო ჭავჭავაძე, კარმალინი, ლორის მელიქოვი, როსლავლიოვი, სტაროსელსკი და ვლასტოვი.

საბრალო ნინოს უფროსი ქალიშვილი, ნატალია, 9 წლისაა, ხოლო უმცროსი, ანასტასია – 7^{სა}. ეს უკანასკნელი ახლადა იწყებს ლაპარაკს და გასაკვირი არცაა: ლეონიდისგან არც იყო მოსალოდ-ნელი უკეთესი შთამომავლობა.

ბარ: ნიკოლაი ინიშნება სახელმწ: საბჭოს წევრად და უკვე აღარ დაბრუნდება მხარეში. მე პატივსა ვცემდი მას საღი გონებისა და კეთილშობილი გულისათვის; მიყვარდა მაკა მისი სიჭაბუკისა და წრფელი გულითადობისთვის. ღმერთმა უწყის, ვიხილავ კი მათ? გკოცნით შენ და გიორგის, გფარავდეთ უფალი ღმერთი.

ძლივს დავასრულე დღეს, ანუ 19 მაისს, ეს წერილი, რომელიც გადაეცემა ჩვენს საერთო მეგობარს, ალექს: ონიკოვს, პეტერბ:^ს რომ მოემგზავრბა.

პლატონ პავლოვისადმი №1 (859)

Платону Петровичу Павлову.¹

Имею честь возвратить, с моему благодарностью, Записку, в которой излагается мое мнение, относительно введенія обще обязательной военной повинности на Кавказе.

2^{го} Июня 1875.²

Тифлис.³

პლატონ პავლოვისადმი №1 (859)

პლატონ პეტროვიჩ პავლოვს.

მაქვს პატივი, მადლიერებით დაგიბრუნოთ ბარათი, რომელშიც გადმოცემულია ჩემი მოსაზრება კავკასიაში სავალ-დებულო სამხედრო სამსახურის შემოღების შესახებ.

2^ს ივნისს 1875.

თბილისით.

ანასტასია მრგვალიან-ოკლობაშვილი №2 (860)

ჩემო საყუარელო ტასიკო! გწერ, ამ ნიშნით, რომ აქაური სიცხე ავიდა 27 გრადი, და მე ჯერ ისევ აქა ვარ, და სოფიოც ჯერ ისევ აქა იქ ლოტოობს, და ძალუა მაკრინაც ამბობს „არა შვილო, არა, ჯერ რა დროს სიცხეა?“¹ და ჩუცნცა გვჯერა და ვიმაგრებთ გულსა და ვიწმენდთ ოფლსა, საღამო-მდის შემწყვდეულნი დაბნელებულს ოთახში! ერთი არავინ გამოჩნდა, რომ გვითხრას „უბრალოდ რათ იტანჯებით?“ მაგრამ, ხომ მოგეხსენება, ასეა ეს წყეული ქალაქი: მითომ საქმე-ები გუაქუს, მითომ რაღასაც ვაკეთებთ. აი, შენის ქმრისა არ იყოს: სუამს ესენდუკის წყალსა და დადის, დადის; ივან დმიტრევიჩ, პისტორი, ჟანტი, არა არ მოგეხსენება; და სუყველანი ვეძებთ მიზეზებს, რომ როგორმე დავრჩეთ ქალაქში კიდევ ორიოდ დღეს.

მოგხსენდებოდა, აიყარნენ აპარინიანნი, მირსკიანნი, შვილის შვილისშვილებით, ძიძებით, გამდლებით, კრუხებით და გადასახლდენ ბორჯომს, და სამმა ვალონმა² რკინის გზაზე ძლივს ასწიეს და წაიღეს ესოდენი ხალხი, რომელთა წივილკივილით აივსო ბორჯომის ხეობა. იმ დროსვე ვნახე, რკინის გზით მიმავალი, მაიკო,³ კნეინა ამილახვრისა, გულ-ჩამკუდარი ქალაქისაგან მოშორებითა. მეც შევჰქმდება, მაიკო, პოტაშჩილიო, პოტაშჩილიო, ვაი ამ სოფლიდამ გამოკლებულსა და დაკარგულსა!! მეტის სიმწარით გაეცინა საბრალოსა.

ზაქარია ჭავჭა: სახლობით წავიდა პიატიგორსკსა; ირაკლიანნი და ასტაჭივნი, ჩუცნსავით ჯერ ემზადებიან და ისევ აქ არიან.

(„)მტკურის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,⁴

სუფრა გაშლით, დამხუდნენ იქ დარდიმანდნი.“

დიმ: ონიკოვის დარდები.⁵

ამისწინად შევიყარენით სულ ყმანილკაცები, მე, ჩილაევი, გიორგი მუხრანსკი, შახავსკო, მირსკი, ლევან, ისაკ, ჯორჯაძე, სულთან-გირეი, სოსიკო, აღალაროვი, სტაროსელსკი, და წავედით საღამოზე ორთაჭალას და მტკურის პირზე ჩავსხედით ზურნით, ჭიანურ-თარით, და ლაზათიანის მომღერლითა, და იყო ჰაერი მშვენიერი, ღამე მთვარიანი. ამ დროს, სად იყო, სად არ იყო, წამოვიდა ერთი ნავი დასტითა, და სწორედ ჩუმში პირდაპირ შუამტკუარზე დადგა. – მოთავემ დაიძახა, წმინდა სანთლები აანთეთ! და აენთო ნავის გარეშე წმინდა სანთლები ჩირალდნად! დაიძახა, გაშალეთ სუფრა! და გაიშალა სუფრა. მოართვეს მოთავეს თეფში ოთხის სტაქნებით, და დალია ოთხივე დიდის მოხდენით; მერე თითონ აავსო ოთხივე და ჩაურიგა რიგზე ყველას ოთხოთხი და ამით გა-ჩაღდა ლხინი, ჩუმში აქედამ, იმათი – შუამტკურიდამ. – გა-მოჩნდა, რომ ნავის ადმირალი იყო კუნძუას⁶ ძმა, ყასაბი.. – შუა ლხინში რომ შევიდნენ, დაიძახა ადმირალმა – ასე დავარქვით მოთავეს – ახლა მწუადი მოვიდეს! ამ სიტყუაზე, ერთი ნავიდამ გადმოვიდა მალაუსა, ჯერ ჩაიღუპა და მერე მძოვარით ამოვიდა, მოუსვა ვეება მელავები და გამოვიდა ტიტველა⁷ მიკიტნის დუქანთან, საიდამაც ცხელ-ცხელი შამფურები პუტნალალით გაიტანა ნავში, და შეიქნა ახალი ჩამორიგება ოთხოთხის სტაქნებისა ერთად. ჩუმშის საზანდრების სიმღერაზე ისინი ძალიან იხრაკებოდნენ და ხშირად იძახოდნენ „ერთი კიდევ გეთაყვა!⁸ ჯანუმ, გოზუმ!“ დიდის სიამოვნებით უყურებდა შახავსკო იმათ დარბაისლობით შექცევას. – პირველს საათზე ჩუმში აქედამ ავიყარენით, და იქიდამაც იმათი ნავი ნელნელა ცურვით წავიდა ზევით ხიდისაკენ.

იყო ორჯელ ქართული თეატრი; ერთხელ დიახ კარგად ითამაშეს გადმოთარგმნილი მოლიერის სკაპენ,⁹ და მეორედკი დიახ ცუდად, ყვარყვარე,¹⁰ ქართულის ისტორიიდამ.

საღამ-საღამოდ დავდივართ ხან ლეტნის თეატრის კონცერტში, ხან კრუუოკში, და ზოგჯერ მონპლეზირსა; ამის გარდა ლევანისას ვჰკოზირობთ იარაღაშსა და ასე ვატარებთ დროსა. მახლაზ, ჩუმში ამჟამად სიცოცხლე არის ღამით.

მოვიდა დიმიტრი ორბელიანი და გუშინ ვიყავით ერთად სადილად ირაკლისას, რომელიცა ეხლა არის ძალიან მოხედვით.

მოვიდა ვიღაცა კნეინა ლოლიცინა ლამაზის ქალითა, საქართველოს სანახავად.

ამ თვის ოცამდის მეც ავალ წავკის; მეტს ვეღარ მოვითმენ, თორემ არ წავიდოდი.

შენი შვილები ჩამიკოცნე კარგად, ლაზათიანად.

Расцалуй мою Тетушку Сашу и Запрети носить черное платье. Поцалуй За меня Вано и да Благословит всех вас Господь Бог!**

შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი

13 იЮНЯ 1875

Тифლის¹¹

К: Дмитрий выезжает За Границу лечиться.***

შენი ქმარი დღეს აბანოში ბძანდებოდა.

[გვერდის ზედა ნაწილში უკულმა ავტორის მინაწერია:]

ვანოს უთხარ, რომ თავის ამბავი მომწეროს დაწვრილებით.

* ივან დიმიტრიევიჩ, მოიცადეთ. არა, არა, არ შემიძლიან, წყალს ვსვაბ.

** ჩამიკოცნე ჩემი ძალუა საშა და აუკრძალე შავი კაბის ტარება. ჩემ მაგივრად აკოცე ვანოს და უფალმა ლმერთმა დაგლოცოთ ყველა!

*** თ: დიმიტრი მიემგზარვება საზღვრგარეთ სამკურნალოდ.

პარტარე პაგრაფითობ-მრჩევიანისადმი №70 (861)

26^{го} Июня 1875 г: Тифлис.¹

Что стобою, моя матушка, мой друг Варвара? Последнее твое письмо удивляет меня, ясно выказывая какоето тревожное состояніе твоего духа. И чего я там ненашел: и глубокое сожаленіе о том, что по изменившимся обстоятельствам, приходится тебе изменить прежній свой План, относительно определенія Георгія вместо Кавалерг: Полка в Лейб Гус^{ій}; и прежде дать тебе взаймы² деньги; и намёки на какіето воображаемыя недостатки, будьтобы подмеченные мною в Георгіе и пр: и пр:.

Господь с тобою! Впервых,³ я невижу особенной беды, если измененіе твоего Плана доставит Георгію некоторую выгоду по службе, и такие Планы изменяются по совершенно неожиданным обстоятельством! Притом Команд: ЛейбГу: Полка Мейнддорф, человек умный, с добрым сердцем, ктомуже хорошо нам знакомый; надеюсь, не без удовольствія, пріймет он в полк Георгія, которому, втоже время, будет и лучшим наставником, что весьма важно для всякаго вначале вступленія на Службу. К чёмуже тут сожаленіе о Плане?

Второе,⁴ могу тебя уверить и притом успокойть твое, не кстатьи, взволнованное чувство материнской любви, что я искренно люблю Георгія, как за благородство его характера, так и за горячее стремленіе подготовить себя Наукою, чтоб, впоследствіи, стать в числе образованных деятелей напользу Государст: и обществен: службе. Да и Георгій неподавал мне повода думать о нем иначе; и я непостигаю этой напраслины которую насильно навязываешь мне. Во многих моих письмах ты увидаишь одну и туже мысль, которую выражают и теперь, а именно: чрезвычайно трудно жить молодому небогатому человеку в кругу богатых товарищ, в столице, полной обольщений. Следует ли из этого заключить, что я нахожу какіето воображаемые не-

достатки в Георгія? Напротив, я всегда был убежден, что он вполне достойн твоих неусыпных попечений к его воспитанию и образованію.

Но что всего непонятнее для меня, так это твоя просьба, чтоб я дал тебе деньги взаймы!!!⁵ Как ты думаешь об этом, моя матушка, хороша просьба? Яже думаю, что ты несовсем еще узнала меня, несовсем еще убедилась, что я – нечужой Георгію. Я необижаюсь, потому что обидеть меня трудно. Этого мало, обещаешься возвратить мне деньги чрез 6 лет!!! Матушка, что всё это значит? Да, наконец, убежденали, что я – Юпитер бессмертный? Ну, допустим даже, что я проживу еще 6 лет; к чему же, мне тогда деньги?

Очевидно, это письмо написано тобою под вліяніем сильной душевной скорьби, причину которой нетрудно объяснить: Георгій болен; да будет проклят Петерб: климат! Ради Бога, бросай все, и Кавалергар:; и, ЛейбГус:, и, без потери времени, лети в Ванны, или куда укажут венскіе Доктора. Ты пишешь, у Георгія лихорадка, боль в груди, опухоль в печени. Что же еще остается из организма неповрежденным? Прежде всего возстанови его здоровье, и ежели непомогут воды, бросай все, пріезжай сюда, родной климат все исправит. Счастіе человека живет и вне военной службе. Будь только тверда духом, уповая на всевышняго.

[...] т: р:, да пред этим отправил 300; остальные дошли по том; до того же времени обойдись какнибудь.³ Это слово в России имеет великое значение. Посылая, я надеюсь, ты здерзиши слово и возвратишь долг чрез 6 лет непременно мне живому,⁴ иначе, если прекратиться моя жизнь, – теперь же обзываю, – я подам Мировому Судье жалобу натебя, нарушительнице контракт: условія.

Здесь идут безпрерывные дожди; температура, поднявшаяся до 27 гр:, опустилась на 14 гр: – Жители Боржома и Коджора, отуманенные,⁵ начинают топить печи. Я еще в Тифлисе.

Леван уехал сегодня в Шуру с тремя сыновьями, которые окончили курс в Гимназии, и в Августе он привезет в Петербург: на экзамены в Университет. Славные мальчики, очень нравственные и с хорошими способностями.

Целую тебя и Георгия и да защитит вас Господь Бог!

პარბარე პაზრატიონ-ორგელიანისადმი №70 (861)

26^ს ივნისს 1875 წ: თბილისი.

რა გჭირს, ჩემო დედილო, ჩემო მეგობარო ვარვარა? შენი ბოლო წერილი მაოცებს, რადგან მასში ნათლად ჩანს შეშფოთებული მდგომარეობა შენი სულისა. და რა არ ამოვიკითხე მასში: ლრმა სინანული იმაზე, რომ ვითარების შეცვლა გაიძულებს, უარი თქვა შენს ადრინდელ გეგმაზე გიორგის საკითხთან დაკავშირებით, რომ კავალერგარ: პოლკის ნაცვლად ის შესულიყო ლეიბგუს; და შენი თხოვნა, რომ გასესხო ფული: გადაკრული სიტყვები რაღაც ნაკლიე, რომელიც თითქოსდა მე შევნიშნე გიორგიში. და ა. შ. და ა. შ.

ღმერთი იყოს შენთან! ჯერ ერთი, მე ვერ ვხედავ ვერავითარ უბედურებას იმაში, თუკი შენი გეგმის შეცვლა გიორგის მოუტანს გარკვეულ სარგებელს სამსახურში და ასეთი გეგმები იცვლება სრულიად მოულოდნელი გარემოებების გამო! ამასთანავე, ლეიბგუს: -ის პოლკის მეთ: მეინდორფი გონიერი და გულკეთილი ადამიანია, თანაც, ჩვენთვის ახლო ნაცნობი; ვიმედოვნებ, რომ სიამოვნებით მიიღებს პოლკში გიორგის და, ამავე დროს, მისთვის კარგი დამრიგებელიც იქნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც პირველად იწყებს სამსახურს. და რაღა სადარდებელია გეგმის შეცვლა?

მეორე: შემიძლია დაგარნებუნო და, ამავე დროს, დავამშვიდო დედობრივი სიყვარულით უმიზეზოდ აფორიაქებული შენი გული, რომ მე გულწრფელად მიყვარს გიორგი როგორც მისი კეთილშობილი ხასიათის, ისე მეცნიერული განათლებისკენ მხურვალე მისწრაფების გამო, რათა მომავალში ჩადგეს სახელმწ: და საზოგად: სამსახურის სასარგებლოდ მოღვაწე განათლებულ ადამიანთა რიგებში. და გიორგის არც მოუცია მიზეზი, რომ მასზე სხვანაირად მეფიქრა; მე ვერ ვჰვდები ამ ცილისნამების აზრს, რომელსაც ნაძალადევად მახვევ

თავს. ბევრ ჩემს წერილში შენ დაინახავ ერთსა და იმავე აზრს, რომელსაც ახლაც გამოვთქვამ, კერძოდ: ღარიბი ახალგაზრდა კაცის-თვის ძალიან ძნელია მდიდარ ამხანაგთა წრეში ცხოვრება ცდუნებებით სავსე დედაქალაქში. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ რაღაც წარმოსახვით ნაკლს ვხედავ გიორგიში? პირიქით, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ის სავსებით იმსახურებს შენ მიერ გაწეულ თავ-დადებულ ზრუნვას მის აღზრდასა და განათლებაზე.

მაგრამ ჩემთვის ყველაზე მეტად გაუგებარია შენი თხოვნა, რომ ფული გასესხო!!! რას ფიქრობ ამაზე, ჩემი დედილო, ეს რა თხოვნაა? მე კი ვფიქრობ, რომ შენ ჯერ კიდევ ვერ გამიცანი, ბოლომდე ვერ დარწმუნდი, რომ მე უცხო არა ვარ გიორგისთვის. არ მწყინს იმიტომ, რომ ჩემი წყენინება ძნელია. ეს ცოტაა. მპირდები, რომ ფულს 6 წელიწადში დამიბრუნებ!!! დედილო, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? დაბოლოს, დარწმუნებული ხარ, რომ მე უკვდავი იუ-პიტერი ვარ? კარგი, დავუშვათ, რომ 6 წელიწადს კიდევ ვიცოცხლებ. რაღად მინდა მაშინ ფული?

ალბათ, ეს წერილი შენი დიდი სულიერი მღელვარების დროს არის დაწერილი, რისი მიზეზის გამოცნობაც ძნელი არ არის: გიორგი ავად არის, ღმერთმა დაწყევლოს პეტერ: კლიმატი! ღვთის გულისათვის, მოეშვი ყველაფერს, კავალერგარდსაც და ლეიბგუჟარსაც და დროის დაუკარგავად გაფრინდი აბაზანებზე, ანდა, სადაც ვენების ექიმები გიორგივენ. მწერ, რომ გიორგის აქვს ციებ-ცხელება, ტკივილი მკერდში, ღვიძლში სიმსივნე, რაღა რჩება ორგანიზმში დაუზიანებელი? უპირველეს ყოვლისა, აღუდგინე ჯანმრთელობა და, თუ წყლები არ უშველის, მიატოვე ყველაფერი, აქ ჩამოდი, მშობლიური კლიმატი ყველაფერს გამოასწორებს. ადამიანის ბედნიერება სამხედრო სამსახურის გარეშეც არსებობს. შენ ოღონდ მედგრად იყავი სულით და მიენდე უზენაესს.

[...] ათ. რ. მაგის წინ გამოგიგზავნე 300; დანარჩენს მერე გამოგიგზავნი; მანამდე კი როგორმე იოლად გადი. ამ სიტყვას რუსეთში დიდი მნიშვნელობა აქვს. გიგზავნი რა, იმედი მაქვს, შეასრულებ შენს სიტყვას და 6 წლის შემდეგ დამიბრუნებ ვალს, აუცილებლად ცოცხალს, მაგრამ თუ ჩემი სიცოცხლე შეწყდება, – ახლავე ვაცხადებ, რომ მომრიგებელ მოსამართლესთან გიჩივლებ, როგორც კონტრ: პირობების დამრიგევს.

აქ გადაულებლად წვიმს, ტემპერატურა, რომელიც 27 გრ:- მდე უნევდა, 14 გრ:- მდე დაეცა. – ბორჯომისა და კოჯორის მცხოვ-

რებლები, გონებაარეულები, ღუმლების დანთებას იწყებენ. მე ისევ თბილისში ვარ.

ლევანი დღეს შურაში წავიდა თავის სამ ვაჟიშვილთან ერთად, რომლებმაც დაასრულეს გიმნაზიის კურსი, და აგვისტოში მათ წაიყვანს პეტერბურგის უნივერსიტეტში გამოცდებისთვის. კარგი ბიჭები არიან, ძალიან ზნეობრივები და ნიჭიერები.

გკოცნით შენ და გიორგის და გფარავდეთ უფალი ღმერთი!

ოლქა პადენელ-რომანოვისადმი №2 (862)

В Боржом
Ея Императорскому Высочеству Государыне
Великой Княгине Ольге Феодоровне.

С Чувством Глубочайшаго уваженія, поздравляя ваше Высоч.^{бо} с тезаименитством, молю Бога, да низпошлет Он Свое благословленіе на Вас и ваше Августейшее Семейство.

Печален дух мой, что старость лишает меня силы и счастія, лично выразить Вам чувство моей чистейшей преданности.

1875 Іюля 11 дня Тифлис.

ოლქა პადენელ-რომანოვისადმი №2 (862)

ბორჯომს
მის საიმპერატორო უდიდებულესობას, ხელმწიფას,
დიდ კნიაგინა ოლქა თეოდოროვნას.

ღრმა პატივისცემის გრძნობით ვულოცავ თქვენს უდიდებ:^ჭ სახელობის დღეს და შევთხოვ ღმერთს, მოგმადლოთ თავისი ლოცვა-კურთხევა თქვენ და თქვენს უავგუსტეს ოჯახს.

ვწუხვარ, რომ სიბერე არ მაძლევს ძალას და ბედნიერებას, პირადად გამოგიხატოთ ჩემი ჭეშმარიტი ერთგულების გრძნობა.

1875 ივლისის 11 თბილისით.

ოლღა გადეცელ-რომანოვისადმი №3 (863)

Ея император: Высоч.^{въ} Госуд: В^{оій} Княгине
Ольге Феодоровне.

Глубоко радуюсь, поздравляя ваше Высоч.^{въ} с днем рождения Ея Высочества Великой Княжны Анастасии Михайловны, разцветающейся розы на радость Августейших родителей.

[1875 ნოემბრის 11 ივლისი]

ოლღა გადეცელ-რომანოვისადმი №3 (863)

მის საიმპერატ: უდიდებულ:^{ას}, ხელმწიფ: დიდ კნიაგინიას ოლღა თეოდოროვნას.

დიდად ვხარობ, გილოცავთ რა მისი უდიდებ:^{ას}, უავგუსტესი მშობლების სასიხარულოდ გაფურჩქინილი ვარდის, ანასტასია მიხაილოვნას, დაბადების დღეს.

[1875 ნოემბრის 11 ივლისი]

ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორგანიანისადმი¹

№130 (864)

ჩემო ძალუავ ქეთევან! აი ახლა ქალაქშიაც სრულებით აგრილდა: წვიმაც მოვიდა, მთვარეც ენკენისთვისა დაიბადა, აგვისტოც ხომ ანგარიშში არ ჩავარდება, და რაღა საჭიროა სოფლის წმინდად გაპენტილი ჰერი; ამასთანა ბალ-ბალ ჩასე-ირნება მაგაზიენებისაკენ, ზოგიერთებისა გვერდზე შლიაპის დახურვა, მართლად დიდს სიამოვნებას აძლევს, თუ ცოტა ნა-ზის კოჭლობითაც ქოლგაზე დაბჯენით, მილახლახებს, – მე-ტად მოსახლენიც არის.

ჩუმი აქ წავკისში ვგდივართ თვლემაში, და თუ ხანდა-სან ვინმე მოწყალებას მოიღებს² და ამოდის აქ ქალაქიდამ, მაშინკი დილიდამ საღამომდის ვეოზირობთ, და საღამოთი მი-სუსტებულნი, მე აქვე მივიძინებ მეცხრე საათზე, და სტუმრე-ბი ისევ თბილისისაკენ მორბიან ძალისა და ღონის მისაღებე-ლად.

ნეტავი თქუმი, რომ არ მოშორდით ქალაქსა და აღ-სრულდა გულითადი სურვილი თქუმი; ნეტავი თქუმი, რომ ხართ მაგ უზომოს სიხარულში და არა ჰერძნიბთ არცა სი-ცხესა, არცა მტვერსა! და ანუ რა არის სიცხე, მტვერი, ოფლი და მის სუნი, თუკი გულს უხარიან? მართალია, ბედნიერები-სათვს ბევრს რასმეს მოითმენს კაცი.

დიდად მაღლობელნი უნდა იყუნეთ აპოლლონისა; ეგ რომ არ დაჭრილ იყო, ხომ მოაკლდებოდით ეგოდენს სიხა-რულსა ქალაქში ყოფნით? ტასო ამბობს, „(„)ნეტავი³ მეორე ტყვიაც მოხვედროდაო, უფრო აღარსად გავიდოდით ქალაქი-დამაო.“ ასე მიამბო ისაკმა გუშინ, ესეიგი ფერისცვალობას.

მაინც და მაინც, როგორ არის აპოლლონ? როგორც მესმის, კიდეც მორჩენილა; მაშ როგორი დაჭრილობაა.

ყაფლან სიყუარულით მომიკითხეთ, ეგრეთვე ძალუა მაკრინე და მაიკო.

თქუცინი მარადის ერთგული თ⁴ გრიგოლ ორბელიანი

7^ს აგვისტოს 1875.

წავკისით.⁴

მომირთმევია სამი თუმანი.

ეს წიგნი გუშინ ვერ გამოვგზავნე, დამავიწყდა. საღამო-ზე თქვენი წიგნიც მომივიდა, და ვარინჯას ტელეგრამაც, გი-ორგის მოსვლია აფიცრობა.

8^ს აგვისტოს.⁵

[კონვერტის წინა მხარეს წერია:]

ლთით⁶

ეს წიგნი მიერთოს მდაბლად,

კნეინას ქეთევანს დიმიტრის ასულს,
ორბელიანისას,⁷

მთაში, ბარში, ბათუმში, ახალციხეს, პარიჟ-ვენაში⁸

ანუ

სადაცა იმყოფებოდეს.⁹

ჩეთევან ალექსი-გესებვილ-ორბელიანისადმი

№131 (865)

ჩემო ძალუავ ქეთევან! შენგან გამოვგზავნილი ნესვი მო-
მივიდა, მაგრამ არ ვარგოდა; მომივიდა საზამთრო, ისიც ნეს-
ვ(ზ)ე¹ უარესი იყო. ეს არაფერი: ნესვი რა არის, საზამთრო
რა არის? სიტყუა არის ხსოვნა, რომ მომიგონე მე, ობოლი,
ოხერ-ტიალი, ცოლი არა, შვილი, არა, უდაბურს წავკისში გა-
დავარდნილი, გადაყრუებული! აბა, სიტყუა ეს არის,
ვჰებრძნობ და გმადლობ გულით, სულით. –

დღეს იყუნენ ჩემთან სადილად გიორგი მუხრანსკი, გულევიჩი, ჯორჯაძე, შერვაშიძე, დოხტორ მრევლოვი; ძალი-ან დიდი წვიმა იყო და კარგათაც აცივდა, მაგრამ მაინც კი-დევ ვზაფხულობთ და გულს ვიმაგრებთ.

ყაფლან, თქვენ თითონ, ჩემ მაგიერ მოიკითხეთ, ეგრეთ-ვე ტასოცა და აპოლონცა. – აპოლლონ დიდი მხდალი ყოფილა: ზარბაზნის ტყვია რომ მოხვედროდა, რაღას იქმოდა; ეტყობა, რომ ტასოს ბიძაშვილი ყოფილა.

თქვენი მარადის ერთგული
თ² გრიგოლი

15^ს აგვის: 1875.
ნავკისით.³

გრიგოლ გაგრატიონ-გრუზინსკისადგი №1 (866)

11^{го} Сент: 1875. В Москву

Светл: Князю Григорию Ильичу Грузинскому.¹

Порученіе ваше я исполнил в тот же день, тем с большею готовностью, что самое дело было достойно вашего высокого происхождения, и по великодушію, и по христіанской любви к ближнему. Я искренно радуюсь, видя в вас, по возвышенным чувствам – достойного сына глубокоуважаемых ваших родителей. Бог видит не только дела добрая, честныя, но и намереніе. Жизнь коротка – спешите делать добро.

Присланныя вами 500 р.² переданы по принадлежности Левану Сардж(в)еладзе³ и расписка его при этом прилагается.

Письмо ваше живо напомнило мне давно ушедшіе года, и моей жизни, и вашей тогда еще разцветавшейся юности. Теперь,

я уже состарелся, хорошо ознакомившись совсеми прелестями старческой жизни: зреніе слабеет, зубы растерялись, ноги не слушаются, память изменяет, словом, мало по малу разрушаюсь, приближаясь к концу Земной жизни, но, без болезни, уповая на Милость Создателя, прощающего грехи и заблужденія безумных лет молодости.

Тифлис растет, цветет, ежегодно украшается новыми великолепными зданіями; только наш дом, как дом старого истаго Консерватора, остается в томже виде, не изменяясь. Теже, знакомыя вам, комнаты, тот же балкон, на котором бедная Вера³ любила, в лунныя ночи, сидеть и слушать дальние звуки Зурны, или Саламури,⁴ а Лиза,⁵ веселая, умная, беспечно распевала своим звонким голосом. Да, я их любил искренно за их чистоту Сердечную. Для меня дорог, по воспоминаніям, этот старый, незвратный дом, в котором жили и умерли мои родители, мои братья, и, признаюсь, для меня былобы невыносимо его обновленіе.

В Тифлисе – Опера, Кружок, Тифл: Собраніе, Англ: Клуб, и здешная молодежь весело проводит время. Железная дорога дошла до Владикавказа, а с другой стороны от Поти до Тифлиса, и есть надежда, что в скором времени протянется до Баку, и таким образом, через два, три года, Черное и Каспійское моря свяжутся железною дорогою. Боржом и Коджори превратились в небольшие летные, красивые города. Так, Грузія безостановочно идет вперед, развиваясь, и материально, и умственно.

Недавно я получил письмо от Варинки из Виши; куда она пріехала лечить ЛейбГусара Георгія тамошними водами. В Тифлис пріехал ЛейбКазак Сумбатов, сын Кетоши,⁶ очень симпатичный молодой человек. Так, появляется уже новое, юное поколеніе, – будущіе преобразователи и защитники Края.

Ираклій Грузинский полтора года болен, и Доктора немогут залечить открывшуюся у него в боку рану. Изумительны его могучая, физическая сила и терпение, с которым он переносит

эту болезнь. Его семейство вполне достойно того великагоуваженія, которое оказывается ему здешним населеніем.

Вел: Кн: Наместник выехал с Август: своим семейством в Крым.

Недавно сканчалась здесь известная красавица своего времени, блестевшая замечательным умом, Кн.^а Варвара Кобулова.⁷ Она, первая, решилась отвергнуть кошеби⁸ и надеть башмаки! Старая Грузія, в своем негодованіи, долго шумела противу ея за этот неслыханный Либерализм, страшно разрушавшій основы нравственности. Теперь же, увы, в Тифлисе женское Грузинс: Платье – большая редкость. Так, в міре всѣ подвержено Закону превращенія, измененія.

Я так рад случаю говорить с вами, что не замечаю скучную длинность этого письма. Но, вспомните, с тех пор, как мы растались, прошли более 20 лет: простительно заговориться.

Будьте здоровы, а счастіе придет самособой; незабывайте искренно вам преданнаго. — —

Что вы так крепко заселились в белокаменной Москве? Разве незнаете, что жить можно только в Грузіи, стране Богом благословленной, и красотою природы, и живительным воздухом, и богатством производительной Земли. Возвращайтесь в страну отцов ваших и останетесь мне благодарны за Совет.

გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკისადმი №1 (866)

11^ს სექტ: 1875. მოსკოვს

უნმინდ: კნიაზს გრიგოლ ილიჩ გრუზინსკის.

თქვენი დავალება აღვასრულე იმავე დღეს მით უფრო დიდის მზადყოფნით, რომ თავად საქმე შეეფერებოდა თქვენს კეთილმო-

ბილ წარმომავლობას – სულგრძელობითაც და მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარულითაც. გულწრფელად ვხარობ, ოდეს გხედავთ თქვენ, აღსავსეს ამაღლებული გრძნობებით – ღირსეულ ძეს ღრმად პატივცემული თქვენი მშობლებისას. ღმერთი ხედავს არა მხოლოდ კეთილ, პატიოსან საქმეებს, არამედ ზრახვასაც. სიცოცხლე ხანმოკლეა – იჩქარეთ სიკეთის ქმნა.

თქვენი გამოგზავნილი 500 რ: დანიშნულებისამებრ გადაეცა ლევან სარჯ(ვ)ელაძეს და მისი ხელწერილიც მაქვს.

თქვენმა წერილმა ცხადად გამახსენა დიდი ხნის გარდასული წლები ჩემი ცხოვრებისაც და თქვენი მაშინდელი ჯერ კიდევ მჩქეფარე სიჭაბუკისაც. დავბრდი უკვე, კარგად გავეცან სიბერის ყველა მშვენიერებას: მხედველობა მიქვეითდება, კბილები დამცვივდა, ფეხები არ მემორჩილება, მეხსიერება მღალატობს, მოკლედ, ნელნელა ვიშლები და მიწიერი სიცოცხლის დასასრულს ვუახლოვდები, მაგრამ ავადმყოფობის გარეშე, უფლის წყალობის იმედად, სიჭაბუკისდროინდელი უგუნური წლების ცოდვებსა და შეცდომებს რომ გვპატიობს.

თბილისი იზრდება, ყვავის, ყოველ წელს იმკობა ახალი, დიდებული ნაგებობებით; მხოლოდ ჩვენი სახლი, ვითარცა სახლი ჭეშმარიტი მოხუცი კონსერვატორისა, რჩება იმგვარივე, არ იცვლება. იგივე თქვენთვის ნაცნობი ოთახები, იგივე აივანი, რომელზედაც საბრალო ვერას უყვარდა მთვარიან ლამებში ჯდომა და ყურისგადება ზურნის შორეული ხმისთვის ან სალამურისთვის, ლიზა კი, მხიარული, ჭკვანი, უდარდელად მღეროდა თავისი წკრიალა ხმითა. დიახ, მე ისინი გულწრფელად მიყვარდნენ მათი გულის სიწმინდის გამო. ჩემთვის, ჩემს მოგონებებში, ძვირფასია ეს ძველი, აუნაზღაურებელი სახლი, რომელშიაც იცხოვრეს და გარდაიცვალნენ ჩემი მშობლები, ძმები და, გამოგიტყვდებით, ჩემთვის აუტანელი იქნებოდა მისი განახლება.

თბილისში გვაქვს ოპერა, წრე, თბილ: შეკრება, ანგლ: კლუბი და აქაურ ახალგაზრდობას მხიარულად გაჰყავს დრო. რეინიგზა მივიდა ვლადიკავკაზამდინ, მეორე მხრიდამ კი – ფოთიდამ თბილისამდინ, და არის იმედი, რომ მაღე ბაქომდინაც მიაღწევს და, ამგვარად, ორი-სამი წლის შემდეგ შავი და კასპიის ზღვები შეერთდებიან რკინიგზითა. ბორჯომი და კოჯორი გარდაიქცნენ მომცრო, საზაფხულო ლამაზ ქალაქებად. ასე, საქართველო შეუჩერებლად მიდის წინ, ვითარდება მატერიალურადაც, გონებრივადაც.

ახლახანს ვარინებას წერილი მივიღე ვიშიდამ, სადაც ის ჩავიდა, რათა იქაური წყლებით უმკურნალოს ლეიბგუსარ გიორგისა. თბილის ჩამოვიდა ლეიბგაზაკი სუმბათოვი, ქეთოშას ვაჟი, ძალზედ სიმპათიური ახალგაზრდა კაცი. ასე, ჩნდება ახალი, ჭაბუკი თაობა – ამ მხარის მომავალი გარდამქმნელი და დამცველი.

ირაკლი გრუზინსკი, წელინადნახევარია, ავადაა და ექიმებს არ ძალუძთ მოუშუშონ გვერდში გახსნილი ჭრილობა. გამაონებელია მისი ფიზიკური სიძლიერე და მოთმინება, რითაც მას გადააქვს ეს ავადმყოფობა. მისი ოჯახი სრულად იმსახურებს იმ დიდ პატივისცემას, რომელსაც მის მიმართ გამოხატავს აქაური მოსახლეობა.

დიდი კნ: მეფისნაცვალი აგვ:-დან ოჯახითურთ გაემგზავრა ყირიმს.

ამასწინათ აქ გარდაიცვალა თავისი დროის ცნობილი ლამაზმანი, შესანიშნავი გონებით რომ ბრწყინავდა – კნ:^{მა} ვარვარა ქობულოვა. მან პირველმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ქოშებზედ და ჩაეცვა ბაშმაკები! ქველი საქართველო, ალმფონთებული, დიდხანს ხმაურობდა მისი ამ გაუგონარი ლიბერალიზმის გამო, მორალური საფუძვლების საშინელი ნგრევა რომ გამოიწვია. ან კი, ვაგლახ, დიდი იშვიათობალა თბილისში ქალის ქართ: კაბა. ასე, სამყაროში ყოველი ვე ემორჩილება გარდაქმნის, ცვლილების კანონსა.

მე ისე მახარებს თქვენთან საუბრის შესაძლებლობა, რომ ვერც ვამჩნევ, მოსაწყენად გრძელი რომ გამომდის ეს წერილი. მაგრამ გაიხსენეთ, მას შემდეგ, რაც მე და თქვენ დავშორდით, განვლო 20 წელიწადზე მეტმა: გვეპატიება სიტყვის გაგრძელება.

იყავით ჯანმრთელი, ბედნიერება კი თავისით მოვა; ნუ დაივიწყებთ გულწრფელად თქვენს ერთგულს. – –

რატომ დამკვიდრდით ასე საფუძვლიანად თეთრი ქვით ნაგებ მოსკოვში? განა არ უწყით, რომ ცხოვრება შეიძლება მხოლოდ საქართველოში, ლვთით ნაკურთხ ქვეყანაში, ბუნების სილამაზეც რომ ნაბოძები აქვს, მაცოცხლებელი ჰაერიც და ნაყოფით მდიდარი მიწებიცა. დაბრუნდით თქვენს მამაპაპეულ მხარეში და მადლობელი დამრჩებით ამ რჩევისათვის.

სოფიო ერისთავ-ორგანიანისადმი №6 (867)

15^ს სეკდემ: 1875. თბილისი¹

ჩემო საყუარელო დაო-რძალო სოფიო! სიხარულით გი-ლოცავ მშვიდობით მოსვლასა ქართლ-საქრისტიანოში; მაგრამ უფრო მაშინ ვიქები ბედნიერ, როცა ივანესაც აქ ვიხილავ გულ-მოსვენებით დაბინაებულსა. განა ვინდა ვართ ამ ქუცყანაში, რომ ჩუცნცა ვიყუნეთ ასე განშორებული და ანუ როდემდის? – მეტადრე, ამ შემთხუცვაში, მე ვარ სიბერის დროს შესაბრალისი მარტო მყოფობით ჩუცნს დაობლებულს, დაყრუებულს ქუჩაში. იმედი მქონდა, რომ ქალაქზე გამოივლიდი და გნახავდი, და აბა, ახლა რა ვჰქნა, როგორ გნახო? მე ტანტალი აღარ შემიძლიან, და აღარცალა სხუა რამე!... ფეხები აღარ მომდევენ, კბილები სადღაც დამეფანტნენ, თვალებიც კარგად ვეღარ ჰქედუცნ, ერთის სიტყვით, ნელნელა მიმოკლდება გზა სიცოცხლისა, და ჰააა, სადაც არის, დაბოლოვდებაცა, ამინ. და აი, ამ შემთხუცვაში, რა ითქმის: „იყო კაცი და სახელი მისი, ... რათ გინდა რომ ვჰქსთქუა? – და ჰსცხოვრებდა იგი ქუცყანაზე ესრეთ: ჰსჭამდა, ჰ....ვდა, ეძინა, და ამყოფით განატარა სამოცი წელი. მერე, ერთხელ კიდევ ჭამისა და ისა ... შემდეგ, როცა ჩუცულებრივ დაიძინა,...² მიიძინა საუკუნოდ. და წაასვერეს იგი გოდებითა და გალობითა ვერაზე,³ და ჩაფლეს მიწაში ღრმად, და ამით დასრულდა სიცოცხლეცა და სახსენებელიცა მისი ქუცყანაზე!“ ნუთუ მართლად ეს არის სიცოცხლე კაცისა? – მაგრამ ჰსჯობს, ამგუარს უადგილოს ფიქრსა თავი დავანებოთ.

მოვიდა საშა მელიქ..⁴ თავის ლამაზის ქალითა, დედა ბედნიერი შვილებითა; დიდად მიამა ხილვა მისი; არ შეცულილა არცა გულითა, არცა სახითა.

მოგხსენდებოდათ, რომ გარდაიცუალა ბარბარე კნეი: ქიბულოვისა, ოდესმე მშვენიერი, და მარადის გონიერი, და სავსე ზრდილობითა. ეს იყო პირუცლი, რლშანცა⁵ უარჲყო

ქოშები⁶ და ჩაიცუა ბაშმაკები.⁷ მაშინ, ძველმა საქართველომ შეჰქნა ხმა-მაღლივ ლალადისი ყველრებისა ესრეთის შერყევი-სათვს ზნეობისა! და ეხლაკი იშვიათად იპოებალა საქართვე-ლოში ქართული ტანისამოსი ქალისა, თუ კაცისა. ჰეი საწყა-ლო, გზა-დაკარგულო საქართველოვ, დაბრმავებით მეტად ჩაფლულო უგუნურების სიღრმეში! ასე გაშინჯეთ, ჩემის ია-კინთეს ქალი ერთხელ მეუბნებოდა „მე კარტული არ ვიცი!“⁸ და საბრალოსა დიდ ქებად ეგონა უცოდინარობა თავის ენისა.

გუშინ ერთბაშად აცივდა დიდად; საგურამოს მთები და-ითოვლა. გაგონილა ამისთანა არეული წელიწადი? აგვისტომ-დის იწვიმა, და ახლა თოვლია.

გაჩნდა ოპერა; ჰომ, არც ავია, არც საქებია, მაგრამ მი-დის და მიდის ხალხი; მომღერლებთაგან მე უფრო მომწონს კონტრალტო ტიოცი, მეტადრე ციგანებს როლში, და ბარი-ტონი კარნინი;¹⁰ სხუანიკი, ფუჭ. –

ვანო,¹¹ დიდად გამხმარი, დიდად დამჭკნარი ავათმყო-ფობით, მოვიდა აქ თავის ცოლითა, მაგრამ აქვი მოიხედა კარგად; საშინელი ტკივილები აღარ მოსდის, და ახლა ვერ შეგვიტყვია, ვინ მოარჩინა, – თუ მორჩა, – დოხტორმა, რლ-მაც¹² ჩაუშვა ფეხში ქინაქინა, თუ ვიღამაც, აქაურმა კაცმა, რლიცა¹³ ყოველ-დღე უზელს ტანსა ბალახებისაგან გამოხდი-ლის ზეთითა, და ასმევს თითო რუმკას იმავეს ბალახების წვენსა? და გუაქუს ამაზე დიდი ბაასი და ჩხავილი. – ირაკ-ლიმაც დაითხოვა მინკევიჩი და მიანდო თავისთავი თურმანი-ძესა, და ვნახოთ, აზია ჰსჯობიაა ევროპასა?

შენი საკუთარი ისაკ ჩუმულებრივ შორიდამ გეხარხარე-ბა. ნეტავი შენს ბედსა! არა, ამას რათ უხარიან შენი მოსვლა?

– ჩემი გიორგი – ლეიბგუსარი – იმყოფება, ავათმყოფო-ბისგამო, ვიშში¹⁴ თავის დედითა, და იქიდამ, თუ არ დაუგვი-ანდათ, წავლენ ზღუაში საბანებლად. იშვიათი ვინმე გადურ-ჩება წყეულს პეტერბურლის ჰაერსა, რომ არ შეიქნეს მისგან დაშხამული.

ჩემს საყუარელს დას ეკატერინას სულით, გულით, ჩა-
ვკოცნი, ეგრეთუც შენს ძმას და დებსა. ივანეს ამბავი მომწე-
რე დაწვრილებით, დაწვრილებით. – ყაფლან კარგათ არის,
მეტადრე როცა მარტო არის თავის ქეიფზე.

საწყალი კატო ივანოვისა ძალიან ავათ არის, რაკ.¹⁵

ღთი¹⁶ იყოს თქუცინი მფარველი, და ნუ დამივიწყებ მა-
რადის ერთგულსაა...

უეჭველია¹⁷ ქართველს დაურქმევია ამ ქალაქისათვის სა-
ხელად ვიშ.¹⁸ განკურნებულსა იქაურის წყალისაგან განსვენე-
ბაში უთქუამს, ვიიშ!¹⁹ და ჭრანცუზებსკი თავის ენად მიაჩნი-
ათ.

ალექსანდრე კარცოვისაძე №1 (868)

Генер: Адъют: Александру Петровичу Карцову.¹ – в Харьков
9^{го} Ноя. 1875.

Убедительнейше прошу вас вооружиться терпением и
снисходительно выслушать бедственную историю злополучной
личности, которая наднях должна была прибыть в Харьков в
арестантском поезде, как преступница.

Жил некогда в Персии Джрафкули Хан, наследственный
владетель Хойского Ханства, который, вовремя осады Эривани
К^м Цицановым, передался России совсем своим Ханством; но,
как осада была безуспешна, Цицанов отступил, то Хан, боясь
мести Шаха, вынужден был выселиться в Грузию с семейством.
Импер: Алекс: I^{го}, ценя его преданность, пожаловал ему наслед-
ственно Нухинское Ханство, где он и окончил свою жизнь, а
მწერ თქუცინს მყუდროებით დღიურს ცხოვრებას, მისს შეუშოთველს შრომით მდინარეობას, ვაზების შემუშავებაში, მშვენიერის ბუნების განხილვაში. მერწმუნე, ეგე არის ჭეშმარიტი იგი ბედნიერება, რლისათვაც² არის კაცი დაბადებული, და რლსაცა³ სიმართლით ვაფასებთ, მხოლოდ მაშინ, როდე-საც ნახევარი სიცოცხლე გაგვეპარა უზო-უკუალოდ! და მართლად, სად არის მეორე კახეთი ეგრეთის შვენებით გა-ბრნეინვებული; ერი – გულით კეთილი, მხიარული, ვაჟკაცი? – ყოველსა კახსა როგორ არ მიაჩნდეს სასიქადულოდ სა-მშობლო თვისი, ზეგარდამო დალოცვილი შემკულითა სხუა და სხუა ფეროვნად ბუნებითა, რლისა⁴ ხილვა არაოდეს მო-ჰს(წ)ყინდება კაცსა? როგორ არ მიყუარდეს მეცა კახეთი, სა-დაცა განვატარე მხიარულებით უზრუნველი სიყმაწვილე ჩე-მი, ჯერ მაშინ უცნობი ამ სოფლის მუხთლობისა. – აღარა მყუანან ამხანაგნი, თანამედროვენი ჩემის ყმაწვილობისა. გან-ვიდნენ იგინი ამ სოფლით მოიმედენი სამშობლოს კეთილ-დღეობით ალყუაებისა... მეცა ვიბარები სამგზავროდ იმათ-კენ, მაგრამ საქართველოს ბედი სხუაფრად დამანახვა გამოც-დილებამ და თან-მიმდევენ შავნი ფიქრები ჩუცინის აწინდელის საზოგადოდ მამულისათვს, რლიცა⁵ ასე საშინლად დაეცა სუ-ლითა, რომ არცა გლეხობა, არცა თავადობა, აღარ არიან არა რისთვესმე გამოსადეგნი! – რისაგან მოხდა ესრეთი სამწუხა-რო, მოულოდნელი ცვლილება, რომ ყოვლის მხრით ისმის მხოლოდ ვაება სიგლახაკისა? სიღარიბემ შეჰსჭამა შთამომავ-

ლობა ჩუცნი, დაუბნელა გონება და ველარა მოუსაზრებია მას საკეთილდღეოდ. ყოველი სახე გამოჰსოდებამს მხოლოდ სი-მწარესა და უნუგეშობასა; ძნელია ესრეთი სამწუხარო მდგო-მარეობა, რომელშიაცა იმყოფება ანინდელი საქართველო, მაგრამ იმყოფებაკი, და რა ვპქნათ, თუ ლთი⁶ და წელმწიფე, ერთხელაც არის, არ მოგუხედვენ ნუგეშცემითა?... ვიშრო-მოთ, ვითმინოთ გულის სიმაგრითა, რათა შევიქმნეთ ლირსნი ლთისა⁷ და წელმწიფისა ოდესმე მოწყალებით ჩუცნზედა მო-ხედვისა!

ამ წერილს მოგართმევს კარბელოვი,⁸ დანიშნული უჩი-ტელად⁹ გურჯაანის შკოლისა. გთხოვ ექმნეთ მფარველად ამ საბრალოს ლარიბს სემინარისტსა, რლიცა¹⁰ არის აღვსილი დიდად კეთილის სურვილითა, რომ გულსმოდგინედ შრომითა და მოძლურებითა გაასწავლოს ყმაწვილები და შთაუნერგოს მათ გულში შრომისმოყუარება და სარწმუნოება. და ჩუცნცა მომავალი მივანდოთ ლთსა,¹¹ რლიცა¹² არა განჰსნირავს ჩუცნს კარგსა საქართველოსა.

თქუცნ ინერებით და აქაც მესმის, რომ აკციზმა მეტად შეაწუხა ხალხი, ასე რომ წელი აიღეს არყის გამოხდაზე. ამ საქმეზე მე ბევრსა ვპკითხე, მაგრამ, საუბედუროდ, ვერავინ ამიხსნა, ვერ შემატყობინეს ციტრებითა, თუ რათ არის სავნე-ბელად ხალხისათვს 25 კაპ: ვედრაზე? – ახლა თქუცნცა გთხოვ, რომ დაწვრილებით ანგარიში გამომიგზავნოთ, რომ იმაზე დაფუძნებულმა შევიძლო ლაპარაკი ჯეროვანსა ალაგ-სა:

1) ერთს ქუაბსა, მაგალ: ათვედრიანსა, რამდენი თუნგი გამოუვა არაყი ჭაჭიდამ?

2) იმ ერთს ქუაბსა რამდენი მუშა მოუნდება, ანუ შეშა, დრო, და როგორ დაფასდება?

3) როგორ, ესე იგი, რა ფასად გამომხდელი გაჰყიდის ერთს თუნგს არაყსა?

4) რამდენი მოგება დარჩება გამომხდელსა ერთის ვედ-რიდამ, ანუ თუნგიდამ?

და კიდევ თუ სხუა რაც იცოდეთ, დაუმატეთ საქმის ნათლად დასანახავად. – ეს საქმე არის საქმე ციტრისა¹³ და –, თორემ ვერას გავიგებთრა, ჩივილის მეტსა.

თქუცინის შვილის დანიშვნა შევიტყე და ახლა თქუცინცა მეპატიუჟბით იმის ქორნილში გაზაფხულზე. ჩემს ხანში ძნელია ალთქმა, პირობის მიცემა: გაზაფხულამდის, ვინ იცის, რამდენი გოგრა გახმება, მაგრამ თუ გამყუა იქამდის სიცოცხლე, ვეცდები, რომ მოვიხინხილო თქუცინამდის. მაინცა, ებლავე სიხარულით მიკურთხებია ახალნი დანიშნულნი საბეჭნიეროდ, და ამასთანა ესეც მიხარის, რომ ორნივე ჩემნი მეგობარნი, რამაზ და გიორგი, უფრო დაახლოვდენ, უფრო დაკავშირდენ მოყურობითა. – შეერთდით გულით, სულით; ერთობაში ჰქევს დიდი ძალი.¹⁴

იყო აქა რამდენსამე ხანს ვარვარა ილინიშნა თავის შვილით, ლეიბგუ[სარი გიო]რგით, და მეოთხე დღეა რა წავიდნენ ისევ პეტერბურლს. გიორგი, რომ ნახო, მოგენონება ზრდილობით, ჰსნავლით, ყაფლანისშვილის გულით; აპირებს აკადემიაში შესვლას, თუ, ვითარცა ქართველსა, გული არ აუცრუვდა ჰსნავლაზე.

თქუცინი ქალი, ჩემი საყუარელი დარიკო, სიყუარულით მომიკითხეთ.

პოლიტიკური უკანასკნელი ამბავი მოასწავებს მშვიდობიანობასა, (ლოშან¹⁵ ინებოს) თუ ანგლიამ კიდევ არ ჩამოაგდო უთანხმოება სხუათა საწელმწიფოებთაშორისა. სულთანი ჰეგზავნის ელჩია პეტერბურლს პირდაპირ მოსალაპარაკებლად, ასე რომ სხუანი წელმწიფენი ვერ ჩაერევიან ამათ მორიგებაში, და ეს მეტად დიდი გამარჯვება არის ჩუცინის წელმწიფისა ევროპის დიპლომაციაში. ვნახოთ, როგორ დასრულდება, მაგრამ ჯარების მზადება და სამზღვარისაკენ გასტუმრება მიდის თავის წესით.

თქუცინც მოგაწყინეთ ამ დაუსრულებელის წერილითა, მაგრამ მეცკი დავიღალე; და იყოს ღთი¹⁶ მფარველი თქუცინი.

თქუცნი მარადის ერთგული, მარადის თქუცნისა ბეჭნი-ერებისა მსურველი დავჭრები.

მოვიდა ლევან დალისტნიდამ, მოველით ლორის მელი-ქოვს ალექსანდროპოლიდამ; ნიკოც, ახალი ელისავეტოპოლის ღუბერნატორი, აქ არის და სხუათა ღუბერნატორებთა და მმართველთაცა მოელიან.

ისიდორ ნიკოლაევისადმი №1 (886)

23 Нояб: 1876. Митрополиту Исидору.

Высокопреосвященный Владыко,

Милостивый Архипастырь.

Старый Князь Григорій Орбеліані счувством глубочайшагоуваженія повергает себя под Паstryрское ваше благословение и дозволяет себе выразить вам, Милостивый Архипастырь, глубокую благодарность за высокое покровительство, оказываемое вами молодому бедному Сабинину и трудам его, посвященнымизданію исторических сказаний и Памятников о Грузинской церкви.

В настоящее время, когда борющіеся Славяне, за свое право на человеческое только существование, избиваются беспощадно изуве(р)ством Турок, появление Исторії Грузинской многострадальной церкви, еще недавно также гонимой этими же мусульманами, былобы весьма своевременно и поучительно, не только для моих соотечественников, которые еще глубже, еще живее прониклись бы чувством благодарности к Великодушному Императору засвое спасеніе, но и неверующая Европейская Дипломація могла бы убедиться в той истине, что мусульманство везде и во все времена систематически преследует

Христіан, истребляя их. Мученически добить Христіанина, – дело угодное Богу! Таково Религіозное убежденіе Мусульман.

Грузія, по горьким, еще не совсем ею забытым испытаниям, глубже всех сочувствует страдальцам – Славянам, сама претерпев, втечений веков, от тех же врагов, теже ужасы насилия, разорения, истребления, пока она истерзанная, обезлюденная, не успокойлась, неотдохнула, для новой светлой человеческой жизни под покровом Десницы Православных Императоров могущественной России.

Вот почему желательно, чтоб, теперьже, появилось издание Исторіи Грузинской церкви, которое сво(е)временностью принеслобы несомненную пользу, как для моей родины, так, быть может, и в Политическом отношении, в виду предстоящей великой борьбы за освобождение Христіан, подвластных ненавистной Турціи.

Зная в какой степени покровительство Ваше будет способствовать цен(н)е(й)шим результатам похвальной деятельности Сабинина, пользующагося здесь особенным уважением, я обращаюсь к вам, высокопреосвященный Владыко, с моему убедительнейшею, просьбою, оказать ему и впредь Ваше милостивое внимание, которое даст ему новую силу достойно довершить предпринятое им доброе дело.

Благословите и меня, Милостивый Архипастырь!

ისიდორ ნიკოლაევისაძე №1 (886)

23 ნოემბრი: 1876. მიტროპოლიტ ისიდორს.

ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო,
მოწყვალეო მწყემსმთავარო.

მოხუცი თავადი გრიგოლ ორბელიანი უღრმესი პატივისცემის
გრძნობით ვიყრი მუხლს თქვენი მწყემსთავრული ლოცვა-კურთხე-

ვის წინაშე და თავს წებას ვაძლევ, მოწყალეო მწყემსმთავარო, უღ-რმესი მადლობა მოგახსენოთ იმ მნიშვნელოვანი მფარველობისთვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ საბრალო ახალგაზრდა საბინის და მის შრომებს, რომლებიც ეძღვნება ქართული ეკლესიის შესახებ ისტო-რიული თქმულებებისა და ძეგლების გამოცემას.

ახლა, როცა თავიანთი ადამიანური არსებობის უფლებისა-თვის მეპრძოლი სლავები უმოწყალოდ იულიტებიან თურქების მიერ, მრავალტანჯული ქართული ეკლესიის ისტორიის გამოჩენა, რომე-ლიც არცთუ დიდი ხნის წინ თვითონ იყო დევნილი იმავე მუსულმა-ნების მიერ, ძალიან დროული და ყურადსალები იქნებოდა არა მარ-ტო ჩემი თანამემამულებებისთვის, რომლებიც სხვებზე მეტად ღრმად, მეტად ცოცხლად განიმაჭვალებოდნენ მადლიერების გრძნობით სულგრძელი იმპერატორისადმი მათი ხსნის გამო, არა-მედ ურნმუნო ევროპული დიპლომატიაც დარწმუნდებოდა იმ ჭეშმა-რიტებაში, რომ მუსულმანები ყველგან და ყოველთვის სისტემატუ-რად დევნიან და ანადგურებენ ქრისტიანებს. ქრისტიანისთვის წამე-ბით სულის ამოხდა ღმერთისთვის სასურველი საქმეა! ასეთია მუ-სულმანების რელიგიური რწმენა.

საქართველო, რომელსაც ჯერ კიდევ არ დავიწყებია გადატა-ნილი მწარე განსაცდელი, სხვებზე მეტად თანაუგრძნობს ტანჯულ სლავებს, რადგან მას საუკუნეების მანძილზე საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი იმავე მტრებისგან ისეთივე ძალადობა, განადგურება, ხოცვა-ულეტა, სანამ იგი, განანამები და გავერანებული, არ და-მშვიდდა, არ დაისვენა ახალი, ნათელი, ადამიანური ცხოვრების და-საწყებად უძლეველი რუსეთის მართლმადიდებელი იმპერატორების მფარველობის ქვეშ.

აი, რატომ არის სასურველი, რომ ახლავე გამოიცეს ქართუ-ლი ეკლესიის ისტორია, რომელიც თავისი დროულობით უეჭველ სარგებლობას მოიტანდა როგორც ჩემი ქვეყნისთვის, ისე, შესაძ-ლოა, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, საძაგელი თურქეთის მიერ დამონებული ქრისტიანების გასათავისუფლებლად მომავალი დიდი ბრძოლის გათვალისწინებით.

ვიცი რა, თუ რამდენად შეუწყობს ხელს თქვენი მფარველობა საბინინის სანაქებო მოღვაწეობის წარმატებით დასრულებას, რომე-ლიც აქ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს, მოგმარ-თავთ თქვენ, ყოვლადუსამლვდელოესო მეუფეო, ჩემი დაბეჯითები-თი თხოვნით, რომ მომავალშიც გამოიჩინოთ თქვენი მოწყალეობრი-

ვი ყურადღება, რომელიც მას ახალ ძალას მისცემს კეთილი საქმის
ღირსეულად დამთავრებისთვის.

მეც დამლოცეთ, მოწყალეო მწევემსმთავარო!

პეტრი მორიცისადმი №1 (887)

23 Нояб: 1876. в Петербург.¹

Милост: Государь,² Петр Алексеевич Мориц,

Г^н Сабинин будет иметь честь поднести вашему Преву это письмо с мою глубочайшею благодарностью за высокое покровительство, оказываемое вами трудам его, посвященным изданию Исторических сказаний и Памятников о Грузинской церкви.

В настоящее время, когда Славяне, борющиеся засвое право на человеческое только существование, беспощадно истребляются изуверством Турок, появление Истории Грузинской, многострадальной церкви, еще недавно гонимой этими же мусульманами, – былобы весьма своевременно и поучительно, нетолько для моих соотечественников, которые еще глубже, еще живее, прониклись бы чувством благодарности к Великодушному Императору засвое спасение, но и неверующая Европейская Дипломация могла бы убедиться в той истине, что Мусульманство везде и вовсе времена систематически преследует Христіан, истребляя их. Мученически забить Христіанина, – дело угодное Богу! Таково религиозное убеждение Мусульман. Европа, с своими Правительственными учреждениями, не вполне постигает, как велико бедственное положение Христіан под гнётом тиранической Мусульманской власти. По словам Корана, только Мусульманин есть человек, остальныеже иноверцы суть только рабы его.

Грузія, по горьким, еще несовсем ею забытым испытаниям, глубже всех сочувствует Страдальцам – Славянам, сама претерпев, в течении веков, от тех же врагов, теже ужасы насилия, разорения, истребления, пока она, истерзанная, обезлюденная, не успокойлась, не отдохнула, для новой светлой человеческой жизни, под покровом Десницы Православных Императоров могущественной России.

Вот почему позволю себе повторить, что, именно теперь, издание Истории Грузинской церкви, своевременным появлением, бытобы делом великой важности, как для моих соотечественников, так, быть может, и в политическом отношении, ввиду предстоящей великой борьбы за освобождение Христиан, подвластных ненавистной Турции.

В этом убеждении, зная в какой степени покровительство вашего Прева будет способствовать успешным результатам похвальной деятельности Г^{на} Сабинина, пользующагося особенным здесь уважением, я обращаюсь к вам, Милост: Государь, с моей убедительной просьбою, оказать ему и впредь милостивое ваше внимание, предпринятое на довершение им доброго дела.

С чувством глубокаго уважения и совершенной пред: имею честь быть...

პეტრი მორიცისადგი №1 (887)

23 ნოემბ: 1876. პეტერბურლს.

მოწყალ: ხელმწიფევ, პეტრე ალექსეევიჩ მორიც,

ბატ:^ნ საბინის ექნება პატივი თქვენს აღმატებულებას მოართვას ეს წერილი ჩემი ულრმესი მაღლიერებით იმ მნიშვნელოვანი მფარველობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ მისი შრომების მიმართ, რომლებიც ეძღვნება ქართული ეკლესის შესახებ ისტორიული თქმულებებისა და ძეგლების გამოცემას.

ამჟამად, როცა სლავები, რომლებიც იპრძვიან მხოლოდ თავიანთი ადამიანური არსებობის უფლებისათვის, უმოწყალოდ ნადგურდებიან ურჯულო თურქების მიერ, გამოჩენა მრავალტანჯული ქართული ეკლესიის ისტორიისა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ თვითონ იდევნებოდა ამავე მუსულმანებისაგან, ძალზე დროული და ყურადსალები იქნებოდა არამარტო ჩემი თანამემმულებისათვის, რომლებიც კიდევ უფრო ღრმად, უფრო ძლიერად განიმსჭვალებოდნენ მადლიერების გრძნობით დიდსულოვანი იმპერატორისადმი თავიანთი ხსნისათვის, არამედ ურნმუნო ევროპული დიპლომატიაც დარწმუნდებოდა იმ ჭეშმარიტებაში, რომ მუსულმანები ყველგან და ყოველთვის სისტემატურად დევნიან და ანადგურებენ ქრისტიანებს. ქრისტიანის წამებით სულის ამოხდა – ღვთისთვის სასურველი საქმეა! ასეთია მუსულმანთა რელიგიური რწმენა. ევროპა თავისი სამთავრობო დაწესებულებებით სრულად ვერ აღიქვამს, თუ როგორ საპრალო მდგომარეობაში არიან ქრისტიანები მუსულმანთა ტირანული ძალაუფლების უღელქვეშ. ყურანის სიტყვების მიხედვით, მხოლოდ მუსულმანია ადამიანი, სხვა რწმენის ადამიანები კი მხოლოდ მონები არიან მისი.

საქართველო, რომელსაც ჯერ კიდევ არ დავიწყებია გადატანილი მწარე განსაკდელი, სხვებზე მეტად თანაუგრძნობს ტანჯულ სლავებს, რადგან მას საუკუნეების მანძილზე საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი იმავე მტრებისგან ისეთივე ძალადობა, განადგურება, ხოცვა-ულეტა, სანამ იგი, განაწამები და გავერანებული, არ დამშვიდდა, არ დაისვენა ახალი, ნათელი, ადამიანური ცხოვრების დასაწყებად უძლეველი რუსეთის მართლმადიდებელი იმპერატორების მფარველობის ქვეშ.

აი, რატომ ვპედავ კიდევ ერთხელ გამეორებას, რომ სწორედ ახლა ქართული ეკლესიის ისტორიის გამოცემა იქნებოდა ძალზე დროული, დიდი მნიშვნელობის საქმე როგორც ჩემი თანამემამულებისათვის, ასევე, შესაძლებელია, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, საძაგლი თურქეთის მიერ დამონებული ქრისტიანების გასათავი-სუფლებლად მომავალი დიდი ბრძოლის გათვალისწინებით.

ამაში დარწმუნებული, ვიცი რა, თუ რამდენად შეუწყობს ხელს თქვენი მფარველობა პატ:^ქ საბინინის სანაქებო მოღვაწეობის წარმატებით დასრულებას, რომელიც აქ განსაკუთრებული პატივის-ცემით სარგებლობს, მოგმართავთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემი დაბეჯითებითი თხოვნით, რომ მომავალშიც გამოიჩინოთ

თქვენი მოწყალეობრივი უურადღება მის მიერ კეთილი საქმის და-სრულებასთან დაკავშირებით.

ღრმა პატივისცემისა და სრული ერთგ: გრძნობით პატივი მაქვს, ვიყო...

პლატონ პავლოვისადმი №2 (888)

4^{го} Декаб: 1876. Платону Петровичу Павлову.¹

Письмо Генералмайора Андрея Васильева имею честь препроводить к ва^{му} Преву с мою убедительнейшею просьбою обратить ваше Милостивое вниманіе на многолетнюю службу его, достойно, честно, пройденную им, и, который, только теперь, впервый раз, на старости лет, осмеливается заявить, чрез меня, справедливому начальнику о самом себе.

Не вмоем характере беспокойть начальственныя лица просьбами, зная по опыту, как оне часто бывают неуместны; но, признаюсь, внастоящем случае, чувство нравственного долга сильнее моей воли, и потому, скрепя сердце, решаюсь ходатайствовать пред вами за старого моего товарища по службе, которого похвальное усердіе, скромность и высокая нравственность мне весьма памятны. Следайте, что можете, впользу его и вы не раскаетесь. —

პლატონ პავლოვისადმი №2 (888)

4^ტ დეკემბ: 1876. პლატონ პეტროვიჩ პავლოვს.

მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას გადმოვუგზავნო გენე-რალმაიორ ანდრეე ვასილიევიჩის წერილი ჩემს უმორჩილეს თხოვ-ნასთან ერთად, რომ თქვენი მოწყალე უურადღება მიაქციოთ მის მიერ ღირსეულად, პატიოსნად გატარებულ მრავალწლიან სამსა-

ხურს, რომელიც მხოლოდ ახლა, პირველად, უკვე ასაკში, ჩემი შუა-მავლობით ბედავს თავი შეახსენოს თავის სამართლიან უფროსს.

საერთოდ არ მიყვარს უფროსების შეწუხება თხოვნებით, რადგან საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ხშირად როგორი უადგი-ლოა ისინი, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ ამ შემთხვევაში ზნეობრი-ვი მოვალეობის შეგრძნება ჩემს ნებისყოფაზე ძლიერია და ამიტომ გულის კანკალით ვბედავ თქვენ წინაშე შუამავლობას ჩემი ძველი სამსახურის ამხანაგისათვის, რომლის სანაქებო გულმოდგინება, თავმდაბლობა და მაღალი ზნეობა კარგად მახსოვს. გააკეთეთ მის-თვის, რაც შეგიძლიათ, და არ ინანებთ.

იიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №13 (889)

ჩემო გულით საყუარელო ნიკო! ამ წერილს მოგაროვევს ძველად და დიდად ერთგულად ნამსახური ყაზახელი მუსაა-ლა, რომელიცა დიდიხანი ემსახურებ(ო)და ჩემს ძმას¹ პახო-დებშიაცა და მანდაც იმის განჯის ნაჩალნიკობაშიაცა. ეს მუ-საალა გახლავს, სწორედ მოგახსენებ, და არის ისეთი კაცი, რომელსაცა არუსწავლია გეგელის ჭილოსოჭია, მაგრამკი თა-ვის ქუცყნის ამბავი ზედ-მიწევნით იცის, და ან რაც არ იცის, იმასაც, როცა უბძანებ, სწორედ შეგიტყობს და სიმართლით მოგახსენებს, და ამგუარი კაცი შენთქს დიახ საჭიროა, მე-ტადრე ამისთანა დროში, ცუდის მოვლითა გარევნილს ხალხ-ში, რომ ჭეშმარიტებით მოგახსენებდეს საქმესა. პირველად, ვიცი, ტუტუცად გეჩვენება, მაგრამ ნუ მიხედავ ამის ტუტუ-ცობას, ვაუკაცია, კარგი ცხენოსანი და რასაც უბძანებ, თავს... დაპსდებს და აღისრულებს. – ეს ასე.

აქაური ამბავი ეს გახლავს, რომ მოდის და მოდის მოუ-წყვეტლივ ჯარი; გუშინ და დღეს გაიარა კონნა² არტილლერი-ამ; მეტად მომენნა კაცებიც, ცხენებიც. – ყოველს დღეს არის სმოტრი³ ახალ-ახალის, მოსულის ჯარებისა და დასას-რული ჯერ არა ჰსჩანს.

კონჭერე(ნ)ციამ ძალიან გააჯანჯლა საქმე, მაგრამ, ჩე-

მის ჰაზრით, რაც უნდა ილაპარაკონ, აუცილებელია ომიანობა. ბუხარის ემირის ელჩი მისულა პეტერბურლს, და წარუდგენია ემირის პატარა შვილი ჭელმწიფესთან, პაჟესკის კორპუსში გასასწავლებლად. ეს ელჩობა კარგს დროს მოხდა, რადგანაც ცხადად გამოჩნდა, რომ ოსმალების გულისათვეს თავს არავინ იხეთქავს, არცა ბუხარა, და არცა სპარსეთი.

ასე წახდა საქართველო, რომ ორმოცდაათი ყმაწვილი კაცი ვერ გვიპოვნია, რომ გავაყოლოთ კანვოად ველიკის კნიაზსა, თუ მოხდა ბრძოლა! – ნიკო, ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მანუხებს საქართველოს ასე სულით დაცემა. ესა მიშლის ზაფრას, ესა მტაწჯავს, და ესევე იქნება ბოლოს მიზეზი ჩემის სიკუდილისა. –

დღეს მომივიდა ძალუა ვარინკას წიგნი, და აი იმის ახალი ადრესი:

Царское Село, – на углу Стесельской улицы и Павловского Шоссе Дом Корсаннова.*

ლევან უკეთ შეიქმნა და წავიდა თავის შურაში. კლუშინიც იბარგება საპეტერბურლოდ ჩლენად ლოსუდარსტვენის სოვეტისა.⁴

სხუებრ ღმერთი იყოს შენი მფარველი.

მარადის შენი გრიგოლ ორბელიანი

ჯერ პირველად ძალიან კარგი ამბავი მოდის აქა საკუთრივ შენზე მანდაურის სუდებნის ჩინოვნიკობისაგან, და ეს კარგი ნიშანია, რომ სუდებნის ნაწილი გაქებს: შენს რეჩებსა და ქცევას გადურევია სიხარულითა მანდაური ჩინოვნიკობა, გადუჩვეველი ნაჩალნიკებისაგან კეთილის სიტყვის მოსმენისა; და შემდეგ უფრო, იწშაპლლა, გაგიადვილდება აღსრულება შენისა ახლის თანამდებობისა.

22^ს დეკემბერი 1876
თბილისით.⁵

* ცარსკოე სელო, – სტესელსკაიას ქუჩისა და პავლოვის გზატკეცილის კუთხეში კორსანოვის სახლი.

ალექსანდრე ოგოუნისავალ №1 (890)

29 Декаб: 1876.

Александру Степановичу Оголину.¹

Убедительно прошу вас прочесть эту мою просьбу без огорчения, без нахмуренія бровей; и, если ея исполненіе не противоречит пользам службы, дозволить мне надеяться на ваше благосклонное вниманіе. Сам я знаю, по опыту, как часто бывает неуместна подобная просьба; но что делать, когда существуют в жизни нашей обязательства, нравственный долг, относительно тех личностей, которыя делили снами трудныя служебные обязанности и о судьбе которых мы неможем не заботиться. Так, и в настоящем случае, я являюсь пред вами ходатаем за Душетского Мироваго Судью, Саванелли,² в Судьбе котораго я принимаю живейшее участіе, помня его и честную Службу, и высокую нравственность, – искренно прошу вас предоставить ему одну из вакансій, вновь открывающихся в Окружном Суде. Я верю, что он своим редким усердіем и правдивостью оправдает ваше Милостивое к нему вниманіе.

ალექსანდრე ოგოუნისავალ №1 (890)

29 დეკემბ: 1876.

ალექსანდრე სტეფანოვიჩ ოგოუნის.

დაბეჯითებით გთხოვთ, ეს ჩემი სათხოვარი გაბრაზებისა და წარბების შექმუხვნის გარეშე წაიკითხოთ; და თუ მისი შესრულება ზიანს არ მიაყენებს თქვენს სამსახურს, ნება მიბოძოთ თქვენი კეთილგანწყობილი ყურადღების იმედი ვიქონიო. თვითონ მე გამოცდილებით ვიცი, რა უადგილოა ხშირად ასეთი თხოვნა; მაგრამ რას

იზამ, როცა ჩვენს ცხოვრებაში არსებობენ აუცილებლობები, ზნე-ობრივი მოვალეობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩვენთან ერთად იყოფდნენ ძნელ სამსახურებრივ მოვალეობებს და რომელთა ბეჭდები არ შეგვიძლია არ ვიზრუნოთ. ასეა, და ამ შემთხვევაში მე წარმოგიდებით დუშტის მომრიგებელი მოსამართლის, სავანელის, შუა-მავლად, რომლის ბეჭდიც ძალიან მანტერესებს, მასსოვს რა მისი პატიოსანი სამსახური და მაღალი ზნეობრიობა, – გულწრფელად გთხოვთ, დაუთმოთ საოლქო სასამართლოში ახლად გახსნილი ვაკანსიებიდან ერთ-ერთი. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი იშვიათი გულმოდგინებითა და ალალმართლობით გაამართლებს თქვენს მოწყალე ყურადღებას მის მიმართ.

ივერიული კავშირის ქავერის სადგინო №14 (891)

ჩემო გულით საყუარელო ნიკო! აბა, როგორ არ გაქო, როგორ არა ვჰსთქუა, რომ შენისთანა ღუბერნატორი არ იქნება არსადა! ჯერ არცკი მისულხარ და მეკი მაშინვე მომიკითხე დურაჯებითა! დიდად მიამა, და იმედიცა მაქუს, რომ ამით არ დასრულდება ჩემი მოკითხვა და შემდეგში დურაჯები გადიქცევიან ბედაურებად.

ხუმრობა გადავდუათ, და დიდად მიხარის, რომ ყოვლის მხრით მომდის შენზე ქება; მაგრამ ესეცკი მომდის ფიქრში, რომ ასე მალე ქება რას უნდა მივაწერო? ამ მოკლეს ხანში რა ჰქმენ, რა გამოაჩინე ისეთი გასაკვირველი, რომ ხალხი ასე ღალადებს თავის სიხარულსა შენის მანდა დანიშვნისაგამო? კნ: მირსკი ამბობს «იн так создан, внем Божий дар!»^{*} ჩემის ფიქრით, მგონია, უფრო ეს იყოს მიზეზი, რომ ხალხი იყო დიდად შეწუხებული, დაჩაგრული, დაშორებული და მიუკარებელი უხილავ ნაჩალნიკისაგან, რომლისა სიტყუა, თუ როდისმე, მოესმოდა, იყო მარადის, ანუ რისხუა, ანუ დაჲსჯა; არავინ იყო ხალხისათვეს გულით მზრუნველი, მფარველი, მასთან კაცურად მოლაპარაკე, დამრიგებელი და მასწავლებელი კეთილის ცხოვრებისა, რაზბონიკებისაგან დამონებული, ხმა-მიწყვეტილი! ამ დროს შენ გაჩნდი პირველი ღუბერ[ნატო]რი,¹

რომელმანცა იკადრა თავისდამდაბლება და ხალხსა დაუწყო
პირდაპირ ლაპარაკი კაცურად; ხალხმაც პირველად გაიგონა
საამური ცოცხალი სიტყუა ნაჩალნიკისა, და იმანაც სიხარუ-
ლით შემოგბლავლა, იგრძნესრა, რომ ისინიც ყოფილან კაცნი,
რომელთაცა ძლივს გამოუჩნდა ნაჩალნიკი მფარველად და
ნუგეშისმცემელად. – აქამდის ვორონცოვსა რათ ვადიდებთ?
გველაპარაკებოდა კაცებსა კაცურად! ამით მიგვიზიდა ისე,
რომ დღესაც იმისი სახელი კურთხევით იხსენება საქართვე-
ლოში. ჩუცინცა ამავე გზაზედ უნდა დავსდგეთ, თუ გვინდა
დიდება ჩუცინისა სახელისა.

და მართლად, ამ მხარესა რა არის ღუბერნატორი? აქა-
ურმა ხალხმა არ იცის რუსული ენა, არ იცის ჰესენულის კანო-
ნები, არ იცის როგორ მოიქცეს, და ჯერაც ვერ გაუგია, მარ-
თებლობა მართლად მათის კეთილ-დღეობისათვს არის და-
დგენილი, თუ გასაყვლეფად და ასაკლებად? ვინ და როგორ
უნდა ყოველივე ესე აუხსნას და შეაგონოს მას, და გულში
ღრმად, შეურყეველად დაუნერგოს, თუ არ ღუბერნატორმა,
არა მხოლოდ სიტყვითა, არამედ საქმითა, რომ თვალით დაი-
ნახოს, და მით დარწმუნდეს, რომ მართებლობა არის დადგე-
ნილი მხოლოდ ხალხის გასაბეჭიერებლად! ხალხის მოვლა ეს
არის მხოლოდ: ულირსი ნუ დადგება ღირსეულთან თანასწორ;
დასასჯელი დაისაჯოს, ერთგული დაიჯილდოს! – ვიცი შენს
გულში ესეები არის ღრმად შთაბეჭდილი და ღმერთიცა ამი-
სათვს გყავს შემწედ, და კურთხევაცა მისი იქმნება შენზედა
ყოველსა ჟამსა და ყოველსა ალაგსა.

აქაური ამბავი არა არისრა მისმეტი, რომ თვალ-ყური
გაჭიმულად გვიჭირავს სტამბოლისაკენ და არ იქმნა, ვერ შე-
ვიტყეთ, მშვიდობაა, თუ ბრძოლა! – შესაწუხარი ამბავი ეს
არის, რომ ველიკი კნიაზი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი კიდევ
ხელ-მეორედ გახდა ძალიან ავად.

საწყალს ელენას ასტაჭიევისას მოუკუდა შვილი. – ყაფ-
ლან წაათრიეს გორს ეკატერინასთან დღესასწაულების იქ გა-
სატარებლად; ყველანი შენნი კარგად არიან.

როცა მოიცალო, უნდა დაწვრილებით აღმიწერო შენი
მანდ ყოფნა და ცხოვრება.

შენი მარადის ბედნიერების მოსურნე ო² გრიგოლ ორბელიანი

30^ᵇ დეკემ: 1876.
თბილისით^³

* „ის ასეა შექმნილი, მასში ღვთის საჩუქარია.“

ლიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №15 (892)

ჩემო ბატონო,
საყუარელო ნიკო!

ამ წერილს მოგართმევს იბრაიმოლლი,¹ სახელი დამავი-
წყდა, – დიახ კარგის ოჯახის შვილი, თვთონაც ზრდილი, კარ-
გის ზნეობისა, ჭკვიანი, და ვაჟუკაცი – ისრაფილბეგის ნათესა-
ვია, და მეცა ძალიან კარგად ვიცნობ ამას: – შენს ახალს
პრეობრაზოვანიეში² ძალიან გამოგადგება; მიხედე მოწყალეს
თვალით და მიენდე კიდეცა გაჭირებულს საქმეში.

არ ვიცი, როგორ მოგეწონა ფანალა ვექილოვი,³ ისიც
ძალიან კარგია და გამოსადეგი შენთვს ამ უამსა, როცა ასე
არეულია ხალხი რაზბიონიკობითა.

დღეს, ამ ნიშნით რომ ორშაბათია, უნდა გადაწყდეს
სტამბოლში ყოველივე პოლიტიკური ბაასი და დაიშალნენ
პოსლანნიკები თავიანთ ქვეყნებისაკენ. სალისბური⁴ მიარ-
თმევს ულტიმატუმი⁵ და წავა ანგლიაში. ახლა, კიდევ ახალი
საკითხავი გამოჩნდება: რა უნდა მოხდეს? რუსეთის მხრით
რა უნდა დაიწყონ და ვინ იქნება მიმშველები, ან ერთისა და
ანუ მეორის მხრისა? და ჩუმნცა აქა, მოუთმენელობით მოვე-
ლით ამბავსა.

ველიკი კნიაზი ნიკოლაი თუმცა უკეთ არის, მაგრამ
ძალიან სუსტად. ამბობენ, მითომ ამის მაგიერ (თუ ვერ შეიძ-
ლო) დაინიშნება ღლავნოკომანდუუშჩიმ დუნაისკის არმიისა,
კოუჭმანი.⁶ მგონია ვერ დაჯდეს ეს იმ სიმაღლეზე, რომელი-
ცა შეეფერება ამ ალაგსა: მაშ კუტუზოვები და რუმიანცოვები
სულ კოუჭმანები იყუნენ? – ვაი კაცის სიღარიბეს!

სხუა არა არისრა ამდროს, მისმეტი, რომ ამაღამ⁷ ქარ-
თული თეატრია, ქოროლლი;⁸ არვიციკი რა არის ქოროლლი
და რა უნდა გამოვიდეს ჩვენს თეატრში.

ღთი⁹ იყოს შენი მფარველი

შენი მარადის ბედნიერების მსურველი
თ¹⁰ გრიგოლ თრბელიანი

3^ს იანვ: 1877,
თბილისი.¹¹

მაქსიმილიან მსტენ-საკენისადგი №1 (893)

Барону Максимилиану Александ: Остен Сакену.
Тифл: Губернатору –

7^{го} Генв: 1877.¹

Недавно я доложил Его Высокому^{ВЫ} о содержащихся в Тифл: Тюрьме Нино Чарквиани и Николае Дрогине,² – он же Мирза Ба-ба, – которых здоровье, долговременным заключением, душевными страданиями и неизлечимою болезненностью, доведено до совершенного разрушения. Они, содня начатия Суда над ними, содержаться в тюрьме, первая, 13 лет, а последний – 17. И теперь, по моему мнению, дальнейшее их заключение уже не имелoby ка-рательного значения, а выказалобы только злорадствное чувство неумолимой жестокости над немощными страдальцами. Неужели столько лет мученической, болезненной жизни в тюрьме, на смертном одре, не искупили грехов их юности?

Благостью полная душа Его Высокому^{ВА} Наместника немогла не склониться над нечестными преступниками, немогла отказать-ся быть ходатаем пред великодушным Монархом о помилованіи этих многострадальцев, – приказал мне войти с представлением о них.

К этим лицам я присоединил и К^{3я} Илью Палавандова, по совершенно иным уважительным причинам. Он молод, и уже приговорен к ссылке в Сибирь за дерзость, сказанную им, в вспыл(ъ)чивости, Полицейскому Приставу во время исполнения этим последним служебной обязанности. Признавая всю величественность преступления, содеянного Палавандовым, нельзя не принять во внимание его молодые годы, заслуги его отца, павшего в войне против Турок, его дяди, убитого в Дагестане, другого дяди его, майора, изувеченного ранами также в войне против Турок! Этот же молодой Палавандов просит, вместо Сибири, отправить его в действующую Армию, где бы мог кровью своею искупить проступок безумной юности своей.

О таковой воле Его Высочайшего сообщая вам, покорнейше прошу вас, Барон, приказать собрать в возможной скорости, — пока война не вызвала Его Высочайшего к Армии, — все необходимые сведения об этих трех лицах и сделать от имени Комитета представление Его Высочайшему.

С чувством истинной уважения и совершенной преданности имею честь быть...

Здесь прилагаются просьбы и других Арестантов, но они не заслуживают внимания.

მაქსიმილიან ოსტენ-საკენისადგი №1 (893)

ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრე ოსტენ საკენს.
თბილ: გუბერნატორს –

7^ს იანვ: 1877.

ცოტა ხნის წინ მე მოვახსენე მის უმაღლეს^შ თბილ: ციხეში მყოფი ნინო ჩარკვიანისა და ნიკოლოზ დროგინის – იმავე მირზა ბაბას –

შესახებ, რომელთა ჯანმრთელობა საპატიმროში ხანგრძლივი ყოფილით, სულიერი ტანჯვითა და უკურნებელი დაავადებებით სრულიად დარღვეულია. საქმის გარჩევის დღიდან ისინი ციხეში იმყოფებიან, პირველი – 13 წელი, მეორე კი – 17. და ახლა, ჩემი აზრით, მათ დატოვებას ციხეში ექნებოდა არა მხოლოდ დასჯითი, არამედ ღვარძლიანი, ულმობელი სიმკაცრის გამოჩენის ხასიათი ამ უძლური, საცოდავი ადამიანების მიმართ. ნუთუ ამდენი წლის განმავლობაში ციხეში ტანჯული, ავადმყოფური ცხოვრებით, სასიკვდილო სარეცელზე ყოფნით ვერ გამოისყიდეს ახალგაზრდობის ცოდვები?

სიკეთით სავსე გულის მქონე მისი უმაღლეს მეფისნაცვალი ვერ დარჩა გულგრილი საბრალო დამნაშავეების მიმართ, მან არ თქვა უარი შუამდგომლობაზე დიდსულოვანი მონარქის ნინაშე ამ მრავალტანჯული ადამიანების შეწყალებასთან დაკავშირებით და მიპრანა მათზე წარდგინების შემოტანა.

ამ პიროვნებებს მე დავამატე კა ილია ფალავანდოვის საქმე სულ სხვა საპატიო მიზეზების გამო. ის ახალგაზრდაა და უკვე მისჯილი აქვს ციმბირში გადასახლება ცხელ გულზე წამოცდენილი თავხელობის გამო პოლიციის პრისტავის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ფალავანდოვის დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, არ შეიძლება არ გაითვალისწინოთ მისი ახალგაზრდობა, მამამისის დამსახურება, რომელიც თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა, ბიძამისისა, რომელიც დალესტანში მოკლეს, მეორე ბიძასა, მაიორისა, რომელიც აგრეთვე თურქების წინააღმდეგ ოში მონაწილეობისას დასახიჩრდა ჭრილობებით! და ეს ახალგაზრდა ფალავანდოვი ითხოვს ციმბირის ნაცვლად მოქმედ არმიაში გაგზავნას, სადაც შეძლებდა თავისი უჭკუო ახალგაზრდობის დანაშაულის გამოსყიდვას საკუთარი სისხლით.

გაცნობებთ რა მისი უმაღლეს ასეთი ნების შესახებ, უმორჩილესად გთხოვთ, ბარონო, გასცეტ ბრძანება, რომ შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, სანამ ომი არმიაში არ გაიწვევდეს მის უმაღლეს – შეგროვდეს ყველა საჭირო საბუთი ამ სამი პირის შესახებ და შეადგინოთ წარდგინება მისი უმაღლეს მიმართ კომიტეტის სახელით.

ჭეშმარ: პატივი: და სრულ: ერთგ: გრძნობით პატივი მაქვს, ვიყო...

აქ დართულია სხვა პატიმართა თხოვნებიც, მაგრამ ისინი არ იმსახურებენ პატივისცემას.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელისადმი №73 (894)

Тифлис 12 Генв: 1877. ВПетерб:

Варваре Ильинишне К^{нє} Орбел:¹

Ты, удивительная женщина, мой друг варвара! великая мастерица радовать и счастливить своих друзей, по своей прихоти, как вздумается. Кажется, еще немного времени прошло содня нового года, а я уже успел получить несколько твоих писем, которая совершенно успокоили меня тихою, светлою радостью. Вот могущество твоих писем, и я в знак благодарности целую твои руки, голову, грудь, в которой живет доброе сердце твое. Но ты невинна меня и нетребуй, чтоб я отвечал на каждое твое письмо. Старость оказывается также великою силою, подавляющею в нас все прежнія привычки, даже привязанности, вселяет ко всему какоето ленивое чувство равнодушія, вособенности, ко всякому роду писанія. Только ты и Георгій воодушевляете меня и привязываете к жизни. Вот почему мне так необходимы твои письма: оне дают мне силу жизни любить вас. Молю Всевышняго, да хранит вас долго, долго, да спасет вас от кашля, от ревматизма, и от всяких скверни, которыми, так постоянно красуется Петер: климат.

Кстати о климате: что за чудная осень, что за зима, весна, прелесть! Здесь еще нет, ни снега, ни льда. Здешним климатом даже Клушин² ненахвалиться, который, впрочем, наднях выезжает в Петерб: навсегда, туда ему и дорога. Что за бездарность! А между тем назначен Членом Госуд: Совета. И вот наши Госу:^{нъя} тузы, столбы, поддерживающіе великое зданіе великой Имперіи. Поздравьте от меня Бар: Алек: Павловича сновым товарищем.

Получилли Георгій Запонки,³ – подарок Софіи, жены Ивана Орб:, посланные мною по почте? Оне сделаны в Дагестане.

Приступили Георгій к выполнению похвального Заветного Плана своего, относительно подготовленія себя, малопомалу, неутомляясь, к Экзамену в Генер: Штаб, чтобы в тот день, когда наступят Экзамены, быть уже совершенно готовым для входа в священные врата Академії? Кроме того, я помню еще, что он хотел иметь тетрадку, или менее сказать, дневник своей обыденной жизни. Я неполагаю, чтобы эти прекраснія его намеренія остались, как его Альбом, по эту сторону Кавказа, по забывчивости.

Твоя племянница, красивая Настинька, недавно пріехала из Цинандал. У Бедной Елены Астафьевой умер ребенок; Саломэ и Тамара с их прекрасными детьми здоровы; Мирские, у которых поселилась Майко, здоровы, Опочинины здоровы; все, все, здоровы.

Война пробудила все сословія; Тифлис кипит, дышет войною, всякий день проходят войска; здесь сформировалась прекрасная Милиція, также и в Имеретіи, и всё еще продолжается ея сформированіе. Многіе из Молокан записались добровольно и на свой счет в Санитары, а жены их в Сестры Милосердія! Изумительно воодушевленіе Народа! Крестовый поход теперь становиться ясно-понятным. – Цалую тебя и Георгія.

ბარბარე პატრიარქო-მრპელიანისადმი №73 (894)

თბილისით 12 იანვ: 1877. პეტერბ:^ბ

ვარვარა ილინიშნას კნიაგ^{ნია} ორბელ:

შენ საოცარი ქალი ხარ, ჩემო მეგობარო ვარვარა! დიდი ოსტატი მეგობრების გახარებისა და გაბედნიერებისა შენი სურვილის მიხედვით. მგონია, არცთუ დიდი დროა გასული ახალი წლიდან, მეკი უკვე მივიღე შენი რამდენიმე წერილი, რომლებმაც სრულიად

დამამშვიდეს წყნარი, ნათელი სიხარულით. აი, შენი წერილების ძალა. და მე მადლობის ნიშნად გიკოცნი ხელებს, თავს, მკერდს, რომელშიც ცოცხლობს შენი კეთილი გული. მაგრამ მე არ დამადანაშაულო და არ მოითხოვო, რომ ყოველ შენს წერილზე გიპასუხო. სიბერე დიდი ძალით ახშობს ჩვენში ყველა ადრინდელ თვისებას, თბილ ურთიერთობებსაც კი, აჩენს ყველაფრის მიმართ რაღაცნაირი გულგრილი სიზარმაცის გრძნობას, განსაკუთრებით, ყველანაირი სახეობის წერის მიმართ. მხოლოდ შენ და გიორგილა მამხნევებთ და მაკავშირებთ სიცოცხლესთან. აი, რატომ არის ჩემთვის ასე საჭირო შენი წერილები: ისინი მაძლევს ძალას თქვენი სიყვარულისთვის. ვევედრები უზენაესს, რომ დაგიცვათ დიდხანს, დიდხანს, გიხსნათ პეტერბურჯული ხველებისგან, რევმატიზმისგან, ყველანაირი სისაძაგლისგან, რომლითაც ასე იწონებს თავს მუდმივად პეტერ: კლიმატი.

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით კლიმატის შესახებ: რა საუცხოო შემოდგომაა, რა ზამთარია, რა გაზაფხული, რა მშვენიერებაა! აյ ჯერ კიდევ არ არის თოვლი, არც ყინული. კლუშინიც კი ვერ ძლება აქაური კლიმატის ქებით, რომელიც, სხვათა შორის, დღედღეზე სამუდამოდ მოემგზავრება პეტერბ:^۴ სადაც გზაც ჰქონია. რა უნიჭო ვინმეა! და, სხვათა შორის, სახელმწ: საბჭოს წევრად არის დანიშნული. და, აი, ჩვენი სახელმწ: ტუზები, დიდი იმპერიის დიდი შენობის შემაკავებელი ბოძები. ჩემი სახელით მიულოცეთ ბარ: ალექ. პავლოვიჩს ახალი ამხანაგის შეძენა.

მიიღო გიორგიმ საკინძები, – ივანე ორბ: მეუღლის, სოფიოს, საჩუქარი, რომელიც მე გამოვუგზავნე ფოსტით? ისინი დაღესტანშია გაკეთებული.

შეუდგა თუ არა გიორგი თავისი სანაქებო, სანუკვარი გეგმის შესრულებას გენერ: შტაბში გამოცდისთვის მოსამზადებლად ნელნელა, დაუღლელად, რათა იმ დღეს, როცა გამოცდები დაიწყება, სავსებით მზად იყოს აკადემიის წმინდათა წმინდა კარში შესავლელად? გარდა ამისა, მახსოვს, რომ მას უნდოდა პქონოდა რვეული, უფრო სწორედ, თავისი ყოველდღიური ცხოვრების დღიური. არა მგონია, მისი ეს მშვენიერი განზრახვები დარჩა კავკასიის აქეთა მხარეს, როგორც მისი ალბომი, დავინწყების გამო.

შენი დისპვილი, მშვენიერი ნასტინკა, ახლახანს ჩამოვიდა წინანდლიდან. საწყალ ელენა ასტაფიიევას შვილი მოუკვდა; სალომე და თამარი თავიანთ ლამაზ შვილებთან ერთად ჯანმრთელად არიან;

მირსკები, ვისთანაც მაიკო დასახლდა, ჯანმრთელად არიან, ოპოჩინინები ჯანმრთელად არიან; ყველა, ყველა ჯანმრთელია.

ომმა გამოაღვიძა ყველა წოდება; თბილისი დუღს, ომით სუნთქავს, ყოველდღე ჯარი გადის; აქ, ასევე იმერეთში, შეიქმნა მშვენიერი მილიცია და მისი ფორმირება დღემდე გრძელდება. ბევრი მოლოკანელი ნებაყოფლობითა და საკუთარი ხარჯით ჩაეწერა სანიტრად, ხოლო მათი ცოლები – მოწყალების დებად! საოცარი აღფრთვანებაა ხალხისა! ჯვაროსნული ლაშქრობა ახლა ცხადად გასაგები ხდება. – გკოცნით შენ და გიორგის.

პლატონ პავლოვისადმი №3 (895)

18 Генв: 1877. Платону Петровичу Павлову.

Нач: Окр: Шта: К: Армії¹

Несколько времени тому назад, я имел честь сообщить вам о ревностном желании Полков: Генер: Штаба Бутурлина служить в действующих войсках Кавк: Армії, и мне тогда показалось, что Ваше Прево небыл против такового его назначения.

Теперь я решаюсь препроводить к вам полученный мною письмо его и записку, в которой изложено краткое сведение о прохождении им службы; в письмеже объясняется причина, по которой записка присыпается без подписи.

Я, лично, незнаком сним; но все отзывы удостоверяют о нем, как о человеке, весьма образованном, нравственном и притом богатом.

Все эти похвальные качества, редко соединяющиеся в одном человеке, достойны того, чтоб, Ваше Прево, Милостиво отнеслись к живейшему его желанию, и, для пользы самой Службы, приняли на себя ходатайство пред Его Высоч:ом Главноком: Кав: Армію о вызове Полковника Бутурлина сюда на Службу, в силу той истины, что хорошо иметь в Арміи хорошаго офицера.

პლატონ პავლოვისადმი №3 (895)

18^ს იანვ: 1877. პლატონ პეტროვიჩ პავლოვს.
კავკ: არმიის საოლ: შტაბ: უფრ:^ს

რამდენიმე ხნის წინ მქონდა პატივი, მეცნიბებინა თქვენთვის გენერ: შტაბის პოლკოვ: ბუტიურლინის დიდი სურვილი კავკ. არმიის მოქმედ ჯარში სამსახურებლად, და მაშინ მომეჩვენა, რომ თქვენი აღმატებულება არ იყო წინააღმდეგი მისი დანიშვნისა.

ახლა გადავწყვიტე გამოგიგზავნოთ ჩემ მიერ მიღებული მისი წერილი და ბარათი, რომელშიც მოკლედაა აღნერილი მის მიერ განვლილი სამსახური; წერილშივე ახსნილია მიზეზი, თუ რატომ არის ბარათი გამოგზავნილი ხელმოწერის გარეშე.

მე პირადად არ ვიცნობ მას, მაგრამ ყველა მის დახასიათებაში ჩანს, რომ ის არის საკმაოდ განათლებული, ზნეობრივი და, ამასთანავე, მდიდარი ადამიანი.

აი, ეს სანაქებო თვისებები, იშვიათად გაერთიანებული ერთ ადამიანში, იმსახურებენ, რომ თქვენი აღმატებულება მოწყალედ მოეკიდოს მის ძლიერ სურვილს და თავად სამსახურის სასარგებლოდ იყიდებოს შუამდგომლობა მისი უმაღლესი:^ჭ, კავ: არმიის მთავარსარდ:^ჭ, წინაშე, რათა მან გამოიძახოს პოლკოვნიკი პუტურლინი აქ სამსახურისათვის, იმ ჭეშმარიტების გათვალისწინებით, რომ სასურველია არმიაში კარგი ოფიცირის ყოლა.

ესტონ ნერეთლისადმი №1 (896)

კნ: ნესტორს წერეთელს 21 იან: 1877.¹

ჩემო გულით საყუარელო ნესტორი! ამ მინუტში დავბრუნდი ჩემთვს მეტად სამწუხარის ცერემონიიდამ: ლიმნაზი-ის ეკალესიაში გადვიხადეთ პანაშვიდი, საუკუნოდ მოსახსენებელად თავადის გიორგის მუხრანსკისა, რომელიცა გარდაიცუალა ანაზდეულად პარიუში. გიორგი იყო გულით კეთილი, გონებით მაღალი, განათებული ჰესნავლითა, და ამასთანა დი-

დად მოყუარე თავის ქუციუნისა, თუმცა მისი გრძნობა ესე არა ჰსჯეროდათ მრავალთა, დაბრმავებით უბადრუკთა! მეკი უზომოდ მიყუარდა იგი და მიხაროდა მისი საქართველოს შვილობა; და ან მამული ჩუტი, უიმისოდაც მეტად ღარიბი კაცობითა, უმეტესად შეიქმნა გაგლახაკებულ. მეტად შეწუხებული ვარ ესრეთის საზოგადოდ სამტირალოს შემთხუცითა, ჩემო ნესტორ, ვჰედავრა, რომ მისი ადგილი დაცარიელდა ჩუტინთქს, თითქმის სამარადისოდ. – ეჰ, მახლაზ, რაღა გაეწყობა!

პოლიტიკური ამბავი არის ისევ ისე დაბნელებული, და ვერა ვინ იტყვის, როგორ დაბოლოვდება. კონჭერენციამ იყბედა, იყბედა, და დაიშალა, და ან დაჰშთა მეიდანი ცარიელ, და ვინ გამოვა გმირი იქ ბურთის ასაღებად, მხოლოდ მომავალი გვიჩუპნებს; მაგრამ ჯარებიკი, მაინც და მაინც, მოდიან მოუწყვეტლივ, ერევანს, ალექსანდროპოლს, ახალციხეს და თქუცნენ; ამისგარდა შეადგინეს აქ მეტად კარგი მილიცია ღონივრად მოსულთა ბიჭებისაგან. დღეს წავიდნენ სიმღერითა სასახლისაკენ, სადაცა გაშინჯავს მათ ველიკი კრიაზი; ვეება ქალაქის ხალხი მიჰსდევდა მილიციასა და უკვირდა მისი ვაჟკაცური შეხედულობა.

ჩემს საკუთარს, საყუარელს დას პელაგიას შუბლზე ვაკოცებ, და ღთსა² ვჰსთხოვ, ერთხელ კიდევ მეღირსოს მაგის ხილვა.

დიდად გამახარა სალომეს მოსვლამ ქმრითა და მშვენიერის შვილებითა; ახლა ეკატერინა დამშვიდდება და დაჰსტეპება მათის ხილვითა.

დიმიტრი გურიელი და ლევან სიყუარულით მომიკითხე, და შენცა ნუ დამივიწყებ მარადის ერთგულსა და შენის ბედნიერების მსურველსა

თ³ გრიგოლ(სა)

ამ წერილს მოგართმევს ჩემი ძველად ერთგული ნამსახური პეტრე კოპიაშვილი, დიდი ვაჟკაცი და ამ დროს დიდად გამოსადეგი; გთხოვ, ნუ მოაკლებ მას მფარველობასა თქუცნსა.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №74 (897)

Варваре Ильинишне Орбе:¹

26^{го} Генв: 1877. В Петерб.²

14^{го} Генв: в Гимназ: церкви, в которой торжественно праздновали день Св: Нины, Вел: ი კ^{ვე} сообщил мне печальное известіе о кончине моего друга Георгія Мухранского в Париже. Можешь вообразить всю тяжесть моей горести, потрясшей меня до глубины души. Я ненаходил слов для ответа, молчал окаменелый, ожидая еще чегото. Безсознательно поехал я к Трубецкому, отнего к Григ. Дадіани, и потом уже вместе с Паша Витгенштейн, поспешил к Ивану Мухр:, где я заплакал действительно горькими, горькими слезами. Да, Грузія лишилась лучшаго сына, наше общество – лучшаго Члена, я лишился человека, котого искренно любил за его чистую душу, за светлый ум. Теперь, я поконен; и если, иной раз, речь каснется Георгія, то говорим онем уже без печали. – Так, всё проходит безвозвратно; очень грустно убедиться в этом, но никакая грусть, никакія мольбы неизменят Суроваго непреложного Закона. Что же? И не надо! Есть религія, есть вера в Создателя; он не погубит свое разумное созданіе, возвысившееся до идеи о бессмертії. Откуда же эта идея, если всё в міре должно превратиться в ничто? –

Беднаго Георгія привезут, чтоб похоронить в Мцхете.

Третьего дня я послал тебе 250 р:

Недавно чрез Тифлис проехал из Парижа в Зугдид Саломе Мюрад с мужем и двумя очень красивыми сыновьями. Теперь Екатерина вполне успокоится!

Здесь назиму поселился Александр Николаевич Карамзин с больною женою; очень хорошие люди. Взамен их Шаховские наднях выезжают совсем в Россію, где он получил корпус. По этому случаю, мы были приглашены к Опочинину вчера к обеду, накотором подано было чудное, Кахетинское 13^и летнее вино. Вот так вино!!! А говорят, что здешнее вино несохраняется долго.

Недавно из Харькова я получил письмо, – ответ на мое – от Княжны Маико Орбелі, дочери Александра, с ея портретом. Премилое Существо! Я нахожу большое сходство с ея отцом. Она живет теперь у своей бабушки Сомовой.

Существует опасение, что Тифлис навсё лето останется без льда. Это отзовется большим лишением вовремя знайных дней лета. Сегодня, как будто, началась зима, т: е: шел снег до обеда при температуре –1 гр:

Вчера приехал сюда из Москвы К: Михаил Мухранский, чтоб быть при похоронах своего брата Георгія. Нечего сказать, веселый прїезд!

ბარბარე პატრიარქულ-მრგვალიანისადმი №74 (897)

ვარვარა ილინიშვა თრბე:

26^б იანვ: 1877. პეტერბ:^б

14^б იანვ: გიმნაზ: ეკლესიაში, სადაც საზეიმოდ ვდღესასწაულობდით ნმ: ნინოს დღეს, დიდ:^{მა} კნა^{მა} მაცხობა სამწუხარო ამბავი ჩემი მეგობრის, გიორგი მუხრანსკის, პარიზში გარდაცვალების შესახებ. ხომ ნარმოგიდგენია ჩემი მწუხარების სიმძიმე, რომელმაც

სულის სიღრმემდე შემძრა. სიტყვა ვერ დავძარი პასუხის გასაცემად, გაქვავებული ვდუმდი, თითქოს კიდევ რაღაცას ველოდი. გაუცნობიერებლად წავედი ტრუბეცკოისთან, მისგან გრიგ. დადიანთან, შემდეგ კი უკვე პაშა ვიტგენშტეინთან ერთად გავეშურე ივანე მუხრანი, სადაც ავტირდი მართლაცდა მწარე, მწარე ცრემლებით. დიახ, საქართველომ დაკარგა საუკეთესო შვილი, ჩვენმა საზოგადოებამ – საუკეთესო წევრი, მე დავკარგე ადამიანი, რომელიც გულწრფელად მიყვარდა მისი სუფთა სულის, ნათელი გონების გამო. ახლა მშვიდად ვარ და, თუ სხვა დროს საუბარი შეეხება გიორგის, მასზე უკვე მწუხარების გარეშე ვილაპარაკებთ. – ასეა, ყველაფერი გაივლის უკან დაუბრუნებლად; ძალიან სამწუხაროა ამაში დარწმუნება, მაგრამ ვერავითარი წუხილი, ვერავითარი სურვილი ვერ შეცვლის ამ მკაცრ, შეუცვლელ კანონს. რა გაეწყობა? და არც არის საჭირო! არსებობს რელიგია, არსებობს რწმენა შემოქმედში; ის არ დაღუპავს თავის გონიერ ქმნილებას, ამაღლებულს უკვდავების შესახებ იდეამდე. საიდან წარმოიშვა ეს იდეა, თუკი ყველაფერი სამყაროში არარაობად უნდა იქცეს? –

საბრალო გიორგის ჩამოასვენებენ, რათა დაკრძალონ მცხეთაში.

სამი დღის წინ გამოგიგზავნე 250 რ:

ცოტა ხნის წინ პარიზიდან თბილისის გავლით ზუგდიდს წავიდა სალომე მიურადი ქმართან და თავის ძალიან ლამაზ ორ ვაჟთან ერთად. ახლა ეკატერინე სრულიად დამშვიდდება!

ალექსანდრე ნიკოლაევიჩ კარამზინი თავის ავადმყოფ ცოლთან ერთად აქ დასახლდა ზამთრის გასატარებლად; მათ სანაცვლოდ შახოვსკები ამ დღეებში მუდმივად მიემზავრებიან რუსეთში, სადაც მან კორპუსი მიიღო. ამ ამბავთან დაკავშირებით გუშინ საფილზე ვიყავით მიპატიუბული ოპოჩინინთან, სადაც მოგვართვეს 13 წლის საოცარი კახური ღვინო. აი, ღვინო!!! ამბობენ კი, რომ აქაური ღვინო დიდხანს არ ინახება.

ცოტა ხნის წინ ხარკოვიდან მივიღე წერილი, – ჩემი წერილის პასუხად – კნიაუნა მაიკო ორბელი; ალექსანდრეს ქალიშვილისგან, მის პორტრეტთან ერთად. რა საყვარელი არსებაა! ძალიან ვამსგავსებ მამამისს. ამჟამად ის ცხოვრობს ბებიამისთან – სომოვასთან.

არსებობს შიში, რომ თბილისი მთელ ზაფხულს ყინულის გარეშე დარჩეს. ეს დიდი დანაკლისი იქნება ზაფხულის მცხუნვარე

დღეებში. დღეს თითქოს დაიწყო ზამთარი: ე: ი: საფილამდე თოვდა – 1 გრ. ტემპერატურის პირობებში.

გუშინ მოსკოვიდან ჩამოვიდა კ: მიხეილ მუხრანსკი თავისი ძმის, გიორგის, დაკრძალვაზე დასასწრებლად. ვერაფერს იტყვი, მხიარული ჩამოსვლაა!

გარიაზ მრპელიანისადმი №1 (898)

Княжне Марії Александровне Орбел: В Харьков 8^{го} Фев: 1877.¹

Моя милая, дорогая Тетушка Маня! Я не всилах выразить всей моей радости, которую чувствовал при чтении твоего письма! Цалую твою голову и благодарю за портрет, который теперь стоит предомно на письменном столе. Взамен, и я посылаю тебе мое лицо, конечно не такое молодое, как твое. Ну, немножко на голове не достает волос, немного борода бела; но ты, моя Маня, непугайся, и верь, что это старое лицо горячо любит тебя и благословляет в своих молитвах.

В Тифлисе теперь началась весна; солнце блестит, тепло, светло; в Муштаид: Саду цветут розы; птички поют, дети в Аллеях играют; повсюду весело, хорошо; но для полноты моего счастья необходимо, чтобы, и ты, была теперь здесь, моя милая Маня.

Твои тётушки, Княжни Анастасія и Елена здоровы. Незабывай меня и радуй твоими письмами. Напиши мне, как ты учишься, и довольнали твоими успехами глубоко-уважаемая мною твоя Бабушка, Марія Павловна, которой прошу тебя выразить чувство моей истинной преданности. Тебя же, мой друг, горячо цалую в голову и поручаю Божьему Милосердію юную жизнь твою. –

Твоему верному Симону Кланяюсь; он тебя любит и предан искренно.

მარიამ მოგოლიანისადმი №1 (898)

კნიაუნა მარიამ ალექსანდროვნა ორბელ: ხარკოვს 8 თებ: 1877.

ჩემო საყვარელო, ძვირფასო დედილო მანია! სიტყვები არ მყოფის ჩემი სიხარულის გამოსახატავად, რომელსაც შენი წერილის წაკითხვისას ვერდნობდი! გკოცნი თავზე და მადლობას გიხდი პორტრეტისათვის, რომელიც ახლა ჩემს საწერ მაგიდაზე დევს, ჩემ წინ. სამაგიეროდ, მეც გიგზავნი ჩემს სახეს, რა თქმა უნდა, არა ისეთ ახალგაზრდულს, როგორიც შენია, რა ვქნა, თავზე თმა ცოტა-თი შემითხელდა, წვერიც ცოტა გამითეთრდა, მაგრამ არ შეგეშინდეს, ჩემო მანია, და მერწმუნე, რომ ამ ბებრულ სახეს მხურვალედ უყვარხარ და მოგიხსენიებს თავის ლოცვებში.

თბილისში გაზაფხულდა; მზე ანათებს, თბილა, სინათლეა; მუშთაიდ: ბაღში ვარდები ყვავის; ჩიტები ჭიკიკებენ, ბავშვები ხე-ივნებში თამაშობენ; ყველგან მხიარულებაა, კარგია; მაგრამ ჩემი სრული ბედნიერებისათვის აუცილებელია, რომ ახლა შენც აქ იყო, ჩემო საყვარელო მანია.

შენი მამიდები, კნიაუნები – ანასტასია და ელენე – ჯანმრთელად არიან. ნუ დამივინებ და გამახარე ხოლმე შენი წერილებით. მომწერე, როგორ სწავლობ და კმაყოფილია თუ არა შენი წარმატებებით ჩემგან ღრმად პატივცემული შენი ბებია, მარია პავლოვნა, რომელსაც, გთხოვ, გადასცე ჩემი ჭეშმარიტი ერთგულების გრძნობა. შენ კი, ჩემო მეგობარო, მხურვალედ გკოცნი თავზე და შენს ახალგაზრდა სიცოცხლეს მივანდობ გულმოწყალე ღმერთს. –

მოკითხვას ვუთვლი შენს ერთგულ სიმონს; მას უყვარხარ და გულწრფელად თავდადებულია.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №16 (899)

17 თებერ: 1877. ნიკო ჭავჭავაძე¹ ელისავეტოპოლს.

ჩემო საყუარელო ნიკო! ვიცი ჩაღრმაებული ხარ წამხდარის ღუბერნიის საქმეების გარკვევაში, განმენდაში, წესიერების დამყარებაში, და არ გემდური მოუწერლობისათვის,

როცა ყოველსავე ამას, ღთის² შეწევნით, რიგიანად და კეთი-ლად დააწესებ და გულით მიეცემი განსვენებას. მაშინკი, რას მემართლები, რომ არ მომწერო გრძლად, დაწვრილებით?

გუშინ დავპტოზნდი მცხეთიდამ, სადაცა, მწუხარების ცრემლითა, დავასაფლავეთ ჩუმინი საბრალო გიორგი მუხ-რანსქე, საქართველოს დედა-სობოროში, უდროოდ დამიწე-ბული ჩუმინთვალი და თვთ მმართებლობისათვალი. ველიკი კნია: იქ მობძანდა მართლად ჭეშმარიტის გრძნობით შეწუხე-ბული. ქალაქიდამ და ქართლიდამ ბე(ვ)რნი იყუნენ მოსულნი თავადობა, გლეხობა, ქალები, კაცები, უკანასკნელის პატი-ვისცემისა განსაცხადებლად მიცუალებულსა. ბევრი დრო გა-ივლის, რომ საქართველომ ველარა იხილოს ვინმე ქართველ-თაგანი, ასული იმ პატივის სიმაღლეზე, რომელზედაცა გიორ-გი იდგა ლირსებითა, გონებით, ჰსნავლით, გულით, ხასიათით. ჩუ[ცნდა] საუბედუროდ, ზოგიერთთა დაბრმაებულთა მიაჩ-ნდათ იგი საქართველოს მტერა[დ.] ოპპჰ, სიბოროტე და წე-ული შური სადამდის აბნელებს კაცის გონებასა! ნეტავი სა-ქართველოს ჰყუანდეს მაგისთანა ერთი კიდევ გიორგი.

19^ს თებერ:³

ეს წერილი დამრჩა დღევანდლამდის გაუთავებელი ამა-ოებით ცხოვრებისაგამო. გუშინ შავმოსილნი, მგლოვიარენი, ვიყავით სასახლის ეკელესიაში პანაშვიდზე იმპერ: ნიკოლოზი-სათვს, და დღესკი ზარბაზნის სროლამ გუახარა, – შადლუღ –, ალუსლა ბედნიერს ტახტზე ანინდელის იმპერატორისა და-სამკვიდრებლად, 80^მ მილლ^{წმ} ხალხთაშორის, მშვიდობისა, განათლების მოფენისა, ბედნიერებით ცხოვრებისა! მაგრამ მეკი არ ვიყავ წირვაზე: ალარ შემიძლიან დიდს ხანს ფეხზე დგომა.

ამჟამად აქ არიან შეყრილნი, საქართველოს დამცველნი მტრისა შემოსვლისგან: ღენ: ადუტ^{წმ}: ლორის მელიქოვი და იოსებ თარხანოვი, ოლლობჟიო, ტერლუქაზოვი, დეველ, ზაქ:

ჭავჭა: ორნი ძმანი კამარო[ვ]ები, ყაზიბეგ და სხუანი, მოსალა-პარაკებლად ჯარებზე.

დადგა მშვენიერი დარი გაზაფხულისა, მაგრამ ვლადი-კავკაზის გზაკი შეიკრა დიდროანის ზუაებითა, რლწიც,⁴ ჩა-მოდიან და ჩამოდიან მთებიდამ, და სრულებით დაიფარა გზა 15^ს ვერ(ს)ტ: – ასე გაშინჯე, მლეთის სტანცია ჯერ ორჯელ დაუტანია ზუავსა; და ამისგამო აღარ მოგვდის ფოშტა და დავრჩით უამბოდ რუსეთისა და ევროპის საქმე(ე)ბისა. მოე-ლიან შურიდამ კნეინას მელიქოვისას, და არვიცი, როგორ გა-ბედავს მთებზე გადმოსვლას! – საიდუმლოდ მითხრეს და მე-ცა ჩურჩულით გეუბნები, რომ მალე ვნახავთ ლევანის ქალის ქორწილსა და ზაქარია ერისთავისა. – ორნივ კარგები არიან.

დრო მიდის და ვოსტოჩნის ვაპროსი⁵ უფრო და უფრო ძნელდება, და რუსეთის დიპლომაცია როგ[ორ] დააბოლოებს ამ დიდად დახლართულს საქმესა, ეხლა ძნელია გამოიცნას ვინმე; მაგრამ რადგანაც სლავიანები, ბრძოლის მიზეზნი, ურიგდებიან სულთანსა, მაშასადამე რუსეთი ვისლასა და რის-თვს უნდა შეებას? მაინცკი, წესისაებრ, ჯარები ემზადებიან და ემზადებიან. ჩუცნს ქართველობასაც ასწავლიან ტრონტსა, და ზოგჯერ მეტად სასაცილობა გამოდის სწავლის დროში. „ვაა, რა არის ეს ფეხი თუ გინდ აქ დავდგა, თუ გინდ იქა? „მტყუანის დედას რა უთხრა თუ გლაზა ნაპრავო არ მეთქუ-ას!“ და ამგუარი ლაპარაკი ხშირად არის ოსტატსა და შა-გირდს შუ[ა].

დღეს იყო ველიკის კნიაზისას დიდად გაჭიმული სადი-ლი: ღენარლობა, სენატორები, კონსულები, ჩინოვნიკები, შეი-ხულისლამები, პასტორები, პატრები, ქართველებისა და სომ-ხების არქიერები, და იყო დიდი[ი] ხმოვანი, ურრრააა!! ჭელმწი-ფის სადღეგრძელოს მოხსენებაზე! – („)კნიაზო,⁶ მიპძანა ვე-ლიკი კნიაზმა, ჰედა[ვ] შეიხულისლამი და პასტორი ერთად ჰსხედან და მუსაიფობენ?“

„დიახ, აი ეგ არის ვლიანიე⁷ ოსმალოს კონსტიტუციისა, მე უპასუხე!“ და ძალიან გაეცინა იმა[სა]ც და თკთ მეცა.

ჩუმინი გაზეთი, კავკაზი, მეტად ადრე გაქებს, და მეკი ეს არ მომწონს. ბულატოვსაც ასე აქებდა ესევე კავკაზი. – შენ იმას არაოდეს არ დაგადარებ – ეს იქნებოდა დიდად დამცირება შენი. მაგრამ, მეკი მაშინ გავიხარებ გულითა, როცა მან-დედამ გამოხვალ და ხალხი მადლობით დაგილოცავს გზასა, და ღთის⁸ შეწევნითაც აგრე მოხდება, როგორცა დალისტანმა გამოგაცილა კურთხევითა, და მაშინ, ჰომოო, ქუდ-ჩაკეცილი და თავ-მაღლა აღებული შემოხვალ თბილისში, და ჩუმინცა], – თუკი ვიცოცხლე, – თაყუანისცემით მოგეგებით ჩუმინსა სა-ყუარელსა ნიკოსა!

ამ სალამოზე, პირობა გუაქუს, მე, ლორის მელიქოვს, ამიროვს, რომ მივიდეთ აპაჩინინისას საბოსტონოდ.

ღთი⁹ იყოს შენი მფარველი.

ხელმეორედ გავხსენ ეს წერილი, რომ შეგანუხო სამწუ-ხაროს ამბითა: წუხელის გარდაიცუალა ყაფლანის სიდედრი!

–

იოსეპ სერაფიმიშვილისადმი №1 (900)

М: Г: Йосиф Мартынович Серафимович В Закаталы.

8 марта 1877 г.¹

Вчера я возвратился из Тифлиса, откуда отправил я варвару Ильинишну в Александрополь к ея сыну, который, или ранен, или же очень болен. Несколько телеграм отправлены мною, и Команданту, и Уездн: началь^у, и наконец Доктору, но нет досих пор известій. Нетерпение мучит меня. Оказалось, что мать несравненно мужественнее дяди! — Не слышали чтонибудь у вас о Георгіе?

დიმიტრი სტაროსელსკისაღაი №2 (910)

16^ს ივლისს 1877. წავკისი. სტაროსელსკის.

პატივცემულო დიმიტრ: სიმონოვიჩ!

1). თბილ: წით: ჯვრის ჰოსპიტალში ექიმთა დიდი ნაკლებობა იგრძნობა: 70 ავად:-ზე 1 ექ;. ასევე ნაკლებობაა მოწყალების დებში. ხომ ვერ შეძლებდით, რომ ამ ჰოსპიტლისთვის მიგეწერათ ლიფ-ლანდ: სანიტარ: რაზმი, რომელსაც დღე-დღეზე ელოდებიან?

2). სად იგზავნება კნიაგინია ხილკოვას უზარმაზარი სანიტარული რაზმი და შეიძლება თუ არა, რომ ამ რაზმის ნაწილით შევავსოთ ერევნ: ჰოსპიტალში არსებული ნაკლებობა?

3) ჩვენმა ექიმებმა უარი თქვეს წყლის გამწმენდ ფილტრებზე და შემოგვთავაზეს მათი შეცვლა შაბით. ეს საშუალება დიდი ხანია ცნობილია თბილ: მცხოვრებლებისთვისაც, მაგრამ საოცარია, რომ ჩვენმა მედიკოსებმა მხოლოდ მაშინ გაიხსენეს შაბი, როცა ფილტრებზე ალაპარაკდნენ! მანამდე კი მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ავადმყოფებისთვის შაბით გაწმენდილი წყალი დაელევინებინათ. და რა გამოვიდა? წყალი მაინც ამღვრეულია, – რა თქმა უნდა, უყურადღებობის გამო, და, თანაც, ცუდი სუნი აქვს! აი, რა მოიგეს ჩვენმა ავადმყოფებმა მათდამი ჩვენი ზედმეტი ზრუნვით.

4) ალექსანდ:^{და} თბილისში ცნობები ტელეგრაფით მე-3 და ზოგჯერ მე-4 დღეს მოდის. თავს იმით იმართლებენ, რომ სახაზინო დეპეშები ძალიან დიდი რაოდენობით იგზავნება. შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება, რომ სატელეგრაფო სამსახურის დღევანდელ შემადგენლობას დაემატოს რამდენიმე პირი სამართლიანად უკამყოფილ საზოგადოების დასამშვიდებლად!

გუშინ დავბრუნდი თბილისიდან, საიდანაც ვარვარა ილინიშნა გავამგზავრე ალექსანდროპოლიში თავის ვაჟიშვილთან, რომელიც ან დაჭრილია, ან ძალიან ავადაა. რამდენიმე ტელეგრამა გავუგზავნე კომენდანტსაც, მაზრ: უფრ: -საც და, ბოლოს, ექიმსაც, მაგრამ აქამდე არაფერი ისმის. მოუთმენლობა მტანჯავს. აღმოჩნდა, რომ დე-და ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ბიძა! – თქვენთან ხომ არ ისმის რამე გიორგის შესახებ?

პარტარე პატრატიონ-ორგანიანისადმი №75 (911)

24 იული. 1877. ცავკისი.¹

Мой друг варвара! Ну, слава Богу! Я теперь успокоился, прочитав твоё письмо о Георгіе, принятое мною из Александровска, вчера в Тифлисе, куда ездим по делам общ: Кр: Креста. Ну, я измучился, много ночей провёл в мрачных мыслях. И так был сильно озлоблен, что ко всем придидался, со всеми поссорился. Этаго я непрошу Георгію; сжатыми кулаками угрожаю ему отсюда. А между тем, делать нечего; высылаю ему, по поч-

те, завтра, т. е. в понедельник, [...] дом Александр: Коменданта. И [...] лёгкое и верное средство получить Палатку адресованную к Коці Мухранскому, командиру Грузинск: полка. Он даст, вместо [...] для людей Георгія, или, быть может, лучше будет, если сама напишешь к Коці [...] когда Георгій из застенчивости нерешиться [...] о Палатке. [...] Полках всегда много лишних Палаток.

Скоро пріедет к нам князь [...] и даже Вїй К^{3б}, возвратившіся в Тифліс из Ріонского отряда, где [...]

Вчера я получил письмо от (?) Княгини [...] премило написанное на груз. языке. Удивительно, как она не забыла его.

Вчера же из Москвы от Царевны я получил телеграмму, в которой она советует тебе и мне возвратить Георгія в Тифліс для лечения.

Целую тебя, Георгія, и если дозволит, Графиню Ностиц, очень нежно, очень почтительно. Уверяю, от моего поцелуя – беды нет, к тому же, некоторым образом, они мне родня, в силу Краснаго Креста.

Пожалуйста, передайте [...] мою искреннюю благодарность за родственное попеченіе о Георгіе.

Бог [...] вас.

Страшно думать, но мне кажется, что война в Европе пріимет громадные размеры, Да хранит Господь Бог Русь православную.

Вчера в Тифл: Заседаніе Кр: Креста продолжалось 6 часов, по милости фантастических предложений, представленных к Ея Высочеству Всеvolожским. Мы отвергли и к немалому удовольствію нескольких (?) совершенно одного мненія с нами(?), [...] Генер: Адют: [...] случайно приехавшаго в Тифл. из Дунайской Арміи на несколько дней. Он – Началь: Глав: Штаба и [...] Член Главнаго Управлениј Крас: Креста. Незнаю, что скажут Их Высочечства.

პარპარე პაგრატიონ-ორპელიანისადმი №75 (911)

24 ივლისი. 1877. წავკისი.

ჩემო მეგობარო ვარვარა! აბა, მადლობა ღმერთს! მე ახლა დავწყნარდი, როცა გიორგიზე წავიკითხე შენი წერილი, რომელიც ალექსანდროპოლიდამ მივიღე გუშინ თბილისში, სადაც დავდივართ წით. ჯვრის საზოს საქმეებზედ. იცი, გაეწამდი, მრავალი ღამე გავა-ტარე შავბნელ ფიქრებში. და ისე ძლიერ ვიყავ გაბრაზებული, რომ ყველას ვუშარდებოდი, ყველას ვეჩხუბებოდი. ამას არ ვაპატიებ გი-ორგის; მომუჭული მუშტებით ვემუქრები მაგას აქედან. თუმცა, რას გახდები; გიგზავნით (?) პოჩტით ხვალ, ანუ ორშაბათს, [...] ალექ-სანდრ: კომენდანტის სახლი. და [...] იოლი და უტყუარი საშუალება კარვის მისაღებად, რომელიც ეგზვნება კონია მუხრანსკის, ქართ. პოლკის მეთაურს. [...] მაგივრად ის მისცემს [...] გიორგის ხალ-ხისთვის, ან, ეგებ უკეთესი იყოს, თუკი თავად მისწერ კონიას [...], რაკი გიორგი ხათრით ვერ ბედავს [...]კარავზე. [...] პოლკებში ყო-ველთვის ბლომადაა ზედმეტი კარვები.

მალე ჩამოვა ჩვენთან კნიაზი [...] და დღი კ ზე კი, თბილისში დაბრუნებული რიონის რაზმიდან, სადაც [...]

გუშინ კნეინა (?)ისგან მივიღე უსტარი, რომელიც ძალზე სა-ყვარლადაა დაწერილი ქართ. ენაზედ. საოცარია, როგორ არ დაა-ვიწყდა მას იგი.

გუშინვე მოსკოვიდამ ცარევნასგან მივიღე ტელელრამა, რო-მელშიც ის მე და შენ გვირჩევს გიორგის დაბრუნებას თბილისში სა-მკურნალოდ.

გკოცნით შენ, გიორგის და, თუ ნებას დამრთავს, ღრაჭინია ნოსტიცს – ძალზე ნაზად, ძალზე მოკრძალებით. გარწმუნებთ, ჩემი ამბორი უბედურებას არ მოუტანს, თანაც, ის როგორლაც მენათესა-ვება წითელი ჯვრის მხრიდან.

გეთაყვა, [...]ს გადაეცით ჩემი გულწრფელი მადლიერება ნათესაური მზრუნველობისთვის გიორგიზედ.

ღმერთმა [...].

გაფიქრებაც კი საშინელებაა, მაგრამ მეჩვენება, რომ ომი ევ-
როპაში მიიღებს გრანდიოზულ მასშტაბებს, დაე, ფარავდეს უფალი
ლმერთი მართლმადიდებელ რუსეთს.

გუშინ თბილი^{შე}, მისი უდიდებულესობის, ვსევოლოჟსკის მიერ
წამოყენებული ფანტასტიკური წინადადებების წყალობით, წით.
ჯვრის სხდომა გრძელდებოდა 6 საათს. ჩვენ უარვყავით და, რამდე-
ნიმეს გარდა(?), სრულიად ჩვენი/მათი აზრისაა(?) [...] გენერ: ადი-
უტ: [...], რომელიც დუნაის არმიიდან რამდენიმე დღით შემთხვე-
ვით ჩამოვიდა თბილისში. ის გახლავს მთავ: შტაბის უფრ. და [...]
წით. ჯვრის მთავარი სამმართველოს წევრი. არ ვუწყი, რას იტყვიან
მათი უდიდებულესობანი.

ყაფლან ორგელიანისადმი №21 (912)

ჩემო ბატონო ყაფლან! მერე,

ერთხელ ვერ ამოხვედი აქა, რომ მენახე და მეთქვა
დიახ ბევრი, დიახ ბევრი ამბავი ახალახალი, სულ ნემსიდამ
ამოღებული! ნაფაიდა აქ ვის უთხრა, არავინ არის, და მე ეს
დარდი გულში მუწუკად მიხდება; სხუას აღარას მოგწერ.

შენი ძმა გრიგოლი

27 ივლისს¹ [არა უგვიანეს 1877 წლისა]

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №3 (913)

29^{го} Июля 1877. Цавкиси. – Дмитр: Семен: Старосельскому.¹

Уважаемый Дмитрий Семёнович! Живя в пустыне, вдали от всех
известий, от тех важных событий, которые вокруг нас проходят

и поглощают все наше внимание, все наши помышления, — простительно мне, если я, невзирая на ваши ежедневно многочасовые занятия, решаюсь отнести к вам вопросом: известноли чтонибудь вам из Главного Штаба о ходе военных действий? Телеграммы почти ничего не говорят, или рассказывают о давно уже прошедшем. А между тем, Границы Эриванской Губернии, повидимому, в большой опасности, когда приходится защищать даже Кульп, лежащий вблизи Эчмадзина, уже нашей земле! Верители, вот уже втечение нескольких ночей, мрачные мысли недают мне покоя. Из Дуная также нет ничего утешительного, ободряющего. Просто, дух уныния овладевает мною. Спасибо прославленному Баязетскому Команданту Штоквичу; вчера он был у меня и рассказалми своими о страшных лишениях, которых преодолены, всамом деле, безпримерным мужеством Гарнизона, — развеселили меня. Я так благодарен ему! В особенности, рассказ его о своей работе, о своей неловкости при представлении Государыне великой Княжне и великим Князям в Боржоме, — заставил меня от души хотеть.

Имеетели известие из Боржома, чем кончился проект, представленный Всеволожским, на осуществление которого требуется 400/т: р:² и вообще предвидятся ли заседание в Боржоме? — Я надеюсь, что на некоторые вопросы Исакова мне уже не придется отвечать.

В заключении имею честь присовокупить,³ — впрочем ни к селу, ни к городу что, уменя из Коджор пропали 3^и жеребята трехлетни, Арабской породы, на которых, наступающею осенью думал щегольнуть, хвастовски пропеть мимо некоторых окон. И что же? всё — неудача! Когдаже — успех? —

Что мой благородный, невозмутимый друг, К: Дмитрий? Ему теперь нет дела; пустяже, вместо вас, он ответит мне.

Будьте здоровы и счастливы.

დიმიტრი სტაროსელსკისადგი №3 (913)

29^ს ივნისს 1877. წავკისი. – დიმიტ: სიმონ: სტაროსელსკის.

პატივცემულო დიმიტ: სიმ:!! ვცხოვრობ რა უდაბნოში, მოშორებული ყველანაირი ახალი ცნობისგან, ჩვენ გარშემო მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი ამბისგან, რომლებიც იპყრობენ მთელ ჩვენს აზრებს, – მეპატიება, თუ მოგმართავთ კითხვით, მიუხედავად იმისა, რომ ვაცი, როგორი დაკავებული ხართ ყოველდღე: ცნობილია თუ არა თქვენთვის რაიმე მთავარი შტაბიდან საომარი მოქმედებების მიმდინარეობის შესახებ? დეპეშები თითქმის არაფერს ამბობენ, ანდა ყვებიან დიდი ხნის წინ მომხდარ ამბებზე. არადა, როგორც ჩანს, ერევ: გუბერნიის საზღვრები დიდ საფრთხეშია, რადგან მათ უნევთ კულპის დაცვაც კი, რომელიც ეჩმიაძინის მახლობლადაა, უკვე ჩვენს მიწაზე. გჯერათ თუ არა, რომ, აი, უკვე რამდენიმე დამეა, უსამოვნო ფიქრები არ მაძლევს მოსვენებას. დუნაიდანაც არაფერია დამამშვიდებელი, გამამხნევებელი. უბრალოდ, დარდი მიპყრობს. მადლობა ბაიაზეთის სახელგანთქმულ კომენდანტ შტოკვიჩს; გუშინ ის ჩემთან იყო და თავისი მონათხობით მძიმე დანაკარგებზე, რომლებიც სინამდვილეში გადალახულ იქნა გარნიზონის სამაგალითო ვაჟეაცობით, – გამამხიარულა. მე ისეთი მადლობელი ვარ მისი! განსაკუთრებით მისმა მონაყოლმა თავისი გაუბედაობისა და მოუხერხებლობის შესახებ მისი წარდგინებისას დიდი ხელმწიფის, კნიაჟნასა და დიდი მთავრების წინაშე ბორჯომში, – გულიანად მახარხარა.

ხომ არ გაქვთ ბორჯომიდან ცნობა, რით დამთავრდა ვსევოლოესკის მიერ წარდგენილი პროექტის საქმე, რომლის განსახორციელებლად საჭიროა 400/ათ: რ. და, საერთოდ, გათვალისწინებულია თუ არა ბორჯომში დაწესებულება? – ვიმედოვნებ, რომ ისაკოვის ზოგიერთ შეკითხვაზე აღარ მომიწევს პასუხის გაცემა.

და, ბოლოს, მაქვს პატივი, დავამატი, – ისე, სხვათა შორის, კოჯორში დაგვარგე არაბული ჯიშის 3 სამწლიანი კვიცი, რომლებითაც მომავალ შემოდგომაზე ვაპირებდი თავის გამოსაჩენად ბაქიაობით სიმღერას რამდენიმე ფანჯრის მახლობლად. და რა გამოვიდა? სულ მუდამ – უიღბლობა! წარმატება – როდისლა? –

სხვა, რასა იქმს ჩემი კეთილშობილი, აულელვებელი მეგობარი, კ: დიმიტრი? ახლა მას საქმე აღარა აქვს; დაე, თქვენ მაგივრად იმან მიპასუხოს.

იყავით ჯანმრთელად და ბედნიერად.

ყაფლან ორგელიანისადმი №22 (914)

ჩემო საყუარელო ყაფლან, ძმაო თვალისჩინო!

შენი წიგნი და ძალუას ნაზუქები მომივიდა მაშინ, რო-
დესაც ისაკიც ქალაქიდამ მოსული მიზის გვერდით და ლაპა-
რაკით სიამოვნებით აღვსილნი, ვხარხარებთ, და ამავე საათსა
სოსიკოც მოვიდა. – არ ვიცი, როგორ მოვახსენო მადლობა
ძალუასა! ეხლავ უგზავნი ტასოსა და სოფიოსა რამდენსამე
ნაზუქსა, რომ შურით აევსოსთ გული, და ცხადად დაინახონ
უპირატესობა ძალუასი. – ასე ვეუპნები ამათ, რომ ძალუა
ელისაბედ არის დედოფლად დაბადებული და რა საკურვე-
ლია, თუმცა ესენი არას ამბობენ, მაგრამ აშკარად ეტყობათ,
რომ დიდად ჰსნებინთ. –

შევიტყე, რომ შენს ჯოგში დაბადებულა ექუსფეხიანი
კვიცი! მართლად საკურველია. –

ისაკმა, რომ დაინახა ლამაზი ნაზუქები, ჰსთქუა, ელისა-
ბედცა – ნაზუქიაო.

სოფიო, კეკე, ნინუცა სიყუარულით მომიკითხეთ.

გუშინ იყუნენ უძოსა სოფიო, ტასო თავისის ქალებით,
და ქეთევან თავის მზეთუნახავის გამდელითა; დაბრუნდნენ
დაღალულნი, დაქანცულნი სიცხისაგან. –

ღთი¹ იყოს თქუმნი მფარველი(.).²

შენი მარადის ერთგული ძმა და მოსამსახურე
თ³ გრიგოლ ორბელიანი.

1 აგვის. 1877.

ნავკისით.⁴

სალომე დადიან-მიურატისაძე №1 (915)

პრინცესისას სალომეს მიურადს. – გორდსა –
12 აგვისტ: 1877. წავკისით.¹

ჩემო გულით საყუარელო დისწულო სალომე! შენი წე-
რილი, ქართულად დაწერილი, წინ მიძევს, შევჰარი და სიხა-
რულით ვამბობ: ქუცყანაზე მხოლოდ ერთია სალომე, რომლი-
სა წერილსა ან ვჰკითხულობ მეორმოცედ! ვჰკითხულობ და
მიძნელდება, როგორ გითხრა, ანუ ჭეშმარიტი მადლობა ჩემის
ხსოვნისათვეს, და ანუ მართალი, წმინდა, შენდამო სიყუარუ-
ლი! ღთშან² გაკურთხოს შენცა და შენი არჩილიცა, და ჰყოს
მან სიცოცხლე თქუცი ისე მხიარულ-ნათლად, ვითარცა შუ-
ქი მაისის დილისა!

მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა ჩემო მშვენიე-
რო სალომე! და აბა, როგორ არა ვჰსტეჟა სიმწარითა: პარი-
ჟელსა უნდა უყუარდეს ქართული ენა, უნდა იგი ჰსცდილობ-
დეს მის შესწავებასა, და საქართველოშიკი ქართველი ქალე-
ბი უარს-ჰყოფდენ ქართულს ენასა, და შეურაცხებით, ტუჩებ-
აშვერით, ამბობდენ „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა!“ ეს
სიტყუები ცხადად გამოაჩენენ ანინდელის საზოგადოების სა-
მწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგუა-
სა. ვისაც არ უყუარს თავის სამშობლო ენა, მას, უეჭველია,
არ უყუარს თავის მშობელიცა, თავის წინაპარნიცა, თავის
მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრები-
სა,³ მათის სარწმუნოებისა, ჩუცულებისა, ესე იგი, თუთ ისტო-
რია! თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა
იცოდეს, ვინ იყუნენ იმის მამაპაპები, როგორ ჰსცხოვრებდენ,
რას ლაპარაკობდენ, რას იმღერიდენ, რა უხაროდათ, რასა
ჰსწუხდენ? ათასის წლის განმავლობაში,⁴ როგორ ებრძოდა ეს
პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებ-
სა, რომელთაცა ან ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსე-
თისა და უძნელდება ბრძოლა? – რომელ[ი] ისტორია მოგვი-

თხრობს ესრეთსა უმაღლესსა სარწმუნოებისა და მამულის სიყუარულსა, როგორცა გამოაჩინეს საქართველოს უკანას-კნელთა მეფეთა, ირაკლიმ და გიორგიმ, რლთაცა⁵ თავის ნებით, თავის სურვილით, დაპსოტმეს თავის სამეუფო ტახტი, თავის შვილები და მისცეს თავის სამეფო რუსთ ჭელმწიფესა, ოღონდკი იცხოვროს საქართველომ მშვიდობიანად! სპარსელებმა ქეთევან დედუფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს, და არ უარპყო მან ქრისტიანობა! განა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებთაგან? – და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღთის⁶ მეტყუპლთა, მქადაგებელთა, – მერწმუნე, ჩემო სალომევ, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორცა ჰელიოათ ეხლანდელთა ინსტიტუტკებსა, და ამისათვის დაგიკუცნი გონიერს შუბლსა, რომ შენ ხარ პლი⁷ მაგალითი ქართულის ენისა სურვილით სწავლისა. უწინაც ჩუცინი ქალები იყუნენ დიდად ქებულნი ენის ცოდნითა, და მათგან ბევრნი იყუნენ დიდნი ორატორები, ვა⁸ ბატონის-შვილები, ქეთევან, მარიამ, თეკლა! ესენი განვიდნენ ამა სოფლით და ახლანდელთა არცკი იციან საფლავნი მათი; არცკი იციან, თუ ვისის მადლით და წყალობით ასე გულ-მოსვენებით, კეკლუცობით, სეირნობენ გოლოვინის პროსპექტზე შლეიჭებ-გაშლილნი! საფლავნი მეფის ირაკლისა და გიორგისა აღარ იციან, სად არის! – უბადრუკებმა აღარ იციან, რომ იმათი დედები იყუნენ დედუფლები ზრდილობისა, სილამაზისა, მაღალის გონებისა, და ამასთანა ხასიათით მამაცნი, თავგანწირულნი მამულისათვის! – მაგრამ, ახლა ვპეტედავ, რომ ამ წერილში წაველ ძალიან შორს, და უნდა მომიტევო, რადგანაც ვჰსჩივი შენ წინაშე ანინდელის საზოგადოების მიმართვაზე. – ძალიან მიამა, რომ თამარ მეფის სახე ბეთანიაში⁹ მოგწონებიათ ეკატერინასაცა და შენცა, რადგანაც უნდა მოგახსენო, რომ მე გახლავარ იმ ლექსების დამწერი, და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭვდა არ ინება, და აი სწორე, ნამდვილი მომირთმევია ჩემ სახსოვრად. – სიბერემ წამართო,

წაიღო პოეზიის ძალი, მაგრამ ვეცდებიყო, თუ შევიძელ, მოვაკენკო (sic) როგორმე და გადავთარგმნო შენი საყუარელი ლექსები; ოღონდეკი უნდა მომითმინ[ო].

ომიანობისაგან ისე ვართ მიტაცებულნი გულით, ფიქ-რით, რომ სხუაზედ ვეღარა გვილაპარაკნია. ყოველ დილით მოველით გამარჯვებასა და არიქნა; და ამ მოლოდინებამ და-გუტანჯა, მოთმინება აღარ არის. ყოველს საღამოს ჩავდივარ ტასო ოკლობჟიოსას, იქა ვჰლით ქაღალდსა, პასიანს[ა],¹⁰ სულ ერთსა და იმავე საგანზე: („)დავამარცხებთ,¹¹ თუ არა, მუხტარფაშას?“ და იფიქრეთ ჩუცი წყენა და შეწუხება, რომ ერთხელაც არ გამოგვივიდა გამარჯვება, და ამაზედ მე და ტასოს ხშირად მოგვდის ჩხუბი.

ველიკი კნიაზი ბძანდება ალექსანდ(რ)ოპოლში; იმას ახლავან მირსკი და პავლოვი. ველიკი კნენია ბძანდება ბორჯომს, სადაცა გააჩინა თავის საკუთარი, მშვენიერი ღოშპიტა-ლი დაჭრილებისათვს. – ღთშან¹² უშველოს!

ჩემი ძმისნული, ლეიბგუსარი, პორუჩიკი გიორგი იმ-ყოფება ღლავნის კორპუსში, ჰყავს ახოტნიკების სოჭნა, და ძალიან მაშინებს მომატებულის გიურად ვაჟუაცობითა. აქე-დამ მე უჯავრდები, მაგრამ რაგამოვიდა?

დუნაიზედაც შეჰსდგა ბრძოლა, და თუ ღენერალ ღურკომ გაპსძლო კიდევ ცოტას ხანსა, მაშინკი დიდი გამარჯვება უეჭველია და იქნება შერიგებაც მაშინ მოხდეს. ღთშან¹³ ინებოს! ვერ წარმოიდგენ, რაოდენს საზიზღარს უსჯულოებას ჰშვრებიან ოსმალები: ყმაწვილებს, დედაკაცებს, ჰხოცვენ უწყალოდ და ჰყრიან ცოცხალთა ცეცხლში! ვინ იცის რაოდენი ათიათასი სული, სომეხი, ამგუარ ტანჯვი[თ] დახოცეს! ევ-რობისათვს არ არის დიდი დიდება, რომ ოსმალები სტამბოლში ასე ბარბაროზულად ბატონობენ ქრისტიანებზე, მაგრამ რუსების შურითა და მტერობითა ანგლიის მინისტრები არა ჰქედვენ ესოდენს ქრისტიანების სისხლის ღურასა. – აზიის] ტურციაში იქნება მალე მთლად ქრისტიანობა ამო-ჰსწყდეს! რათა? რისთვს? რა დანაშაულობა აქუსთ?

არ მეგონა, რომ ეს წერილი ასე გაგრძელდებოდა. აი როგორ სასიამოვნოა თკთმოუწყვეტელი შენთან საუბარი.

ჩემს მარადის მოწყალეს საკუთარს მეფას, დედუფალს, დას, თვალისჩინს, ეკატერინას სიხარულით მოვახსენებ ჩემს ჭეშმარიტსა და ულრმესასა პატივისცემასა და სიყუარულსა. ჩემმაგიერ შენს ლამაზს არჩილს სიყუარულით მოქვიე და ლაზათიანად ჩაჰავოცნე შუბლი, თვალები, გული, და იყოს ღთი¹⁴ მარადის მფარველი თჯუცნი.¹⁵

ქალო, ახლა რამდენის შვილების დედახარ და რა ჰქვიანთ სახელად, და ან მაგათი კარტოჩქები სად არის? თუ ნახო ბიძაშენი კონსტანტინე, ჩემი საყუარელი გულით მეგობარი, განუცხადეთ ჩემს გულში დანერგილი გრძნობა ძმობისა და მეგობრობისა მისდამი.¹⁶

ყაფლან მრგელიანისადმი №23 (916)

ჩემო გულითსაყუარელო ძმაო ყაფლან!

გიახელ საღუსალამაძე¹ სატახტო ქალაქს თბილისს; ამ მინუტში არიან ჩემთან ტასიკო², სოსიკო, გიგო, და ალექსანდრე ონიკოვი; ძალუას სიყუარულით მოკითხვას მოვახსენებ; და ამაზედ მეტი ვეღარა მომიწერია.

შენი მარადის და მარადის ძმა
და მოსამსახურე
გრიგოლ ორბელიანი

4^ს სეკდ.³ [არა უგვიანეს 1877 წლისა]

[IV გვერდზე ავტორის ვინაობა წერია მისამართის
მითითების გარეშე:]

ღთით⁴

ეს წიგნი მიუვიდეს
ყაფლანს ორბელიანს
სადაცა იმყოფებოდეს⁵

დიმიტრი სტაროსელსკისაძის №4 (917)

8^{თე} Сент: 1877 გ.¹

Милостивый Государь,
Дмитрий Семенович!

Ея Императорское Высочество, вчера, вразговоре, коснувшемся между прочем и перевозки больных войнов из Тифлиса в Владикавказ, выразила желаніе, чтобы Николай Иванович Моренц донес Ея Высочеству, хотя приблизительно, вобщих итогах: сколько и какими именно болезнями были одержимы, пересланные из Тифлисского Госпиталя, во Владикавказ, больные? И на будущее время, каждый раз, при пересылке² больных продолжать доносить Ея Высочеству.

Притом Ея высочеству благоугодно, чтоб вообще больные пересылались во Владикавказ, преимущественно³ те из хронических, которые, повыздоровленій, немогут вступить в строй.

Покорнейше прошу вас, Дмитрий Семенович, сообщить о всем здесь сказанном, Генералу Моренцу.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №4 (917)

8^ს სექტ: 1877 წ.

მოწყვალეო ხელმწიფევ,
დიმიტრი სიმონოვიჩ!

მისმა საიმპერატორო უმაღლესობამ გუშინ საუბარში, რომელიც, სხვათა შორის, ავადმყოფი მეომრების თბილისიდან ვლადიკავკაზში გადაყვანასაც შეეხო, გამოთქვა სურვილი, რომ ნიკოლაი ივანოვიჩ მორენცმა მის უმაღლესობას მოახსენოს, თუნდაც მიახლოებით, მთლიანობაში: რამდენი და, სახელდობრ, რითი იყვნენ და-ავადებულნი თბილისის ჰოსპიტლიდან ვლადიკავკაზში გადაყვანილი ავადმყოფები? და რომ შემდეგშიც ავადმყოფების გადაყვანისას ყოველთვის მოხსენდეს ამის შესახებ მის უმაღლესობას.

ამასთანავე, მისი უმაღლესობის კეთილი სურვილია, რომ, საერთოდ, ვლადიკავკაზში უპირატესად გადაყვანილნი იქნენ ის ქრისტიანული ავადმყოფები, რომლებიც გამოჯანმრთელების შემდეგ მწყობრში ველარ ჩადგებიან.

უმორჩილესად გთხოვთ, დიმიტრი სიმონოვიჩ, რომ ყველაფერი აქ ნათქვამი აცნობოთ გენერალ მორენცს.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №19 (918)

ჩემო გულით საყუარელო ნიკო! არვიცი სად იმყოფები, მაგრამკი გწერ იმ იმედითა, რომ სადაც უნდა იყო, გიპოვნის ეს წერილი და მოგახსენებს ჩემს დიდად დარღიანად მდგომარეობას ამ საშინელის ომიანობისაგამო, რომლისა მიზეზით აიშალა თითქმის მთლად დალისტანი და მაჰმადიანობა ყუბამდის. ასე გაშინჯე, წუნკალა ანწუხიცი გვიგზავნის პარტიებსა კახეთის ასაკლებად. სოსიკო წავიდა ლეზგინსკის ლინიის ნაჩალინიკად რევაზის მაგიერ, რომელიცა, ვიღამაც ქურდმა ხანჯლით დაჰსჭრა მაშინ, როდესაც შინ სტუმრები ისხდნენ და თამაშობდნენ ვისტსა.¹ მაგრამ თავში დაჭრილობა ისე არ

აწუხებს, როგორცა ფეხები, რომელნიცა უხმება საძაგელის დოხტორის წამლობითა. ახლა აქედამ მიაშველეს სოსიკოს ორი ბატალიონი და ნებაც მიპსცეს მილიციის მოგროებისა, და ამისგამო, საკუთრივ მე, კახეთისათვეს აღარა ვჰშიშობ, რადგანაც იმედი მაქუს, რომ სოსიკო, გამოცდილებითა, ვაუ-კაცობითა და კეთილ-გონიერებითა, კარგად გააწყობს და შე-ინახავს ლინიას და მით დაამშვიდებს და გულს გაუმაგრებს მეტად შეშინებულს კახეთსა. – ჯერ ამ უამად ასე არის და-წყობილი ჯარი: საბუეში ჰსდგას მილიცია, შილდას 2 როტა, ყვარელში 2 როტა, საცხენისში ორი სოტნა თუშ-ხევსურნი ცხენოსანი, ლაგოდებში 1½ ბატალ:, და ორი ბატალ: დე-დუფლის წყაროზე, და ამას იქით მილიციასაც მოაგროვებს და რეზერვებად დააყენებს ჯეროვანს ალაგებსა.

ახლა სიტყუა არის ჭარი,² რომელიცა, თუმცა ჯერ არის მშვიდობიანად, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ესენი ასე გულ-მოს-ვენებით დარჩნენ, როდესაც გარეშემო ცეცხლი ეკიდება, მე-ტადრე დალისტანში. ლევან მწერს „დალისტანში თითქმის პოვსემესტნოე ი სურიოზნოე ვოზსტანიე;³ მოველი ჯარებსა, რომ წავიდე დასამშვიდებლად ხალხისა.“ აი, ასეთმა მოუჰაზ-რებელმა მიზეზმა როგორ დაარღვია ჩუცნი ესოდენის წლის შრომა, ბრძოლა, მეცადინეობა, ზრუნვა ხალხის დამშვიდები-სა და კეთილდღეობისათვეს. წახდა ყოველივე და ახლა უნდა დავიწყოთ კიდევ ანბანიდამ, და ვინ იცის, როდის⁴ ჩავალთ ჲ მდის! ვინ არის დამნაშავე ესრეთის გაძნელებულის მდგომა-რეობისა და უბედურებისა, რომელშიაც ჩავარდა ეს ვეება მხარე? საქართველო დაიღუპება, თორემ თათრებსა რა უჭირთ, და ან თვთ რუსეთსაცა: ვინ, რომელი მტერი შევა იქა.

შენ ძალიან სიფრთხილე გმართებს შენის ღუბერნიისა-თვეს, რომელიცა ესამზღვრება ჭარის ხალხსა. თუ ჭარი აღ-სდგა, ძნელს მდგომარეობაში აღმოჩნდება ნუხი, და ამა მიზე-ზისაგამო შენ უნდა მოსთხოვო პირდაპირ, ან ველიკის კნი-აზსა, ანუ მირსკის, ეხლავ, ნასიათელი, * ან ცხენოსანი ჯა-რი, ან რამდენიმე ბატალიონი მოგაშველონ ნუხისათვეს, თო-

რემ, შემდეგ, მაგისთანა ვაჭარს ქალაქსა ვეღარ აღადგენს კორპუსიცა. ნუხის უეზდი თუ ვერ შეიმაგრე, იცოდე, მინგე-ჩაურის პერეპრავა⁵ შეიკვრის და შეჰსნყდება ვეება ტრანს-პორტებით ურიცხვი მოზიდვა პურისა ჯარებისათვს, და მას-თანავე შედგება ყოველივე ვაჭრობა, ფოშტები და სხუანი. – რაც შეგეძლოს მინგაჩაური გაამაგრე და შეინახე, თორემ დიდს გაჭირებაში აღმოჩნდება ჩუცნი ვეება ჯარი და მასთანა ჩუცნი საბრალო მხარე.

შენი მანდ ღუბერნატორობა ძალიან მარგებელია, მაგ-რამ ლევანე მებრალება, რომ ამისთანა გაჭირებულს დროსა აღარა ჰყავს ნიკო თანა-შემწედ.

ეჭ, რაღა მოგწერო, ცუდს დროს მოვესწარით და ღმერ-თი იყოს მფარველი ჩუცნი და მან მოჰსცეს გამარჯვება ჩუ-ცნს მართლად დიდსა გელმწიფესა ქრისტიანობის მფარველსა! ივანესი და სოფიოს ამბავი ვერა შევიტყერა; ტელეგრაფით ვჰკითხე ლევანსა, და ჯერ პასუხი არ მომსვლია. მომწერე, როგორახარ შენ შენის ღუბერნიით?

ღმერთი იყოს შენი მფარველი ყოველსა უამსა და ყო-ველსა ადგილსა.

შენი მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი
გრიგოლ ორბელიანი

25^სსეკდემ: 1877,
თბილისით⁶

დღესაც ეს ამბავი მომივიდა სასიხარულო, და თუ ერთი კარგად მიამსხვრიეს, მაშინ მანდეთი მხარე მიიჩუმებს და ჩუ-ცულებრივი ყოფა-ცხოვრება იქნება და თვთ დალისტანსაც დაამშვიდებს. – [ვ]ელით,⁷ ველით ამ გამარჯვებასა და არ იქ-ნა!

ლევანცა მწერს, რომ ჩუცნი ივანე თან-მიჰყავს მთაში.

* დაჟინებით

ოფიციალური հրամանագիր №5 (919)

4^{го} Окт: 1877. В Александрополь, Телеграм¹

Ея Высочеству Государыне Великой Кня^{не} Ольге Феодоровне.²

Пріймите, Государыня, восторженное поздравлениe, и с днем рождения Его Высо^{ва} Михайла Михайловича, и с блестательною победою, и счастливым пріездом Вашим ко дню Великой Победы.

ოფიციალური հրամանագիր №5 (919)

4^ի օյգ: 1877. ալեքսանդրովոլս, Քելլյցրամա

մուս շմալլյեսոնձաս, Ելլմնոցաս, գուգ յի՞: կողմանագիրովնաս.

մուօլլետ, Ելլմնոցեզ, ჩեմո ազգորտովանեծուլո մոլուցա մուսո շմալլյել,^{մի}, մոխառ մոխառոցորիս, ջանացենուս ջղյուտան, ացրուց ծրնցնոցալյ ցամարչուցենասա դա գուագու ցամարչուցենուս ջղյուտ տէցենե կցուուագ ჩամոծրնանցենատան դաշանուրուցենուտ.

Թուեալ հրամանագիր №12 (920)

В Карайл 4^{го} Окт: 1877.

Его Высоч^{въ} Главнокомандующему Кавк: Армію¹

Выстрелы раздаются с Арсенальных высот, возвещая Тифлису радостное известие о блестательной победе, уничтожившей Анатолийскую Армию. Теперь возвеселиться Сердце Ца-

рево, успокоится волнение здесь, и болезненно застонут Константинополь и Лондон. Благословение Божье над Вами. Слава Славной Кавказской Армии! Цалую грудь Вашу!

ԹԱՅԵՈԾ ԻՐԹԱԵՄՅՈՍԱՇՅՈ №12 (920)

Կարաօալոս 4^կ տյժ: 1877.

Թու շմալլ կազմ: արմուս մտավարսարդալոս

Տրոլուս եմեծ օմանալուս արևենալուս մալլոնքեցան, Իրմելուց սասնեարյալո ամեաց աբնոնքեց տծոլուս անագոլուս արմուանց ծրնպոնցալլ ցամարյացեցիսա դա մուս ցանացցուրեցիս թյասեց. աելա կո ցանեարյեց մեցուս ցյուլո, այ մղելլարյեա ჩափերյեա, կոնսդրանքոնոն դա լոռնդռնո կո ազագմպոցուրաց դականեցեցեն. լուցա-յա-րտեցա ցագմոցուց տէցենթյ. դուցեա կացյասուս սակելովան արմուս! ցըմտեցեցու մկարդնե!

ՀՈՅՈՒԹԻՈ ՆՅՈԱՖՊԱՊԼԱ-ՑՈՂՍՅՈՍԱՇՅՈ №5 (921)

Կարայլ 4^{րդ} Օկտ: 1877.¹

Կ^թ Սվյատոպոլկ-Միրսկому.²

Обнимаю, цалую, благодарю от имени всей верной Грузии за известие о уничтожении Армии Мухтара. Еду в Со[б]ор молиться за славных воинов Кавказ: Армии!

ଡିଇପିଆ ସ୍କୋଲାରିଟିଜ୍-ଏଲ୍ଲାଇନ୍ ନଂ ୫ (921)

ყარაიალი 4^ს ოქტ: 1877.

კა სვიატოპოლკ-მირსკის.

გეხვევით, გკოცნით, მადლობას გითვლით მთელი ერთგული საქართველოს სახელით მუხთარის არმიის განადგურების შესახებ ცნობისათვის. მივდივარ ტაძარში, რათა ვილოცო კავკასიის არმიის სახელოვან მეომრებისათვის!

მიხედვის ლორის-გელიქოვისადმი №3 (922)

Карайл Генерал Адъютанту Лорис-Меликову

4^{го} Окт: 1877.¹

С живейшою искренностью поздравляю с блистательною победою, уничтожившою Армію Мухтара. Тифліс, после томительных ожиданій, радостно ожил. Теперь в Горах успокоятся, застонет Константинополь, нахмуриться Лондон. Еду молиться за славных бойцев Кавказ: Армії.

მიხეილ ლორის-გელიქოვისადგი №3 (922)

ყარაიალი გენერალ ადიუტანტ ლორის-მელიქოვს
4^ს ოქტ: 1877.

გულწრფელად გილოცავთ ბრნეინგვალე გამარჯვებას, მუხთარის არმიის განადგურებას. მომქანცველი ლოდინის შემდეგ მხიარულად გამოცოცხლდა თბილისი. ახლა დამშვიდებიან მთებში, კონსტანტინოპოლი კი დაიკვეხეს და წარბებს შეჭმულნის ლონდონი. მიყდივარ კავკას: არმიის სახელმოვანი მეომრებისთვის სალოცავად.

ბარბარე პავლა ფიორბ-მრგვალიანისა და №76 (923)

8^{го} Окт: 1877. Тифлис В Александрополь.¹

Не порали, мой друг варвара, подумать о Зимней квартире в Тифл?: Если уже здесь начались дожди, без сомнения, в окрестностях Александро: скоро падет снег, и веришьли, что каждая капля дождя, каждый пасмурный день, наводят наменя грустную мысль о Георгіе по колено в грязи вполне. Понимаю, что близость к Георгію успокаивает тебя; но, в сущности, чемже ты защищаешь его? Его защита – Милость Божья. Говоря это, я во-все не намерен настайвать на твоё возвращение, если оно нанесет тебе более беспокойства, и если твоё присутствие в Александро: более полезно для Георгія. Говорю только потому, что знаю те мучительныя затруднения, которыя встретишь ты позднею зимою на обратном пути к Тифлису.

Трудно представить, какая искренняя радость разлилась по всей Христ:^{ої} Грузіи при известії о уничтожениі Армії Мухтара Паши, когда, после долгих томительных ожиданий, с Арсеньальских высот раздались пушечныя выстрелы, возвестівшіе Тифлису о блестящей победе нашей Славной Кавк: Армії! Загудели колокола в церьквах; крыши домов покрылись женщинами; Амкары со значками, Генералитет, Чины Гражданские, Дамы, народ, повалили к Сіонскому Собору, где Экзарх торжественно совершил молебствіе, и тяжелое бревно тоскливой неизвестности свалилось с груди нашей. Полетели телеграммы от меня во все концы Кавказа и везде заликовал Православный народ. Богу единому благодареніе! Еще одна такая победа под Плевною и мир желанный предстанет с своим светлым, всё успоки-вающим лицем.

Но... боюсь даже спросить, где же Георгій? От чего не сообщаешь ничего о нем? К^ъ Мирской телеграфирует Софія, что все наши здоровы,² однакож я несовсем покоен.

По почте я отправил тебе 300 р.;³ получили ли? Георгію также отослал с Генер: Исафиль беком Шашку, Кинжал и Револьвер, доставлены ли ему?

Сосико славно распоряжается в Кахетії: сформировал, вооружил и выставил Милицію в места, более подверженные нападению непріятеля, распределил резервы, и этим так успокоил и ободрил жителей, что они теперь, убедившись в своей силе, умоляют Сосико дозволить им идти в Горы напасть на Лезгинскія деревни.

Нико Чавчав: едит опять в Дагестан, где возмущение не совсем еще усмириено. Он там действительно принесет великую пользу, и Правительству, и взволнованному населенію, которое имеет к нему полное доверие. –

Бог да Защитит тебя и Георгія. Графине Ностиц приношу мое Глубокое уваженіе. – Имеешь ли известія из Москвы?

ბარბარე პატრატიონ-ორგანიაციასადმი №76 (923)

8^ს ოქტ: 1877. თბილისით ალექსანდროპოლს.

არ არის დრო, ჩემთ მეგობარო ვარვარა, რომ იფიქრო საზამთრო ბინაზე თბილისში? თუ აქ უკვე დაიწყო წვიმები, მალე უეჭველად მოვა თოვლი ალექსანდრ: გარეუბნებში და მერწმუნე, რომ წვიმის ყოველი წვეთი, ყოველი მოღრუბლული დღე და მუხლებამდე ტალახში ჩაფლული გიორგის წარმოდგენა ნაღვლიანი ფიქრებით მაგსებს. მესმის, რომ გიორგისთან სიახლოვე გამშვიდებს, მაგრამ სინამდვილეში რით იცავ? მისი დაცვა ღვთას მოწყალებაა. ამას რომ გეუბნები, სულაც არა მაქვს განზრახული, დაუინებით მოგთხოვო ჩამოსვლა, თუ ეს შენ უსიამოვნებას მოგაყენებს და თუ შენი ალექსანდრ: ყოფნა უფრო სასარგებლოა გიორგისთვის. მარტო იმიტომ გეუბნები, რომ ვიცი, რა აუტანელი სიძნელეები შეგხვდება ზამთრის მძიმე პერიოდში საქართველოში დაბრუნებისას.

ვერ აგინერ, რა გულწრფელმა სიხარულმა მოიცვა მთელი ქრისტ: საქართველო მუხთარ ფაშას არმიის განადგურების ამბის გაგებით, როცა ამდენი ხნის მომქანცველი ლოდინის შემდეგ არსენალის სიმაღლეებიდან გაისმა ქვემეხების ხმა, რომელიც ჩვენი სასიქადულო კავკ: არმიის პრწყინვალე გამარჯვებას ამცნობდა თბილის! ეკლესიებში აგუგუნდნენ ზარები; სახლების სახურავები ქალებით დაიფარა; ამქრები ნიშნებით, გენერალიტეტი, ჩინოსნები, მოქალაქეები, მანდილოსნები, ხალხი გაეშურნენ სიონის ტაძრისკენ, სადაც ეგზარქოსმა სადღესასწაულო ლოცვა აღავლინა და ჩვენს გულს მოსცილდა ნაღვლიანი ამბის უცოდინრობის სიმძიმე. ტელეგრამები ვაფრინე კავკასიის ყველა მხარეში და ყველგან გაიხარა მართლმადიდებელმა ხალხმა. ლმერთს ერთს მადლობა! კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება პლევნასთან და დადგება ნანატრი მშვიდობა თავისი ნათელი, ყოველივეს დამამშვიდებელი სახით.

მაგრამ... კითხვისაც კი მეშინია, სად არის გიორგი? რატომ არაფრეს მწერ მის შესახებ? კ მირსკი ტელეგრაფით ატყობინებს სოფიას, რომ ყველა ჩვენიანი ჯანმრთელადაა, მე კი ვერა ვარ მშვიდად.

ფოსტით გამოგიგზავნე 300 რ:, თუ მიიღე? გიორგისაც გამოვუგზავნე გენერ: ისრაფილ ბეგის ხელით ხმალი, ხანჯალი და რევოლუცირი, გადასცეს თუ არა?

სოსიკო კარგად უძლვება საქმეს კახეთში: ჩამოაყალიბა, შეაიარალა მილიცია და განალაგა იმ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი მტრის თავდასხმა, გაანაწილა რეზერვები და ამით ისე დაამშვიდა და გაამხნევა მცხოვრებლები, რომ ისინი ახლა, თავის ძალებში დარწმუნებულნი, ეხვენებიან სოსიკოს, რომ მთაში ნასვლისა და ლეკების სოფლებზე თავდასხმის უფლება მისცეს.

ნიკო ჭავჭავ: ისევ მიდის დაღესტანში, სადაც მღელვარება ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ჩაწყნარებული. ის იქ მართლაც დიდ სასარგებლო საქმეს გააკეთებს მთავრობისთვისაც და აღელვებული მოსახლეობისთვისაც, რომელსაც მისდამი დიდი ნდობა გააჩნია. –

ლმერთი გფარავდეთ შენ და გიორგის. ლრაფინია ნისატიცს ვუთვლი ჩემს ღრმა პატივისცემას. – გაქვს თუ არა ცნობები მოსკოვიდან?

სალომე დადიან-მიურატისადმი №2 (924)

12 ოქტომბერი: 1877.¹ ზუგდიდს. – პრინცესასა² სალომეს მიურადისას.

ჩემო დედუფალო, ნათელ-შემოსილო სალომე! ნუ და-მემდურები და ნუცა მისაყვედურებ, რომ აქამომდის ვერ მო-გართვი პასუხი თქუმნის უკანასკნელის წერილისა და ვერ მოგახსენე გულითადი მადლობა პორტრეტებისათვს თქუმნის აშილისა³ და შვილებისა. ვერ წარმოიდგენთ ჩემს მოუსვენებ-ლობას, მწუხარებით ყოფნას, რომელთაგან ვიყავ დღე-ლამე დატანჯულ ამ საზარელის ბრძოლისაგამო. ჩემად ნუგემად მყავს ერთი ძმისწული, გიორგი, და ისიც, თითქმის, დღეყო-ველ ომში, სადაცა ხშირად იხოცებოდენ ათასობით, და მე როგორ ვჰყოფილ-ვიყავ გულ-მოსვენებით! ვჰყითხავდი ძალუ-ას ვარინეასა გიორგის ამბავსა და ისიც ალექსანდროპოლი-დამ მიპასუხებდა ასე „გუშინ ცოცხალი იყო და დღესკი არ ვიცი!“ და ვიყავ გაჩუმებული შიშისაგან და აღარა მქონდა თავი არცა წერისათვს, და არცათუ სხუა რამე ფიქრისათვს, ვიდრე ყოვლად მოწყალემ ლოშან⁴ არ მოჰსცა ძლევა ჩუმნს ჯარსა და მართლად არ შეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩუმნი, ჩუმნის საქართველოსი, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი აძევს ოსმალოსა და მარტო ამ დამარცხე-ბით ვერ გადიხდის ჩუმნს სისხლის ვალსა. – ათასი წელიწადი ეპრძოდნენ მაჰმადიანი პატარას საქართველოს, რათა? რას ვართმევდით? მართალია, ჩუმნ გაგუაოხრეს, მაგრამ არცა თუ თვთონ გაიხარეს? ჩუმნ ვიყავით მიზეზნი, რომ რუსეთმა წარატუა სპარსეთსა ერევანი, ნახჩევან, ყარაბალი, თაღიშის სახანო, შაქი-შირვან, ბაქუ, დერბენდ და ყუბა; ოსმალებსა, – ახალქალაქი და ახალციხე, და ახლა მესამედ ართმევენ ყარს-სა.⁵ აქედამ დაინახავთ, რომ ჯერ ოსმალო არის კიდევ მოვა-ლე ჩუმნი! აი როგორ ძვირფასია ქართველების წმინდა სის-ხლი! – მართლად, და განსაკვირველია ესრეთი დაბრმაება ევ-

როპიისა, რომ აქამომდის ვერ იცნეს ოსმალების საძაგლობა და მათი დაუძინებელი მტერობა ქრისტიანობისა! სტამბოლის მინისტრების ჭრაზები სულ სიცრუეა; სიცრუეში არიან ძალი-ან დახელოვნებულნი. – ოსმალოს ამბავი უნდა ჰკითხოს ევ-როპამ საქართველოსა, სომხითსა, საბერძნეთსა, სლავიანებსა, რომ სწორედ შეიტყოს ღირსება ოსმალებისა და შეიძულოს იგინი გულითა!

მაჰმადიანი არაოდეს არ იქნებიან კეთილის-მყოფელნი ქრისტიანებისა, ამიტომ რომ სარწმუნოება უშლის მათ კა-ცობრივსა ამას გრძნობასა. ყურანი⁷ ასწავლის „ვინცა არ არის მუსულმანი, იგი არის ყმა, მონა მუსულმანისა.“ ეს არის მიზეზი, რომ ყოველს მაჰმადიანთ ქუცყანაში ქრისტიანები არიან დამცირებულნი, დაჩაგრულნი, აკლებულნი, დატან-ჯულნი! მაჰმადიანსა ჰსნამს, რომ ქრისტიანე თუ მოკლა, მსხუცრპლი შეჰსწირა ღმერთსა!! ამისგამო ასე უწყალოდ, გა-უკითხავად, უმიზეზოდ ჰსნცვენ ქრისტიანეთა! – აბა, ხალხი ესრეთის სარწმუნოებისა და ჰაზრისა როგორ უნდა ევროპია-ში სახლობდეს? მაგრამ ტუნტი სტერლინგები აბრმაებს ან-გლიასა.

ახლა, ღთის⁸ შეწევნით, დავჰმიშვიდდი; შავნი ფიქრნი გა-დმეყარნენ გულიდამ და წელი მივჰყავ ამ წერილსა, რომლისა დაბოლოება დიდად არა მსურს, რომ არ მოვაკლდე შენთან ლაპარაკის სიამოვნებას.

ომიანობის ამბავი ამჟამად ეს გახლავსთ: შემდეგ მუხ-თარის დამარცხებისა, ერთის ნაწილი ჩუცნის ჯარისა ღენე-რალ ღეიმან⁹ წავიდა ვლადიყარსიდამ სარიყამიშისაკენ, სო-ლანლულის¹⁰ გზაზე, მეორე, ღენერალ ციტოვიჩი¹¹ – ყალიზ-მანზე,¹² რომ გზა გადუჭრას ისმაილ ფაშას,¹³ რომელსაცა უკან მისდევს ტერლუქაზოვი,¹⁴ და დანარჩენის ჯარით ღენე-რალ ლაზარევი¹⁵ გარე არტყია ყარსსა,¹⁶ რომლის ალება თუ გაძნელდა, ჩუცნი ჯარი იქვე დაიზამთრებს. მუხთარ ფაშა¹⁷ გაპარვით წავიდა ყარსიდამ არზრუმისაკენ.

ახლა ველით და ველით ახალს სასიამოს ამბებსა; მხო-ლოდ ეს არის ჩუცნთქს სამწუხარო, რომ დუნაიზე ისე ვერა

ვართ, როგორცა გვსურს, პლევნომ¹⁸ ძალიან გაგვიჭირა საქმე: სწორედ თვალში ეკლად გაგვერჭო.

დღეს შემოიყუანეს თბილისში შვიდნი დატყვევებულნი ფაშები; შემდეგ რამდენისამე დღისა შემოიყუანენ ოსმალოების ბატალიონებსაცა.

ველიკის კნიაზის შვილები ჩამოვიდნენ ბორჯომიდამ; ველიკის კნეინას მოველით პარასკევს ესე იგი 19^{სა} ოკდ:

ნიკო ჭავჭავა: მიდის ისევ დალისტანში, რომელიცა ნელნელა მშვიდდება ნაკაშიძისა და ტერასატუროვის¹⁹ გამარჯვებითა.

მომირთმევია ჩემი ცხვირპირი, რომელიცა, მგონია, მაგადენს სიშვენეს ვერ მიჰსცემს თქუცნს კაბინეთსა.

ყაფლან ჯერ ისევ სოფელში არის ჩემსავით დაბერებული.

არ მინდა დავასრულო ეს წერილი, მაგრამ, რა გაეწყობა, ყოველსავე აქუს თავის აღსასრული. დაგიკოცნი წელებსა, შუბლსა, შენს ლამაზ შვილებსა და ჭეშმარიტად საყუარელსა აშილსა. ღმერთი იყოს მფარველი თქუცნი ყოველგან და მარადის.

ჩემს მოწყალეს წელმწიფას, ჩემს საკუთარს დას ეკატერინას მოგახსენებ უღრმესსა, ჭეშმარიტსა თაყუანისცემასა. – ანდრია ძალიან კარგად არის; პახოდობა მოუხდა.

ყაფლან მრგელიანისაღმი №24 (925)

ჩემო ბატონო,

საყუარელო ძმაო ყაფლან.

მეტად და მეტად დაიგვიანე და დამაგდე ამდენი ხანი მარტოდ, ობლად; საშინელი ავდარი, ნისლი, ნისლი ისეთი რომ თითქმის ქაშუეთიც არა ჰსჩანს, სევდებს მიშლის და ვე-

ლი, და ველი, როდის ჩამოხვალთ, რომ ჩემმა გულმა მარ-
თლად გაიხაროს და განვისვენო.

ჩუპნს ქუჩაში კიდევ ერთი ჩინოვნიკი ჩამოეთესლა და
სრულებით წაერთო ლაზათი ჩვენს ქუჩას. ბოლოს ჩვენც უნ-
და აქედამ ავიყარნეთ; ისე მოდის ჩვენი საქმე! მოდი და ლა-
ზათი გასწიე. — ვარინკა ძალუა და გიორგი კარგად არიან
ღთის¹ მოწყალებით. — ეკატერინა დადიანისა და იმის ქალი
სალომე ყოველს წიგნში მწერენ შენთან მოკითხვას და სიყუა-
რულს — უზიანოთ.

ლევან დადის დიდის ჯარით დალისტნის მთებში, ხო-
ცავს ლეკებს, ანგრევს იმათ სოფლებსა, და დანარჩენთა ამ-
შვიდებს.

ნიკო ორის ბატალიონით და ცხენოსნის ჯარით წავიდა
ნუხიდამ და გადვიდა ამ საშინელს დროს თოვლიან მთებსა;
ამანაც ერთს ადგილს ძალიან დაამარცხა ჩასაფრებული მა-
გარს ადგილს ლეკები, ბევრი დახოცა, დაიჭირა ტყვეები და
წავიდა ახტისაკენ მისაშველებლად. — მამაცოვმა ნუხის სიახ-
ლოეს ძალიან დაამარცხა ჩამოსული მთიდამ ლეკები და ბევ-
რი დაიჭირა; კიდევ ეგრეთვე პოლკოვნიკმა შეურინსკიმ კახის
სიახლოეს დაამარცხეს ლეკები სამურიდამ ჩამოსული და
ბევრი ტყვეები დაიჭირეს. — ერთის სიტყვით ყაათლანი² უყ-
ვეს ყოველს ადგილსა, და ახლა ვნახოთ რა იქნება.

ჩემი საყუარელი ძალუა სიყვარულით მომიკითხე, ეგ-
რეთვე დიდის ხნის ჩემი დარდი სოფიო.

შენის მარადის ერთგული მოსამსახურე და ძმა
გრიგოლ ორბელიანი.

5^ს ნოემბ: 1877³

დიმიტრი სტაროსელსკისადგი №5 (926)

17^{го} Нояб: 1877.

Дмит: Сем: Старосельскому¹

Вчера я посетил офицерскую Палату Ея Высочества. Некоторые из раненых офицеров подали мне записки, здесь приложенные, вкоторыя выражены их желанія, по моему мненію, законныя, и поэтому подлежащія к исполненію. Всеже оне просят Книги, журналы, так как в тамошней старой библіотеке книги, большею частью, или без начала, или без конца, – Вообще помещеніе и уход зараненными превосходны.

В окнах нужно сделать форточки для освеженія воздуха.

დიმიტრი სტაროსელსკისადგი №5 (926)

17^б ნოემბ: 1877.

დიმიტ: სიმ: სტაროსელსკის

გუშინ მოვინახულე მისი უმაღლესობის ოფიცერთა პალატა. ზოგმა დაჭრილმა ოფიცერმა გადმომცა ბარათი, აქ დართული, რომელშიც აღნიშნულია მათი სურვილი, ჩემი აზრით, კანონიერი, და, ამდენად – შესასრულებელი. ყველანი მოითხოვენ წიგნებს, ჟურნალებს, რადგან იქაურ ძველ ბიბლიოთეკაში წიგნები უმეტესწილად ან დასაწყისის გარეშეა, ან – დასასრულის. საერთოდ, შენობა და დაჭრილების მოვლა საუკეთესოა.

ფანჯრებში საჭიროა პატარა სარკმელების ჩადგმა ჰაერის გასანიავებლად.

ԹԱՔՏԱԹՈՂՈՅԱԲ ՊՆՏԵՐ-ՏԱԿԵՑՈՍԱԳՅՈ ՆՅ 2 (927)

17^{го} Дек: 1877. Максиміліану Александровичу,
Барону Остен Сакену.¹

Убедительно прошу вас выслушать меня терпеливо, без гнева, без огорчения и, если невстречите законных затруднений, окажать ваше благодеяние лицу, о котором я решаюсь ходатайствовать перед вами. Я говорю о Науменко,² выслужившем 35 лет.

Вы, Барон, ради Бога, не морщите бровей при произношении его имени, тем более, что просьба моя касается не столько его Науменка, сколько массе его мелких, мелких детей, которым нужна, и пища, и воспитание, и образование, а всё это вместе требует немало материальных средств от родителя, имевшаго неосторожность пройзвести на свет 9^{ти} детей, судьба которых теперь в ваших руках. Пред вами лежит представление Тифлис: Полицмейстера о награде Науменко³ пустопорожнею землею. Дайте дальнейший ход этому представлению и ваше благородное великодушное сердце совершил святое дело человеколюбия, спасая стольких детей от нищеты.

Полагаю, что в этом деле я даже заслужу от вас слово благодарности, предоставляя вам случай делать добро!

С чувством глуб: уваженія и совер: предан[ности]...⁴

ԹԱՔՏԱԹՈՂՈՅԱԲ ՊՆՏԵՐ-ՏԱԿԵՑՈՍԱԳՅՈ ՆՅ 2 (927)

17^ի դեկ: 1877. Թաքտաթողոյան ալյուսանգրոցին,
ծարող ռաֆյոն-Տակյոն։

Գաձեզութեած ցտեացա, մոմուսմոնտ մոտմոնցա, ցոլուս-նյորմուսա დա Շենչեած շարշե, դա ու առ Շեցեզդյատ շանոնցը

დაბრკოლებები, აღმოუჩინოთ დახმარება პიროვნებას, რომლის შუამავლობაც ვიკისრე თქვენ წინაშე. მე ვლაპარაკობ ნაუმენკოზე, რომელმაც 35 წელი იმსახურა.

ლვთის გულისათვის, ბარონო, ნუ შეიჭმუხნით წარბეჭს მისი სახელის ხსენებისას, მით უმეტეს, რომ ჩემი თხოვნა ეხება არა იმდენად ნაუმენკოს, რამდენადც მის წვრილშვილს, რომელთაც ესაჭიროებათ საკვებიც, აღზრდაც, განათლებაც, და ეს ყველაფერი ერთად არცთუ ცოტა მატერიალურ სახსარს მოითხოვს მშობლისგან, რომელმაც არ გამოიჩინა წინდახედულება ამ ქვეყნად 9 შვილის მოვლენისას, რომელთა ბედი ახლა თქვენს ხელშია. თქვენ წინ დევს თბილ: პოლიცმეისტერის მიერ დამოწმებული საბუთი ნაუმენკოს დაჯილდობის შესახებ დაუსახლებელი მინის ნაკვეთით. მიეცით ამ საბუთს შემდგომი მსვლელობა და თქვენი კეთილშობილი, დიდსულოვანი გული მოიმოქმედებს კაცომოყვარეობის წმინდა საქმეს ამდენი ბავშვის სიდუხჭირისაგან დახსნით.

ვფიქრობ, ამ საქმეში სამადლობელ სიტყვასაც დავიმსახურებ, რადგან მე თქვენ სიკეთის ქმინის საშუალება მოგეცით!

ღრმ: პატივისცემისა და სრ: ერთგულების] გრძნობით...

იოსეპ რაბელიანისადმი №2 (928)

22^ს დეკემბერი: 1877. თბილისით. ცარსკის კალოდცს

ჩემო საყუარელო სოსიკო! მოდის და მოდის მოუღალავად თოვლი, და ესე არის მიზეზი, რომ მეცა ვპზივარ მარტო და მაქუს დრო შენდა მოწერისათვს, რომელიცა აქამიმდის მეტად და მეტად გამიძნელდა. რა ვპქნა, არ მაცლან: ხან ერთი, ხან მეორე, მოდიან სანახავად; მოკითხვის შემდეგ ასტყდება დაუსრულებელი ბაასი ომიანობაზე, და პოლიტიკაზე, ამასთანა გაჩნდა ახლა კრიტიკაცა, და რაცკი შეიძლება უწყალოდ ამცირებენ იმის მოქმედებას, ვინცა პირველ იყო გამოჩენილი ბრძოლაში. ახლა მოდა არის, რომ ყოველივე მოქმედება ტერლუქაზოვისა,² რლსაცა³ აქამდის ვადიდებდით და შევჰაროდით მისის სარდლობისათვს, – გააქარწყოლონ, გა-

ჰერიცხონ, გააჩირქიანონ, ვისაც როგორ ნებავს. – განა ასეთი უნამუსობა იქნება? გუშინდელი ლეროი,⁴ დღეს საგინებლად გამხდარა! თაკ, ვოტ სუბა თвоих сынов, о Рим, о Громкая⁵ Дер-ჯава!!* – მახლაზ, ამგუარ ლაპარაკში მოდის სადილობაცა, მერე ცოტა თვალის მილულვაცა, მასუკან, მოგეხსენება, უნ-და დავჭედო კლუბსაცა, თორემ დამემდურებიან,⁶ და აბა, სადღა მრჩება უამი წერისათვ.

თითქმის ორი თვეა, მზე ალარ გვინახავს, ხან მოდის თოვლი, და ხან ასეთი ჯანლი ჰსდგას, რომ ქაშუეთსაც ვეღარ ვჰედავ.

მოვიდა ჯარიდამ, დროებით, ლენერ: ამილახუარი;⁷ მო-ვიდა ლაზარევიცა⁸ ვეება წმიდა-გიორგითა ცოლის სანახავად, რლიცა⁹ არის ძალიან ავად. – ლაზარევი წავა ერევანის ჯა-რის ხაჩალნიკად და გაემგზავრება ვანისა¹⁰ და შუშისაკენ,¹¹ რომ ან ძალითა დაიმორჩილოს ქურთები და ანუ სხუა ღონის-ძიებით მოიმხროს ჩუცნეკენ პირისპირ ოსმალთა. ძლივს ერთი კარგი ჰაზრი დაიბადა ჩუცნში! – მოვიდა ჩუცნი გიგო სუმბა-თოვი, რლიცა¹² დღე-დღე მოელის იარანალობასა.

მოხდა, საიდუმლოდ, დიდი კინკლაობა ველიკის კნეი-ნისა და მირსკის შუა, და არ ვიცი ჯერ როგორ გათავდება. – ეს ჩუცნში დარჩეს.

ანგლია დიდად ჰყვირის, დიდად ჩხავის, დიდად ჰართი-ფურთობს, მაგრამ ევროპა მეტად მიყრუებულია და არ ესმის მისი ქადაგება.

მოვიდა ძალუა ვარინკაცა, ავათმყოფი მუხლების სიმ-სივნითა, თან მოჰყუა ჩემი გიორგიცა, გამარჯვებული, რლ-მანცა¹³ მომიტანა ფეშქაშად: ერთი ჯიდა ქურთისა, ორი ტრუბა, ერთი ზარბაზნის კლიტე, ხუთი ხმალი, სულ თავის ხელით წართმეულნი, და თავის ხმალზედაც მიჩვენა ანна 4^ი სტეპენი.**

ალარ მახსოვს, მოგწერე თუ არა, რომ შენი ასი თუმანი და ეგოდენივე ვანოსაგან გამოგზავნილი, შევიტანე კომმერ: ბანკში, ვადაზე ათის დღით წინად, და შენ იფიქრე, რა გაო-

ცება შეიქმნა ბანკირებში. ეხლა დიდი კრედიტი გაგვიკეთდა ორბელიანთა, მეტადრე როდესაც ზედ-დატანებით, კიდევ ვა-დაზე ერთის კვირის წინად, სანდრომაც შეიტანა ასი თუმანი, ჩემგან მიცემული შენის წერილის ძალითა. ახლა ქუდჩაკეცით დავდივართ ქალაქში; მაგრამ როდემდის? როდის უნდა მოვი-დეს ის დღე, რომ ორბელიანი აღარ ფიქრობდენ ვალისათვა!

შენი დები, ნინოჩა-ელიჩათი კარგად არიან.

ჩუცნს ღუბერნატორს გვიცვლიან, აძლევენ ტამოჟნის ნაწილსა და თბილისში მოჰყავთ ქუთასიდამ კნ: გაგარინ.¹⁴

ამ მინუტში შემოვიდა ჩემთან ჯომარდიძე და მითხრა მეტად ჩემთვს სამწუხარო ამბავი: საბრალო რევაზ ანდრონიკოვი დღეს გარდაიცუალა ანაზდეულად; მეტად და მეტად შე-მაწუხა ამ ამბავმა. მიდიან, მიდიან ყოველი ჩემნი მეგობრები და მეტი ღონე არარის, მეც უნდა ავიბარეო და დროც არის!

ხუმრობით დავიწყე წერა და მწუხარებითკი ვათავებ. ჰე სოფელო ცრრრუ!!

შენი მა..¹⁵

დამავიწყდა: ტერლუქაზოვი გაგზავნეს ახალციხეს, რომ მითომ,¹⁶ под его начальством чтоб Комаров совершил движение с отрядом на Батум. *** – აქ მეტად ღრმა პოლიტიკა არის.

ნიკო წავიდა განჯას, საიდამაც მალე დაბრუნდება: კნ: ლევანის ადგილს აძლევენ დალისტანში.

* ასე რომ, აი, შენი ვაჟიშვილების ბედი, ო, რომო, ო, მაღალო ძალა!!

** მეოთხე ხარისხის ანა

*** მისი მეთაურობით ისე, რომ კომაროვმა ბათუმში მანევრირება ჩაატაროს რაზმთან ერთად.

რევაზ ერისთავისადგი №2 (929)

ჩემო გულით საყუარელო რევაზ! შენმა გუშინდელმა დეპეშამ გული მომიკლა, ავათმყოფობით დასუსტებულსა ღონე სრულებით მომეშუა. ვაი ჩემს საბრალოს თავსა, რომ ამ სოფელში დავპჰთი მარტოდ, ობლად, ყოველთა მათგან, ვინცა მიყუარდნენ სულით, გულით! ვაი მე, რომ ჩემთვს აღარავინ იქნება ეკატერინა, რომელსაცა შევპხაროდი სიყრმითგანვე, და რომლისათვისაც ან ჩუმად, საიდუმლოდ, ვჰსტირ! მინდა შევიმაგრო თავი, მინდა დავპხუდე ყაფლანს ჩუცულებრივ მხიარულის სახითა, ამასთანა ესეც ვიცი, გამოცდილებით, რომ გლოვა და ტირილი ველარ მოგვიბრუნებს ჩემგან დაუვიწყარს ეკატერინეს, მაგრამ გულიკი მიდუღს და თვალთაგან მდის და მდის ცრემლი! – ეჱ, აღარა ითქმისრა, მხოლოდ მის მეტი, რომ ღმერთი იყოს შენი და ჩემიცა ნუგ(ე)შისმცემელი!¹ ვაი მე, რომ უკანასკნელს უამსა ვერ ვემთხვიე მის ჭელსა, მის შუბლსა, მის კუბოსა!

შენი მარადის ერთგული თ² გრიგოლ ორბელიანი

ქეთევანს და ელენეს შენ მიუტირე ჩემმაგირ.

28 დეკემ: 1877.

თბილისით.³

პასპორტები, შენიშვნები,

კომუნიკაციები

ტექსტისათვის

სამეცნიერო აპარატი წამოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. რამდენადაც აյ არ არის მოცემული ავტორის ეპისტოლური მემკვიდრეობის ენის საკითხები (ენობრივი მიმოხილვა წარმოდგენილი იქნება გრიგოლ ორბელიანის წერილების ბოლო ტომისთვის დართულ სამეცნიერო აპარატში), მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია,⁸⁸ პუნქტუაცია და აბზაცები. წინა ტომებში შენიშნული გვაქვს და აქაც გავიმეორებთ, რომ XIX საუკუნის ტექსტების ორთოგრაფია არაერთგვაროვანია. ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება მოცემული იყოს სხვადასხვა დაწერილობით. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ისე რუსულ წერილებს. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი ხშირად სხვადასხვა სახის ნაწილაკს ან წინდებულს მეზობელ სიტყვებთან აერთებს, ხან ორ, ზოგჯერ კი სამ სრულმნიშვნელოვან სიტყვასაც ერთად წერს. ამან მყითხველი გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება დააბნიოს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს ავტორის სტილია, ჩვენ ის შევინარჩუნეთ. ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია.

რუსული წერილების ქართულ თარგმანებში მაქსიმალურად შევინარჩუნეთ ავტორისეული ლექსიკა, მათ შორის, რუსიციზმები, ასევე პირთა და გეოგრაფიულ სახელთა მისეული დაწერილობები.

ავტოგრაფის დაზიანებული ადგილები აღვადგინეთ კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო ავტორის მიერ უნებლიერ გამორჩენილი ასოები – მრგვალ ფრჩხილებში.

კომენტარებს წინ უძლვის პასპორტები, სადაც მკითხვე-

⁸⁸ გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა.

ლი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. ავტოგრაფი: აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოღწეული – ავტოგრაფით, თუ მისი ასლით, სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C, ცენტრალური არქივი A, ხოლო ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმი – Z ლიტერით.

2. თარილი და ადგილი: აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარილი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარილებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

3. ხელმოწერა: რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ერთვის;

4. ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ.

5. ავტოგრაფის აღწერილობა: რუბრიკა გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, რა ზომისა და ფერის ქაღალდზეა ბარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

6. ადრესატის მისამართი: აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. იგი, სავარაუდოდ, კონვერტზე იქნებოდა დაფიქსირებული, რაც დღემდე არ შენახულა. იშვიათად ადრესატის ადგილსამყოფელი წერილშია დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინეთ;

საპასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

1. **შენიშვნები:** აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფუსუსებია აღნუსხული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;

2. **პირველი პუბლიკაცია:** აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამოცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ.

3. **დათარიღება:** რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი. გამოცემაში დათარიღებულია 8 წერილი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახ-სნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი. თითოეული საკო-მენტარო ფრაზა დამოწმებულია გვერდისა და სტრიქონის მი-თითებით. სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სა-თაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის სა-ჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება წლისა და სათაურის აღ-ნიშვნით, ვთქვათ, „1874 / ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისად-მი №8 (830)“, პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „უგა-ნათლებულესო კნეინავ“, “რომლითაც იწყება უშუალოდ წერი-ლი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გე-ოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძ-ლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სა-ხელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს.

ანდრონიკაშვილები თარხნიშვილები, თუმანიშვილები, მე-ლიქიშვილები, ჩოლოყაშვილები და სხვა გვარის წარმომადგენ-ლები წერილებში ხშირად მოიხსენიებიან, როგორც ანდრონი-კოვები, თარხანვები, თუმანოვები, მელიქოვები, ჩოლოყავები და ა. შ. ამიტომ საძიებელში ისინი ამ დასახელებით არიან წარ-

მოდგენილნი და ფრჩხილებში მითითებული აქვთ „შვილზე“ დაბოლოებული გვარები: „ანდრონიკაშვილი“, „თარხნიშვილი“, „თუმანიშვილი“, „მელიქიშვილი“, „ჩოლოყაშვილი“ და სხვ.

თუ რომელიმე ამ გვარის წარმომადგენელი წერილებში მარტო სახელით ჩანს (მაგ., „საბრალო ელენეცა“, „საყუარელი დარიკო“), ან წერილის ადრესატია და მისი გვარი არ არის მოხსენიებული ავტორის მიერ, მაშინ საძიებელში გატანილია მხოლოდ „შვილზე“ დაბოლოებული ვარიანტი, მაგ., „ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული“, „ანდრონიკაშვილი-ჭავჭავაძისა დარია რამაზის ასული“, „ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის (მელქისედეკის) ძე“ და ა. შ.

ამდენად, საძიებელში გვექმნება სხვაობა ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელთა დასახელების დროს. მაგ., „ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) ემანუელ (ია) ანდრონიკეს (დონიკეს) ძე“, ერთი მხრივ, და „ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის (მელქისედეკის) ძე“, მეორე მხრივ.

რამდენადაც ამოსავალი პრინციპი ჩვენთვის არის პიროვნების ტექსტური მონაცემის სახით წარმოდგენა, ამ სხვაობის წარმოქმნას ვერ დავაღწიეთ თავი. აღნიშნული მიდგომა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც გვარები დამახინჯებულად, ან არასწორადაა გამოყენებული. მაგ., „შესტაკოვის“ წაცვლად ავტორი წერს „შოსტაკოვს“, „ჩოლოყაევის“ წაცვლად – „ჩოლაყაევს“ და სხვ. კომენტარებში მოცემულია გვარების სწორი დასახელებები და ასევეა გატანილი საძიებელშიც.

ხშირად გრიგოლ ორბელიანი პიროვნებებს კნინობით-ალერსობითი სახელებით იხსენიებს: „სოსიკო“, „მაიკო“, „ნინოჩქა“ და სხვ. ჩვენ მათ საძიებელში ოფიციალური სახელების გვერდით ფრჩხილებში ვუთითებთ.

ქალი პიროვნებები წარმოდგენილნი არიან ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ., „ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული“, „დადიანი-მიურატისა სალომე დავითის ასული“ და ა. შ.

თუ ქალი პიროვნება მოიხსენიება, როგორც მეუღლე, და ცნობილი არ არის მისი ქალიშვილობის გვარი, საძიებელში ის გატანილია მეუღლის გვარით, მაგ., „მინკვიცისა“, „რიუოვისა“, „ქობულოვისა.“

თუ ოჯახი მრავლობითში გაფორმებული გვარით სახე-ლდება, მაგ., „ოპოჩინინები“ // „ოპოჩინიაანნი“, „მირსკები“ და ა. შ., საძიებელში გვერდი ეწერება მხოლოდ ოჯახის უფროსს: ალექსეები ოპოჩინინს, დიმიტრი მირსკების და ა. შ. თუ ოჯახის წარმომადგენლები არიან მოხსენიებულნი ასევე მრავლობითის ფორმით და ტექსტის მიხედვით არ ირკვევა, რომელ წევრზეა საუბარი, მაგ., „კომაროვები“, საძიებელში გატანილია მხოლოდ გვარი ტექსტური ფორმით ანოტაციის გარეშე, ხოლო კომენტარებში ახსნილია, რამდენი წევრი შეიძლება მოიაზრებოდეს ამ გვარის ქვეშ.

ანოტაციები არ ერთვის საზოგადო სახელებით მოხსენიებულ პიროვნებებს, თუმცა კომენტარებში განმარტებულია, ვისზეა საუბარი.

რაც შეეხებათ ადრესატებს, მათ გვერდები აღნიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისადმი გაგზავნილ ბარათებში მოიხსენიებიან, ან მათდამი მიმართულ წერილებში მათზე საუბარია, როგორც მესამე პირზე. სხვა შემთხვევაში მათ ეთითებათ, რომ წერილის ადრესატები არიან.

გეოგრაფიული სახელები წერილებში ხშირად რუსული სახელწოდებით, ან დამახინჯებული ფორმით არის მოცემული. ანოტირებულ საძიებელში ისინი გატანილია ტექსტური მონაცემით, ხოლო სწორი დასახელება წარმოდგენილია ფრჩხილებში, მაგ., „ზირანი // ზირინა (ზირიანი),“ „დედუფლის წყარო (დედოფლისწყარო),“ „ტაშქენთი (ტაშკენტი),“ „ანგლია (ინგლისი),“ „პარიჟი (პარიზი),“ „მინგრელია (სამეგრელო)“ და სხვ. პირთა საძიებლების შემთხვევებისგან განსხვავებული მიდგომა აიხსნება იმ გარემოებით, რომ გეოგრაფიულ სახელებს კომენტარებში არ განვმარტავთ (გარდა აუცილებელი საჭიროებისა).

იშვიათად ავტორი ორივე დასახელებას იყენებს, მაგ., „ტურცია“ და „თურქეთი.“ ასეთ დროს საძიებელში ორივე სახელწოდებაა წარმოდგენილი და გვერდებიც მიწერილი აქვს თითოეულ მათგანს, თუმცა ანოტაცია ერთვის მხოლოდ სწორ ფორმას, ხოლო არასწორი ფორმა ანბანური პრინციპის მიხედვით გაგზავნილია სწორ სახელდებასთან.

„ტურციისა“ და „თურქეთის“ პარალელურად ავტორი იყენებს „ოსმალეთსაც“ – თურქეთის ძველ სახელწოდებას. ანოტაციას ამ უკანასკნელთანაც წარმოვადგენთ, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმპერიასთან, ხოლო თურქეთის შემთხვევაში – რესპუბლიკასთან.

სხვა შემთხვევებში კი, როდესაც გეოგრაფიული სახელი ძველი და ახალი დასახელებით არის მოცემული, მაგ., „განჯა“ და „ელისავეტოპოლის“, „ცარსკის კალოდცი“ და „დედუფლის წყარო (დედოფლისწყარო),“ „კონსტანტინოპოლი“ და „სტამბოლი“, გვერდებს ვუთითებთ ორივეს, მაგრამ ანოტაციას ვურთავთ მხოლოდ ახალ დასახელებას.

საძიებელში ანოტაციები არ ერთვის საქართველოს ქალაქებსა და მხარეებს (მაგ., კახეთს, გურიას, იმერეთს და ა. შ.), აგრეთვე კონტინენტებს. მათ მხოლოდ გვერდები აქვთ აღნიშნული.

გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღნიშნება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

უანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსინილი. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. მაგ., „ჭურგონი // ჭურლონი“; „ღლავნი // ღლავნოე.“ შესაბამისად, თითოეულის გვერდები ერთმანეთს პარალელური ხაზებით გამოეყოფა.

სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

გარკვეულ შემთხვევებში ლექსიკონში მოცემულ სიტყვას განმარტება არ სჭირდება, მაგ., „აგრე“, „ალაგი“, „აფიცერი“ და სხვ., მაგრამ ისინი ასახულია ლექსიკონში ავტორისთვის დამახასიათებელი ლექსიკის სრულად წარმოჩენის მიზნით.

როგორც გამოცემის შესავალ ნაწილში აღვნიშნავთ, წინამდებარე ტომში შემავალ რამდენიმე წერილს მოეპოვება თეთრი და შავი ნუსხები. ნიკო ჭავჭავაძისადმი №10 (848) წერილის თეთრი პირი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (გრიგოლ ორბელიანის არქივი, №507/№30), ხოლო შავი პირი – ისტორიულ არქივში (გრიგოლ ორბელიანის არქივი: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515°, 24r-v). შავი პირი ფანქრითაა შესრულებული და 1874 წლის ნოემბრით არის დათარიღებული (რიცხვი არ უნდრია), ხოლო თეთრი – მელნით და მისი თარიღია 1 დეკემბერი. შავ პირში შემოკლებული თუ დაქარაგმებული სიტყვები ავტორს თეთრ ნუსხაში სრულად უნდრია (თუმცა არა ყოველთვის): „კნ: ლევან“ / „კნიაზი ლევან“; „ილია ჭავჭავაძე“ / „ილია ჭავჭავაძე“; „წავიდა პეტერბ.“ / „წავიდა პეტერბულს“; „რლ ისა აღსრულება“ / „რომლისა აღსრულება“; „რლ ისა ტვირთი“ / „რომლისა ტვირთი“; „რლ ზედაც“ / „რომელზედაც.“ ზოგჯერ სიტყვა სინონიმით აქვს ჩანაცვლებული. მაგ., შავ პირში უნდრია „ყარაულნი“, თეთრში – „მცუმლნი.“ ასევე: „შეკრბა“ / „შეგროვდა.“ შავ პირს არ ახლავს ხელმოწერა, თუმცა მთავრდება ფრაზით, რომელიც თეთრ პირში არ გვხვდება: „ლთ ი იყოს თქუმნი მფარველი.“

იმავე ადრესატისადმი 1876 წლის 16 აპრილს გაგზავნილი №11 (877) წერილის თეთრი პირი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №508/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r-v / 14r-v, 15r-v), ხოლო შავი ნუსხა – ეროვნულ ისტორიულ არქივში (A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515°, 39r). თეთრი პირი თარიღიანია და უფრო ვრცელია შავთან შედარებით. ეს უკანას-

კნელი მთავრდება ფრაზით: „როდესაც მიდიან, – რაღა ატი-რებთ?“ და, ამავე დროს, უთარილოა.

1877 წლის 5 აპრილით დათარილებული ნიკო ჭავჭავაძისადმი №17 (902) წერილის თეთრი ნუსხა დაცულია ხელნა-წერთა ეროვნულ ცენტრში (გრიგოლ ორბელიანის არქივი, №512), ხოლო შავი ნუსხა – ისტორიულ არქივში (ფონდი №5, აღნერა 1, საქმე №7515ა, 52r). ორივე პირს თარიღით ერთი და იგივე რიცხვი აქვს. შავი პირი ხელმოუწერელია.

აღნიშნულ წერილშიც დასტურდება მოკლე და გრძელი ფორმების მონაცემებია: შავში უფრო მეტად მოკლე ფორმები გვხვდება, თეთრში – გრძელი: „პეტერბ:^{აშ}“ / „პეტერბურ-ლიდამ“; „ვლადიკავკ:^{აშ}“ / „ვლადიკავკაზიდამ“; „რლ თა რიც-ხვი“ / „რომელთა რიცხვი.“

გვაქვს სიტყვის სინონიმით შეცვლის მაგალითები: „მი-ვიღე“ / „მომივიდა.“

თეთრში თანიანი მრავლობითი შეცვლილია ებ-იანით: „რუსთაგან“ // „რუსებისაგან.“

შეინიშნება მანარმოებელი აფიქსების მონაცემებია: „ერთგულება“ // „ერთგულობა.“

იმავე ადრესატისადმი 1877 წლის 18 მაისით დათარილებული №18 (906) წერილის თეთრი პირი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (გრიგოლ ორბელიანის არქივი, №513), შავი – ისტორიულ არქივში (ფონდი №5, აღნერა 1, საქმე №7515ა, 54r). ორივე ნუსხას ერთი თარიღი აქვს, თეთრ პირს არა აქვს მითითებული ადრესატის ადგილსამყოფელი, ხოლო შავ პირს არ ერთვის ხელმოწერა.

თეთრ პირში გავრცობილია ერთი ადგილი, კერძოდ, რძალზე საუბარს ამთავრებს ტექსტით, რომელიც შავ პირში არ შედის: „ჩემმაგიერ დიდის პატივისცემით მომიკითხე; შენი ნინოჩკა ჩამიკოცნე; მაგან უნდა გამომიგზავნოს თავის დნევ-ნიკი; დამპირდა.“

1877 წლის 25 სექტემბერს ნიკო ჭავჭავაძისადმი №19 (918) წერილის თეთრი და შავი პირის (ისინი დაცულია ხელ-

ნაწერთა ეროვნულ ცენტრში, პოეტის არქივში, №514 ნომრით) შეჯერებისას გამოირკვა, რომ თეთრ პირს ბოლოში დამატებული აქვს ინფორმაცია, ახლავს ხელმოწერა და თარიღი. შავ პირს თარიღი თავშივე აქვს მითითებული. ასევე, თეთრ პირში ზოგიერთი სიტყვა ან სიტყვები ჩამატებული, ან გამოკლებულია, სიტყვათა რიგი ზოგჯერ შეცვლილია და ა.შ. შავი პირიც ისევე აკურატულად და სუფთად არის დაწერილი, როგორც თეთრი, მასში არ გვხვდება გადახაზული ადგილები, ან დაუდევრად დაწერილი ტექსტი.

ამრიგად, გამოირკვა, რომ შავ პირსაც ისეთივე პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გრიგოლ ორბელიანი, როგორითაც თეთრს. ძირითადი ნიშნები, რაც თეთრს შავისგან განასხვავებს, შემდეგია: 1. მოკლე და დაქარაგმებული ფორმები შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში აქ გაშლილია; 2. სიტყვათა რიგი ცალკეულ შემთხვევებში შეცვლილია; 3. სიტყვა ზოგჯერ სინონიმითაა ჩანაცვლებული; 4. ახლავს ხელმოწერა; 5. უფრო მეტად არ აღინიშნება ადრესატის ადგილსამყოფელი.

მე-4 და მე-5 ნომრებით აღნიშნული სხვაობები მარტივად აიხსნება: ავტორმა წინასწარ იცოდა, რომ პირი უნდა გადაეთეთრებინა და მას ხელმოწერას აღარ ურთავდა. ამ მხრივ, გამონაკლისის სახით შეგვიძლია დავასახელოთ ნიკოლოზ კარმალინისადმი 1877 წლის 20 აპრილს დაწერილი წერილი, რომელსაც ახლავს არასრული ხელმოწერა: «Ваш всегда ивсюду преданный К...»

ასევე, რადგანაც ადრესატის ადგილსამყოფელი კონვერტზე უნდა დაეწერა, თეთრ პირზე ხშირად მას აღარ უთითებდა. შემორჩენილი შავი პირები იმ წერილებისა, რომელთაც თეთრი პირებიც მოეპოვებათ, გვაწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ასობით შავი ფანქრით დაწერილი წერილი, მათი აკურატულობისა და მოწესრიგებულობის მიუხედავად, წარმოადგენს შავ პირებს და მათ აუცილებლად მოეპოვებოდათ თეთრი პირებიც, რომელებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ გრიგოლ ორბელიანს

ათასზე მეტი წერილი აქვს დაწერილი თავისი ხანგრძლივი საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ მანძილზე და მათგან უამრავი – კავკასიაში საომარი ოპერაციების პერიოდში, აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას მის მაღალ პასუხისმგებლობის გრძნობას, ადრესატებისადმი მოკრძალებულ, პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულებას, დიდ შინაგან მოწესრიგებულობასა და, ბოლოს, ესთეტიზმს, რომელთა წყალობითაც, დატვირთული რეჟიმისა და ემოციურად დაძაბული ცხოვრების პირობებში მაინც პოულობდა დროს, გასაგზავნ ვარიანტამდე წერილების შავი პირები შეექმნა. რამდენიმე წერილის შავ პირზე გვხვდება ერთი და იგივე მინანერები, როგორიცაა: «പელიე», „გადაწერე“: „გადაწერე მარტო ეს გვერდი“ და ა. შ. რომ არა მისი ეს ხასიათი, ჩვენამდე არ მოალწევდა წერილების უდიდესი ნაწილი, რაც უაღრესად დიდი დანაკლისი იქნებოდა ქართული მწერლობის, ისტორიისა თუ კულტურისთვის.

და აქ უნდა შევეხოთ არანაკლებ საინტერესო თემას – თავად ადრესატთა დამოკიდებულებას მისი წერილების მიმართ. მხოლოდ შავი პირების სახით შემონახული წერილები მეტყველებენ იმაზე, რომ მათი ადრესატები გრიგოლის წერილებს ან არ ინახავდნენ, ან დროთა ვითარებაში ეკარგებოდათ სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო. მაგალითად, რამდენიმე ათეული წერილი აქვს გაგზავნილი რძლის – ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისათვის და მათი აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ შავი პირის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. სამაგიეროდ, მეორე რძლის – ქეთევან მესხიშვილ-ორბელიანისათვის გაგზავნილი წერილები, რომლებიც თეთრ პირებს წარმოადგენს, შემონახულია. სამწუხაოდ, გრიგოლ ორბელიანის არც ერთი წერილი, მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, არ შემონახულა. სამაგიეროდ, მოგვეპოვება ამ უკანასკნელის გრიგოლისადმი გაგზავნილი ბარათები.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობისას.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №8 (830) გვ. 15.

ავტოგრაფი: Z (ზსიემ), 24480 /ლიტ. არქ. 1080, გვ. 63.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 27X21 სმ.; შესრულებულია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით.

თარიღი და ადგილი: „5^ა იანვ: 1874. თბილისით.“

ხელმოწერა: „თქუცინისა უგანათლებულესისა ერთგული მოსამსახურე თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უგანათლებულესო კნეინავ, უმოწყალესო დაო ეკატერინავ!“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ეკატერინე ჭავჭავაძე საქართველოში ცხოვრობდა და წერილი, სავარაუდოდ, გაგზავნილი უნდა იყოს ზუგდიდში.

შენიშვნები: 1. ღვთისადმი; 2. ავტორს აქ ბრჭყალები აქვს დახურული, მაგრამ გახსნილი არსად არა აქვს; 3. თავადი; 4. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 322-323.

გვ.: 15,3-4. „თქუცინმა ნიკომ მაცნობა“ – საუბარია ადრესატის ვაჟზე – სამეგრელოს უკანასკნელ მთავარ ნიკოლოზ დავითის ძე დადიანზე.

გვ.: 15,5. „ლრაჭინია მარია ადელბერლისასზე“ – საუბარია გრაფ ალექსანდრე ვლადიმერის ძე ადლერბერგის ქალიშვილ მარიაზე.

გვ.: 15,19. „თქუცინი სასურველი ანდრია“ – საუბარია ადრესატის ვაჟზე – ანდრია დავითის ძე დადიანზე.

ნიკო დადიანისადმი №1 (831) გვ. 16.

ავტოგრაფი: Z (ზსიებ), 24480 /ლიტ. არქ. 1080, გვ. 62.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 27X21 სმ.; შესრულებულია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით.

თარიღი და ადგილი: „5^ე იანვ: 1874. თბილისით.“

ხელმონერა: „თქუცისა უგანათლებულესისა მორჩილი მოსამ-სახურე თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუცი უგანათლებულე-სობავ, კნიაზო ნიკოლოზ დავითისძევ!“

ადრესატის მისამართი: წერილში ავტორი ადრესატს დაწინ-დევას, ანუ, დანიშვნას ულოცავს. ცნობილია, რომ ნიკო დადი-ანი 1874 წელს დაქორწინდა რუსეთის სახელმწიფო მინის-ტრის, ალექსანდრე ადლერბერგის, ქალიშვილზე. წყვილმა ქორწილი ევროპაში გადაიხადა და შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. საანალიზო წერილი წლის დასაწყისში (5 იანვარს) არის დაწერილი და ნიკოს მარია მხოლოდ დანიშნული ჰყავს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გრიგოლმა ნიკოს და-ნიშვნის ამბავი მისივე ტელეგრამით გაიგო, რომელიც 4 იან-ვარს მიიღო (ამის შესახებ ვიგებთ ეკატერინე ჭავჭავაძე-და-დიანისადმი 5 იანვარს მიწერილი №8 (830) წერილიდან), უფ-რო სავარაუდოა, რომ ადრესატი ჯერ ისევ პეტერბურგში ყოფილიყო და წერილიც აქ იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თავადი; 2. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სარ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმა-ნათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ. 331.

გვ.: 16,2. „კნიაზო ნიკოლოზ დავითისძევ!“ – წერილის ადრესატია სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი – ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი.

გვ.: 16,4. „ლრაფინია მარია ადელბერლისასზე“ – საუბარია გრაფ ალექსანდრე ვლადიმერის ძე ადლერბერგის ქალიშვილ მარიაზე.

ნიკოლოზ ბარანოვსკისადმი №6 (832) გვ.: 16-17.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №68/№37, 155r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, არასტანდარტული ფორმის, ალაგ-ალაგ დალაქავებული 1 ფურცელი; ზომა: 22,4X18,6 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «6^{го} გენვ: 1874.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Николаю Ивановичу Барановскому.»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თარიღი ხაზგასმულია; 2. მამის სახელის ქვეშ ხაზია გასმული; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 16,18. «**Николаю Ивановичу Барановскому**» – წერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორი – ნიკოლოზ ივანეს ძე ბარანოვსკი.

გვ.: 16,19-20. «**по установленному порядку, опять обращаюсь к вам**» – ავტორი გულისხმობს იმას, რომ რძლისა და ძმისნულის პენსიის სწორ მისამართზე გადარიცხვასთან და-

კავშირებით მანამდეც არაერთხელ მიუმართავს ადრესატის-
თვის.

გვ.: 17,1-2. «**Варв: Ильинъе Княгиъе Орбел... Георгію**
**Ильичу Къ Орбеліани» – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია
ზურაბის ძე ორბელიანის, ცოლ-შვილზე – ბარბარე ილიას
ასულ ბაგრატიონ-ორბელიანსა და გიორგი ილიას ძე ორბე-
ლიანზე.**

ნიკოლოზ ბარანოვსკისადმი №7 (833) გვ.: 17-18.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №69/№37, 6r.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის არასტანდარტული
ფორმის 1 ფურცელი; ზომა: 22X17,9 სმ. (გაზომილია დიდი
მხრიდან); წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. წარმოად-
გენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «8^{го} გენვ: 1874.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Николаю Ивановичу
Барановскому.»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მე-
ფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა
განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე მსახურობდა და
წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თარიღი ხაზგასმულია; 2. მამის სახელის ქვეშ
ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 17,21. «**Къ Варвара Ильин:**» – საუბარია გრიგოლ
ორბელიანის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-
ორბელიანისაზე.

გვ.: 18,1. «**ея сына**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის
ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

ალექსანდრე სვისტუნოვისადმი №4 (834) გვ.: 18-20.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №484/№42, 4r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 34,8X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდზე ნაწერში რამდენიმე ადგილას სიტყვებია ჩამატებული შავი მელნით, რომელიც გადასულია მეორე გვერდზე. ხელნაწერი წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «11^{го} ფев: 1874:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Свистунову. Началь: Окр: штаба Кавказ: Воен: Округа.» / «М: Г: Александр Павлович!»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა, რომლის შტაბინაც თბილისში მდებარეობდა. შესაბამისად, წერილი თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ორივე სტრიქონს ქვეშ ხაზი აქვს გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 18,20. «Александр Павлович!» – წერილის ადრესატია კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი – ალექსანდრე პავლეს ძე სვისტუნოვი.

გვ.: 18,21-22. «Петр Константинович увольняется» – საუბარია ქუთაისის ცხენოსანთა პოლკის როტმისტრზე, რომელიც მანამდე გრიგოლ ორბელიანთან მსახურობდა.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №63 (835) გვ.: 21-23.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №155/№58, 3r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, სქელი, საშუალო ფორმატის, ორად გადაკეცილი ქაღალდი;

ზომა: 22,2X17,9 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზია ჩამოსმული; IV გვერდი, სავარაუდოდ, ფანქრით არის გაშავებული. ხელნაწერი წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «24 ფევრ: 1874. თифლის.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი პეტერბურგში ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2-12. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის პირველი აბზაცი: მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 158.

გვ.: 21,29. «**Мой друг Варвара**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ.: 22,5. «**Георгий пролетели**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისნულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 22,7. «**Вано поделявает**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის ძე – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 22,8. «**Бедная Залуа Хорешана**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, კონსტანტინე ილიანის, მეუღლეზე – ხორემან ვასილის ასულ ვაჩნაძე-ორბელიანისაზე.

გვ.: 22,11. «**Патара Залуа Сашу**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – ალექსანდრა (საშა) გარსევანიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 22,12. «**был у меня Нико Мингрельский**» – საუბარია ნიკოლოზ დავითის ძე დადიანზე.

გვ.: 22,14. «**с дочерью Адельберга**» – საუბარია გრაფ ალექსანდრე ვლადიმერის ძე ადლერბერგის ქალიშვილ მარიაზე.

გვ.: 22,24. «**Майко родила dochь**» – საუბარია მარიამ (მა-იკო) დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 22,25. «**Како родила dochь**» – საუბარია მარიამ (კა-იკო) დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 22,25-26. «**Тамара родила dochь**» – იგულისხმება თამარ დავითის ასული ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისა.

გვ.: 22,26. «**Елена родила сына**» – იგულისხმება ელენე დავითის ასული ჭავჭავაძე-ასტაფიევისა.

გვ.: 22,28. «**Аннета здесь**» – საუბარია ადრესატის დაზე – ანეტა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე.

გვ.: 22,30. «**Ираклій едва не умер**» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 22,30. «**Вахтанг отчаянно был болен**» – საუბარია ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 22,30-31. «**Леван Меликов заболел**» – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 22,31-32. «**У Статковских умер сын**» – სავარაუ-დოდ, საუბარია ნინა ალექსეის ასულ ოპოჩინინა-სტატკოვსკისა, მისი ქმარი და მამა – ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინი.

გვ.: 22,32-33. «**родители, в особенности Алексей Петрович**» – იგულისხმება ნინა ალექსეის ასული ოპოჩინინა-სტატკოვსკისა, მისი ქმარი და მამა – ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინი.

გვ.: 22-23. «**Бабале переносит Горе**» – საუბარია გრიგო-ლის ბიძაშვილიშვილზე – ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ.: 23,3-4. «**Мадам Минквиц пріехала**» – საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორის ძე მინკვიცის მე-უღლებზე.

გვ. 23,8.: «**Дядю Георгия**» – ასე მოიხსენიებს ხოლმე გრიგოლ ორბელიანი თავის ძმისნულს.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №15 (836) გვ. 25.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 159r (წითელი ფანჯრით) / 11r (შავი ფანჯრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, სამ ადგილას გახვრეტილი ქალალდი; ზომა: 21,5X-17,4 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანჯრით. ტექსტს მარჯვენა მხარეს წითელი ფანჯრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «13^{го} Марта 1874.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Баро: Алекса: Павл: Николаю.»

ადრესატის მისამართი: 1864 წლიდან ადრესატი მუშაობდა სახალხო სასწავლებლების სანიმუშო წესდებისა და საგლეხო და სასამართლო რეფორმების შემმუშავებელ კომისიებში და, შესაბამისად, წერილი **თბილისში** უნდა იყოს გაზიავნილი.

შენიშვნები: 1-2. ორივე სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 25,2. «**Алекса: Павл: Николаю**» – წერილის ადრე-სატია ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 25,7. «**кн^и Михайла Семеновича**» – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი 1845-1854 წლებში – მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი.

სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №5 (837) გვ.: 26-28.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №487/№56
(ძველი Q: 155), 1r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ქალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. რამდენიმე ადგილას ფანქრით ნაწერი ზემოდან არის გადაწერილი შავი მელნით და წინადადებებიც ჩამატებულია შავი მელნითვე. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „1874-მარტ: 17^ს დღესა თბილისით“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ, დედავ, დაო სოფიო!“

ადრესატის მისამართი: „ბოთლიხს.“

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია; 2. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან შავი ფერის მელნით; 3. ფრაზა – „ბიჭო... მხოლოდ“ – ჩამატებულია ზემოდან შავი ფერის მელნით; 4. სამ სტრიქონს, დაწყებულს სიტყვებით: „ამაოების ჯელმნიფობას“, დამთავრებულს სიტყვებით – „ამა წესითა“ – მარცხენა არიდან წითელი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; 5. ფრაზა – „თვარემ... მისი“ – ჩამატებულია ზემოდან შავი ფერის მელნით; 6. ხაზგასმულია; 7. „მიგველის რომ დაგვატკბოს“ შავი ფერის მელნით ზემოდან არის გადაწერილი შავი ფანქრით ნაწერზე: მზად არის, დაატკბოს“; 8. „მუზიკითა“ შავი ფერის მელნით ზემოდან არის გადაწერილი შავი ფანქრით ნაწერზე: „მსმენელნი“; 9. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 10. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 11. ოთხ სტრიქონს, დაწყებულს სიტყვით: „საკურვლად“, დამთავრებულს სიტყვებით; „ესე უზენაესი მღუთაებ“ – მარცხენა არიდან წითელი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; 12. „რა არის“ შავი ფანქრითვე ზემოდან არის გადაწერილი ნაწერზე: „იყო რა“; 13. ფრაზა, დაწყებული სიტყვით: „აქიმებმა“, დამთავრებული მონიშნული სიტყვით, შავი ფერის მელნით ზემოდან არის გადაწერილი

ფანქრით ნაწერზე; 14. სიტყვა შავი ფერის მელნით ჩამატებულია ზემოდან; 15. მის შემდეგ გადახაზულია სიტყვა „კიდევ“; 16. ღმერთმან; 17. სიტყვა ჯერ სხვა ფორმით დაუწერია, ბოლო ასოები არ იკვეთება, შემდეგ გადაუკეთებია, მაგრამ „ს“-ს წინ „ი“-ს წაშლა გამორჩენია; 18. ხელნაწერშია „კიდობასში“; 19. სიტყვა შავი ფერის მელნით ზემოდან არის გადანერილი ფანქრით ნაწერზე; 20. სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული; 21. ხელნაწერშია „ახლის“; 22. სიტყვა შავი ფერის მელნით ჩამატებულია ზემოდან; 23. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 24. სიტყვა დაწერილია შავი ფერის მელნით; 25. სიტყვა შავი ფერის მელნით ჩამატებულია ზემოდან; 26. სიტყვა შავი ფერის მელნით ჩამატებულია ზემოდან; 27. ამის შემდეგ გადახაზულია „დანა“; 28. ბოლო წინადადება შავი ფერის მელნით ჩამატებულია ზემოდან; 29. ეს ბოლო აბზაცი შავი ფანქრით შემოხაზულია მარცხენა არიდან და ქვემოდან. ხაზი ადის „დავკოცნი“-სთან. ამის მომდევნო წინადადება ხაზებში არ არის მოქცეული; 30. ღმერთი; 31. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 32. ამის შემდეგ გადახაზულია „თქუცნი.“

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 26,2. „ძალუავ, დედავ, დაო სოფიო“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე – სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა.

გვ.: 27,12. „ირაკლი კინალამ არ მოკუდა“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 27,13. „ლევან დაიტანჯა“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 27,15. „რევანდმაკი მოარჩინა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მრავალწლიანი სამკურნალო მცენარე.

გვ.: 27,16. „ჭილაევი კინალამ არ დაახრჩო“ – სავარაუდოდ, საუბარია იაგორ ალექსის ძე ჭილაევზე (ჭელიძეზე).

გვ.: 27,17. „ჯომარდიძეს ცოლი“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორის, მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარდიძის, მეუღ-

ლეზე – ელენე გრიგოლის ასულ ბარათაშვილ-ჯომარდიძისა-ზე.

გვ.: 27,17-18. „გიორგი მუხრანსკის ცალი თვალი“ – საუ-ბარია სენატორ გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრა-ნელზე.

გვ.: 27,18. „შენი საკუთარი ისაკ“ – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 27,19-20. „ელენას ასტაჭიევისას ეყოლა ვაჟი და მოუ-კუდა“ – საუბარია ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძე-ასტაფიე-ვისაზე.

გვ.: 27,23. „გიორგი სარაჯევიკი დამარხეს“ – სავარაუ-დოდ, საუბარია ექიმ გიორგი მიხეილის ძე სარაჯევზე.

გვ.: 27,24. „ჩუმინი ბანკი ჯერაც გარიყულია“ – საუბარია ახალდაარსებულ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამუ-ლო ბანკზე.

გვ.: 28,2. „ახალს ნოეს კიდობანში“ – ფიგურალურად არის ნათქვამი, გადარჩენის საშუალების მნიშვნელობით.

გვ.: 28,17-18. „ტასო და ონიკოვი მორიგდნენ“ – სავარა-უდოდ, საუბარია ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგა-რინისაზე და ალექსანდრე ონიკოვზე, რადგან სხვა წერილში, სადაც ტასოა ნახსენები, ონიკოვის სახელიცაა.

გვ.: 28,22. „ამერიკანეცი გაგზავნა რუსეთში“ – საუბარია ალექსანდრე (სანდრო) ესტატეს ძე ერისთავზე, რომელსაც „ამერიკანეცს“ ეძახდნენ.

გვ.: 28,26-27. „ივანეს და ნიკოს დავკოცნი“ – იგულის-ხმება ადრესატის ქმარი, ივანე დავითის ძე ორბელიანი, და ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე, რომლებიც ერთად მსახურობ-დნენ.

გვ.: 28,29. „ჩემი მაჰმადა“ – სავარაუდოდ, საუბარია ყე-ლესე მაჰმადაზე.

დანიელ პოპრუჟენკოსადმი №1 (838) გვ.: 29-30.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაცით: 160г-v (წითელი ფანქრით) / 12г-v (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, სქელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 26,4Х20,2 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდზე, ზედა მარჯვენა მხარეს, წითელი ფანქრით აწერია: «Х» და იქვე შავი ფანქრით წერია: „გადაწერე“; ზედა მხარესვე, შუაში, შავი მელნის ნაღვენთია, რომელიც || გვერდზეა გადასული; || გვერდზევე, ზედა მარცხენა მხარეს, შავი ფანქრით აწერია „16000.“ წერილს ბოლოში 4-სტრიქონიანი ავტორისეული მინაწერი აქვს, რომელიც არ არის ადრესატისთვის განკუთვნილი. მისი ნაწილი არ იკითხება «NB. Протоієрей Попруженко, конечно, не Госуд. человек, но письмо это [...]мече только в [...] поэтому здесь и [...]»

ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «13^{го} Апр: 1874. г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Протоієрею Попруженко.» / «Глубокоуважаемый Отче Даній!»

ადრესატის მისამართი: «В Шуру»

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია; 2. ადრესატი ხაზგასმულია; 3. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 4-5. ამ ადგილას ხელნაწერი დასვრილია და დამალული ასოები აღდგენილია ჩვენ მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 29,2. «Протоієрею Попруженко» – სასულიერო პირის მამის სახელი უცნობია.

გვ.: 29,7. «в теченіі 30 лет» – 1840-იან წლებში მღვდელი დანიელ პოპრუჟენკო მსახურობდა აფშერონის პოლკში

და, სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანი მას ამ დროიდან იცნობდა.

გვ.: 29,11. «**в трущобе Зираны!**» – იგულისხმება აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში მდებარე სოფელი ზირიანი.

გვ.: 29,17. «**Великому Государю**» – მათი ერთად სამსახურის პერიოდში რუსეთის იმპერატორი (1825-1855) იყო ნიკოლოზ I.

გვ.: 29,20-21. «**население огромного края**» – იგულისხმება ჩრდილოეთ კავკასია.

გვ.: 29,26. «**бедного Пассека, так безвременно погибшаго**» – აფშერონის პოლკის მეთაური, გენერალი დიომიდე პასეკი, დაიღუპა 1845 წელს.

გვ.: 29,27. «**Помнители Ясинского**» – საუბარი უნდა იყოს 1840-იან წლებში აფშერონის პოლკის პოლკოვნიკ მარკ კონსტანტინეს ძე იასინსკიზე.

გვ.: 30,5. «**петь Конину**» – როგორც ჩანს, ეს იყო სიმღერა ცხენის ხორცზე, რომელიც ხშირად იხსნიდა ხოლმე ჯარისკაცებს შიმშილისგან.

გვ.: 30,8. «**вашего дячка**» – დიაკონის სახელი ნახსენები არ არის და ვინაობა დაუდგენელია.

ვლადიმერ ლევაშოვისადმი №2 (839) გვ.: 32-33.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 161r (ნითელი ფანქრით) / 13r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, სქელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 35,5X21,5 სმ.; ნერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «22^{го} Апр: 1874.»

ადრესატის მისამართი: მიმართვის ფორმა: «Графу Владимиру Васильевичу Левашеву.»

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა, რაც წერილის შინაარსითაც ჩანს. ავტორი მას სწერს: «...ему отвечалы, что от вас, как от Главного началь^а в Кутайс.^{ой} Губернii, зависит решенiе этого дела». აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს ქუთაისში.

შენიშვნები: სახელის ქვეშ გრძლად ხაზია გასმული; 2. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 32,23. «Графу Владимиру Васильевичу Левашеву» – წერილის ადრესატია 1871-1874 წლებში ქუთაისის გუბერნატორი – ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვი.

გვ.: 32,24. «Икарлов просил» – საუბარია ლუკა სტეფანეს ძე ისარლიშვილზე.

გვ.: 33,13-14. «спас жизнь Вел: Князя» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 33,14. «бедный Ден» – საუბარი უნდა იყოს ნინა დიმიტრის ასულ სვიათოპოლკ-მირსკაიას ქმარზე – ვოლდემარ კარლ ფონ დენზე.

გვ.: 33,15. «К: Мирский с женою» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიი იაკობის ასულ ორბელიანსა და მის ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიათოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 33,20. «Глубокоуважаемую Графиню» – საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეუღლეზე – ოლღა ვიქტორის ასულ პანინა-ლევაშოვისაზე.

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისადმი №1 (840) გვ. 34.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), 44r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, პატარა ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, მელნით დასვრილი, მკრთალ ყავისფერზოლიანი ქალალდი; ზომა: 21X13,8 სმ.; ნერილი შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...ჩემი ვანო...“

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსითაც და ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №64 (841) ნერილიდანაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგში იმყოფებოდა. ავტორი მას სწერს: „რამდენას გიგონებთ მანდაურს წირპლიანს ღრუბელში მყოფსა... კაცმა აქ უნდა იცხოვროს, პეტრებულშიკი ემსახუროს.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან.

დათარილება: ნერილიდან ჩანს, რომ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა, ჰქონდა რევმატიზმი და ანუხებდა ფეხების ტკივილი. მის ამ პრობლემას გრიგოლ ორბელიანი ახსენებს 1874 წლის 24 თებერვლის ნერილშიც. ამავე წლის 19 მაისის ნერილიდან კი ჩანს, რომ ვანოს მკურნალობა გადაუწყვეტია, თბილისში გამოუვლია და სამკურნალოდ წასულა პიატიგორსკასა და ესენდუკში. რამდენადაც უთარილო ნერილის მიხედვით ვანო ჯერ კიდევ პეტერბურგშია, იგი 1874 წლის 19 მაისამდე უნდა იყოს დაწერილი.

ნერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 34,20-21. „რამდენს გიგონებთ მანდაურს წირპლიანს ღრუბელში მყოფსა“ – ავტორი პეტერბურგის კლიმატს გულისხმობს.

გვ.: 34,26-27. „მიამჟე შენის ფეხების ამბავი“ – ნერილის ადრესატს რევმატიზმი ანუხებდა და ფეხები სტკიოდა.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №64 (841) გვ.: 35-36.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №156/№58, 4r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,5X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. წერილს დაცულობის მიზნით ზემოდან ადევს თეთრი ფერის ქალალდი. ხელნაწერი წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «19 Мая 1874 г: Тифлис.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг, моя Матушка Варвара!»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში პეტერბურგში ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2. მრავალწერტილი ავტორისაა.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 35,3. «**вданном Георгием**» – საუბარია ადრესატის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 35,29. «**любимец Вано**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 35,29-30. «**с сестрой Тасо и ея детьми**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობულისა და მის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 36,8. «**матери Исаака Туманова**» – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილსა და მის დედაზე.

სარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №65 (842) გვ.: 37-40.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №157/№58, 5г-в.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 35,7X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. ხელნაწერის I გვერდს დაცულობის მიზნით ზემოდან აქვს თეთრი თაბახის ფურცელი. რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «2^{го} Июля 1874. Тифлис.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში პეტერბურგში ცხოვრობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება. ავტორი მას სწერს: «Нельзяже твоему сыну, живя в кругу обольщений, отречся от них. В Петербурге нет Пуритан; ну, и Георгию нельзяя всегда сидеть в заперти.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 37, 30. «куда Георгію» – საუბარია ადრესატის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 39,10. «Семенов: Полк» – იგულისხმება საიმპერატორო გვარდიის ქვეითი პოლკი. ატარებდა იმ სოფლის სახელს, სადაც დააარსა პეტრე პირველმა.

გვ.: 39,16. «переговорю с К^м Мирским» – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 39,18-19. «Ея Высоc:^{въ} Ольге Феодоровне» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 39,21. «о старшем своем сыне» – საუბარია ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვზე.

გვ.: 39,25. «**Вано из Пятигорска**» – საუბარია ივანე კონ-სტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 39,27-28. «**Тасо Оглобжю с детьми и Сагиновы**» – საუბარია ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობ-შიოსა და მის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე; ასევე, ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილსა და მის მეუღლე ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

გვ.: 39,28. «**Кетевана в Боржоме**» – საუბარია ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 39,29. «**Елену Джомардизеву**» – საუბარია მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარდიძის მეუღლეზე – ელენე გრიგოლის ასულ ბარათაშვილ-ჯომარდიძისაზე.

გვ.: 39,31. «**Мирские и Опочинины**» – საუბარია დიმიტ-რი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახებზე.

გვ.: 40,1. «**Давид... помолодел**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 40,1-2. «**Сандро, первый меч**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ვაჟ ალექსანდრეზე.

გვ.: 40,3-4. «**сына Минквица**» – საუბარი უნდა იყოს იული თეოდორის ძე მინკვიცის ვაჟზე.

გვ.: 40,5. «**товарища Ваха**» – სხვა ცნობები პირის შესა-ხებ არ მოგვეპოვება.

ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №128 (843)

გვ.: 42-44.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №378/№20 (ძველი Q: 155); ორმაგი პაგინაციით: 1r–v, 2r / 171r–v, 172r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, ორ-ად გადაკეცილი, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-

ლი, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრუ-
ლებულია მუქი შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: „10^ს ივლისს 1874. თბილისით.“

ხელმოწერა: „თქუცი მარადის ერთგული და პატივისმცემე-
ლი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ
ქეთევან!“

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ
ადრესატი დასასვენებლად იმყოფება ბორჯომში. ავტორი მას
სწერს: „ვჰმადლობ ღმერთსა, რომ მშვიდობიანად დაბინავე-
ბულხართ ბორჯომსა.“

შენიშვნები: 1. ხელნაწერში ერთი „ა“ აკლია; 2. ხაზგასმულია;
3. ავტორს „ვ“ არ უწერია; 4. ხაზგასმულია; 5. სიტყვა ორჯერ
უწერია, ამასთან, მეორე «Княгини» სიტყვის ბოლოში ძველი
რუსული «е» უწერია, მაგრამ გრამატიკულად არასწორი ფო-
რმაა.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 42,23. „**ძალუავ ქეთევან**“ – წერილის ადრესატია
გრიგოლ ორბელიანის რძალი – ქეთევან დიმიტრის ასული
ალექსი-შესხიშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 42,27. „**ჰესტეუა ძალუა მაკრინემ**“ – სავარაუდოდ,
საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ესტატე იოსების ძე ორბე-
ლიანის, ქვრივზე – მაკრინე ივანეს ასულ სულხანიშვილ-ორ-
ბელიანისაზე.

გვ.: 42,28. „**სოსიკოსთან ჩაისა ვჰსუამდით**“ – საუბარია
გრიგოლის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელი-
ანზე.

გვ.: 43,7. „**ახალი მომლერალი ქალი ბიჩურინა**“ – სავარა-
უდოდ, საუბარი უნდა იყოს საოპერო მომლერალ ანა ალექ-
სანდრეს ასულ ბიჩურინაზე.

გვ.: 43,9-10. „**ირაკლი თავის სახლობით**“ – სავარაუდოდ,
საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე,
მის მეუღლე თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძესა და ქალიშვი-
ლებზე – ელისაბედსა და ეკატერინეზე.

გვ.: 43,10. „დავით ჭავჭავაძე წავიდა... წაიყუანა კაცოცა“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და მის ქალშვილ მარიამზე, ორმელსაც „კაცოს“ ეძახდნენ.

გვ.: 43,11. „ვარინგა და გიორგი“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 43,12. „ელისაბედს ძალიან მოჰედენია“ – საუბარია ყაფლან ორბელიანის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 43,14. „ყაფლანც კარგად არის“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 43,15-16. „ლიზა როგორლაც ვერ არის კარგათაო“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილის მეორე ცოლზე, ილია ჭავჭავაძის დაზე – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

გვ.: 43,16. „ალექსანდრეკი არასა მწერს“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანის, ყოფილ ქმარზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 43,22. „ნუ აპყოლიხარ თავშლაპკიანსა და გრძელკუდას ქალსა – შესაძლოა, საუბარი იყოს ადრესატის დისწულზე – ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე.“

გვ.: 43,26. „ტასომ არ იცოდეს“ – იგულისხმება ადრესატის დისწული – ანასტასია ჩერქეზიშვილი-ხერხეულიძისა.

ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №129 (844)
გვ.: 44-45.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №379/№20 (ძველი S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1r–v, 2r / 173r–v, 174r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-

ლი, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრუ-
ლებულია შავი მელნით, რომელიც გაუდენთილია ფურცელში.
თარიღი და ადგილი: „31^ს ივლისს 1874. ტაბახმელა“

ხელმოწერა: „თქუცინი მარადის ერთგული თ გრიგოლ ორბე-
ლიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ
ქეთევან!“

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ
ადრესატი დასასვენებლად იმყოფება **ბორჯომში**. ავტორი მას
სწერს: „გეტყობათ ძალიან ჩაგიტყბათ ბორჯომი.“

შენიშვნები: 1. წერილის თავში მოცისფრო ფანქრით მიწერი-
ლია: „ტაბახმელა.“ ავტორის ხელწერას არ ჰგავს; 2. ავტორს
„ნ“ გამორჩენილი აქვს; 3-4. ასეა; 5. აქ ავტორს მძიმე არ
უნერია, მაგრამ ჩვენ დავწერეთ, რადგან გამოდის „ონიკოვი
ყაფლან“, რაც არასწორია: ონიკოვი და ყაფლანი სხვადასხვა
პიროვნებები არიან; 6. თავადი; 7. ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 44,12. „ტასოს ჭანჭაზიებსა“ – შესაძლოა, საუბარი
იყოს ადრესატის დისწულზე – ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერ-
ხეულიძისაზე.

გვ.: 44,18-19. „მარტყობისაკენ ჩუცინი სოფიო!“ – საუბა-
რია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ სოფიო (ხორეშან)
კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 44,19-20. „მაკრინე და პატარა თავისი ქალი“ – სავა-
რაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსან-
დრე ესტატეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – მარიამ (მაკრინე)
ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილსა და მის ქალიშვილზე –
მარიამ ალექსანდრეს ასულ ორბელიანზე, რომელიც იმ დროს
6 წლისა იყო და მოგვიანებით (1886 წელს) ცოლად გაპყვა
გრიგოლის ძმისწულს – გიორგი ილიას ძე ორბელიანს. ამ პე-
რიოდის წერილებში გრიგოლ ორბელიანი მას „მაიკოდაც“ მო-
ისენიებს, მაგრამ გენეალოგიურ ნუსხაში მეორე სახელად
„მაკრინე“ უწერია.

გვ.: 44,20-21. „რიუოვა მისის, მგონია, დისწულით“ – შე-

საძლოა, საუბარი იყოს თბილისის ვაჟთა გიმნაზიის რუსული სიტყვიერების პედაგოგის, სტეფანე ივანეს ძე რიუოვის, მეუღლესა და მის დისტულზე.

გვ.: 44,21-22. „თალალა ქალითა მისის შვილითა და მართა“ – პირთა გვარები არ არის მითითებული და ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 44,24. „რიუოვის გოგო-ბიჭი“ – შესაძლოა, საუბარი იყოს სტეფანე ივანეს ძე რიუოვის ქალ-ვაჟზე.

გვ.: 45,1. „მიხეილა პოვორი“ – საუბარია მზარეულზე.

გვ.: 45,3. „პაჭუა ივანე ბიჭი თავის ცოლითა“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ივანე მამუკას ძე ორბელიანსა და მარიამ დიმიტრის ასულ მირსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 45,8-9. „არქეირსაც დიდის პატივით მიუღია“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მარტყოფის მონასტრის წინამძღვარი.

გვ.: 45,12. „შჩუკინმა შეირთო, მგონია, უდანოვა ქვრივი“ – პირთა ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 45,15. „მეფე-დედოფლის დედმამა“ – პირთა ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 45,15-16. „მირსკი და სოფიო“ – საუბარია სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 45,16-17. „სოსიკო, აგლობუიო, ამიროვი, ონიკოვი, ყაფლან“ – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიზე, სტეფანე ამიროვზე, ალექსანდრე ონიკაშვილსა და ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 45,18. „მირსკანნი წავიდნენ კოჯორსა“ – სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ჰყავდათ ოთხი შვილი: ნინა, მარიამი, ოლღა და პეტრე.

გვ.: 45,22. „მირსკის შვილი დღეს მოსულა“ – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ვაჟზე – პეტრეზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №66 (845) გვ.: 46-48.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №159 (ძველი №58), 6r-v, 7r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, სქელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 35,5X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდზე ნაწერი გაფერმკრთალებულია. II გვერდზე მეორე აბზაცის ბოლო ნაწილს მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; III და IIII გვერდებზე ნაწერს დაცულობის მიზნით ზემოდან თეთრი თაბახის ფურცლები აქვს დაკრული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «1874 Авг: 18. Табахмела.» / «19^{го} Авгу.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Петер:»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. სიტყვა ხაზგასმულია; 3. «по своему состоянію» ხაზგასმულია; 4. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 46,5. «рожденіе Майки; и на рождение Алексея Петровича» – საუბარი უნდა იყოს გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ქალიშვილის – მარიამ (მაიკო) დიმიტრის ასულ სვიათოპოლკ-მირსკისა – და მეორე ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანის, ქმრის – გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის – დაბადების დღე-ებზე.

გვ.: 46,6. «визиты Свистуновой» – საუბარი უნდა იყოს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის, ალექსანდრე პავლეს ძე სვისტუნოვის, მეუღლეზე – მარია ბორისის ასულ ფოკზე.

გვ.: 46,14. «будущность Георгия» – საუბარია გრიგოლის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 46,16. «**Кавалергардский Полк**» – საუბარია რუსეთის იმპერიის კავალერიის გვარდიაზე, რომელშიც წარჩინებული ოჯახის შვილები მსახურობდნენ.

გვ.: 48,6-7. «**лучше Селенгинского Пехотного**» – სელენგინის ქვეითი პოლკი ჩამოყალიბდა იმპერატორ პავლე I-ის მეფობის დროს აღმოსავლეთ ციმბირში, ამავე დასახელების ქალაქში. თავდაპირველად ეწოდებოდა „სელენგინის მუშკეტერთა პოლკი.“

გვ.: 48,16. «**Семнадцатилетие Пети**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, და პოდპოლკოვნიკ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ვაჟზე – პეტრეზე.

გვ.: 48,16-17. «**Генерал Адъютанство К^н Николая Мирского**» – საუბარია ადრესატის გარდაცვლილი დის, ვერა ილიას ასულ ბაგრატიონოს, მეუღლეზე – გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 48,20. «**К^н Дмитрию Орбел:**» – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 48,22. «**К: Дмит: Мирский пріедет**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო ორბელიანის, ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №67 (846) გვ.: 51-52.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №160/№58, 8r.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, სქელი, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,5X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდზე მეორე აბზაცს მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; ამავე გვერდზე, ზედა მარჯვენა მხარეს, წერია: «Г». ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «Октябр: 1874 Тифлис.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «...мой друг Варвара...»
ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ად-
რესატი იმყოფებოდა **პეტერბურგში**. ავტორი მას სწერს: «По-
ра, брось этот плаксивый, печальный Петерб:»
შენიშვნები: 1-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.
პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 51,25-26. **«ты и Георгий здоровы»** – საუბარია ად-
რესატსა და მის ვაჟზე – გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას
ძე ორბელიანზე.

გვ.: 51,27. **«при нашей Вел: Княгине»** – საუბარია მე-
ფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდო-
რის ასულ ბაფენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 52,9. **«Барон Николай сдоcherью»** – საუბარია სო-
ფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის ქმარ-შვილზე – ბარონ
ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაისა და მარიამ (მაკა) ალექ-
სანდრეს ასულ ნიკოლაიზე.

გვ.: 52,12. **«очень люблю Маку»** – საუბარია იმავე მა-
რიამ (მაკა) ნიკოლაიზე.

გვ.: 52,16. **«К: Дмит: Мирскій и Софія прибудут»** – სა-
უბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელი-
ანსა და მის ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირ-
სკიზე.

გვ.: 52,17. **«Ден почти совсем здоров»** – საუბარი უნდა
იყოს ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას ქმარზე –
ვალდემარ კარლ ფონ დენზე.

გვ.: 52,19. **«Их высочества прибудут»** – საუბარია მე-
ფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

კონსტანტინე ორლოვსკისადმი №4 (847) გვ. 54.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 23r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 33,4X22,4 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის ზედა მხარეს, შუაში, შავი ფანქრით აწერია: «ჰელი». ტექსტის პირველ სიტყვას წინ წითელი ფანქრით უწერია: «Х». II გვერდი დაფარულია ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «...Октя: 1874 г:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Тифлис: Губер: Константина Ивановичу Орловскому.»

ადრესატის მისამართი: წერილის ადრესატია თბილისის გუბერნატორი და მისი ადგილსამყოფელიც, ცხადია, **თბილისია.**

შენიშვნები: 1. სამი წერტილი ავტორისაა; 2. მეორე სიტყვის ქვეშ, ცოტა მოშორებით, ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 54,6. «**Константину Ивановичу Орловскому**» – წერილის ადრესატია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი – კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი.

გვ.: 54,7. «**В Астаре**» – საუბარია აზერბაიჯანის ქალაქზე.

გვ.: 54,8-9. «**Леонид Баратов и сидит там с женою и детьми**» – საუბარია გრიგოლის დისწულის, ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილის, ქმარზე – ლევან (ლეონიდ) გერმანოზის ძე გერმანოზიშვილზე (ბარათაშვილზე) და ქალიშვილებზე: ნატალიასა და ანასტასიაზე.

გვ.: 54,12. «**Бисмарк скажет**» – საუბარია გერმანიის რაიხსკანცლერ ოტო ფონ ბისმარკზე.

გვ.: 54,18-19. «Иерофил Бек» – სავარაუდოდ, საუბარია ისრაფილ-ბეგ ედიგაროვზე.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №10 (848) გვ.: 55-58.

თეთრი ნუსხის ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №507/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 12r-v, 13r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, ორ-ად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალალ-დი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: „¹ დეკემ: 1874. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მოსურნე თ გრი- გოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ნიკო!“

შავი ნუსხის ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), ორმაგი პაგინაციით: 22r-v (ნითელი ფანქრით) / 24r-v (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუა- ლო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხე- ული, დიდი ფორმატის ქალალ-დი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრუ- ლებულია შავი ფანქრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა არ- შიაზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული.

თარიღი და ადგილი: „1874 ნოემბ: თბილისით“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: წერილის შავ პირში ადრესატის მისა- მართად მითითებულია შურა („შურას“). თეთრ პირში ავტორი ახსენებს დალესტანსაც და, კერძოდ, ბოთლიხსაც: „თქუმინის დაუდევნელობისაგან დალისტანიკი დარჩა უკან. თუ გინდათ მაგ მხარის გაბედნიერება საჩქაროდ გააწყეთ ახალი სუდი და

განისვენეთ“ / „რატომ ერთხელ აღარა მომწერე შენი ამბავი, ანუ მხოლოდ ორი სიტყუა?“ ბოთლიხში ვარ, მშვიდობითა ვარ!“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. ღმერთი; 3. ერთი „ი“ გამორჩენილია; 4. სიტყვა ხაზგასმულია; 5. ბრჭყალების გახსნა ავტორს გამორჩენია, თუმცა დახურული აქვს; 6. „ხ“ გამორჩენილია; 7. სიტყვა ხაზგასმულია. ამასთან, „საშაობა“ ფორმაში მეორე „ა“ ხმოვანი აღვადგინეთ შავი პირის საფუძველზე; 8. თავადი; 9. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 55,22. „საყუარელო ძმაო ნიკო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ანა ასლანის ასულ ორბელიან-ჭავჭავაძის, ვაჟი – ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 55,24. „კნიაზი ლევან“ – საუბარია გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 56,7-8. „შტაპკაპიტანი დიბირმაპმა“ – იგულისხმება სამხედრო პირი, რომელიც გრიგოლ ორბელიანთან ადრე ნოქრად მსახურობდა.

გვ.: 56,15. „ნურიჩ“ – იგულისხმება დიბირმაპმადის მამა.

გვ.: 56,24. „რძალი მაკრინე“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 56,26. „დაინუა თამამშოვის ქარვასლა“ – აღნიშნული ფაქტი მოხდა 1874 წლის 11 ოქტომბერს.

გვ.: 56,27. „კნ: გაგარინის“ – საუბარია გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინზე, რომლის პროექტითაც იყო აშენებული თბილისის თეატრის შენობა.

გვ.: 56,32. „ილია ჭავჭავაძე წავიდა პეტერბულს“ – სათავადაზნაურო ბანქის საკითხებზე 1874 წლის ოქტომბერში ილია ჭავჭავაძე მეორედ გაემგზავრა პეტერბურგში.

გვ.: 57,4. „რესკრიპტსა ლრ: ლევაშოვის სახელზე“ – საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვზე. 1874 წლის 28

სექტემბერს ის გაათავისუფლეს ქუთაისის გუბერნატორობი-დან და დანიშნეს ოდესის ქალაქის თავად.

გვ.: 57,12. „სურო ცხუარსა“ – იგულისხმება ლეკური ჯიშის ცხვარი.

გვ.: 57,15-16. „ღუბერნატორი თავის ოჭიციალნის წარ-დგენაში“ – 1860-1876 წლებში თბილისის გუბერნატორი იყო კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი.

გვ.: 57,16-17. „სოფელს – ახატელი“ – საუბარია თელავის მუნიციპალიტეტის სოფელზე.

გვ.: 57,24. „ყაფლან ამბობს“ – საუბარია გრიგოლის ბი-ძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 57,28. „კაკო და ზაქარია“ – საუბარია მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძესა და მის მეუღლეზე – ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 57,28-29. „ამათ შესანუხარს ამბავსა“ – ამავე წლის 24 თებერვალს გრიგოლი თავის რძალს, ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისას, სწერდა, რომ კაკოს ქალიშვილი შეეძინა, მაგრამ, რამდენადაც გენეალოგიურ ნუსხაში ეს ბავშვი ნახსენები არ არის, როგორც ჩანს, იგი ჩვილობაშივე გარდაიცვალა.

გვ.: 58,3-4. „ტეტუშკას კნეინას საშას“ – ორბელიანი „საშად“ მოიხსენიებს ხოლმე ლევან მელიქიშვილის მეუღლეს – ალექსანდრა მამუკას ასულ ორბელიანს.

გვ.: 58,5. „ვასილი დიდის სიყუარულით“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ვასილი გრიგოლის ძე ზოლოტარიოვი, რომელიც 1870-იან წლებამდე იყო დაღესტნის ჯარების შტაბის უფროსი, იმუამად კი მსახურობდა რუსეთის არმიის მთავარ შტაბში.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №109 (849) გვ.: 58-59.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №619/№26,
სამმაგი პაგინაციით: 74r-v / 2r-v / 162r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, ორ-
ად გადაკეცილი, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის ქა-
ლალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით,
რომელიც გაუღენთილია ფურცელში; წერილი შედგება ორი
ფურცლისგან; დაწერილია ერთ ფურცელზე.

თარიღი და ადგილი: „7^o დეკემბერი 1874“

ხელმოწერა: „თქუმნი მარადის ბედნიერების მსურველი თ
გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო კნიაზო დე-
მეტრე!“

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ადრესატს სთხოვს
გუბერნატორთან შუამავლობას მამაცოვის ადგილზე ორიდან
ერთ-ერთის – ლუკა ისარლოვის, ან მიხეილ ალექსეევ-მესხი-
ევის – დანიშვნას: „ხვალ უთოოდ ნახავთ საყდარში ღუბერნა-
ტორსა და იქ ეგბის დაასწროთ თქუმნ სხუათა და თქუმნ
ყველაზე პირველად ჰსთხოვოთ იმას ამ ორთაგან ერთისა და-
ნიშვნა მამაცოვის მაგიერ.“ რადგანაც გუბერნატორზეა საუ-
ბარი, წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნი-
ლი.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში კალმისმიერი ლაფსუსია: წერია
„ჯორჯაძესა“; 2. თავადი; 3. თარიღი ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 58,10. „კნიაზო დემეტრე!“ – წერილის ადრესატია
გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დი-
მიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 58,11. „იოსებ მამაცოვი“ – იგულისხმება ლიტერა-
ტორი იოსებ ქრისტეფორეს (ქაიხოსროს) ძე მამაცაშვილი.

გვ.: 58,13. „გაურიგო იმათ ადგილი მისი“ – იოსებ მამა-ცაშვილი იმხანად მსახურობდა თბილისის გუბერნიის გლეხთა საქმეების უწყებაში.

გვ.: 58,15-16. „ლუკა ისარლოვი და მიხეილ ალექსეევ-მესხიევ“ – ლუკა სტეფანეს ძე ისარლიშვილთან გრიგოლ ორ-ბელიანს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, მიხეილ დიმიტ-რის ძე ალექსი-მესხიშვილი კი იყო მისი ძმის, ზაქარიას, ცო-ლისძმა.

გვ.: 58,20. „ნახავთ საყდარში ლუბერნატორსა“ – იგუ-ლისხმება თბილისის გუბერნატორი – კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №68 (850) გვ.: 59-60.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №162/№58, 9г-Ⅴ.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, სქელი, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ქაღალ-დი; ზომა: 35,5X22,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომე-ლიც გადასულია || გვერდზე. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: «11^{го} Декабрь 1874. Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში პეტერბურგში ცხოვრობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება. ავ-ტორი მას სწერს: «Воспользуйся пребыванием К^н Дмитрия в Пе-терб., посоветуйся с ним.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული. ამას-თან, «Тифлис» ორჯერ წერია, თარიღის თავსა და ბოლოში; 2-8. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 9. ბრჭყალებში ჩასმუ-ლი ფრაზა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 59,7. «**в пользу Георгія**» – საუბარია ადრესატის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 59,9. «**Антон Солом: Коргановъ**» – ანტონ სოლომონის ძე ყორლანიანცი სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ მსახურობდა მომარაგების დარგში. 1877-1878 წლებში ის არმიასაც ამარაგებდა.

გვ.: 60,18. «**Сосико и другіе**» – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 60,19. «**пребываніем Кн. Дмитрія**» – სავარაუდოდ, იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 60,20-21. «**сделай «как твоє сердце предскажет...**

Руставели» – ფრაზა „ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა...“, „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, არ არის რუსთველისეული და ინტერპოლატორის ჩანართია.

ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკისადმი №2 (851) გვ.: 62-63.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ქველი №175), გვ.: 38г.

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას გახვრეტილი ქალალდი, ზომა: 21,2X17,3 სმ; დაწერილია ფანქრით I გვერდზე; ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თუმანოვისაა.“ / „ჩემო საყუარელო დაო ბარბარე!“

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატს გრიგოლისთვის ბანკში თავდებად დადგომა უთხოვია და წინა დღეს მასთან ყოფილა მისული. ავტორი მას სწერს: „გუშინ შენმა მწუხარებამ ასე დამიბნია გონება, რომ სრულებით განუსჯელად, უფიქრელად, უანგარიშოდ, დაგეთანხმებაზე, და როდესაც წაბძანდი, მეც მაშინ გამოვფხიზ-

ლდი.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. ღმერთი; 3. ბოლო ორი სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილის ადრესატს 1872 წელს დაეღუპა ქმარი და ძმა. შესაბამისად, მატერიალური გაჭირვება ამ დროიდან შეიძლებოდა დასწყებოდა, მაგრამ, რამდენადაც წყაროში ნახ-სენებია ადგილობრივი სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც 1874 წელს დაარსდა, ბარათს ვათარიღებთ ამის მომდევნო პერი-ოდით.

გვ.: 62,8. „**საყუარელო დაო ბარბარე**“ – წერილის ადრე-სატია გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, მაია (მარიამ) თამა-ზის ასულ ორბელიანის, ქალიშვილი, ექიმ ერასტ ანდრეევ-სკის ქვრივი – ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილი-ან-დრეევსკისა.

1875

გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისადმი №2 (852) გვ.: 64-65.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 31r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუა-ლო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის, ორ ადგილას ამოხეული ქაღალდი; ზომა: 33,5X23,5 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის ზედა მარცხენა მხარეს წითელი ფანქრით წერია: „X“. ხელნაწერი რესტავრი-რებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „3^ე მარტს 1875.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მუხრანსკის.“ / „ჩემო ბა-
ტონო, კნ: გიორგი კონსტ!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი 1872 წლიდან კავკასიის მე-
ფისნაცვლის სამმართველოში სამოქალქო ინსპექტორის თა-
ნამდებობაზე მუშაობდა და წერილიც, სავარაუდოდ, **თბილის-
ში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. სიტყვა
ხაზგასმულია; 3. რომლისა. ავტორს ქარაგმის ნიშანი გამორ-
ჩენილი აქვს; 4. სიტყვა ხაზგასმულია; 5. პირველი; 6. „ჭეთა-
ლის შაჰისა“ ხაზგასმულია; 7. „ჯაფარყულისა ხოის ხანისა“
ხაზგასმულია; 8. რომელიცა; 9. პირველმა; 10. რომელიცა; 11.
წინადადების მეორე ნაწილს, დაწყებულს სიტყვებით –
„ჩუმბის საბრალოს“, მონიშნული სიტყვის ჩათვლით, წითელი
ფანქრით ხაზი აქვს ქვეშ გასმული; 12. რომლისა.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 64,2. „**ბატონო, კნ: გიორგი კონსტ!**“ – წერილის ად-
რესატია სენატორი გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-
მუხრანელი, რომელსაც იმხანად სახელმწიფო მდივნის თანამ-
დებობა ეკავა.

გვ.: 64,2-3. „**უბადრუკი შირხან**“ – საუბარია ყარაბალის
ხანების შთამომავალზე, აღა სულეიმანის შვილიშვილ შირხან
აღაზე.

გვ.: 64,3. „**ცოლსა ჰეზავნიან ციმბირში**“ – საუბარია შირ-
ხან აღას ცოლზე, რომლის სახელი უცნობია.

გვ.: 64,3-4. „**გრიგოროვის მოკულისათვეს**“ – საუბარია
ელიზავეტოპოლის მაზრის უფროს მიხეილ ივანეს ძე გრიგო-
როვზე.

გვ.: 64,8-9. „**აღაბეგუმალა... პლ ი ცოლი ჭეთალის შაჰი-
სა**“ – საუბარია შირხანის მამიდაზე, აღაბეგიმ აღაზე, და ირა-
ნის მეორე მმართველზე ყაჯარების დინასტიიდან – ფეხს
აღი შაჰ ყაჯარზე.

გვ.: 64,11. „**ჯაფარყულისა ხოის ხანისა**“ – საუბარია ქა-
ლაქ ხოის უკანასკნელ ხანზე – რუსეთის არმიის გენერალ-
ლეიტენანტ ჯაფარ ყული-ხან (დუნბული) ხოელზე.

გვ.: 64,13. „ალექსანდრემ პლ მა“ – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I.

გვ.: 65,2. „მარიამ დედოფალს“ – იგულისხმება ქართლკახეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამ ციციშვილი.

გვ.: 65,2-3. „დაპირისმეს სიკუდილი ლაზარევისა“ – საუბარია რუს გენერალ-მაიორ ივანე პეტრეს ძე ლაზარევზე.

გვ.: 65,5-6. „ლამაკინის სატახტო ქალაქი“ – უნდა იგულისხმებოდეს ვორონეჟის ოლქში მდებარე ქალაქი.

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისადმი №2 (853) გვ.: 65-68.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №191/№64, 1r-v, 2r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაუღენილია ფურცელში. ხელნაწერი რესტავრირებულია. | გვერდის თავში, მარცხენა მხარეს, ფანქრით წერია: «Читал.» ამავე გვერდის ბოლოს, შუაში, შავი ფანქრით მიწერილია: „574“, III გვერდის ბოლოს – „575“, ბოლო გვერდის ქვედა მარცხენა ნაწილში შავი ფანქრით:

„850

100

100

414

1464=“

თარიღი და ადგილი: „^{4⁶} მარტს 1875 თბილისით.“ / «4 Марта 1875 года.»

ხელმოწერა: „შენი ბეჭნიერების მოსურნე თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო ვანო!“

ადრესატის მისამართი: ივანე ორბელიანი პეტერბურგში ცხოვ-რობდა ისევე, როგორც გრიგოლის რძალი ბარბარე და ძმის-შვილი გიორგი. წერილის შინაარსითაც ირკვევა, რომ ისინი ერთ ქალაქში არიან. ავტორი მას სწერს: „ძალუა ვარინკას ამ-ბავი არა ვიცირა აი რამდენი თვე არის, და ვარ მოუსვენებ-ლობასში; გიორგი ხომ არ გამხდარა კიდევ ავათ? შენ მაინც დატუქსე ძალუა.“ შესაბამისასდ, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს პეტერბურგში.

შენიშვნები: 1. „ობშჩიის სობრანიესში“ ხაზგასმულია; 2. სიტ-ყვა ხაზგასმულია; 3. ხელნაწერშია „ნემენციბის“; 4. ღმერთმა; 5. თარიღი შავი ფანქრით წერია; 6. სიტყვა ხაზგასმულია; 7. ღმერთი; 8. თავადი; 9. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 65,9. „გულით საყუარელო ვანო“ – წერილის ადრე-სატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ივანე კონ-სტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 65,11. „საქმე საჰყალტუთანისა“ – საჰყალტუთანი ეწოდებოდა ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე, სომხეთთან ახლოს მდებარე პალანდოკენის მთის ნაწილს, სადაც ორბე-ლიანებს მიწები ჰქონდათ.

გვ.: 65,13. „ნემენცების საქმე“ – საქმე ეხება საქართვე-ლობი ჩამოსახლებული გერმანელების მიერ დაკავებული ორ-ბელიანთა მიწების მესაკუთრეობის საკითხის განხილვას სასა-მართლოში.

გვ.: 65,26. „ივანე დალისტნიდამ“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 66,1. „ძალუა საშა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვი-ლიშვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის, ცოლზე – ალექსანდრა გარსევანიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 66,2-3. „ძალუა ვარინკას ამბავი... გიორგი“ – საუბა-რია გრიგოლის ძმის, ილია ორბელიანის, ცოლ-შვილზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და გიორ-გი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 66,5. „ტასო რას ჰშერება“ – საუბარია ადრესატის დაზე – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჭიოზე.

გვ.: 66,7. „სოსიკო და ყველანი“ – საუბარია ადრესატის ძმაზე – გრიგოლის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე და სხვა ახლობლებზე.

გვ.: 66,7-8. „დათიკო გლუხარიჩი დაქორნილდა სარაჯოვის მეორეს ქალზე“ – საუბარია დავით გიორგის ძე ერისთავსა და მარიამ (მაშა) ზაქარიას ასულ სარაჯიშვილზე, რომლებმაც 1875 წლის 10 თებერვალს იქორნინეს.

გვ.: 66,9. „ჩული ბანკი გაიხსნა“ – იგულისხმება თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი.

გვ.: 66,14. «Генерал Корсаков» – სავარაუდოდ, საუბარია ვლადიმერ ნიკიტას ძე კორსაკოვზე, რომელიც ცოტა მოგვიანებით დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარსარდლის ადიუტანტად, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დროს უკვე ჩამოსული იყო თბილისში.

გვ.: 66,14-15. «Военную Гимназию, а во Владикавказе Прогимназию» – 1875 წელს თბილისის სამხედრო პროგიმნაზია გადაიტანეს ვლადიკავკაზში, თბილისში კი გახსნეს გიმნაზია.

გვ.: 66,27. «Визгалов, великий математик» – საუბარია კონსტანტინე თეოდორის ძე ვიზგალოვზე, რომელიც იმხანად თბილისის გუბერნატორის კანცელარიის უფროსად მუშაობდა.

გვ.: 66,28-29. «с Кола Эристовым» – საუბარია გრიგოლის დისტულის, ეკატერინე ბარათაშვილის, ვაჟზე – ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავზე.

გვ.: 67,22-24. „ელიზბარ ერისთავი... აკაკიას ცოლის და“ – საუბარია ელიზბარ დიმიტრის ძე ერისთავსა და აკაკი წერეთლის ცოლისდაზე – ლიუბოვ (ამატა) პეტრეს ასულ ბაზილევ-სკაიაზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №110 (854) გვ. 69.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №620/№26, 163r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, პატარა ფორმატის, ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 13,1X10,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. I გვერდის ბოლოში, შუა ადგილას, შავი ფანქრით წერია: „576.“ ბოლო ციფრი გადაკეთებული ჩანს. IV გვერდზე, ზედა მხარეს, შავი მელნით უკულმა ანერია: „1875.“

თარიღი და ადგილი: „22^ს მარტს 1875.“

ხელმოწერა: „თქუცინი მარადის ერთგული თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატის მისამართი: მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე.“

ადრესატის მისამართი: გრიგოლ ორბელიანი ადრესატის სადილად ეპატიუება თავისთან, რაც მიგვანიშნებს, რომ წერილი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. თავადი; 2. თარიღი ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 69,22. „**კნიაზო დემეტრე**“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №9 (855) გვ.: 70-72.

ავტოგრაფი: Z (ზსიემ), 24525 /ლიტ. არქ. 1125.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის ორი ფურცელი; ზომა: 27X22 სმ.; შესრულებულია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით. ფურ-

ცლებს შორის ზონარია გაყრილი. ბოლოში მიწერილია ლექსი, დათარიღებული 1879 წლის 16 იანვრით.

ასლი: Z (ზსიემ), 36253 /ლიტ. არქ. 2172.

თარიღი და ადგილი: „³ აპრილს, 1875 წ. თბილისით.“

ხელმონერა: „თქუცინი მარადის ერთგული მოსამსახურე თ ⁷ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუცინი უგანათლებულე-სობავ, უმოწყალესო დაო ეკატერინავ.“

ადრესატის მისამართი: ტექსტში ადრესატის ადგილსამყოფე-ლი მითითებული არ არის, მაგრამ ავტორი მოიკითხავს მის შვილებს და ჩანს, რომ ეკატერინე მათთან არ იმყოფება: „როდის მოელით ნიკოს ცოლშვილითა? ანდრია როგორ გაენ-ყო პეტერბურლის ჰაერსა? მშვენიერის სალომესი რა იცით?“ რაც ადასტურებს, რომ ეკატერინე იმყოფებოდა **ზუგდიდში** და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ლმერთმან; 2. ლვთის; 3. სიტყვა ხაზგასმულია; 4. ლვთით; 5. ლმერთი; 6. ლმერთმან; 7. თავადი; 8. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმა-ნათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 323-324.

გვ.: 70,3-4. „**გილოცავ ნიკოს ქალსა**“ – საუბარია ადრე-სატის შვილიშვილზე – ეკატერინე ნიკოლოზის ასულ დადიან-ზე.

გვ.: 70,21. „**მამუკას შვილი დათიკო დავპოვარხეთ**“ – საუ-ბარია მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის ვაჟზე – და-ვითზე.

გვ.: 70,23-24. „**საძაგელის კიკო ჩოლაყავისა და მის საბ-რალოსა ცოლისა**“ – საუბარია ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე ჩოლოყაშვილსა და მის მეუღლეზე – მელანია ივანეს ასულ ვახვახიშვილ-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 70,29-30. „ირაკლი... მოდის ნელ-ნელა ლონეზე“ – სა-ვარაუდოდ, საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 71,3. „დავით არის წინანდალს“ – საუბარია ადრესა-ტის ძმაზე – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 71,4. „ტასო გაგარინისა“ – საუბარია გრიგოლ ორ-ბელიანის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგა-რინისაზე.

გვ.: 71,7. „ველიკაა კნეჟნა“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ერთადერთ ქალიშვილზე – 15 წლის ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

გვ.: 71,12. „ჩემი ძმისწული გიორგი“ – საუბარია გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 71,14. „კნ: მირსკი, და სუმბათოვი – მიხეილის შვილი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ვაჟზე – 18 წლის პეტრე დიმიტრის ძე სვიატო-პოლკ-მირსკიზე და პოლკოვნიკ მიხეილ ლუარსაბის ძე სუმბა-თაშვილის ვაჟზე – 20 წლის ივანეზე.

გვ.: 71,15. „ძალუა ვარინკაც კარგად არის“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორ-ბელიანისაზე.

გვ.: 71,12. „ნიკოს ცოლშვილითა“ – საუბარია ადრესა-ტის ვაჟზე – ნიკო დავითის ძე დადიანზე, მის მეუღლეზე – მარია ალექსანდრეს ასული ადლერბერგსა და მათ ქალიშვილ-ზე.

გვ.: 71,24. „ანდრია როგორ გაეწყო“ – საუბარია ადრესა-ტის ვაჟზე – ანდრია დავითის ძე დადიანზე.

გვ.: 71,25-26. „სალომესი რა იცით“ – საუბარია ადრესა-ტის ქალიშვილ სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე.

გვ.: 72,3. „გრიგოლ დადიანი მშვიდობიანად არის“ – საუ-ბარია ადრესატის მაზლზე, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეზე – გრიგოლ ლევანის ძე დადიანზე.

გვ.: 72,3-4. „თქუმინი ყაფლან მოხუცებული“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელი-ანზე.

იაკინთე ალექსი-მესხიშვილისადმი №2 (856) გვ.: 72-77.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 32r-v, 33r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ოთხ ადგილას გახვრეტილი ორი ფურცელი; ზომა: 35,7X-24,0 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ზედა მარჯვენა მხარეს შავი ფანქრით წერია: „[ალექსეევ მესხიევს],“ ხოლო წითელი ფანქრით – „დაბეჭდილია.“ | გვერდზე ეტყობა ყავისფერი და ლურჯი მელნის ლაქები. ხელნაწერი რესტავრირებულია. ნარმოადგენს შავ პირს. ქართული ენის ბუნებაზე საუბრისას ავტორს ხაზები აქვს გასმული როგორც მაგალითებად მოყვანილი ცალკეული ასოებისთვის თუ თანდებულებისთვის, ისე ნიმუშებისთვის, სადაც დამოწმებული ასოები თუ თანდებულებია გამოყენებული.

თარიღი და ადგილი: „7^ს აპრ: 1875 თბილისით“ / „15 აპრ:“ / „19^ს აპრ: 1875.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, საყუარელო იაკინთე!“

ადრესატის მისამართი: ადრესატის ადგილსამყოფელი ვერ დებინდება. წერილის შინაარსით მხოლოდ ის ირკვევა, რომ იაკინთე თბილისში არ იმყოფება.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. სიტყვა ხაზგასმულია; 3. რომელსაცა; 4. „კაკო ჩოლაყ:“ ხაზგასმულია; 5. თარიღი და „სალიტერატურო და სამუსიკო საღამო“ ხაზგასმულია; 6. ორივე პიროვნების სახელი და გვარი ხაზგასმულია; 7. ღმერთი; 8. ყველა პიროვნების სახელი და გვარი ხაზგასმუ-

ლია; 9. თარიღი ხაზგასმულია; 10. ქრისტე; 11. რომლისა; 12. რომელიცა; 13. „სახლში, ქუცყანაზე“ ხაზგასმულია; 14. რომელსაცა; 15. მაგალითები ხაზგასმულია; 16. რომელზედაც; 17. რომლის; 18. სიტყვის ბოლო 4 ასო ხაზგასმულია; 19. მაგალითები ხაზგასმულია; 20. რომელს; 21. რომელიცა; 22. რომელსაცა; 23. რომელიცა; 24. რომელსაცა; 25. რომელიმე; 26. რომელზედაც; 27. რომელშიაც; 28-29. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 30. ქრისტე; 31. ღმერთმა; 32. ასე აქვს ავტორს: ჯერ ბრძყალები და შემდეგ – ძახილის ნიშანი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 72,7. „საყუარელო იაკინთე“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, ცოლისძმა – იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი.

გვ.: 72,15-16. „მე და ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 72,18. „ყულლარის ბატონსა“ – ყულლარი სოფელია მარნეულის მუნიციპალიტეტში, სადაც მიწებს ფლობდნენ ორბელიანები.

გვ.: 72,22. „ლენერ: ისრაჭილბეგ“ – სავარაუდოდ, საუბარია ისრაჭილ-ბეგ ედიგაროვზე.

გვ.: 72,23. „მყრალი კიკო ჩოლაყ“ – საუბარია ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ.: 73,1. „რაჭ: ერისთ: და დიმიტ: ყიფ:“ – საუბარია რაფიელ დავითის ძე ერისთავსა და დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანზე.

გვ.: 73,2-3. „დათიკო გლუხარიჩი ერისთ, ილია ჭავჭა, და აკაკი წერეთელი“ – საუბარია დავით გიორგის ძე ერისთავზე, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე.

გვ.: 74,6. „უნიჭო მესხისა“ – იგულისხმება გაზეთ „დროების“ რედაქტორი – სერგეი სიმონის ძე მესხი.

გვ.: 76,29. „ველიკი კნიაზიცა“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 76,29-30. „ტელეგრამა იმპერატორისა“ – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 76,31-32. „თბილისიდამვე ჯულჭხა“ – იგულისხმება ქალაქი აზერბაიჯანში.

გვ.: 77,4. „ნატალიას წელსკოცნას მოვახსენებ“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე – ნატალია ვახტანგის ასული ამილახვარი-ალექსი-მესხიშვილისა.

გვ.: 77,6. „ქეთევან, ტასო, კარგად არიან“ – იგულისხმება ადრესატის და – ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა და მათი დისწული – ანასტასია ჩერქეზიშვილი.

დიმიტრი ჯორჯაძისა და ვასილი ზოლოტარიოვისადმი №1 (857)

გვ. 77.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, ალწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), 149r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ოდნავ სქელი, პატარა ფორმატის 1 ფურცელი; ზომა; 21,2X13,4 სმ.; შესრულებულია მოშავო მელნით.

თარიღი და ადგილი: „25^ს აპრ.“

ხელმოწერა: „თქუენი ერთგული თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონებო დემეტრე და ვასილი გრიგორი(ს)ძევ!“

ადრესატის მისამართი: წერილში ავტორი ადრესატებს თავის-თან ეპატიუება. შესაბამისად, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს თბილისში.

შენიშვნა: 1. „ს“ გამორჩენილია; 2. სიტყვა ხაზგასმულია; 3. თავადი; 4. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილში ადრესატების გვარები მითითებული არ არის. გრიგოლ ორბელიანის წერილებში „დემეტრედ“, ძირითადად, მოხსენიებულია ხოლმე დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე. რაც შეეხება „ვასილი გრიგორის ძეს“, ამ სახელითა და

მამის სახელით გრიგოლ ორბელიანისა და დიმიტრი ჯორჯაძის მოღვაწეობის წლებში გვხვდება ვასილი გრიგოლის ძე ზოლოტარიოვი, რომელიც 1868-1869 წლებში იყო დაღესტნის ოლქის ჯარების შტაბის უფროსი და შემდეგაც ისეთი თანამდებობები ეკავა, რომ გრიგოლ ორბელიანთან და დიმიტრი ჯორჯაძესთან შეხება მუდამ ექნებოდა. 1873 წელს ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ზოლოტარიოვი იმხანად სტუმრობდა გრიგოლ ორბელიანს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ წერილი კავკასიოდან მის გადაყვანამდე, 1875 წლის 9 ივლისამდე უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ რადგან ბარათს აწერია „25 აპრილი“, ვათარილებთ 25 აპრილით, არა უგვიანეს 1875 წლისა.

გვ.: 77,12. „დემეტრე და ვასილი გრიგორი(ს)ძევ“ – წერილის ადრესატები არიან გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე და გენერალ-ლეიტენანტი – ვასილი გრიგოლის ძე ზოლოტარიოვი, რომელიც იმჟამად მსახურობდა რუსეთის არმიის მთავარ შტაბში.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №69 (858) გვ.: 78-80.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №163/№58, 10r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალალდი; ზომა: 35,3X21,9 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდზე, ზედა მარჯვენა მხარეს, ქართულად წერია: „ბარონზე პროტივარეჩი.“ მეოთხე, მეხუთე და მეექსე აბზაცებს მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «16 Мая 1875 г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «в Петербург.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. «месяца»; 3. «запасного капитала» ხაზგასმულია; 4-6. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 78,6. «**болезни Георгия**» – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 79,29. «**Мирские возвратились**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და მის მეუღლეზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 79,31. «**Иван Мухр:, а главное, и его жена**» – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის მეუღლეზე – ნინო ლევან V-ის ასულ დადიანზე.

გვ.: 79,32. «**Лиза с мужем**» – საუბარია კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ცოლზე – ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 80,4. «**Их Высо^{ва} выехали**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე და მის ოჯახზე.

გვ.: 80,4. «**Она с детьми**» – საუბარია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეზე – ოლდა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე და მათ შვილებზე: ნიკოლოზ, მიხეილ, გიორგი, ალექსანდრე და სერგე მიხეილის ძე რომანოვებზე და ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

გვ.: 80,8-10. «**Леван Меликов, Бар: Сакен, Нико Чавч:, Кармалин, Лорис Меликов, Роставлев, Старосельской и Властвов**» – საუბარია გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენზე, ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კარმალინზე, მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე, მიხეილ ივანეს ძე როსლავლიოვზე, დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკისა და გიორგი კონსტანტინეს ძე ვლასტოვზე.

გვ.: 80,11-13. «**дочь бедной Нины Наталья... Анастасия... от Леонида**» – საუბარია გრიგოლის დისწულის, ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილ-გერმანოზიშვილის, შვილებზე – ნატალიასა და ანასტასიაზე, და მის ქმარზე – ლევან (ლეონიდ) გერმანოზის ძე გერმანოზიშვილზე (ბარათაშვილზე).

გვ.: 80,15. «**Бар: Николай**» – საუბარია ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 80,17. «**Любил Маку**» – საუბარია მარიამ (მაკა) პავლეს ასულ ნიკოლაიზე.

გვ.: 80,21. «**Алек: Оникову**» – საუბარია გრიგოლის მე-გობარ ალექსანდრე ონიკაშვილზე.

პლატონ პავლოვისადმი №1 (859) გვ. 83.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515, ორმაგი პაგინაციით: 32v / 19v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი, საშუალო ფორმატის ქაღალდი; ზომა: 24,1X19,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერის მარცხენა ზედა ნანილში შავი ფანქრით წერია: „32 ინ.“ რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს. წინამდებარე წერილი პასუხია პლატონ პავლოვის ბარათზე გრიგოლისადმი, რომელიც გაგზავნილია 1875 წლის 31 მაისს. იგი განთავსებულია ხელნაწერის I გვერდზე (32r / 19r). როგორც ჩანს, გრიგოლმა წერილის უკანა მხარეს შავად დაწერა პასუხი, რომელსაც შემდგომში, ჩვეულებისამებრ, გადაათეთრებდა.

თარიღი და ადგილი: «2^{го} იюня 1875. Тифлис.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Платону Петровичу Павлову.»

ადრესატის მისამართი: 1875 წელს პლატონ პავლოვმა კავკასიის არმიის შტაბის უფროსის თანამდებობა დაიკავა. წერილის შინა-

არსითაც დასტურდება, რომ ამ პერიოდისთვის ის უკვე ამ თანამდებობაზეა. აღნიშნული შტაბი თბილისში იყო განთავსებული და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-3. სტრიქონების ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 83,9. «**Платону Петровичу Павлову**» – წერილის ადრესატია იმხანად კავკასიის არმიის შტაბის უფროსი – პლატონ პეტრეს ძე პავლოვი.

ანასტასია ორბელიან-ოკლობუიოსადმი №2 (860) გვ.: 84-86.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №133/№63, ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r-v / 3r-v, 4r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში. | გვერდის ზედა ნაწილში შავი ფანქრით წერია: „საჭიროა.“

თარიღი და ადგილი: «13 Iюня 1875 Тифлис»

ხელმოწერა: „შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ტასიკო!“

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით ვერ ირკვევა, სად იმყოფებოდა ადრესატი. ჩანს, რომ თვითონ სხვაგან არის წასული, ხოლო მისი ქმარი თბილისშია. ავტორი მას სწერს: „შენი ქმარი დღეს აბანოში ბძანდებოდა.“ ვიგებთ ასევე, რომ მისი ძმა – ივანე ორბელიანი – მასთან ერთადაა: „ვანოს უთხარ, რომ თავის ამბავი მომწეროს დაწვრილებით.“ წერილი დაწერილია ზაფხულში (ივნისის თვეში). სხვა წერილებიდან ვიცით, რომ ვანოს რევმატიზმი აწუხებდა, რის გამოც ის ზაფხულობით ხშირად წყლებზე დადიოდა სამკურნალოდ. 1874 წლის 2 ივლისის წერილში გრიგოლი თავის რძალს აცნობებს: «Сегодня я получил письмо от Вано из Пятигорска; ему очень

полезны воды; теперь он в Эсендуках, откуда, после 15^и ванны, переедет в Железнодорожный, где и Тасо Оглобжю с детьми и Сагиновы.» Романовец звёзд़а звёзд*, и да-дма башнировад ეրთաდ იყო დასას-ვენებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავ-ნილი უნდა იყოს ერთ-ერთ სამკურნალო კურორტზე, მაგრამ კონკრეტულად სად, ვერ დგინდება.

შენიშვნები: 1. ავტორს ბრჭყალები დახურული არა აქვს; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 4. ავტორს ბრჭყალები გახსნილი არა აქვს; 5. სამივე სიტყვა ხაზგასმულია; 6. სიტყვა ხაზგასმულია; 7. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან. 8. ავტორი აქაც ხურავს ბრჭყალებს; 9. „მოლიერის სკაპენ“ ხაზგასმუ-ლია; 10-11. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქ-ვეყნებულია წერილის მეოთხე აბზაცი („ამასწინად შევიყარე-ნით“): მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 184-185.

გვ.: 84,1. „ჩემო საყუარელო ტასიკო“ – წერილის ადრე-სატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობულისი.

გვ.: 84,2-3. „სოფიოც ჯერ ისევ“ – სავარაუდოდ, საუბა-რია ადრესატის დაზე – სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 84,3. „ძალუა მაკრინაც“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორ-ბელიანის, მეუღლეზე – მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 84,9-10. „შენის ქმრისა არ იყოს“ – იგულისხმება ივანე დიმიტრის ძე ოკლობული.

გვ.: 84,14. „აპაჩინიანნი, მირსკიანნი“ – იგულისხმება ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანისა და გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახები.

გვ.: 84,19. „მაიცო, კნეინა ამილახვრისა“ – შესაძლოა, საუბარი იყოს მარიამ დავით ქსნის ერისთავის ასულზე, ამირინდო ამირონდოს ძე ამილახვრის მეუღლეზე.

გვ.: 84,23. „ზაქარია ჭავჭა: სახლობით“ – საუბარია ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძისა და მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძის ოჯახზე.

გვ.: 84,23-24. „ირაკლიანი და ასტაფიევნი“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და ნიკოლოზ ალექსეის ძე ასტაფიევის ოჯახზე.

გვ.: „84,28. დიმ.: ონიკოვის დარდები“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ლექსზე – „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები.“

გვ.: 85,1-4. „ჩილაევი, გიორგი მუხრანსკი, შახავსკო, მირსკი, ლევან, ისაკ, ჯორჯაძე, სულთან-გირეი, სოსიკო, ალალაროვი, სტაროსელსკი“ – იგულისხმება მიხეილ იაგორის ძე ჭილაშვილი, გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკი, დიმიტრი ივანეს ძე სვიათოპოლკ-მირსკი, ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი, ისაკ შიოს ძე თუმანიშვილი, დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სულთან-კრიმ-გირეი, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი, ჰასან ბეგ ალალაროვი და დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 85,15. „კუნძუას ძმა“ – საუბარია თბილისელ ყასაბ-სა და მოკრივეზე, ძმის სახელი კი უცნობია.

გვ.: 85,18. „გადმოვიდა მალაუსა“ – პირის ვინაობა უცნობია.

გვ.: 85,21. „ჰუფნალალით გაიტანა“ – „ჰუფნალალში“ ცხენი იგულისხმება.

გვ.: 85,29. „მოლიერის სკაპენ“ – იგულისხმება ჟან-ბატისტ მოლიერის პიესა – „სკაპენის ონები.“

გვ.: 85,30. „ყვარყვარე, ქართულის ისტორიიდამ“ – საუბარი უნდა იყოს გიორგი ერისთავის პიესაზე – „ყვარყვარე ათაბაგი.“

გვ.: 85,32. „ზოგჯერ მონპლეზირსა“ – იგულისხმება თბილისის ერთ-ერთი ბაღი.

გვ.: 86,1. „მოვიდა დიმიტრი ორბელიანი“ – საუბარია დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 86,4. „ლოლიცინა ლამაზის ქალითა“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ალექსანდრე ალექსეის ძე სვერინის მეუღლეზე – ლიუბოვ სერგეის ასულ გოლიცინა-სვერინისაზე და მათ ქალიშვილზე.

გვ.: 86,8. „შენი შვილები“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 86,9. «Тетушку Сашу» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის, ცოლზე – ალექსანდრა გარსევანიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 86,10. «Почалуй За меня Вано» – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 86,15. «К: Дмитрий выезжает За Границу лечиться» – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №70 (861) გვ.: 87-89.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №164/№58, 11r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალალდი; ზომა: 35,5X22,4 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «26^{го} Июня 1875 г: Тифлис.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «... моя матушка, мой друг Варвара?»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში ცხოვრობდა პეტერბურგში, რაც ტექსტის შინაარსითაც დასტურდება. ავ-

ტორი მას სწერს: «Георгій болен; да будет проклят Петерб: климат!»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2. აქ სიტყვა წაშლილია (სავარაუდოდ, დროთა ვითარებაში); 3. სიტყვა ხაზგასმულია; 4. «непременно мне живому» ხაზგასმულია; 5. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 87,5-6. «**определение Георгия** – საუბარია ადრესა-ტის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 87,13-14. «**Команд: ЛейбГу: Полка Мейндорф**» – საუბარია კავალერიის გენერალ თეოფილ იაგორის ძე მეინ-დორფზე.

გვ.: 89,1. «**Леван уехал сегодня в Шуру с тремя сыновьями**» – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილსა და მის სამ ვაჟზე: მიხეილზე, გიორგისა და ნიკოლოზზე.

ოლღა ბადენელ-რომანოვისადმი №2 (862) გვ. 91.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 69r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, სამუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,4X21,2 სმ.; შესრულებულია მოიასამნისფრო მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია. ამავე გვერდზე, ქვედა ნაწილში, განთავსებულია ამავე ადრესატისადმი მიწერილი წერილი, რომელსაც თარიღი არ ახლავს.

თარიღი და ადგილი: «1875 Июля 11 дня Тифлис.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ея Императорскому Высочеству Государыне Великой Княгине Ольге Феодоровне.»

ადრესატის მისამართი: «В Боржом»

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 91,11-12. «поздравляя... с тезаименитством» – 11
ივლისი წმინდა მოციქულ ოლღას ხსენების დღეა.

ოლღა ბადენელ-რომანოვისადმი №3 (863) გვ. 92.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116,
Ros-292; 2829, 69r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-
ლი ქალალდი; ზომა: 35,4X21,2 სმ.; შესრულებულია მოისამ-
ნისფრო მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია. ამავე გვერ-
დზე, ზედა ნაწილში, ასეთივე ლამაზი კალიგრაფიითა და
მელნით დაწერილია ამავე ადრესატისადმი 1875 წლის 11 ივ-
ლისით დათარიღებული წერილი.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ея император: Высочайший
Госуд: Всемилостивейшему Княгине Ольге Феодоровне.»

ადრესატის მისამართი: ამავე ადრესატისადმი იმავე დღეს მი-
წერილი წერილიდან ვიგებთ, რომ იმ პერიოდში იგი იმყოფე-
ბოდა ბორჯომში.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: მართალია, წინამდებარე წერილს თარიღი არა
აქვს, მაგრამ ის მოხდევს ამავე ადრესატისადმი 1875 წლის 11
ივლისს დაწერილ წერილს. ხელნერის სტილი, მელნის ფერი
და მათში გადმოცემული საერთო ინფორმაცია ცხადყოფს,
რომ ეს ორივე წერილი ერთ დღეს არის დაწერილი.

გვ.: 92,6-7. «с днем рождения Ея Высочества Великой
Княжны Анастасии Михайловны» – საუბარია ადრესატის
ქალიშვილის, ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვას, დაბადე-
ბის დღეზე.

**ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №130 (864)
გვ.: 93-94.**

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №380/№20
(ძველი S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1r-v / 175r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის ქალალდი; ზომა:
17,8X10,6 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი რეს-
ტავრირებულია.

წერილს ახლავს კონვერტი გახსნილ მდგომარეობაში.
181r-v: მოთეთრო ფერის, საშუალო სისქის, პატარა ფორმა-
ტის; ზომა: 15,3X8 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. ერთ
მხარეს აწერია ადრესატის ვინაობა და მისამართი, ხოლო მე-
ორე მხარეს – „17 ქეთევან.“ ზოგიერთი ასო გადაკეთებული
და გადახაზულია. კონვერტი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „7^ა აგვისტოს 1875. წავკისით.“ / „8^ა აგ-
ვისტოს.“ [წავკისი]

ხელმოწერა: „თქუცი მარადის ერთგული თ გრიგოლ ორბე-
ლიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ძალუავ ქეთევან!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა. წე-
რილის შინაარსითაც ირკვევა, რომ ქეთევანი იქ იმყოფებოდა.
ავტორი მას სწერს: „ნეტავი თქუცი, რომ არ მოშორდით ქა-
ლაქსა და ალსრულდა გულითადი სურვილი თქუცი.“

შენიშვნები: 1. მიმართვის ზემოთ იასამნისფერი ფანქრით მი-
ნაწერია: „წავკისი“; 2. ამის შემდეგ გადახაზულია იგივე სიტ-
ყვა „მოილებს“; 3. თავადი; 4-5. მონიშნული სიტყვები ხაზგას-
მულია; 6. ღვთით; 7. სიტყვა ხაზგასმულია; 8. მთელი სტრი-
ქონის ქვეშ ავტორს ხაზი აქვს გასმული; 9. სტრიქონის შუა
ნაწილის ქვეშ ავტორს ხაზი აქვს გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 93,21. „უნდა იყუნეთ აპოლლონისა“ – საუბარი უნდა
იყოს ადრესატის ძმისწულზე – აპოლონ სარდიონის ძე ალექ-

სი-მესხიშვილზე.

გვ.: 93,23. „ტასო ამბობს“ – საუბარი უნდა იყოს ადრე-სატის დისწულზე – ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისა-ზე.

გვ.: 93,25. „მიამბო ისაკმა“ – სავარაუდოდ, საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 93,28. „ყაფლან სიყუარულით მომიკითხეთ“ – საუბა-რია გრიგოლის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელი-ანზე.

გვ.: 93,28-29. „ძალუა მაკრინე და მაიკო“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ესტატე იოსების ძე ორბე-ლიანის, ქვრივზე – მაკრინე ივანეს ასულ სულხანიშვილსა და მის რძალზე, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის მეუღლე-ზე – მარიამ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილზე.

გვ.: 94,6. „ვარინკას ტელეგრამაც“ – საუბარია გრიგო-ლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელია-ნისაზე.

გვ.: 94,6-7. „გიორგის მოსვლია აფიცრობა“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №131 (865)

გვ.: 94-95.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №381/№20 (ძველი S: 2660), 176r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, ორად გადაკეცილი ქალალდი; ზომა: 21,2X13,4 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. I გვერდზე, ზედა მარცხენა კუთხეში, დატანილია სამეფო გვირგვინი, რომელსაც ქვემოთ უწერია – «BATH»; IV გვერდის ზედა მხარეს შავი ფანქრით უკულმა აწერია „1875.“

თარიღი და ადგილი: „15^ს აგვის: 1875. წავკისით.“

ხელმოწერა: „თქვენი მარადის ერთგული თ გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ძალუავ ქეთევან!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა. წერილის შინაარსითაც ირკვევა, რომ ქეთევანი დასასვენებლად არ არის წასული. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში.**

შენიშვნები: 1. „ზ“ გამოტოვებულია; 2. თავადი; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის პირველი აპზაცი: მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ლვანწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 170.

გვ.: 95,1-2. „გიორგი მუხრანსკი, გულკევიჩი, ჯორჯაძე, შერვაშიძე, დოხტორ მრევლოვი“ – საუბარი უნდა იყოს სენატორ გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე, კავკასიის კომიტეტის მმართველ ნიკოლოზ ვასილის ძე გულკევიჩზე, დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე, შემდგომში თბილისის გუბერნატორ გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძესა და თბილისელ ექიმ სოლომონ იოსების ძე მრევლიშვილზე.

გვ.: 95,5. „ყაფლა... მოკითხეთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 95,6. „ტასოცა და აპოლონცა“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ადრესატის დისწულ ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძესა და ძმისწულ აპოლონ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკისადმი №1 (866) გვ.: 95-97.

ავტოგრაფი: С, გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 77r-v.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 35,5X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდზე პირველი აბზაცის ბოლო ნაწილს, მეორე-მესამე აბზაცებსა და II გვერდზე ბოლო აბზაცს მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზები აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «11^{го} Сент: 1875.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Светл: Князю Григорію Ильичу Грузинскому.»

ადრესატის მისამართი: «В Москву»

შენიშვნები: 1-6. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 7. «Кн:^ъ Варвара Кобулова. Она» ხაზგასმულია; 8. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის მესამე აბზაცის ბოლო ნაწილი («Для меня дорог... невыносимо его обновление»): მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ლვანტლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 146.

გვ.: 95,14. «Григорію Ильичу Грузинскому» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის რძლის, ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანის, ძმა – გრიგოლ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი.

გვ.: 95,19-20. «ваших родителей» – საუბარია ილია გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და მის მეუღლე ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 95,23. «Левану Сардж(в)еладзе» – პირის შესახებ დამატებით ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩანს, რომ გრი-

გოლ ბაგრატიონმა მას დასახმარებლად თანხა მიაწოდა გრი-
გოლის ხელით.

გვ.: 96,10-11. «**Вера любила**» – საუბარია ადრესატის
დაზე – ვერა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-სვიატო-
პოლკ-მირსკისაზე.

გვ.: 96,12. «**Лиза, веселая**» – საუბარია ადრესატის და-
ზე – ელისაბედ ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ბაშმა-
კოვისაზე.

გვ.: 96,15-16. «**мои родители, мои братья**» – საუბარია
ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანსა და ხორებან
ზაქარიას ასულ ანდრონიკაშვილ-ორბელიანისაზე, ზაქარია და
ილია ზურაბის ძე ორბელიანებზე.

გვ.: 96,25. «**Варинки из Виши**» – საუბარია ადრესატის
დაზე, გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-
ორბელიანისაზე, რომელიც იმხანად იმყოფებოდა საფრანგე-
თის მინერალურ კურორტ ვიში.

გვ.: 96,26. «**ЛейбГусара Георгия**» – საუბარია გრიგო-
ლის ძმისნულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 96,27. «**Сумбатов, сын Кетоши**» – საუბარია ივანე
მიხეილის ძე სუმბათაშვილსა და მის დედაზე – ქეთევან გრი-
გოლის ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-სუმბათაშვილისაზე.

გვ.: 96,30. «**Ираклій Грузинскій**» – საუბარია ირაკლი
ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 97,3. «**Вел: Кн: Наместник**» – საუბარია მეფისნაც-
ვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 97,6. «**Кн:º Варвара Кобулова**» – საუბარია ოთარ
ქობულაშვილის ქვრივ ბარბარეზე.

სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №6 (867) გვ.: 100-102.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 34r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რეტარენირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: 15^ს სეკუდემ: 1875. თბილისი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დაორნალო სოფიო!“

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი საქართველოში დაბრუნდა. ავტორი მას სწერს: „სიხარულით გილოცავ მშვიდობით მოსვლასა ქართლ-საქრისტიანოში.“ ისიც ჩანს, რომ თბილისში არ მისულა: „იმედი მქონდა, რომ ქალაქზე გამოივლიდი და გნახავდი, და აბა, ახლა რა ვჰქნა, როგორ გნახო?“ იმის გათვალისწინებით, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი გორი იყო, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. მრავალ-წერტილები ყველგან ავტორისაა; 3. სიტყვა ხაზგასმულია; 4. სახელი და გვარი ხაზგასმულია; 5. რომელმანცა; 6-7. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 8. „კარტული არ ვიიცი“ ხაზგასმულია; 9-11. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 12. რომელმაც; 13. რომელიცა; 14-15. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; ამასთან, „ვიშში“-ს ზემოთ უწერია უცნაური სიმბოლო, რომელიც არაფერს ჰგავს; ასეთივე სიმბოლო აქვს ქვემოთ, ბოლო აბზაცის წინ; 16. ღმერთი; 17. ამ სიტყვის წინ გაურკვეველი სიმბოლო წერია, რომელიც ფრჩხილით არის დახურული; 18-19. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 100,2. „დაო-რძალო სოფიო“ – წერილის ადრესატია

გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანის, ქალიშვილი და ასევე ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე – სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა.

გვ.: 100,4-5. „ივანესაც აქ ვიხილავ“ – საუბარია ადრესა-ტის ქმარზე – ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 100,25. „საშა მელიქ.. თავის ლამაზის ქალითა“ – საუბარია ალექსანდრა მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილი-საზე და მის ქალიშვილზე – სოფიო ლევანის ასულ მელიქიშვილზე.

გვ.: 100,26. „ბედნიერი შვილებითა“ – ამ დროს ალექსანდრა ორბელიან-მელიქიშვილისას ჰყავდა შვილები: მიხეილი, გიორგი, პეტრე, ნიკოლოზი და მარიამი.

გვ.: 100,28-29. „ბარბარე კნეი: ქობულოვისა“ – საუბარია ოთარ ქობულაშვილის ქვრივ ბარბარეზე.

გვ.: 101,6-7. „იაკინთეს ქალი“ – საუბარი უნდა იყოს ეკატერინე იაკინთეს ასულ ალექსი-მესხიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 101,14-15. „კონტრალტო ტიოცი... და ბარიტონი კარნინი“ – საუბარია ოპერის მომღერლებზე.

გვ.: 101,16-17. „ვანო... თავის ცოლითა“ – სავარაუდოდ, საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის მეუღლე ალექსანდრაზე.

გვ.: 101,23-24. „ირაკლიმაც დაითხოვა მინკევიჩი“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე და, სავარაუდოდ, ექიმ ივანე ივანეს ძე მინკევიჩზე.

გვ.: 101,24-25. „თავისთავი თურმანიძესა“ – თურმანიძე-ები სოფლის ექიმები იყვნენ, მაგრამ მათგან რომელი იგულისხმება, გაურკვეველია.

გვ.: 101,26. „ისაკ ჩუჭულებრივ“ – სავარაუდოდ, საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 101,29-30. „გიორგი... ვაშში... დედითა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიან-სა და მის დედაზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბე-

ლიანისაზე, რომლებიც იმხანად იმყოფებოდნენ საფრანგეთის მინერალურ კურორტ ვიშњი.

გვ.: 102,1. „დას ეკატერინას“ – იგულისხმება ადრესატის დედა – ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანი-ერისთავისა.

გვ.: 102,2. „შენს ძმას და დებსა“ – იგულისხმება რევაზ შალვას ძე ერისთავი, თამარ, ქეთევან და ნინო შალვას ასული ერისთავები.

გვ.: 102,3. „ყაფლან კარგათ“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილი, ადრესატის ბიძა – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ.: 102,5. „კატო ივანოვისა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე.

ალექსანდრე კარცოვისადმი №1 (868) გვ.: 102-104.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 163r-v (წითელი ფანქრით) / 16r-v (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,3X22,5 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. II გვერდის შუა ნაწილიდან იწყება ამავე წლის 10 ნოემბერს მიხეილ ასტაფიევისადმი მინერილი წერილი. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «9^{го} Ноя. 1875.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Генер: Адъют: Александру Петровичу Карцову.»

ადრესატის მისამართი: «в Харьков»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 4. ეს წინადადება, დაწყებული სი-

ტყვით «непримечательные», монологи сюжета сюжета ведут, ведут
голосом рассказчика.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 102,12. «**Александру Петровичу Карцову**» – წერი-
ლის ადრესატია ინფანტერიის გენერალი, იმხანად ხარკოვში
მცხოვრები ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვი, რომელიც 1875
წლის 29 ნოემბერს გარდაიცვალა და რეაგირებას გრიგოლ
ორბელიანის ამ წერილში გადმოცემულ თხოვნაზე, სავარაუ-
დოდ, ვერ მოასწრებდა.

გვ.: 102,15-16. «**злополучной личности**» – საუბარია
ჯაფარ ყული ხანის მეუღლეზე.

გვ.: 102,18. «**в Персии Джадаркули Хан**» – წარმოშო-
ბით ჯაფარ ყული ხანი ირანის ქალაქ ხოიდან იყო, რომელიც
ურმის ტბის ჩრდილოეთით მდებარეობს. მისი ერთ-ერთი
ცოლის, გოვხარ აღას, დედა გვარად აბაშიძე იყო.

გვ.: 102,19. «**владетель Хойского Ханства**» – ხოის სა-
ხანო იყო ირანის აზერბაიჯანში.

გვ.: 102,19-20. «**осады Эривана К^м Цициановым**» – სა-
ვარაუდოდ, საუბარია 1804 წელს პავლე დიმიტრის ძე ციცია-
ნოვის (ციციმვილის) სარდლობით განხორციელებულ ერევნის
ალყაზე, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა.

გვ.: 102,21-22. «**боясь мести Шаха**» – საუბარია ირანის
იმჟამინდელ მბრძანებელ ფეხს ალი შაჰზე.

გვ.: 102,23. «**Импер: Алекс: I^о**» – საუბარია რუსეთის
იმჟამინდელ იმპერატორზე.

გვ.: 102,25. «**сын его Исмайл Хан**» – ისმაილ ხანი ნუ-
ხის (შაჰის) გამგებელი იყო 1814-1819 წლებში.

გვ.: 102,26-27. «**оставив малолетнюю dochь, тუბеребегема**»
– საუბარია თუბა ბეგუმზე, მაგრამ გენეალოგიურ ნუსხაში
ისმაილ-ხანის ქალიშვილს, რომელიც მამის გარდაცვალებისას
მხოლოდ რამდენიმე დღისა იყო, საადათ ბეიმი ერქვა. თუბა
ბეგუმი მისი ქმრის ბაბუის, ყარაბალის ხანის, სახელი იყო და,
შესაძლოა, მის საპატივცემულოდ უნიდებდნენ ასე.

გვ.: 102,28. «**богатого человека, Ширхана**» – საუბარია შირხან ალაზე, რომელიც ელიზავეტოპოლის სოფელ ლაკში ცხოვრობდა.

გვ.: 102,28. «**внука Карабахского Хана**» – შირხან ალა იყო ყარაბაღის ხან თუბა-ბეგუმ აბრახანკიზის შვილიშვილი.

გვ.: 103,1-2. «**женою Фетали Шаха Персидского**» – საუბარია ალაბეიმზე, რომელიც ლექსებს წერდა და იყო პოეტ ნათავან ხურშიდბანუს დეიდა.

გვ.: 103,2-3. «**отправляется с сыном**» – ისტორიული წყაროების მიხედვით, საადათ-ბეიმის ვაჟს ერქვა ჯახანგირ ხანი. გაზეთ „კავკაზის“ მიხედვით კი ორი ვაჟი ჩანს: სულეიმან ალა და ქელბალი ალა. სავარაუდოდ, გადასახლება პირველს მიუსაჯეს.

გვ.: 103,6. «**Уезд: Началь: Григоров**» – საუბარია ელიზავეტოპოლის მაზრის უფროს მიხეილ ივანეს ძე გრიგოროვზე.

გვ.: 103,7. «**в доме ея скрылась шайка разбойников**» – ეს ფაქტი დაწვრილებით არის აღნერილი გაზეთ „კავკაზის“ 1874 წლის 28 ივნისის ნომერში (№74).

გვ.: 103,22. «**Хана, а не его жену**» – საუბარია შირხან ალასა და მის მეუღლეზე – თუბა ბეგუმზე.

გვ.: 103,24. «**чрез посредство Губернатора**» – ხარკოვის იმუამინდელი გუბერნატორი იყო ალექსანდრე ევგენის ძე კოვალიოვი.

გვ.: 103,30-31. «**разбойники убили и самаго Хана**» – საუბარია შირხან ალაზე.

გვ.: 104,1. «**Екатерина Николаевна**» – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ეკატერინე ნიკოლოზის ასულ პუშჩინა-კარცოვისაზე.

მიხეილ ასტაფიევისადმი №1 (869) გვ. 106.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 163v (წითელი ფანჯრით) / 16v (შავი ფანჯრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,3X22,5 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანჯრით. ხელნაწერის I გვერდსა და II გვერდის ზედა ნაწილში განთავსებულია ამავე ნლის 9 ნოემბერს ალექსანდრე კარცოვისადმი მიწერილი ბარათი. წინამდებარე წერილი იწყება II გვერდის შუა ნაწილიდან. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «10^{го} Нояб: 1875.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Михайлу Ивановичу Астафьеву.»

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით ვერ ირკვევა ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ამ პერიოდში ის ამიერკავკასიის მხარის საერობო უწყების სახელმწიფო ქონებისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს თბილისში.

შენიშვნები: 1-2. ორივე სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 106,9. «**Михайлу Ивановичу Астафьеву**» – წერილის ადრესატია ამიერკავკასიის მხარის საერობო უწყების სახელმწიფო ქონებისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი – მიხეილ ივანეს ძე ასტაფიევი.

გვ.: 106,11. «**Чиновника Шароева**» – საუბარია თბილის საქალაქო სამმართველოს ყოფილ ხაზინადარ ნიკოლოზ ეგნატეს ძე შაროევზე.

ეკატერინე პუშჩინა-კარცოვისადმი №3 (870) გვ.: 107-108.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 35r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 33,6X24,9 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. წერილს ზედა მარცხენა მხარეს წითელი ფანჯრით უწერია: „Х“. ტექსტის პირველი სიტყვა გადაშლილია და შეუძლებელია ნაკითხვა. 35г გვერდზევე, საანალიზო წერილის შემდეგ, განთავსებულია ვლადიმერ კარპოვიჩისადმი იმავე წლის 2 დეკემბერს, ხოლო მეორე (35v) გვერდზე – ფეოდორ ვოლფრამისადმი იმავე წლის 2 დეკემბერს მიწერილი წერილები. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «1^{го} Дек: 1875.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Екатерине Николаевне Ка-
рцовой»

ადრესატის მისამართი: «в Харьков»

შენიშვნები: 1. წლის, სახელისა და მამის სახელის ქვეშ ხაზია
გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 107,19. **«Екатерине Николаевне Карцовой»** – წე-
რილის ადრესატია ეკატერინე ნიკოლოზის ასული პუშჩინა-
კარცოვისა.

გვ.: 107,21. **«Александра Петровича»** – საუბარია ად-
რესატის მეუღლეზე – გენერალ ალექსანდრე პეტრეს ძე კარ-
ცოვზე.

გვ.: 108,4. **«в присутствии Его Высочества»** – საუბარია
მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 108,8. **«вашим детям»** – შვილებიდან ცნობილია
მხოლოდ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კარცოვის სახელი.

ვლადიმერ კარპოვიჩისამდი №1 (871) გვ. 109.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 35r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 33,6X24,9 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. წერილს ზედა მარცხენა მხარეს წითელი ფანჯრით წერია: „X“. წინამდებარე წერილის ზემოთ, იმავე გვერდზე, განთავსებულია ეკატერინე კარპოვისადმი იმავე წლის 1 დეკემბერს, ხოლო მეორე (35v) გვერდზე – ფეოდორ ვოლფრამისადმი იმავე დღეს მიწერილი წერილი. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «2^{го} დეკ: 1875.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Владим: Валеріановичу Карповичу.»

ადრესატის მისამართი: «В Ахалцихъ»

შენიშვნები: 1. თარიღისა და სახელის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 109,1. **«Владим: Валеріановичу Карповичу»** – ვლადიმერ ვალერიანის ძე კარპოვიჩის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც წერილიდან ჩანს, ის უნდა იყოს ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი.

თეოდორ ვოლფრამისადმი №1 (872) გვ. 110.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 35v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 33,6X24,9 სმ.;

შესრულებულია შავი ფანქრით. 35r გვერდზე განთავსებულია ეკატერინე კარცოვისადმი და ვლადიმერ კარპოვიჩისადმი იმავე წლის 1 და 2 დეკემბერს გაგზავნილი წერილები. ხელნა-წერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს

თარიღი და ადგილი: «2^{го} Декабрь: 1875.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Феодору Христіановичу Вольфраму.»

ადრესატის მისამართი: ადრესატი იმ პერიოდში სახელმწიფო პრიკაზის მმართველის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. წლის, სახელისა და მამის სახელის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 110,5. «Феодору Христіановичу Вольфраму» – წერილის ადრესატია იმხანად სახელმწიფო პრიკაზის მმართველი – თეოდორ ქრისტიანის ძე ფონ ვოლფრამი.

გვ.: 110,11. «Аcessора Шароева» – საუბარია ნიკოლოზ ეგნატეს ძე შაროევზე, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაციის შედეგად უმუშევარი დარჩა.

1876

მიხეილ ჯომარდიძისადმი №1 (873) გვ. 112.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 40r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 23,1X22,7 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარ-

მოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «12 ქვებ: 1876.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Михайлу Григ: Джомарди-(д)зе.»

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილით გრიგოლი ადრესატისგან ალექსანდრეს სახელობის ქვეით პოლკში მომსახურე პოდპორუჩიკ დილუხანოვის შუშის რაზმში გადაყვანას ითხოვს. ტექსტში ისიც ჩანს, რომ მისი პოლკი ამ პერიოდში ქუთაისში იყო განთავსებული. რთული დასადგენია, მიხეილ ჯომარდიძე სად იმყოფებოდა წერილის დაწერის დროს. ცნობილია, რომ სხვადასხვა დროს იგი დაღესტნის საკავალერიო პოლკის მეთაური (50-იანი წლების დასაწყისში), დერბენდის ქალაქის თავი, სამხრეთ დაღესტნის სამხედრო მეთაური და კორპუსის მეთაური (1853-1868 წლებში) და თბილისის თავადაზნაურთა წარმომადგენელი იყო.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ, შუა ნაწილში, ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 112.1. «**Михайлу Григ: Джомарди(д)зе**» – წერილის ადრესატია მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარდიძე, რომელიც 1853-1868 წლებში იყო დერბენდის ქალაქის თავი და სამხრეთ დაღესტნის სამხედრო მეთაური და კორპუსის მეთაური.

გვ.: 112.2. «**Подпор: Долуханов**» – საუბარია შუშელ პოდპორუჩიკზე, რომელიც იმსანად მსახურობდა ალექსანდრეს სახელობის ქვეით პოლკში.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №71 (874) გვ.: 113-115.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 78r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული.

ლი ქალალდი; ზომა: 35,5X21,9 სმ.; შესრულებულია შავი ფან-ქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «17 Марта 1876. Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «...мой друг варвара...»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში პეტერბურგში ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის მეშვიდე აბზაცი: მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 135.

გვ.: 113,14. **«моего Георгия»** – საუბარია ადრესატის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 114,19. **«бедный Конст: Иван: Орловский»** – საუბარია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკიზე.

გვ.: 114,20. **«Бар: Сакен»** – საუბარია მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენზე.

გვ.: 114,24. **«с Клушиным... Баронис-Пехи»** – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსზე, სენატორ პავლე ნიკოლოზის ძე კლუშინსა და ამავე სამმართველოს ყოფილ უფროს ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 115,2-3. **«Набоковское обращение»** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ინფანტერიის გენერალი ივანე ალექსანდრეს ძე ნაბოკოვი.

გვ.: 115,7. **«Их Высочества»** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანვი და მისი ოჯახი.

გვ.: 115,8-9. «**К:³ Трубецкой... дочери Ираклия Мухранского» – საუბარია სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეციონისა და სოფიო ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე.**

გვ.: 115,11. «**дочери у Ираклия Грузинского» – საუბარია ადრესატის დისწულის, თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძის, და ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის ქალიშვილებზე – ელისაბედსა და ეკატერინეზე.**

ივანე ჩეხოვსკისადმი №1 (875) გვ.: 117-118.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 36г.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ხაზიანი ქაღალდი; ზომა: 25,5Х23,3 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. მიმართვა (გვარის გარეშე) და მესამე სტრიქონის მესამე სიტყვა, რომელიც გადახაზულია, დაწერილია ყავისფერი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «24 Mar: 1876 г: Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Милостивый Государь, Иван Иванович! Чеховский.»

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ადრესატს ახალციხის მაზრაში მცხოვრები აბას ბეგისადმი დახმარებას სთხოვს: «Житель Ахалцых: Уезда Аббас бек будет иметь честь поднести вам это письмо.» ტექსტის შინაარსით ირკვევა, რომ მაზრას ის ხელმძღვანელობს. ავტორი მას სწერს: «ваш Уезд, в смутные времена, всегда первый подвергается опасности.» / «Здесь, в мирное время, пограничные начальники должны всегда иметь ввиду войну» აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **ახალციხის მაზრაში.**

შენიშვნები: 1. ფრაზა – «Старая Служба недолжна быть забыта новыми Начальниками» – ხაზგასმულია ნითელი ფანქრით; 2. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 117,13. «**Іван Іванович! Чеховскій**» – წერილის ადრესატია ახალციხის მაზრის უფროსი – ივანე ივანეს ძე ჩე-ხოვსკი.

გვ.: 117,14. «**Аббас Бек**» – საუბარია ახალციხის მკვიდრ აბას ბეგ აბაშიძეზე.

გვ.: 117,17. «**времена Паскевича**» – საუბარია კავკასიაში ივანე თეოდორის ძე პასკევიჩის მმართველობის პერიოდზე. ის 1826-1829 წლებში იყო რუსეთის ჯარების მთავარსარდალი.

გვ.: 117,20. «**К:^თ Абашидзе**» – იგულისხმება აბას ბეგ აბაშიძე.

ოთხებ ორბელიანისადმი №1 (876) გვ. 119.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 41v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ცალხაზიანი ქალალდი; ზომა: 25,4X22,7 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ის მოსდევს კაპიტან სისინის ქვრივის, ანა სისინის, სათხოვარ წერილს მისდამი, რომელიც განთავსებულია 41r-v გვერდებზე. გრიგოლის წერილი დაწერილია 5 სტრიქონად ანა სისინის მისამართის ქვეშ. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს. ქვრივი გრიგოლს აცნობებს, რომ 8 თვეა ავადმყოფობს, 3 თვეა, რაც ვეღარ დგება საწოლიდან და სჭირდება მკურნალობა, კერძოდ, ექიმები ურჩევენ ზღვაზე წასვლას. შეახსენებს, რომ მისი ქმარი, კაპიტანი სისინი, ერ-

თგულად ემსახურებოდა ორბელიანებს და სთხოვს შეწევნას.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „პატონო სოსიკო!“

ადრესატის მისამართი: ადრესატის ადგილსამყოფელი წერილის მიხედვით არ ჩანს, მაგრამ სხვა წერილებიდან ვიცით, რომ იგი თბილისში ცხოვრობდა. გრიგოლი მას ხშირად ახსენებს და ყველგან მათი ტერიტორიული სიახლოვე იკვეთება. 1877 წლის 25 სექტემბრის წერილით ვიგებთ, რომ ის ლეზგინის ხაზის უფროსად ინიშნება: „სოსიკო წავიდა ლეზგინსკის ლინიის ნაჩალნიკად რევაზის მაგირ,“ – წერს გრიგოლი ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს. მანამდე კი სულ თბილისშია. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი სავარაუდოდ, **თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.**

შენიშნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პულიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილი, მართალია, უთარილოა, მაგრამ ის მოსადევს ანა სისინის გრიგოლისადმი მიწერილ წერილს, რომელიც თარიღდება **1876 წლის 9 აპრილით**, შესაბამისად, გრიგოლის წერილი იოსებ ორბელიანისადმი დაწერილი უნდა იყოს ან ამ დღესვე, ან ამ დღის შემდეგ მალევე.

წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, ვაჟი – იოსები.

გვ.: 119.2. „გიგომ в счет будущих Агрикарских доходов“ – საუბარია ადრესატის ძმაზე, გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, და აგრიკარის მამულებზე, რომლის დაბრუნებისთვისაც ორბელიანები სასამართლოს გზით დიდსანს იბრძოდნენ ხაზინასთან.

გვ.: 119.3-4. „საბრალოს დედაკაცსა, რომლისა ქმარი სისინი“ – საუბარი უნდა იყოს ტოპოგრაფ პავლე ათანასეს ძე სისინსა და მის მეუღლე ანაზე.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №11 (877) გვ.: 119-124.

თეთრი პირის ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი,
№508/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r-v /
14r-v, 15r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
თხელი, დალაქავებული, მელინით დანინჯული, საშუალო
ფორმატის, ორად გადაეცილი ქაღალდი; ზომა: 21,3X13,5
სმ.; შესრულებულია შავი მელინით, რომელიც გაუღენილია
ფურცელში ისე, რომ ნაწერი მეორე მხრიდანაც ჩანს და ად-
გილ-ადგილ ამოკითხვა ჭირს (განსაკუთრებით ყველა გვერ-
დის თავსა და ბოლოში). || გვერდზე, მარცხენა არშიაზე, პირ-
ველ აბზაცს ცისფერი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელ-
ნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „16^o აპრ: 1876, თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მსურველი გრიგოლ
ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო
ნიკო!“

შავი პირის ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე
№7515ა (ძველი №175), 39r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, დალაქავებული, დიდი ფორმატის, ორ ად-
გილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,2X21,8 სმ.; შესრუ-
ლებულია შავი ფანქრით. ხელნაწერის || გვერდზე მინაწერე-
ბია (I სტრიქონი – შავი მელინით, II და III სტრიქონები – შავი
ფანქრით): 1) „სავანელი დუშეთ: მიროვო სუდი – ალუსალინს
– და გიორგის – მირსკისა. 2) მუსა ალა უსუფოვ – ბულატოვ-
სა 3) ისარლოვისთვის – მირსკისა.“ ხელნაწერი რესტავრირე-
ბულია.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი დალესტანში მსახურობდა.
როგორც წერილის შინაარსიდან ირკვევა, ის ბოთლიხში იმყო-

ფებოდა. ავტორი მას სწერს: „ბოთლიხელს კაცსა დრო არა აქუს წერისათვა.“

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ღვთისაცა; 3. მთელ აბზაცს მარცხენა არმიაზე ლურჯი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; 4. „ბარონ საკენ“ ხაზგასმულია; 5-8. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 9. „8 ათას“ ხაზგასმულია; 10-11. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 119,15. „**შენცა და ლევანცა**“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 121,2-3. „**არლოვსკის სიკუდილსა**“ – საუბარია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკიზე.

გვ.: 121,3-4. „**ვარვარა ვასილიევნა**“ – საუბარია მიხეილ იაგორის ძე თამამშევის ქვრივზე – ბარბარე ვასილის ასულ ყორლანაშვილ-თამამშევისაზე.

გვ.: 121,5. „**მიხეილ სანსუსში**“ – საუბარი უნდა იყოს მიხეილ იაგორის ძე თამამშევზე და მითითებულია თბილისში მისი გარდაცვალების ადგილი.

გვ.: 121,8. „**ლრაჭ სამოილოვიცა**“ – შესაძლოა, აქ იგულისხმებოდეს პოლკოვნიკი ნიკოლაი ალექსანდრეს ძე სამოილოვი, თუმცა დადასტურებით თქმა გვიშირს. წყაროების მიხედვით, იგი მხიარულ, აზარტული თამაშებისა და გართობის მოყვარულ ადამიანად ხასიათდება.

გვ.: 121,12. „**კლუშინი, ბარონ ნიკოლაის ფეხი**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსზე, სენატორ პავლე ნიკოლოზის ძე კლუშინსა და ამავე სამმართველოს ყოფილ უფროს ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 122,4. „**ნაბოკოვის დროება**“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ინფანტერიის გენერალი ივანე ალექსანდრეს ძე ნაბოკოვი.

გვ.: 122,5-6. „რეადი ისე წავიდა“ – საუბარია გენერალ ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადზე.

გვ.: 122,8. „ბარანოვსკი დაინიშნება სენატორად“ – საუბარია ნიკოლოზ ივანეს ძე ბარანოვსკიზე.

გვ.: 122,10. „არის სტაროსელსკი“ – საუბარია დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკიზე.

გვ.: 122,12. „ბარონ საკენ“ – საუბარია მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენზე.

გვ.: 122,12. „პოლკოვი: დენ“ – საუბარია ვალდემარ კარლ ფონ დენზე.

გვ.: 123,1. „ველიკი კნიაზი და ველიკა კნეინა“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და მის მეუღლეზე – ოლდა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 123,3. „შვილებიკი“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის შვილებზე: ნიკოლოზზე, ანასტასიაზე, მიხეილზე, გიორგიზე, ალექსანდრეზე, სერგეისა და ალექსეიზე.

გვ.: 123,5. „კონია მუხრანი:“ – იგულისხმება კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

გვ.: 123,5-6. „გუსარს დავითს ერისთავსა“ – საუბარია დავით ესტატეს ძე ერისთავზე.

გვ.: 123,6-7. „ლენერალ ასტაჭიევი“ – საუბარია მიხეილ ივანეს ძე ასტაფიევზე.

გვ.: 123,8. „ღორბუნოვს... გამოუცხადა“ – საუბარია ვასილი პეტრეს ძე გორბუნოვზე, რომელიც სახელმწიფო ქონების სამმართველოში მიხეილ ივანეს ძე ასტაფიევის დაქვემდებარებაში მუშაობდა.

გვ.: 123,10. „ლენერალ იედლინსკი“ – საუბარია ალბერტ არტურის ძე იედლინსკიზე.

გვ.: 123,11. „ჭელდმარშალთან განწესებული“ – იედლინსკი განწესებული იყო ფელდმარშალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკისთან.

გვ.: 123,12-13. „ჭილოსოჭოვი... ვარშავაში“ – საუბარია დიმიტრი ალექსეის ძე ჭილოსოჭოვოსოვზე.

გვ.: 124,1. „ავთანდილოვის სიტყვები“ – საუბარია ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილოვზე.

გვ.: 124,3. „ყაფლანცა ყოჩალათ“ – საუბარია ადრესატის ბიძაზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 124,4. „ტასო გაგარინისა“ – საუბარია გრიგოლის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 124,8-9. „ჩავპარე ზისერმანსა“ – სავარაუდოდ, საუბარია არნოლდ ლევის ძე ზისერმანზე.

გვ.: 124,11. „ივანეს ოჯახის“ – იგულისხმება ივანე დავითის ძე ორბელიანის ოჯახი.

გვ.: 124,13. „რამაზ ანდრონიკოვი“ – საუბარია რამაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 124,14. „სოსიკო კარგად არის“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 124,14. „ტასომ დიდის“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობშიოზე.

გვ.: 124,15. „ქმარი წაუვიდა“ – იგულისხმება ივანე დიმიტრის ძე ოკლობშიო.

გვ.: 124,23-24. „ვარინკა და... გიორგი“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა და მისი ვაჟი – გიორგი ორბელიანი.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №72 (878) გვ.: 125-126.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153 / №116, Ros-292; 2829, 79r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 35,7X22,4 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «6^{го} მაი 1876 თიფლის»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»
ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში პეტერბურგში
ცხოვრობდა, რაც ტექსტის მინაარსითაც ირკვევა. ავტორი
მას სწერს: «Мнеже верится, что ты всегда болына, и иначе
нельзя быть в этом суровом, проклятом климате Петерб.³»
შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2-3. ორნერ-
ტილები ავტორს არ უწერია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 125,4. «о Георгіе» – საუბარია გრიგოლის ძმისწულ
გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 125,14. «Петя Опочинин» – საუბარია გრიგოლის
ბიძაშვილიშვილზე – პეტრე ალექსეის ძე ოპოჩინიზე.

გვ.: 125,15-16. «Мирским, покутить» – საუბარია გრი-
გოლ ორბელიანის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბე-
ლიანის, და პოდპოლკოვნიკ დიმიტრი ივანეს ძე სვიათოპოლკ-
მირსკის ვაჟზე – პეტრე დიმიტრის ძე სვიათოპოლკ-მირსკი-
ზე.

გვ.: 125,17-18. «Алексей Петрович» – საუბარია გრი-
გოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩი-
ნინის ვაჟზე – ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინიზე.

გვ.: 125,18-19. «а Оглобжіо» – საუბარია ივანე დიმიტ-
რის ძე ოკლობუიოზე.

გვ.: 125,20. «Их Высочество выехали» – საუბარია მე-
ფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და მის მეუღ-
ლებზე – ოლდა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 125,21. «Георгій Мухран:, а брат его Иван» – საუ-
ბარია გიორგი და ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრა-
ნელებზე.

გვ.: 125,23-24. «К^и Трубецкаго с Княжною Софією
Мухран:» – საუბარია სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოისა და
სოფიო ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 125,26. «Ираклію Мухран» – საუბარია ირაკლი
კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 126,8. «один Георгий и два Петра» – იგულისხმება ზემოხსენებული სამი ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურე, ნათესავები: გიორგი ორბელიანი, პეტრე ოპოჩინინი და პეტრე სვიატოპოლკ-მირსკი.

მარია კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისადმი №2 (879) გვ.: 127-128.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 37r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქალალდი; ზომა: 22,0X 18,9 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანჯრით. ტექსტის ბოლოს, ქვედა მარცხენა მხარეს, არის ლურჯი მელნით გავლებული პატარა ხაზი. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «24 Мая 1876 г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Маріи Васильевне Колюбякиной.» / «...уважаемая Марія Васильевна...»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი იყო და, წერილიც, შესაბამისად, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი. ტექსტის შინაარსითაც ჩანს, რომ ავტორი ტერიტორიულად მასთან ახლოს მყოფი ქალთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ საღამოზეა დაპატიუებული. იგი წერს: «...как глубоко я огорчен невозможностью воспользоваться вашим обязательным приглашением быть сегодня навечере в Институте, получаю выпуска воспитанниу Старшаго Класса.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 127,22. «**Маріи Васильевне Колюбякиной**» – წერილის ადრესატია მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის ქვრივი – მარია ვასილის ასული კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისა.

გვ.: 127,26. «**навечере в Институте**» – მარია კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისა იყო ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი.

გვ.: 127,27. «**у Опочининых**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახზე.

დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №4 (880) გვ.: 128-129.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 164г (წითელი ფანქრით) / 18г (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქალალდი; ზომა: 31,9X21,7 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ზედა მარჯვენა მხარეს ტექსტის წითელი ფანქრით მერთალი ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «28 იЮНЯ 1876. ცავკისი.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «К^Ю Дм: Ив: Святополк-Мирскому»

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატს კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემნის თანამდებობა ეკავა. მართალია, ზაფხულის პერიოდია და სხვა წერილებიდან ვიცით, რომ ამ დროს ის ცოლ-შვილით დასასვენებლად მიდიოდა ხოლმე, მაგრამ საანალიზო ბარათი საქმიანია, სადაც ავტორი ადრესატს რამდენიმე თხოვნით მიმართავს. იმის გათვალისწინებით, რომ აგარაკზე მყოფ თანამდებობის პირს გრიგოლ ორ-

ბელიანი საქმიანი თხოვნით ვერ შეაწუხებდა, წერილი, სავა-
რაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ორივე სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 3.
საკუთარი სახელი ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 128,22. «**Иосифа Конст:**» – საუბარია იოსებ კონ-
სტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 128,23. «**разбойник Кёр Исмайл**» – პირის შესახებ
დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 129,4. «**за Его Высо^{въ} и Август: Его Семейства**» –
სავარაუდოდ, საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ოჯახ-
ზე.

გვ.: 129,6-7. «**сыну Ташдемура**» – ტაშდემურისა და მი-
სი ვაჟის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 129,14-15. «**имена беглецов: 1) Кёр Исмайл, 2) И-
кандер, 3) Бадал, 4) Ибраим, или Ирайм... 5) Халил, 6) Муса**» –
პირთა შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 129,18. «**Качаг Дали Ага**» – პირის შესახებ დამატე-
ბითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 129,18. «**Полков: Ассан Аги**» – შესაძლოა, საუბარი
იყოს ასან-აღა ჰასინსკიზე.

ადოლფ რემერტისადმი №1 (881) გვ.: 131-132.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი
№175), 42r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-
ლი, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,2X23,7 სმ.;
წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავ-
რირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «11^{го} იюля 1876. ცავკისი.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ремерту.» / «Милост: Го-
сударь Адольф Александрович»

ადრესატის მისამართი: 1876 წელს ადრესატი კავკასიის სამე-
დიცინო განყოფილებაში სამოქალაქო ნაწილის თბილისის
ოლქის მედიცინისა და მინერალური წყლების განყოფილების
უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. ტექსტის შინაარსითაც
ჩანს, რომ იგი მედიცინის საკითხებს განაგებს: ავტორი მას
ექიმ მაჭავარიანის თბილისში დატოვების თხოვნით მიმარ-
თავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილი
უნდა იყოს **თბილისში.**

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 131,5. «**Адольф Александрович**» – წერილის ადრე-
სატია თბილისის გუბერნიის სამედიცინო განყოფილების
მმართველი – ადოლფ ალექსანდრეს ძე რემერტი.

გვ.: 131,9. «**Архимандриту, прибывшим комне**» – პი-
რის არც სახელია ნახსენები და არც გვარი. ამიტომ იდენტი-
ფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 131,13. «**Медику Мачаваріани**» – ექიმის სახელი
უცნობია.

ალექსანდრა ფრიდერიქს-ალოპეუსისადმი №1 (882) გვ. 133.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ქველი
№174), ორმაგი პაგინაციით: 166г (წითელი ფანქრით) / 20г
(შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-
ლი, ორ ადგილას გახვრეტილი და შემდევ რესტავრირებული
ქაღალდი; ზომა: 33,6X21,2 სმ.; წერილი შესრულებულია შავი
მელნით, თარიღი და მისამართი კი – შავი ფანქრით. მარჯვე-
ნა მხარეს ტექსტს წითელი ფანქრით მკრთალი ხაზი აქვს ჩა-

მოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: «16^{го} Июля 1876. Цавкиси»

ხელმოწერა: «Генераладъютант Князь Орбеліани.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Графине Александре Петровне, Алопеус.» / «...Графиня...»

ადრესატის მისამართი: «Боржом»

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 133,8-9. «Александре Петровне, Алопеус» – იგულისხმება ბარონესა ალექსანდრა პეტრეს ასული ფრედერიქს-ალოპეუსისა – რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინა.

გვ.: 133,11-12. «Великой Княжне Анастасии Михайловне» – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის ქალიშვილზე – ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №12 (883) გვ.: 134-135.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №509/№30 (ძველი Q: 155), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 16r-v, 17r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, მელნით დაწინწკლული, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ქალალდი; ზომა: 21,2X13,5 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაულენთილია ფურცელში ისე, რომ ნაწერი მეორე მხრიდანაც ჩანს და ადგილ-ადგილ ამოკითხვა ჭირს. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „20^ц ივლის 1876 წავეისით.“ / „1876“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი დალესტანში, კერძოდ, ბოთლიხში, მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. „კნიაზს მირსკისა“ ჩამატებულია ზემოდან; 2. ხელნაწერშია „გამურიცხვენო“; 3. „ბარბარე ანდრეევსკის ცოლი“ ხაზგასმულია; 4. სიტყვა ხაზგასმულია; 5. ღმერთი; 6. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 134,6. „კნიაზს მირსკისა“ – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 134,15-16. „აგლობჟიონნი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლიბჟიოს ოჯახზე.

გვ.: 134,6. „სპარსეთის კონსული“ – პირის ვინაობა მითითებული არ არის.

გვ.: 134,16. „ანტონ კარაევი“ – დამატებითი ცნობები პირის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 134,16-17. „ლამბაროვიანნი, ხატიროვიანნი“ – საუბარია ლამბაროვებისა და ხატიროვების ოჯახებზე.

გვ.: 134,17. „მირსკიანნი, აპარინიანნი“ – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახებზე.

გვ.: 134,20. „პოპორილოპულოს სახლობა“ – საუბარია საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრე ივანეს ძე პოპორილოპულოს ოჯახზე.

გვ.: 134,22. „ეძებენ ვარვარა ვასილიევნას“ – საუბარია მიხეიოლ იაგორის ძე თამამშევის ქვრივზე – ბარბარე ვასილის ასულ ყორლანაშვილ-თამამშევისაზე.

გვ.: 134,24. „სოსიო არის“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 135,1. „ისაკის იუბილეი“ – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 135,3. „ბარბარე ანდრეევსკის ცოლი“ – საუბარია ექიმ ერასტ ანდრეევსკის ქვრივზე – ბარბარე გიორგის ასულ

თუმანიშვილ-ანდრეევსკისაზე.

გვ.: 135,4. „ქალით, ნინო“ – საუბარია ნინო ერასტის ასულ ანდრეევსკაიაზე.

გვ.: 135,6. „ყაფლან ჯერაც“ – საუბარია ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 135,12. „ლიზო და ალექსანდრე“ – საუბარია ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილსა და ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 135,12-13. „დოხტორი მინკევიჩი“ – სავარაუდოდ, საუბარია ექიმ ივანე ივანეს ძე მინკევიჩზე.

რევაზ ანდრონიკაშვილისადმი №1 (884) გვ. 136.

ასლი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, 35r-v.

ასლის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საძუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 22,3X18,1 სმ.; წერილი შესრულებულია ყავისფერი მელნით. ხელნაწერის ზედა მარჯვენა მხარეს წერია: «კოპია»; ზედა მარცხენა მხარეს ცისფერი ფანქრით წერია „22“, რომელსაც ლურჯი მელნით ხაზი აქვს გადასმული. აქვე ფანქრით მინერილია: „1876. 15/X.“ ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: «15^{го} Октября, 1876 г. Тифлис»

ხელმონერა: «Ваш Покорный слуга Кн. Гр. Орбеліані.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ваше Сіятельство, Князь Реваз Иванович!»

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი იყო და წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 136,2. «**Князь Реваз Иванович**» – ნერილის ადრე-
სატია რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი.

გვ.: 136,10-11. «**семинариста Поліевкта Карбелова**» –
საუბარია პოლიევქტოს გრიგოლის ძე კარბელაშვილზე.

რამაზ ანდრონიკაშვილისადმი №1 (885) გვ.: 138-141.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515° (ძველი
№175), 43r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუა-
ლო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხე-
ული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრუ-
ლებულია შავი ფანქრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა არ-
შიაზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწე-
რი წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „26 ოკტომბერი 1876.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ანდრონიკოვს“ / „ჩემო
ბატონო, საყუარელო კნიაზო რამაზ“

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით ირკვევა, რომ რა-
მაზ ანდრონიკაშვილი კახეთშია: ავტორი რამდენიმე ადგილას
ახსენებს საქართველოს ამ კუთხეს: „სად არის მეორე კახეთი
ეგრეთის შვენებით გაბრწყინვებული“ / „როგორ არ მიყუარ-
დეს მეცა კახეთი, სადაცა განვატარე მხიარულებით უზრუნ-
ველი სიყმანვილე ჩემი.“ გრიგოლი ადრესატს სთხოვს გურჯა-
ანის სკოლის მასწავლებლის, კარბელოვის, შემწეობას: „ამ წე-
რილს მოგართმევს კარბელოვი, დანიშნული უჩიტელად გურ-
ჯაანის შკოლისა. გთხოვ ექმნეთ მფარველად ამ საბრალოს
ღარიბს სემინარისტსა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წე-
რილი, სავარაუდოდ, გურჯაანში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. რომლი-
სათვის; 3. რომელსაცა; 4. რომლისა; 5. რომელიცა; 6. ღმერ-
თი; 7. ღვთისა; 8-9. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 10.

რომელიცა; 11. ღმერთსა; 12. რომელიცა; 13. ხელნაწერშია „ციქირისა“; 14. ბოლო წინადადება წითელი ფანქრით არის ხაზგასმული; 15. ღმერთმან; 16. ღმერთი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 139,10. „მოგართმევს კარბელოვი“ – საუბარია პოლიევქტოს გრიგოლის ძე კარბელაშვილზე.

გვ.: 140,4. „თქუმშნის შვილის დანიშვნა“ – საუბარი უნდა იყოს ივანე რამაზის ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 140,11-12. „რამაზ და გიორგი... მოყურობითა“ – ივანე რამაზის ძე ანდრონიკაშვილმა ცოლად მოიყვანა ანასტასია გრიგოლის ასული ჯორჯაძე. ამ ფრაზაში ან ორბელიანს შეეძლა და „გიორგი“ დაწერა „გრიგოლის“ ნაცვლად, ან, შესაძლოა, ამ პირს „გიორგისაც“ ეძახდნენ.

გვ.: 140,14-15. „ვარვარა ილინიშნა თავის შვილით, ლეიბ-გუსარი გიორგით“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა – და მისი ვაჟი – გიორგი ორბელიანი.

გვ.: 140,17. „ყაფლანისშვილის გულით“ – ორბელიანებს, წინაპრის სახელის მიხედვით, „ყაფლანიშვილებსაც“ უწოდებდნენ.

გვ.: 140,20. „საყუარელი დარიკო“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილზე – დარია რამაზის ასულ ანდრონიკაშვილჭავჭავაძისაზე.

გვ.: 140,24-25. „სულთანი ჰეზავნის ელჩისა პეტერბურლს“ – საუბარია ოსმალეთის იმპერიის სულთან აბდულ ჰამიდ II-ზე.

გვ.: 141,3. „ლევან დალისტნიდამ“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქშვილზე.

გვ.: 141,3-4. „ლორის მელიქოვს ალექსანდროპოლიდამ“ – საუბარია მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე.

გვ.: 141,4-5. „ნიკოც, ახალი ელისავეტოპოლის ლუბერნატორი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

ისიდორ ნიკოლსკისადმი №1 (886) გვ.: 141-142.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 44r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, სამ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,9X24,2 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «23 Нояб: 1876.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Митрополиту Исидору.» / «Высокопреосвященный Владыко, Милостивый Архипастырь»

ადრესატის მისამართი: 1860 წლიდან ადრესატი იყო ნოვგოროდის, პეტერბურგისა და ფრნეთის მიტროპოლიტი. 1885 წელს აღინიშნა მისი პეტერბურგის მიტროპოლიტად მსახურების 25 წლისთავი. აღინიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, პეტერბურგში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 141,7. «**Митрополиту Исидору**» – წერილის ადრესატია მიტროპოლიტი ისიდორ (იაკობ) სერგეის ძე ნიკოლსკი.

გვ.: 141,14. «**бедному Сабинину**» – საუბარია მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინინზე.

გვ.: 141,18-19. «**избиваются безпощадно**» – საუბარია თურქეთის ომზე სერბიის, ჩერნოგორიის, ბოსნიისა და პერცოგოვინის წინააღმდეგ.

გვ.: 142,10-11. «**изданіе Исторіи Грузинской церкви**» – იგულისხმება საბინინის წიგნი.

პეტრე მორიცისადმი №1 (887) გვ.: 144-145.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), [44v.].

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, სამ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,9X24,2 სმ.; ნერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «23 Нояб: 1876.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Милост: Государь, Петр Алексеевич Мориц,»

ადრესატის მისამართი: «в Петербург.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქეეშ ხაზია გასმული; 2. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 144,5. «**Петр Алексеевич Мориц**» – ნერილის ადრესატია რუსი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე – პეტრე ალექსეის ძე მორიცი.

გვ.: 144,6. «**Г— Сабинин будет**» – საუბარია მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინიზე.

გვ.: 144,11. «**Славяне, борющиеся**» – საუბარია თურქეთის ომზე სერბიის, ჩერნოვორიის, ბოსნიისა და პერცოვოვინის წინააღმდეგ.

გვ.: 145,9. «**изданіе Исторії Грузинской церкви**» – იგულისხმება საბინინის წიგნი.

პლატონ პავლოვისადმი №2 (888) გვ. 147.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 165г (წითელი ფანქრით) / 19г (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 25,8Х 21,7 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «4^{го} Декабрь: 1876.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Платону Петровичу Павлову.»

ადრესატის მისამართი: პლატონ პავლოვი ამ პერიოდში კავკა-სიის არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, შესაბამისად, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი, სადაც აღნიშნული შტაბი იყო განთავსებული.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 147,5. «Платону Петровичу Павлову» – წერილის ადრესატია კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი – პლატონ პეტრეს ძე პავლოვი.

გვ.: 147,6. «Генералмайора Андрея Васильева» – იგულისხმება ანდრეი იაკობის ძე ვასილიევი, რომელმაც გენერალ-მაიორობა 1875 წელს მიიღო. როგორც ჩანს, პავლოვმა გრიგოლ ორბელიანის თხოვნა დააკმაყოფილა, რადგან ვასილიევი იმავე წელს ჩაირიცხა კავკასიის არმიაში.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №13 (889) გვ.: 148-149.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №510/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 18r-v, 19r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 21,6X14,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: „22^ს დეკემბერი 1876 თბილისით.“

ხელმოწერა: „მარადის შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი დაღესტანში, კერძოდ, ბოთლიხში, მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი. ტექსტის შინაარსიდანაც ირკვევა, რომ ნიკო ჭავჭავაძე სამსახურებრივ ადგილას იმყოფება. ავტორი მას სწერს: „შენს რეჩებსა და ქცევას გადურევია სიხარულითა მანდაური ჩინოვნიკობა.“

შენიშვნები: 1. „ჩემს ძმას“ ჩამატებულია ზემოდან. მის გვერდით გადაშლილია „ილიასთანა.“ ჩანს, რომ ავტორს ჯერ დაუწერია „მსახურებდა ჩემს ძმას ილიასთანა“, შემდეგ „მსახურებდა“ ზმნის წინ „ე“ ჩაუმატებია, თუმცა „ბ“-ს შემდეგ „ო“-ს დაწერა გამორჩენია; 2. ხელნაწერშია „კონნაა“; 3. სიტყვა ხაზგასმულია; 4. „ჩლენად ღოსუდარსტევნენის სოვეტისა“ ხაზგასმულია; 5. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: ნინამდებარე გამოცემა.

გვ.: „ყაზახელი მუსაალა“ – საუბარი უნდა იყოს მუსა ალა უსუფოვზე, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ამავე ადრესატისადმი სხვა წერილშიც ახსენებს.

გვ.: 148,13-14. „ჩემს ძმას... განჯის ნაჩალნიკობაშიაც“ – გრიგოლის უმცროსი ძმა – ილია ორბელიანი – იყო განჯის მაზრის უფროსი.

გვ.: 148,16. „გეგელის ჭილოსოჭია“ – იგულისხმება გერმანელი ფილოსოფისი ფრიდრიხ ჰეგელი.

გვ.: 148,26-27. „კონნა არტილლერიამ“ – იგულისხმება ცხენოსანთა არტილერია.

გვ.: 148,30. „კონჭერე(ნ)ციამ ძალიან გააჯანველა“ – საუბარია კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე, რომელიც 1876 წლის 23 დეკემბერს დაიწყო და 1877 წლის 20 იანვრამდე გაჭიანურდა.

გვ.: 149,2. „ბუხარის ემირის ელჩი“ – 1860-1885 წლებში ბუხარის ემირი იყო მირ-მუზაფარად-დინ ბაჰადურ ხანი, პეტერბურგში საელჩოს უფროსი კი – ემირის ცოლისძმა აბუ ალ-კასიმ-ბეი.

გვ.: 149,3. „ემირის პატარა შვილი“ – საუბარია ემირის ვაჟ სეიდ აბდ ალ-ფატას მირზაზე.

გვ.: 149,8-9. „ველიკის კნიაზსა“ – საუბარია მეფისნაც-ვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 149,13. „ვარინკას წიგნი“ – საუბარია ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ.: 149,16. «Дом Корсаннова» – სახლის მეპატრონის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 149,17. „ლევან უკეთ შეიქმნა“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 149,17-18. „კლუშინიც იბარგება“ – საუბარია სენატორ პავლე ნიკოლოზის ძე კლუშინზე.

გვ.: 149,28. „შენისა ახლის თანამდებობისა“ – ნიკო ჭავჭავაძე იმხანად ახალდანიშნული იყო ელიზავეტოპოლის (ამჟამინდელი განჯის) გუბერნატორად.

ალექსანდრე ოგოლინისადმი №1 (890) გვ. 150.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 49r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-

ლი, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 31,0X22,9 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «29 დეკაბ: 1876.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Александру Степановичу Оголину.»

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი კავკასიის ოლქის მთავარი სამმართველოს თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 150,2. «Александру Степановичу Оголину» – წერილის ადრესატია თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე – ალექსანდრე სტეფანეს ძე ოგოლინი.

გვ.: 150,11-12. «Душетскаго Мироваго Судью, Саванели» – საუბარია მომრიგებელ მოსამართლე ალექსანდრე ივანეს ძე სავანელზე.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №14 (891) გვ.: 151-153.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №511/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v / 20r-v.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 26,4X20,8 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში. | გვერდზე დაღვენთილია მელანი, რომელიც გადასულია || გვერდზე. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „30^ტ დეკემ: 1876. თბილისით“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მოსურნე თ გრი-
გოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო
ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ ნიკო
ჭავჭავაძე გუბერნატორად არის დანიშნული: „აბა, როგორ არ
გაქო, როგორ არა ვჰსთქუა, რომ შენისთანა ღუბერნატორი
არ იქნება არსადა!“ მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ამ
პერიოდში ის განჯის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა,
თუმცა თარიღად შეცდომით 1875 წელია მითითებული. რო-
გორც წინამდებარე წერილიდან ირკვევა, ნიკო ჭავჭავაძემ
აღნიშნული თანამდებობა 1876 წლის ბოლოს ჩაიბარა. მართა-
ლია, ავტორი მას სწერს: „ჯერ არცყი მისულხარ და მეყი მა-
შინვე მომიკითხე დურაჯებითა!“ მაგრამ, როგორც ჩანს, ამ
სიტყვებს ის არაპირდაპირი მნიშვნელობით ეუბნება, მისი ყუ-
რადლებით განებივრებული. რეალურად კი ის უკვე განჯაში
უნდა იყოს, რასაც ადასტურებს ავტორის სიტყვები: „როცა
მოიცალო, უნდა დაწვრილებით აღმინერო შენი მანდ ყოფნა
და ცხოვრება.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგ-
ზავნილი უნდა იყოს **განჯაში**.

შენიშვნები: 1. ამ ადგილას მელანია დაღვენთილი და კვადრა-
ტულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები არ ჩანს; 2. თავადი;
3. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 151,23. „კნ: მირსკი აპბობს“ – იგულისხმება დიმიტ-
რი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 152,6. „ვორონცოვსა“ – საუბარია ყოფილ მეფის-
ნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ.: 152,27. „გვიჭირავს სტამბოლისაკენ“ – კონსტანტი-
ნეპოლში (სტამბოლში) 1876 წლის 23 დეკემბრიდან 1877
წლის 20 იანვრამდე გაგრძელდა კონფერენცია, რომელსაც
უნდა გადაეწყვიტა მსოფლიოში ომისა და მშვიდობის საკით-
ხი.

გვ.: 152,29. „ველიკი კნიაზი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის ძმაზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 152,31. „ელენას ასტაჭიევისას მოუკუდა შვილი“ – საუბარია ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე.

გვ.: 152,31-33. „ყაფლან... ეკატერინასთან დღესასწაულების იქ გასატარებლად“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, ასლანის, შვილებზე – ყაფლან ორბელიანსა და ეკატერინე ორბელიანერისთავისაზე, და, რამდენადაც წერილი დეკემბრის ბოლოს არის დაწერილი, შობისა და ახალი წლის დღესასწაულებზე.

1877

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №15 (892) გვ.: 154-155.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №506/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 21r-v, 22r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 21,6X14,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაუდენთილია ფურცელში.

თარიღი და ადგილი: „^{3^კ} იანვ: 1877, თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მსურველი თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, საყუარელო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ამავე ადრესატისადმი 1876 წლის 30 დეკემბერს გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ იგი განჯის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. წინამდებარე წერილიდან კი ჩანს, რომ ნიკო თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს. ალნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი განჯაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 3. „ფანალა ვექილოვი“ ხაზგასმულია; 4-6. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 7. ამის შემდეგ შედარებით მუქად წერია „არის“, მაგრამ ავტორს ასევე უწერია „თეატრია.“ როგორც ჩანს, მას „არის“ ზმნის წაშლა დაავიწყდა; 8. სიტყვა ხაზგასმულია; 9. ღმერთი; 10. თავადი; 11. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 154,3. „მოგართმევს იბრაიმოლლი“ – პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 154,5-6. „ისრამბილბეგის ნათესავია“ – სავარაუდოდ, საუბარია ისრაფილ-ბეგ ედიგაროვზე.

გვ.: 154,9. „ფანალა ვექილოვი“ – პირის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 154,12-13. „გადაწყდეს სტამბოლში“ – კონსტანტინეპოლში (სტამბოლში) 1876 წლის 23 დეკემბრიდან 1877 წლის 20 იანვრამდე გაგრძელდა კონფერენცია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მსოფლიოში ომისა და მშვიდობის საკითხი.

გვ.: 154,14-15. „სალისბური მიართმევს“ – საუბარია დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ მოღვაწეზე – რობერტ არტურ სალუსბერიზე.

გვ.: 154,20. „ველიკი კნიაზი ნიკოლაი“ – საუბარია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 154,22-23. „ლლავნოკომანდუუშჩიმ დუნაისკის არმიისა, კუუჭმანი“ – 1878 წლის 2 აპრილამდე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი თავად რჩებოდა ამ თანამდებობაზე, მაგრამ, სავარაუდოდ, მის შემცვლელად მოიაზრებდნენ გენერალ კონსტანტინე პეტრეს ძე ფონ კაუფმანს.

გვ.: 154,24-25. „კუტუზოვები და რუმიანცოვები სულ კუუჭმანები იყუნენ“ – განზოგადოებულია ცნობილი რუსი სარდლების: პეტრე ალექსანდრეს ძე რუმიანცევის, მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვისა და კონსტანტინე პეტრეს ძე კაუფმანის გვარები.

გვ.: 154,27. „თეატრია, ქოროლლი“ – საუბარი უნდა იყოს ზურაბ ანტონოვის ოთხმოქმედებიან ტრაგედიაზე – „ქოროლ-ლი.“

მაქსიმილიან ოსტენ-საკენისადმი №1 (893) გვ.: 155-156.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ქველი №174), ორმაგი პაგინაციით: 168r (ნითელი ფანქრით) / 22r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 32,7X21,8 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. II გვერდის ზედა მხარეს, შუაში, შავი მელნით წერია «В Тифлис», რომელიც გადახაზულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «7^{го} Генв: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Барону Максимилиану Александ: Остен Сакену. Тифл: Губернатору»

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი თბილისის გუბერნატორი იყო და წერილიც, შესაბამისად, თბილისში უნდა იყოს გავზავნილი.

შენიშვნები: 1. თარიღის ქვეშ ხაზია გასმული; 2. დასახელებული პიროვნებების სახელისა და გვარის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 155,6. «**Максимилиану Александ: Остен Сакену**» – წერილის ადრესატია თბილისის იმჟამინდელი გუბერნატორი – მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენი.

გვ.: 155,9. «**Его Высо^{въ}»** – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 155,10-11. «**Нино Чарквіани и Николае Дрогине...**

Мирза Баба» – პატიმრების: ნინო ჩარკვიანისა და ნიკოლაი

დროგინის (იმავე მირზა ბაბას) შესახებ დამატებითი ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

გვ.: 155,22. «**великодушным Монархом**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 156, 1-9. «**Князь Илью Палавандова... отца... дяди... другаго дяди**» – პირთა შესახებ დამატებითი ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

გვ.: 156,16. «**от имени Комитета**» – იგულისხმება თბილისის სასჯელალსრულების დაწესებულებათა ზედამხედველობის კომიტეტი.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №73 (894) გვ.: 158-159.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №165/№58, 12r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 35,3X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. III გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში ქართულად აწერია: „გა-დანერე მარტო ეს გვერდი.“ ამავე გვერდის მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზია ჩამოსმული; IV გვერდის დაბლა მარჯვენა კუთხეში უკუღმა რუსულად აწერია: «Милост: Гос.» || (12v) გვერდზე წინამდებარე წერილს მოჰყვება 1877 წლის 18 იანვრის წერილი პლატონ პავლოვისადმი, 13r გვერდზე განთავსებულია 1877 წლის 26 იანვრის წერილი ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი, ხოლო 13v გვერდზე – 1877 წლის 8 თებერვლის წერილი მარიამ ორბელიანისადმი. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარილი და ადგილი: «Тифлис 12 Генв: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Варваре Ильинишне К^{нс} Орбел:» / «мой друг варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Петерб.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 158,14. «**ты и Георгий**» – საუბარია ადრესატსა და მის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 158,22. «**Клужин ненахвалиться**» – საუბარია იმხანად კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსზე, სენატორ პავლე ნიკოლოზის ძე კლუშინზე

გვ.: 158,26. «**Бар: Алекс: Павловича**» – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროს ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 158,28-29. «**Софія, жено Ивана Орб:**» – იგულის-ხმება გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე – სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა.

გვ.: 159,10. «**красивая Настинька**» – საუბარია ადრესატის დისნულზე – ანასტასია (ნასტენკა) დავითის ასულ ჭავჭავაძეზე. შემდგომში ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკ ნიკოლოზ (კიკო) ზაალის ძე ჩოლოყაშვილს.

გვ.: 159,11. «**У Бедной Елены Астафьевой умер ребёнок**» – საუბარია ადრესატის დისნულზე – ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე.

გვ.: 159,11-12. «**Саломэ и Тамара с их прекрасными детьми**» – საუბარია სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძესა და მის ქალიშვილებზე – ანა და სოფიო ოსტენ-საკენებზე, თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძესა და მის ქალიშვილებზე – ელისა-ბედ და ეკატერინე ბაგრატიონებზე.

გვ.: 159,12-13. «**Мирские, у которых поселилась Майко**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირ-სკის ოჯახსა და მათ ქალიშვილ მარიამზე, რომელიც გათხო-

ვილი იყო იგანე მამუკას ძე ორბელიანზე და იმხანად ჰყავდა 4 წლის ვაჟი – მამუკა (მაკარ) იგანეს ძე ორბელიანი.

გვ.: 159,13. «**Опочинины здоровы»** – იგულისხმება ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანისა და გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახი.

გვ.: 159,18-19. «**Многие из Молокан записались добровольно и на свой счет в Санитары**» – იგულისხმება მოლოკანები – ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმართულების მიმდევრები, რომელთაც საკუთარი ტრადიციები და ადათ-წესები ჰქონდათ. სახელნოდება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია მართლმადიდებლური მარხვის დროს მათ მიერ რძის გამოყენებასთან.

პლატონ პავლოვისადმი №3 (895) გვ. 161.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №165/№58, 12v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 35,3X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. III გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში ქართულად წერია: „გადაწერე მარტო ეს გვერდი.“ ამავე გვერდის მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზია ჩამოსმული; IV გვერდის დაბლა მარჯვენა კუთხეში უკულმა რუსულად წერია: «Милост: Гос.» | (12r) გვერდსა და 12v გვერდის ზედა ნაწილში განთავსებულია 1877 წლის 12 იანვრის წერილი ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი, წინამდებარე წერილს 13r გვერდზე მოჰყვება 1877 წლის 26 იანვრის წერილი ასევე ბარბარესადმი, ხოლო 13v გვერდზე – 1877 წლის 8 თებერვლის წერილი მარიამ ორბელიანისადმი. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «18 Генв: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Платону Петровичу Павлову. Нач: Окр: Шта: К: Армії»

ადრესატის მისამართი: პლატონ პავლოვი ამ პერიოდში კავკა-სიის არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, შესაბამისად, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი, სადაც აღნიშნული შტაბი იყო განთავსებული.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: ნინამდებარე გამოცემა.

გვ.: 161,10. «**Платону Петровичу Павлову**» – წერილის ადრესატია კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი – პლატონ პეტრეს ძე პავლოვი.

გვ.: 161,13. «**Полков: Генер: Штаба Бутурлина**» – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი სერგეის ძე ბუტურლინზე.

გვ.: 161,26-27. «**Его Высоч:ом Главноком: Кав: Армією**» – კავკასიის არმიის მთავარსარდალი იმხანად იყო მეფის-ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

ნესტორ წერეთლისადმი №1 (896) გვ.: 162-164.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515° (ძველი №175), 50r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი ნარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „21 იან: 1877.“

ხელმოწერა: „...ნუ დამივიწყებ მარადის ერთგულსა და შენის ბედნიერების მსურველსა თ გრიგოლ(სა)“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „კნ: ნესტორს წერეთელს“ / „ჩემო გულით საყუარელო ნესტორი!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი, წარმომავლობით ქუთაისე-ლი თავადი, 1861-1867 და 1877-1883 წლებში ქუთაისის გუ-ბერნიის თავად-აზნაურობის წინამდლოლი (მარშალი) იყო. სა-ვარაუდოდ, წერილი ქუთაისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. ღმერთსა; 3. თავადს.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გა-მოქვეყნებულია წერილის პირველი აბზაცის ფრაგმენტი („გი-ორგი იყო... მისი ადგილი დაცარიელდა ჩუმნთვს, თითქმის სამარადისოდ“): მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 138-139.

გვ.: 162,22. „საყუარელო ნესტორი“ – წერილის ადრესა-ტია ნესტორ გიორგის ძე წერეთელი.

გვ.: 162,25. „გიორგის მუხრანსკისა“ – იგულისხმება გი-ორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

გვ.: 163,1-2. „არა ჰსჯეროდათ მრავალთა“ – გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი იყო ავტორი რუსულ ენაზე გამოქვეყ-ნებული ყბადაღებული წიგნისა – „ნაციონალური ინდივიდუა-ლობის არსისა და მსხვილი ეროვნული ერთეულების განმა-ნათლებლური მნიშვნელობის შესახებ“, რომელშიც დიდი ერე-ბის მიერ პატარების შთანთქმა ნორმალურ მოვლენად იყო დასახული და ამ წიგნის გამო ავტორი ძალიან გააკრიტიკეს თერგდალეულებმა.

გვ.: 163,11-12. „კონჭერენციამ იყბედა“ – საუბარია კონ-სტანტინეპოლის კონჭერენციაზე, რომელიც 1877 წლის 20 იანვარს დასრულდა.

გვ.: 163,16. „თქუმშნებენ“ – რამდენადაც ადრესატი ქუ-თაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლი იყო, აქ ქუთაისის მიმართულება უნდა იგულისხმებოდეს.

გვ.: 163,18. „ველიკი კნიაზი“ – საუბარია მიხეილ ნიკო-ლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 163,21. „დას პელაგიას“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე – პელაგია ქაიხოსროს ასული გურიელი-წერეთლისა.

გვ.: 163,24-25. „სალომეს... ქმრითა და... შვილებითა“ – საუბარია სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე, აშილ, ლუსიენ და ნაპოლეონ მიურატებზე.

გვ.: 163,25. „ეკატერინა დამშვიდება“ – იგულისხმება ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანისა.

გვ.: 163,27. „დიმიტრი გურიელი და ლევან“ – საუბარია დიმიტრი ქაიხოსროს ძე და ლევან დავითის ძე გურიელებზე.

გვ.: 164,2. „პეტრე კოპიაშვილი“ – სხვა წერილებში გრი-გოლ ორბელიანი ამ პირს „კოპეიშვილად“ მოიხსენიებს.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №74 (897) გვ.: 164-165.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №165/№58, 13r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ორად გადაკეცილი ქა-ლალდი; ზომა: 35,3X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. III გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში ქართულად წერია: „გა-დანერე მარტო ეს გვერდი.“ ამავე გვერდის მარცხენა არშია-ზე შავი ფანჯრით ხაზია ჩამოსმული; IV გვერდის დაბლა მარ-ჯვენა კუთხეში უკულმა რუსულად წერია: «Милост: Гос.» | (12r) გვერდსა და 12v გვერდის ზედა ნაწილში განთავსებუ-ლია 1877 წლის 12 იანვრის წერილი ბარბარე ბაგრატიონ-ორ-ბელიანისადმი, რომელსაც 12v გვერდზე მოჰყვება 1877 წლის 18 იანვრის წერილი პლატონ პავლოვისადმი, ხოლო 13v გვერდზე დაწერილია 1877 წლის 8 თებერვლის წერილი მა-რიამ ორბელიანისადმი. ხელნაწერი რესტავრირებულია. ნარ-მოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «26^{го} გენვ: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Варваре Ильинишне
Орбе:»

ადრესატის მისამართი: «В Петерб:»

შენიშვნები: 1-2. ორივე სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გა-
მოქვეყნებულია წერილის პირველი აბზაცის ნახევარი («за его
чистую душу, за светлый ум»-мдэ): მეუნარგია, ი. (1905).
ცხოვრება და ლვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭ-
დილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც.
ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 137-138.

გვ.: 164,8. **«Вел: ॥ Къ сообщил»** – იგულისხმება მეფის-
ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 164,9. **«Георгія Мухранского»** – საუბარია გიორგი
კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 164,12-13. **«Трубецкому, отнего к Григ. Дадіани»** –
საუბარია სოფიო ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელის მე-
უღლებზე – სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოიზე და გრიგოლ
ლევანის ძე დადიანზე.

გვ.: 164,13-14. **«Паша Витгенштейн»** – იგულისხმება
პელაგია (პაშა) ალექსანდრეს ასული დადიანი-ვიტგენშტეინი-
სა.

გვ.: 164,14. **«поспешил к Ивану Мухр:»** – საუბარია
ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 165,1-2. **«Саломе Миорад с мужем и... сыновьями»** –
საუბარია სალომე დავითის ასულ დადიანზე, აშილ, ლუსიებ
და ნაპოლეონ მიურატებზე.

გვ.: 165,3. **«Екатерина вполне успокоится»** – იგულის-
ხმება ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანისა.

გვ.: 165,4-5. **«Александр Николаевич Карамзин с боль-
никою женою»** – საუბარი უნდა იყოს ალექსანდრე ნიკოლოზის
ძე კარამზინზე, რომელიც საკუთარ ლექსებს აქვეყნებდა იმ-

დროინდელ უურნალებში, და მის მეუღლეზე – ნატალია ვასი-ლის ასულ ობოლენსკაია-კარამზინისაზე.

გვ.: 165,5-6. «Шаховские наднях выезжают» – უნდა იგულისხმებოდეს ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკის ოჯახი.

გვ.: 165,7. «приглашены к Опочинину» – საუბარია ალექსეი პეტრეს ძე ობოჩინინის ოჯახზე.

გვ.: 165,12-14. «от Княжны Маико Орбел:, дочери Александра... бабушки Сомовой» – საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის ქალიშვილ მარიამზე და მის გამზრდელ ბებიაზე – მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვისაზე.

გვ.: 165,19. «К: Михаил Мухранский» – საუბარია მიხეილ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

მარიამ ორბელიანისადმი №1 (898) გვ. 167.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №165/№58, 13v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 35,3X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.
III გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში ქართულად წერია: „გადაწერე მარტო ეს გვერდი.“ ამავე გვერდის მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზია ჩამოსმული; IV გვერდის დაბლა მარჯვენა კუთხეში უკულმა რუსულად წერია: «Милюст: Гос.» | (12r) გვერდსა და 12v გვერდის ზედა ნაწილში განთავსებულია 1877 წლის 12 იანვრის წერილი ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი, რომელსაც 12v გვერდზე მოჰყვება 1877 წლის 18 იანვრის წერილი პლატონ პავლოვისადმი, ხოლო 13r გვერდზე დაწერილია 1877 წლის 26 იანვრის წერილი ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი. ხელნაწერი რესტავრირებულია. ნარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «8^{го} Фев: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Княжне Мариі Александровне Орбел:» / «Моя милая, дорогая Тетушка Маня!»

ადრესატის მისამართი: «В Харьков»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 167,7. «**Тетушка Маня**» – წერილის ადრესატია გრიგოლის ნათესავის, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის, ქალიშვილი – მარიამ ალექსანდრეს ასული ორბელიანი, რომელსაც მამა ადრე დაეღუპა და დედის დედა, მარია პავლეს ასული შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვისა, ზრდიდა. როგორც ჩანს, გრიგოლი ადრესატს მოფერებით „მანიას“ ეძახდა.

გვ.: 167,20. «**Княжни Анастасія и Елена здоровы**» – საუბარია ადრესატის მამიდაზე – ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე და მის შვილობილზე – ელენე იაკობის ასულ ერისთავ-თარხან-მოურავისაზე.

გვ.: 167,23. «**Бабушка, Марія Павловна**» – საუბარია მარია პავლეს ასულ შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვისაზე.

გვ.: 167,27. «**Симону кланяюсь**» – გვარი მითითებული არ არის და პირის ვინაობა გაურკვეველია.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №16 (899) გვ.: 168-171.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515° (ძველი №175), 51r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია; წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „17 თებერ: 1877.“ / / „19^υ თებერ:“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ნიკო ჭავჭავაძე!“ / „ჩემო საყუარელო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: „ელისავეტოპოლს.“

შენიშვნები: 1. წლისა და სახელის ქვეშ ხაზია გასმული; 2. ლვთის; 3. სიტყვა ხაზგასმულია; 4. რომელნიც; 5. „ვოსტოჩნის ვაპროსი“ ხაზგასმულია; 6. ავტორს ბრჭყალები არა აქვს გახსნილი; 7. სიტყვა ხაზგასმულია; 8. ლვთის; 9. ლმერთი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის მეორე აბზაცის ფრაგმენტი („ბევრი დრო გაივლის... მაგისთანა ერთი კიდევ გიორგი“) და მეექვსე აბზაცის ფრაგმენტი: „წესისაებრ ჯარები ემზადებიან... ოსტატსა და შაგირდს შუ[ა]:“ მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბედან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 138; 122.

გვ.: 169,5-6. „გიორგი მუხრანისკი“ – იგულისხმება გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

გვ.: 169,6. „დედა-სობოროში“ – იგულისხმება სვეტიცხოვლის ტაძარი.

გვ.: 169,7-8. „ველიკი კნია:“ – იგულისხმება მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 169,15-16. „დაბრმაებულთა მიაჩნდათ“ – გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი იყო ავტორი რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ყბადაღებული წიგნისა – „ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი ეროვნული ერთეულების განმანათლებლური მნიშვნელობის შესახებ“, რომელშიც დიდი ერების მიერ პატარების შთანთქმა ნორმალურ მოვლენად იყო დასახული და ამ წიგნის გამო ავტორი ძალიან გააკრიტიკეს თერგდაღეულებმა.

გვ.: 169,22-23. „იმპერ: ნიკოლოზისათვს“ – 18 თებერვალი (1855) იმპერატორ ნიკოლოზ I-ის გარდაცვალების დღეა.

გვ.: 169,24. „ანინდელის იმპერატორისა“ – ალექსანდრე II-ის ტახტზე ასვლა ოფიციალურად 19 თებერვალს აღინიშნებოდა.

გვ.: 169-170. „ლორის მელიქოვი და იოსებ თარხანოვი, ოლობობუიო, ტერლუქაზოვი, დეველ, ზაქ: ჭავჭა: ორნი ძმანი კამა-როვები, ყაზიბეგ“ – საუბარია მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე, იოსებ დავითის ძე თარხნიშვილზე, ივანე დიმიტ-რის ძე ოკლობუიოზე, არზას არტემის ძე ტერლუკასოვზე, თეოდორ დანიელის ძე დეველზე, ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძესა და გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგზე. რაც შეეხე-ბა კომაროვებს, იყო ოთხი ძმა, ოთხივე გენერალი: კონსტან-ტინე, ალექსანდრე, ბესარიონ და დიმიტრი კონსტანტინეს ძე კომაროვები, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ძნელი სათქმე-ლია, მათგან რომელი ორი იგულისხმება.

გვ.: 170,9. „შურიდამ კნეინას მელიქოვისას“ – საუბარია ლევან მელიქიშვილის მეუღლეზე – ალექსანდრა (ანა) მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილისაზე.

გვ.: 170,11-12. „ლევანის ქალის ქორწილსა და ზაქარია ერისთავისა“ – საუბარია სოფიო ლევანის ასულ მელიქიშვი-ლისა და ზაქარია გიორგის ძე ერისთავის ქორწინებაზე.

გვ.: 170,16-17. „სლავიანები... ურიგდებიან სულთანსა“ – ამ მოლაპარაკებამდე ომი მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, თურქეთსა და, მეორე მხრივ, სერბიას, ჩერნოვორიას, ბოსნი-ასა და ჰერცოგოვინას შორის.

გვ.: 170,26-27. „შეიხულისლამები“ – იგულისხმება ის-ლამის რელიგიურ საკითხებში ყველაზე განსწავლული პირები.

გვ.: 171,2. „ბულატოვსაც ასე აქებდა“ – საუბარია ელი-ზავეტოპოლის ყოფილ გუბერნატორ ფოკიონ ევსტათის ძე ბულატოვზე.

გვ.: 171,12. „ამიროვს, რომ მივიდეთ აპარინინისას“ – სა-უბარია სტეფანე ამიროვსა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინი-ზე.

გვ.: 171,15. „ყაფლანის სიდედრი“ – საუბარია ელენე გი-ორგის ასულ ბარათაშვილზე.

იოსებ სერაფიმოვიჩისადმი №1 (900) გვ.: 171-172.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 52r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 33,4X23,5 სმ.; ნერილი შესრულებულია შავი ფანქრით. მარჯვენა მხარეს, თარიღის გვერდით, მნვანე ფანქრით ნერია: „Х.“ ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს. არის გადახაზული და ჩამატებული სიტყვები.

თარიღი და ადგილი: «8 Марта 1877 г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «М: Г: Иосиф Мартынович Серафимович»

ადრესატის მისამართი: «В Закаталы.»

შენიშვნები: 1. თარიღი ხაზგასმულია; 2. სახელი და გვარი ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 171,17. «**Иосиф Мартынович Серафимович**» – წერილის ადრესატია ზაქათალის ოლქის უფროსი – იოსებ მარტინის ძე სერაფიმოვიჩი.

გვ.: 171,20-21. «**о Ротмистре Али Кеслерухском**» – წყაროში პირის გვარი ორჯერ წერია და ორივეჯერ შეცდომით. საუბარია ალი-ჰუსეინ-ოღლი კეისერუსკიზე, რომელიც 1863 წელს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ჯვრით.

გვ.: 171,23-24. «**вілянієм Шамиля**» – საუბარია ჩეჩენეთ-დაღესტნის ყოფილ იმამზე.

გვ.: 172,12-13. «**убійства Кя Шаликова**» – საუბარია 1860-1863 წლებში ზემო დაღესტნის ჯარების უფროს სვიმონ იოსების ძე შალიკაშვილზე, რომელიც მურთუზ ჰაჯიმ და აჯანყებულმა ბელაქნელებმა მოკლეს 1863 წელს.

ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიასადმი №2 (901) გვ.: 174-175.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №145/№67, 1r.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალალდი; ზომა: 34,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «21 Марта 1877 г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Моя Царица Тетушка, Княжна Ольга.»

ადრესატის მისამართი: «в Москву»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 174,11. «**Княжна Ольга**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილიას, ცოლისდა – ოლღა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია.

გვ.: 174,12. «**Бутурлин нетолько переведен**» – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი სერგეის ძე ბუტურლინზე.

გვ.: 175,3-4. «**только Корганов**» – შესაძლოა, იგულისხმებოდეს სტეფანე სიმონის ძე ყორლანაშვილი, რომელიც 1874 წლიდან მსახურობდა კავკასიის არმიაში.

გვ.: 175,10. «**вашей Сестры, Александры**» – იგულისხმება ადრესატის და – ალექსანდრა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია.

გვ.: 175,17. «**Ея Светлости Царевне**» – იგულისხმება ადრესატის დედა – ანასტასია გრიგოლის ასული ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისა.

გვ.: 175,18-19. «**вашей Сестре, Гаяне**» – იგულისხმება ადრესატის და – გაიანე ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია.

გვ.: 175,21. «**тогдашний Коля**» – იგულისხმება ადრესატის ძმა – ნიკოლოზ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №17 (902) გვ.: 177-178.

თეთრი პირის ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი,
№512/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r-v /
23r-v, 24r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, სამუალო ფორმატის, ორად გადაკეცილი,
ალაგ-ალაგ მელნით დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 21X13,3
სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: „5^ა აპრილსა 1877.“

ხელმოწერა: „შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო
ნიკო!“

შავი პირის ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე
№7515° (ძველი №175), 52r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუა-
ლო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხე-
ული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრუ-
ლებულია შავი ფანჯრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა არ-
შიაზე შავი ფანჯრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული.

თარიღი და ადგილი: „5^ა აპრილსა 1877“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო
ნიკო!“

ადრესატის მისამართი: „ელისავეტოპოლს“ (შავი პირის მონა-
ცემი).

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. ლმერთო; 3. ლმერთი;
4. ფორმა შავი პირიდან გვაქვს ალებული. თეთრში წერია „გა-
ურარხამდის.“

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გა-
მოქვეყნებულია წერილის მესამე და მეოთხე აბზაცები:: მეუ-
ნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბე-
ლიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა,
წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 121.

გვ.: 177,5. „გიორგი საჩქაროდ ითხოვს“ – იგულისხმება გრიგოლის ძმისწული – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 177,13-14. „გრიგოლ მუხრან–ბატონის ცოლი, დიდის ქაიხოსროს წერეთლის ასული“ – საუბარია გრიგოლ (გიორგი) იოანეს ძე ბაგრატიონ–მუხრანელის ქვრივზე – მარიამ ქაიხოსროს ასულ წერეთელ–ბაგრატიონ–მუხრანელისაზე.

გვ.: 178,12. „ველიკის კნიაზსა“ – საუბარია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 178,22. „დემურჩასალიდამ გაურახამდის“ – დემურჩასალი და გაურახი ბორჩალოს მაზრის სოფლები იყო.

გვ.: 178,25-26. „გალიცინი, ჭლიგელადუტანტი, ყმანვილი შტაბროტმისტრი“ – დიმიტრი გოლიცინთაგან, 1876 წლიდან 1877 წლის 7 ოქტომბრამდე ფლიგელადიუტანტი და როტმისტრი იყო დიმიტრი ბორისის ძე გოლიცინი.

ნიკოლოზ კარმალინისადმი №1 (903) გვ.: 179-181.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 55r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 35,2X22,1 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის ზედა მარჯვენა კიდესთან წითელი ფანქრით, გაკრული ხელით ერთი სიტყვაა მიწერილი. ამავე გვერდზე მეცხრე აბზაცს წითელი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; II გვერდზე მეორე აბზაცი მარცხენა კიდიდან წითელი და შავი ფანქრით არის მონიშნული, ხოლო ბოლო აბზაცი შავი და წითელი ფანქრით მთლიანად არის მონიშნული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «20^{го} Апр: 1877 г.»

ხელმოწერა: «Ваш всегда и всюду преданный К...»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Николаю Николаевичу Кармалину.»

ადრესატის მისამართი: «В Екатеринодар.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2-24. ანთროპონიმები (სრულად), ტოპონიმები და ასევე სხვა მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 25. მრავალწერტილები ავტორისაა; 26. ავტორს ხელმონერა არა აქვს დამთავრებული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის II ნაწილის პირველი აბზაცი: მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 121-122.

გვ.: 179,1. «**Николаю Николаевичу Кармалину**» – წერილის ადრესატია ერევნის იმუამინდელი გუბერნატორი – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კარმალინი.

გვ.: 179,6. «**Кубанского войска Крюков**» – საუბარია პროკოფი ილიას ძე კრიუკოვზე.

გვ.: 179,13. «**Адагум^{ოშ}**» – საუბარია კრასნოდარის მხარის სოფელზე.

გვ.: 179,26. «**Атаман Генерал Хрещетицкий**» – საუბარი უნდა იყოს როსტისლავ ალექსანდრეს ძე ხრეშჩატიცკიზე, რომლის მეთაურობითაც დონის კაზაკთა მე-12 პოლკი აქტიურად იბრძოდა რუსეთ-თურქეთის ომში.

გვ.: 180,14. «**Оглобжю, подороге**» – საუბარია ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე.

გვ.: 180,15. «**Мухаэстати**» – სოფელია ამუამინდელ აჭარის ავტონომიურ ლექში.

გვ.: 180,15. «**Генерал Девель**» – საუბარია თეოდორ დანიელის ძე დეველზე.

გვ.: 180,16. «**у Ардагана... до Займа**» – სოფელი ზაიმი მდებარეობდა ალექსანდროპოლიდან (გიუმრიდან) ყარსისკენ მიმავალ შემოვლით გზაზე.

გვ.: 180,17. «**Полков: Комаров занял Аджарскую деревню Дгвини**» – ძმები კომაროვებიდან 1877 წელს პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა და რუსეთ-თურქეთის ომში იბრძოდა ალექსანდრე ბესარიონის ძე კომაროვი, რომელმაც დაიკავა სოფელი დღვინი.

გვ.: 180,19-20. «**Лорис Меликов... у Суботина**» – საუბარია მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვსა და ბათუმიდან ყარსისკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფელ სუბოტინოზე.

გვ.: 180,21. «**в новом Шурагельском Санджаке**» – შურაგელის სანჯაყი მდებარეობდა არაგაცის მთის ძირას.

გვ.: 180,22. «**К:³ Захарій Чавчав:⁶**» – იგულისხმება ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 180,23-24. «**Мухтара Паши**» – საუბარია ოსმალეთის იმპერიის დიდ ვეზირსა და სარდალ ახმედ მუხთარ-ფაშაზე.

გვ.: 180,24-25. «**Тергукасов занял без боя Гор: Баязет**» – საუბარია არზას არტემის ძე ტერლუკასოვზე და თურქეთის ქალაქ ბაიაზეთზე.

გვ.: 181,3. «**К:^{3b} Джорджадзе здоров**» – საუბარია დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

გვ.: 181,3-4. «**Исаак здоров**» – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 181,4. «**Фисун здоров**» – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ალექსანდრე ალექსეის ძე ფისუნი.

გვ.: 181,4. «**К:^{3b} Ираклій**» – იგულისხმება ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი.

გვ.: 181,6. «**в Персии Франклин**» – საუბარია ვიქტორ ანტონის ძე ფრანკლინზე, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს თეირანში იყო მივლენილი საგანგებო დავალებით.

გვ.: 181,7. «из Шуры К^я Меликова» – საუბარია ლევან მელიქიშვილის მეუღლეზე – ალექსანდრა (ანა) მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილისაზე.

გვ.: 181,8. «дочь с Захарием Эристовым» – საუბარია ლევან მელიქიშვილის ქალიშვილ სოფიოსა და ზაქარია გიორგის ძე ერისთავის ქორწინებაზე.

გვ.: 181,8-9. «у Опочининых козыряем» – იგულისხმება ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახი.

გვ.: 181,18-20. «Бутурлин... Светлейший Голицын, Граф Орлов-Денисов» – საუბარია დიმიტრი სერგეის ძე ბუტურლინზე, დიმიტრი ბორისის ძე გოლიცინსა და პეტრე მიხეილის ძე ორლოვ-დენინისვზე.

გვ.: 181,22. «Любовь Ивановне» – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ლიუბოვ ივანეს ასულ ბელენიცინა-კარმალინისაზე.

გვ.: 181,24. «убежденію Мицкевича» – სავარაუდოდ, იგულისხმება პოლონელი პოეტის, ადამ მიცკევიჩის, ნააზრევი.

ივანე ოკლობუიოსადმი №1 (904) გვ.: 185-186.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 56r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,2X24,5 სმ.; ნერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ქვედა მარჯვენა კიდეზე ლურჯი მელნის ნალვენთია, რომელიც || გვერდზეა გადასული. ხელნაწერი რესტავრირებულია. ნარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «Тифлис 9^{го} Мая 1877 г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Оглобжіо.» / «...мой друг и брат, Иван Дмитриевич!»

ადრესატის მისამართი: «возургеты.»

შენიშვნები: სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული მთელ სიგრძეზე. პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 185,2. **«Иван Дмитриевич»** – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილის, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის, ქმარი – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიო.

გვ.: 185,6. **«Туземного населения»** – სავარაუდოდ, იგულისხმება იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლები.

გვ.: 185,9. **«Государь Император»** – იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II.

გვ.: 185,10. **«Его Высо:^{въ}»** – იგულისხმება მეფისნაცვალი მიერილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 185,14. **«Султан с великою»** – იგულისხმება ოსმალეთის სულთანი აბდულ ჰამიდი.

გვ.: 185,18-19. **«Тергумасов... Е(в)фрат»** – საუბარია გენერალ არზას არტემის ძე ტერგუმასოვზე, რომელმაც აიღო ბაიაზეთი, გადაადგილდებოდა არზრუმის მიმართულებით და უხდებოდა მდინარე ევფრატის ნაპირებზე გავლა.

გვ.: 185,20. **«Князь Мирский»** – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 185,21. **«за помощь Кравченко»** – საუბარია გენერალ ჰავლე ჰავლეს ძე კრავჩენკოზე.

გვ.: 185,24. **«В^и К^ъ Константин»** – საუბარია კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 186,2. **«Сосико, кажется»** – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 186,6. «Графиня Алопеус» – იგულისხმება ბარონე-სა ალექსანდრა პეტრეს ასული ფრედერიქს-ალოპეუსისა – რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინა.

გვ.: 186,9. «Тасо, Эличка, Ниночка» – საუბარია გრი-გოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსა და მის ქალიშვილებზე – ნი-ნოსა და ელენეზე.

გვ.: 186,10. «Софій Левановны Меликовой с Захаріем Еристовим» – საუბარია ლევან მელიქიშვილის ქალიშვილ სოფიოსა და ზაქარია გიორგის ძე ერისთავის ქორწინებაზე.

გვ.: 186,13-14. «Амиров, Реваз, Аргут:, Мюльфельдъ» – სავარაუდოდ, საუბარია სტეფანე ამიროვზე, რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე, ნიკოლოზ ვასილის ძე არღუთინსკი-დოლ-გორუკოვსა და სერგეი კარლის ძე მიულფელდზე.

გვ.: 186,26-27. «Екатерина Николаевна Карцова пріез-жает сюда с дочерью» – იგულისხმება გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვის ქვრივი, ეკატერინე ნიკო-ლოზის ასული პუშჩინა-კარცოვისა, და ქალიშვილი – ოლღა ალექსანდრეს ასული კარცოვა.

პლატონ პავლოვისადმი №4 (905) გვ.: 188-189.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №411/№65.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, არასტანდარტული ფორმის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 22X17 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან). შესრულებულია შავი ფან-ქრით. ხელნაწერის ზედა მხარე მოცვეთილია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «17^{го} мая 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Платону Петровичу Пав-лову. Началь: Штаба Кав: Армії.»

ადრესატის მისამართი: პლატონ პავლოვი ამ პერიოდში კავკა-
სის არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა
და წერილიც, შესაბამისად, თბილისში უნდა იყოს გაგზავნი-
ლი, სადაც აღნიშნული შტაბი იყო განთავსებული.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 188,30. «**о Генерал-Maiore Васильеве**» – იგულის-
ხმება ანდრეი იაკობის ძე ვასილიევი, რომელმაც გენერალ-მა-
იორობა 1875 წელს მიიღო.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №18 (906) გვ.: 189-192.

თეთრი პირის ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი,
№513/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r /
25r-v, 26r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ორად გადაკეცილი ქა-
ლალდი; ზომა: 26,8X20,9 სმ.; შესრულებულია შავი მელნით,
რომელიც გადასულია || გვერდზე. ხელნაწერი რესტავრირე-
ბულია.

თარიღი და ადგილი: „18 მაისისა 1877. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მსურველი თ
გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ნიკო!“

შავი პირის ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე
№7515° (ძველი №175), 54r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუა-
ლო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხე-
ული, დიდი ფორმატის ქალალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრუ-
ლებულია შავი ფანქრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა არ-
შიაზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული.

თარიღი და ადგილი: „მაისის 18^{სა} 1877. თბილისით“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო წიკო!“
ადრესატის მისამართი: „ელისავეტოპოლის.“ (შავი პირის მიხედვით).

შენიშვნები: 1. ღვთისადმი; 2. სიტყვა ხაზგასმულია; 3. დაწერილია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია „ბუტაკოვმა“; 4. ბოლო წინადადება, დაწყებული სიტყვით „მაგან“, მონიშნული სიტყვის ჩათვლით, ჩამატებულია სტრიქონებს შორის; 5. ავტორს ბრჭყალები არა აქვს დახურული; 6. ღმერთი; 7. თავადი; 8. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის მესამე აბზაცი: მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 123.

გვ.: 189,23-24. „როდესაც სულთანმა“ – იგულისხმება ოსმალეთის სულთანი აბდულ ჰამიდი.

გვ.: 190,3. „შეიხულისლამითა“ – იგულისხმება ისლამის რელიგიურ საკითხებში ყველაზე განსწავლული პირები.

გვ.: 190,21. „ნინომ, გიგოს ცოლმა“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანი და მისი მეუღლე – ნინო სიმონის ასული აბაშიძე-ორბელიანისა.

გვ.: 190,25. „სოსო ჯორჯაძემ“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ იოსებ დავითის ძე ჯორჯაძეზე.

გვ.: 190,26-27. „მარუცამ, ბაბლუცამ“ – კონტექსტიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება იმის გარკვევა, თუ ვინ იგულისხმება ამ კნინობით-ალერსობით სახელებში.

გვ.: 190,27-28. „ალექსანდრე აფხაზის ქალმა, ია ანდრონიკოვის ცოლმა“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე შერმაზანის ძე აფხაზისა და თინათინ ივანეს ასულ ანდრონიკაშვილის ქალიშვილზე და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ნინო იოსეტის ასულ ორბელიანის, ვაჟის, ემანუილ (ია) დონიკეს ძე ანდრონიკაშვილის, მეუღლეზე, რომელთა სახელებიც უცნობია.

გვ.: 190,33. „ილია ჩოლაყაშვილი გარდაიცუალა“ – საუბარია ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ.: 191,2. „ველიკის კნიაზისას“ – იგულისხმება მეფის-ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 191,3. „იმპერატორმაც გარდაიხადა“ – იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II.

გვ.: 191,5. „საბრალო ელენეცა“ – იგულისხმება გრიგოლის ნათესავის, ივანე მელქისედეკის (მალხაზის) ძე ანდრონიკაშვილის, დაქვრივებული ქალიშვილი – ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა.

გვ.: 191,11. „შვილები ივან მალხაზიჩისა“ – იგულისხმება გრიგოლის ნათესავი, ცნობილი გენერალი ივანე მელქისედეკის (მალხაზის) ძე ანდრონიკაშვილი და მინიშნებაა იმაზე, რომ მისი მეორე ქალიშვილიც, ბარბარე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი – ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილის მეუღლე – ადრე დაქვრივდა (1872 წელს).

გვ.: 191,14. „დუბასოვმა და შოსტაკოვმა“ – საუბარია რუსეთის არმიის ადმირალ თეოდორ ვასილის ძე დუბასოვსა და კონტრადმირალ ალექსანდრე პავლეს ძე შესტაკოვზე.

გვ.: 191,18. „კრავჩენკო ჯარით“ – საუბარია გენერალ პავლე პავლეს ძე კრავჩენკოზე.

გვ.: 191,21. „შენი ძმაც ნავიდა“ – იგულისხმება მიხეილ (მელქისედეკ) ზურაბის ძე ჭავჭავაძე

გვ.: 191,33. „შენი რძალი“ – საუბარია ნადეჟდა ნიკოლოზის ასულ შატიჩინაზე.

გვ.: 192,1. „ნინოჩკა ჩამიკოცნე“ – ნიკო ჭავჭავაძეს შვილები არ ჰყოლია და პირის ვინაობა გაურკვეველია.

გვ.: 192,3-4. „ლევანის ქალსა და ზაქარია ერისთავსა“ – საუბარია სოფიო ლევანის ასულ მელიქიშვილისა და ზაქარია გიორგის ძე ერისთავის ქორნინებაზე.

გვ.: 192,5. „ყაფლან ხშირად“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილი – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ.: 192,7. „მირზოევის დუქნები“ – სავარაუდოდ, იგულისხმება იმხანად ერთ-ერთი მდიდარი თბილისელი მოქალა-

ქე – ივანე მირზოევი, რომლისგანაც ხშირად სესხულობდა ფულს გრიგოლ ორბელიანი.

გვ.: 192,14. „ვიტლენშტეინ მოვიდა“ – საუბარია დიპლო-
მატ ევგენი ალექსანდრეს ძე ვიტგენშტეინზე.

ოლღა შოსტაკოვბადენელ-რომანოვისადმი №4 (907)

გვ.: 192-193.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, ალწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 167r (წითელი ფანქრით) / 21r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის ალწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 32,0X22,0 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. პირველ აბზაცს მარჯვენა მხარეს წითელი ფანქრით მერთალი ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «22^{го} Июня 1877. из Тифл.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ея Импер: Выс^{въ} Госуда-
рыне Великой Княгине Ольге Феодоровне»

ადრესატის მისამართი: «в Александриополь.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 192,21-22. «Великой Княгине Ольге Феодоровне»
– წერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რო-
მანოვის, მეუღლე – ოლღა თეოდორის ასული ბადენბელი-რო-
მანოვისა.

გვ.: 192,24. «Подполк:^ა Сагинова» – საუბარი უნდა
იყოს გრიგოლ ორბელიანის ნათესავისა და მეგობრის, ალექ-
სანდრე საგინაშვილის, ახლობელზე – ივანე ბესარიონის ძე

საგინაშვილზე, რომელიც 1871-1879 წლებში სწორედ პოდ-პოლკოვნიკის წოდებას ატარებდა.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №1 (908) გვ.: 193-194.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), 57r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 33,9X23,2 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. ნარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «25^{го} იЮня. 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Дмитрию Семен: Старосельскому.»

ადრესატის მისამართი: 1876 წლიდან ადრესატი მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე და წერილიც, შესაბამისად, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. მრავალწერტილი ავტორისაა.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 193,20. «Дмитрию Семен: Старосельскому» – წერილის ადრესატია იმხანად მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 194,3. «Генер: Тергукасов» – იგულისხმება არზას არტემის ძე ტერლუკასოვი.

გვ.: 194,11. «поручить Рославлеву» – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ ივანეს ძე როსლავლიოვზე.

გვ.: 194,23. «Шереметьев неимеет» – შესაძლოა, საუბარი იყოს რუსეთ-თურქეთის ომის დროს კავკასიის კავალე-

რისტა პირველი დივიზიის მეთაურ სერგეი ალექსეის ძე შე-
რემეტიევზე.

ივანე ოკლობუიოსადმი №2 (909) გვ.: 195-198.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი
№175), 58r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-
ლი, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,5X24,0 სმ.;
ნერილი შესრულებულია შავი ფანქრით, რომელიც მეორე
მხარესაც ეტყობა. I გვერდის ზედა მარცხენა მხარეს წითელი
ფანქრით აწერია: „Х“; ქვედა მარჯვენა კიდეზე ლურჯი მელ-
ნის ნაღვენთია. ამავე გვერდის ბოლო აბზაცი და II გვერდის
მთლიანი ტექსტი მარცხენა კიდეზე შემოხაზულია შავი ფან-
ქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ
პირს.

თარიღი და ადგილი: «26^{го} Июня 1877. Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Генер: Оглобжю» / «...мой
друг Иван Дмитриевич...»

ასლი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515, 96r-v, 97r-v.

ასლის აღწერილობა: მათემატიკის სტანდარტული, უჯრიანი,
გახუნებული, ორი გადაბმული ფურცელი. დანერილია შავი
მელნით. ალაგ-ალაგ აქვს ლურჯი მელნის ნაღვენთები.

ადრესატის მისამართი: «в Озургеты.»

შენიშვნები: 1. «Каджетис цихе» ხაზგასმულია; 2. სიტყვა ხაზ-
გასმულია; 3. «о войне надо думать во время мира» ხაზგასმუ-
ლია წითელი ფანქრით; 4-5. მონიშნული სიტყვები ხაზგასმუ-
ლია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გა-
მოქვეყნებულია ნერილის პირველი და მეშვიდე აბზაცები: მე-
უნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბე-

ლიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამპა,
ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 123-124.

გვ.: 196,9. «Героиня Грузинс^{ый} поэмы, Барсовакожа» –
იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟი ნესტან-დარეჯა-
ნი.

გვ.: 196,10. «Ни Паскевич, ни Муравьев» – იგულის-
ხმება რუსი მთავარსარდალი ივანე თევიდორის ძე პასკევიჩი
და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ ყარსელი.

გვ.: 196,22. «Тергукасов также» – საუბარია არზას არ-
ტემის ძე ტერგუკასოვზე.

გვ.: 197,3. «в Сурмалинске» – იგულისხმება სომხეთის
სურმალინის მაზრა.

გვ.: 197,14. «из Игдыра» – იგულისხმება ქალაქი იგდი-
რი აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე.

გვ.: 197,15. «При Зивине» – იგულისხმება ბრძოლა სო-
ფელ ზივინთან 1877 წლის 13 ივნისს.

გვ.: 197,16-17. «Фридрихов, Наполеонов, Густафов» –
სავარაუდოდ, საუბარია პრუსიის ყოფილ იმპერატორ ფრიდ-
რიხ დიდზე, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარ-
ტესა და შვედ მეთაურზე, ადმირალსა და ფელდმარშალზე,
გრაფ კარლ-გუსტავ ვრანგელზე.

გვ.: 197,18. «Герой дня Гейман» – საუბარია ვასილი
ალექსანდრეს ძე გეიმაზზე.

გვ.: 197,19. «Ген: Лазарев» – სავარაუდოდ, საუბარია
გენერალ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 197,26-27. «Тасо и Эличка... Ниночка и Заза» – სა-
უბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია
კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიზე, მის ქალიშვი-
ლებზე – ნინოსა და ელენეზე, მაგრამ ზაზას ვინაობა გაურ-
კვეველია.

გვ.: 197,29. «**Сосико и София**» – სავარაუდოდ, საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე და სოფიო (ხორებან) კონსტანტინეს ასულ ორბელიანებზე.

გვ.: 197,29-30. «**Опочинины и Мирские**» – საუბარია ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახებზე.

გვ.: 197,31. «**Нина Статковская**» – საუბარია ნინა ალექსეის ასულ ოპოჩინინა-სტატკოვსკისაზე.

გვ.: 197,32. «**Лейбгусар Георгий**» – იგულისხმება გრიგოლის ძმისნული – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 198,1-2. «**Вано Меликова**» – საუბარია ივანე ლევანის ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 198,8. «**Шереметьевой**» – სავარაუდოდ, იგულისხმება ევფლკია ბორისის ასული გოლიცინა-შერემეტივისა.

გვ.: 198,10. «**Тасо, Джорджадзе**» – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე და დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

გვ.: 198,11-12. «**к безносому Мирзоеву**» – პირის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №2 (910) გვ.: 201-202.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 169r (ნითელი ფანქრით) / 23r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 33,0X21,8 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდის მარჯვენა კიდესთან პირველ და მეორე აბზაცებს ნითელი ფანქრით ხა-

ზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმო-
ადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «16^{го} Июля 1877. Цавкиси.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Старосельскому.» / «Ува-
жаемый Дмитрий Семенович!»

ადრესატის მისამართი: 1876 წლიდან ადრესატი მსახურობდა
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს განყოფი-
ლების დირექტორის თანამდებობაზე და წერილიც, შესაბამი-
სად, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 201,22-23. «отряд Княгини Хилковой» – საუბარია
რუსეთ-თურქეთის ომის დროს სანიტარული მატარებლის წი-
თელი ჯვრის წარმომადგენლის, მიხეილ ივანეს ძე ხილკოვის,
მეუღლეზე – ანნა ნიკოლოზის ასულ ნეველომსკაია-ხილკოვი-
საზე.

გვ.: 202,12-13. «Варвару Ильинишну» – საუბარია
გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორ-
ბელიანისაზე.

გვ.: 202,13. «к ея сыну» – საუბარია გრიგოლ ორბელია-
ნის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №75 (911) გვ.: 203-204.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №158. ორმაგი
პაგინაციით: 1r / 2r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუა-
ლო სისქის, დალაქავებული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზო-
მა: 35,4X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით, რომელიც
მთლიანად გადასულია ფურცელზე და ამოკითხვას ართუ-
ლებს. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «24 Июля. 1877. Цавкиси.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг варвара!»
ადრესატის მისამართი: ბარათის შინაარსიდან ირკვევა, რომ
ადრესატი იმყოფებოდა **ალექსანდროპოლში**. ავტორი მას
სწერს: «Я теперь успокоился, прочитав твое письмо о Георгіе,
принятое мною из Александрополя.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 203,25. «**письмо о Георгіе**» – საუბარია გრიგოლ
ორბელიანის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 203,25-26. «**из Александрополя**» – საუბარია სომხე-
თის ქალაქ გიუმრიზე, რომელსაც იმხანად ალექსანდროპოლი
ერქვა.

გვ.: 204,1. «**дом Алекс: Коменданта**» – სავარაუდოდ,
საუბარია ალექსანდროპოლის კომენდანტზე.

გვ.: 204,2-3. «**адресованную к Коціи Мухранскому, ко-
мандиру Грузинск: полка**» – იგულისხმება კონსტანტინე (კო-
ნია) ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელიც 1877 წელს
მეთაურობდა სამეგრელოს გრენადერთა პოლკს.

გვ.: 204,8-9. «**В iii К³, возвратившийся**» – საუბარია კავ-
კასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 204,12. «**из Москвы от Царевны**» – საუბარია ადრე-
სატის დედაზე – ანასტასია ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუ-
ზინსკისაზე.

გვ.: 204,15. «**Графиню Ностиц**» – სავარაუდოდ, საუბა-
რია იმხანად გარდაცვლილი გენერალ-ლეიტენანტის, გიორგი
ივანეს ძე ნოსტიცის, მეუღლეზე – გრაფინია ანასტასია ივა-
ნეს ასულ მოროზოვა-ნოსტიცისაზე.

გვ.: 204,17-18. «**они мне родня, в силу Красного
Креста**» – ავტორი ხუმრობით ამბობს, წითელი ჯვრის ორგა-
ნიზაციის საერთაშორისო ხასიათის გამო.

გვ.: 204,22-23. «**война в Европе прймет громадные раз-
меры**» – რუსეთის, ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორებმა

1873 წელს ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას ორი წლის ვადით, მაგრამ მას შემდეგ, რაც საფრანგეთის სათავე-ში მოვიდნენ მონარქისტები, გერმანიის კანცლერს, ბისმარკს, გაუჩნდა შიში, რომ საფრანგეთი მალე გაძლიერდებოდა და, თან, მისი ახალი ხელისუფლება უფრო იოლად დაამყარებდა კავშირს ევროპის ქვეყნებთან. ამიტომ არ აპირებდა მორატო-რიუმის ვადის გასვლისთვის დალოდებას და საომრად ემზა-დებოდა. ამას ცუდად აფასებდნენ ინგლისის, რუსეთისა და ავსტრიის ხელისუფალნი და 1874 წელს ევროპაში ვითარება დაძაბული იყო.

გვ.: 204,26-27. «представленных Ея Высочеству Всево-ложским» – საუბარია ანდრეი ნიკიტას ძე ვსევოლოჟსკიზე, რომელიც 1877 წელს მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან, როგორც წითელი ჯვრის საზოგადოე-ბის წარმომადგენელი.

ყაფლან ორბელიანისადმი №21 (912) გვ. 206.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №406/№27 (ძველი S: 2660), 19r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-ლი ქაღალდი; ზომა: 26,9X20,7 სმ.; შესრულებულია შავი მელ-ნით. I გვერდის ბოლოს განთავსებულია ანასტასია (ტასო) რევაზის ასულ ერისთავის წერილი, მინერილი ყაფლანისადმი (სტილი დაცულია):

„ჩემო ბიძიაჯან აკი თქვენი საყვარელი ტასო ვარ ერთი როგორ არ მნახე შენი ჭირიმე მობძანდი მნახე და მერე მე გეწვევით ჩემ საყვარელს ძალუა ელისაბედს სიყვარულით მოვიკითხამ, თქვენი ტასიკო...“ (ხელმოწერა გაკრული ხელით აქვს მიწერილი. ქ.გ.).

თარიღი და ადგილი: „27 ივლისს“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო ყაფლან!“

ადრესატის მისამართი: წერილიდან ჩანს, რომ ავტორი ქალაქში არ იმყოფება. იგი ადრესატს სწერს: „ერთხელ ვერ ამოხვედი აქა, რომ მენახე და მეთქვა დიახ ბევრი, დიახ ბევრი ამბავი ახალახალი.“ ადრესატი თბილისშიც ხშირად იყო და კოდაშიც. წერილი ზაფხულშია დაწერილი და მოსალოდნელია ყაფლანის კოდაში ყოფნა, მაგრამ ზმნის ფორმა „ამოხვედი“ უფრო მეტად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის იმყოფებოდა **თბილისში** და გრიგოლი მას აგარაკზე ელოდა. როდესაც გრიგოლი თბილისიდან კოდაში სწერს წერილებს, ზმნურ ფორმებში იყენებს „ჩამო“ ზმნისწინს: „ველი, და ველი, როდის ჩამოხვალთ.“

შენიშვნები: 1. თარიღი ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილში, რომელსაც 27 ივლისი აწერია, ზუსტი დათარიღებისთვის ხელჩასაჭიდი არაფერია. რამდენადაც ადრესატი გარდაიცვალა 1878 წლის 13 ივლისს, ბარათი დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1877 წლისა.

გვ.: 206,12. „ჩემო ბატონო ყაფლან!“ – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილი – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №3 (913) გვ.: 206-207.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 170r (წითელი ფანქრით) / 24r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, სქელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხეული ქაღალდი; ზომა: 32,3X21,6 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «29^{го} იЮля 1877. ცავკისი.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Дмитр: Семен: Старосель-
скому.» / «Уважаемый Дмитрий: Семен!!!»

ადრესატის მისამართი: 1876 წლიდან ადრესატი მსახურობდა
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს განყოფი-
ლების დირექტორის თანამდებობაზე და ნერილიც, შესაბამი-
სად, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2-3. მონიშ-
ნული სიტყვები ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 207, 7-8. «**даже Кульп»** – საუბარია ერევნის გუ-
ბერნიაში მდებარე მარილის მთაზე.

გვ.: 207, 12. «**Баязетскому Коменданту Штоквицу**» –
საუბარია ბაიაზეთის კომენდანტ თეოდორ ედუარდის ძე
შტოკვიჩიზე.

გვ.: 207, 17. «**Великой Княжне и великим Князям**» –
არ არის დაკონკრეტებული, იმპერატორ ალექსანდრე II-ის
რომელ და-ძმაზეა საუბარი.

გვ.: 207, 20. «**представленный Всеволожским**» – საუ-
ბარია ანდრეი ნიკიტას ძე ვსევოლოჟსკიზე, რომელიც 1877
წელს მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვ-
თან, როგორც წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენე-
ლი.

გვ.: 207, 22. «**вопросы Исакова**» – სავარაუდოდ, საუ-
ბარია ნიკოლოზ ვასილის ძე ისაკოვზე, რომელიც იყო რუ-
სეთში წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის მოად-
გილე.

გვ.: 207, 29. «**K: Дмитрий**» – საუბარია დიმიტრი ივანეს
ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

ყაფლან ორბელიანისადმი №22 (914) გვ. 209.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №401/№27
(ძველი S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1r-v / 29r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული,
ორად გადაკეცილი ხაზიანი ფურცელი; ზომა: 21,6X13,7 სმ.;
შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გადასულია || გვერ-
დზე. წერილს დასაწყისში შავი მელნით მიწერილი აქვს „გა-
დაბრუნე“ (ერთი „ა“ აკლია. ქ.გ.), რომელიც ხაზგასმულია. ||
გვერდზე დაწერილია ისაკ თუმანოვის წერილი ყაფლან ორბე-
ლიანისადმი (სტილი დაცულია):

„აქაური ჯარიანბისა ჯერ არც ავი და არც კარგი არა
ისმისარა – მხოლოდ მესმა მე ერთი განსაკვირი საქმე – დაგ-
ბადებია ექვს ფეხიანი ცხენი – მაგის მყოლელს უნდა ორი
მხედარი, რომელსაც აღვიარებს ყარამანიანი – ისიც შენ ხარ;
მით ასამოვნებ კნეინა ელისაბედს, რომლისათვაც ნუგეშიც,
შენს მდგომარეობაში, კარგია. –

კნეინა ელისაბედის, რომელსაც მოვიკითხამ, ნაზუქმა
გამაკვირა – ესეც კარგი ლირსებაა მათ თავს, რომელთაც
ჰსურსთ და გრძნობენ გემოვნებას, მათგანი გახლავს.

მარადის შენი
ისააკ თუმანოვი

წავკისით.“

I გვერდზე ორჯერ და IV გვერდზე უკულმა იასამნისფერი
მელნით წერია: „20.“

თარიღი და ადგილი: „1^ს აგვის. 1877. წავკისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული ძმა და მოსამსახურე
თ გრიგოლ ორბელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ყაფ-
ლან, ძმაო თვალისჩინო!“

ადრესატის მისამართი: წერილი წავკისიდან არის გაგზავნილი, სავარაუდოდ, თბილისში, სადაც ადრესატი ცხოვრობდა. ტექსტის შინაარსითაც ჩანს, რომ ყაფლანი ქალაქში იმყოფებოდა: გრიგოლმა მისგან წიგნი, ხოლო მისი მეუღლისგან ნაზუქები მიიღო საჩუქრად. ის წერს: „შენი წიგნი და ძალუას ნაზუქები მომივიდა მაშინ, როდესაც ისაკიც ქალაქიდამ მოსული მიზის გვერდით.“ ფრაზა – „ისაკიც ქალაქიდამ მოსული“ – მიუთითებს, რომ გრიგოლმა დასახელებული ნივთებიც ქალაქიდან, ანუ, თბილისიდან მიიღო.

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. ავტორს აქ წერტილი არ უნერია; 3. თავადი; 4. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 209,3. „ძალუას ნაზუქები“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე – ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 209,3-4. „როდესაც ისაკიც“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის მეგობარზე – გენერალ-ლეიტენანტ ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 209,6. „სოსიკოც მოვიდა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 209,7. „უგზავნი ტასოსა და სოფიოსა“ – საუბარია ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსა და სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 209,17. „სოფიო, კეკე, ნინუცა“ – გაურკვეველია ყაფლანთან ახლოს მყოფი სოფიოსა და კეკეს ვინაობა, ნინუცაში კი უნდა იგულისხმებოდეს მისი ქალიშვილი – ნინო ყაფლანის ასული ორბელიანი-წულუკიძისა.

გვ.: 209,19. „ქეთევან თავის მზეთუნახავის გამდელითა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე – და ხუმრობით არის მინიშნება მის დისწულზე, ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე, რადგან გრიგოლი ქეთევანს წერილებში სულ აყვედრის, რომ ტასო თავის ჭკუაზე ატარებს.

სალომე დადიან-მიურატისადმი №1 (915) გვ.: 210-213.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №117/№66, 6r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,6X22,5 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის ზედა მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზია ჩამოსმული; ქვედა მარჯვენა მხარეს აქვს ყავისფერი ლაქა, რომელიც II გვერდზეა გადასული. I-ვე გვერდის ბოლოს, შუა ნაწილში, ფანქრით წერია: „581.“ ხელნაწერი რესტავრირებულია. შედეგად, მარჯვენა კიდის ზოგიერთი სიტყვა დამალულია. ისინი აღვადგინეთ კვადრატულ ფრჩხილებში. ხელნაწერის მარჯვენა ქვედა კუთხე მოხეულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „12 აგვისტ: 1877. წავკისით.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო დისტულო სალომე!“

ადრესატის მისამართი: „გორდსა“

შენიშვნები: 1. მთელი სტრიქონი ხაზგასმულია შავი ფანქრითვე; 2. ღმერთმან; 3. წინადადება, დაწყებული სიტყვებით: „ვისაც არ უყუარს“..., მონიშნული სიტყვის ჩათვლით, ხაზგასმულია შავი ფანქრითვე; 4. ხელნაწერშია „განმავალობაში“; 5. რომელთაცა; 6. ღვთის; 7. პირველი; 8. ვითარცა; 9. „თამარ მეფის სახე ბეთანიაში“ ხაზგასმულია; 10. ხაზგასმულია; 11. ავტორს ბრჭყალები გახსნილი არა აქვს; 12-13. ღმერთმან; 14. ღმერთი; 15. პირველი გვერდი ამით მთავრდება და ბოლო სტრიქონის ქვეშ ავტორს დამთავრების ნიშნად ხაზი აქვს გასმული; 16. ასევე ხაზი აქვს გასმული ავტორს II გვერდზე, ბოლო სტრიქონის ქვეშ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 210,1. „**სალომეს მიურადს**“ – წერილის ადრესატია ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ქაღალდი – სალომე დავითის ასული ჭავჭავაძე-მიურატისა.

გვ.: 210,9. „შენი არჩილიცა“ – ასე მოიხსენიებს გრიგო-
ლი ადრესატის მეუღლეს – აშილ მიურატს.

გვ.: 211,3. „მეფეთა, ორაკლიმ და გიორგიმ“ – იგულის-
ხმება ერეკლე II და გიორგი XII.

გვ.: 211,7. „ქეთევან დედუფლის“ – იგულისხმება კახე-
თის დედოფალი, დავით I-ის მეუღლე, რომელიც მოწამეპრი-
ვად მოკლეს შირაზში.

გვ.: 211,17-18. „ბატონისშვილები, ქეთევან, მარიამ, თეკ-
ლა“ – საუბარია ერეკლე II-ის პოეტ ქალიშვილებზე.

გვ.: 211,29. „თამარ მეფის სახე ბეთანიაში“ – იგულისხმე-
ბა გრიგოლ ორბელიანის ლექსი.

გვ.: 211,30. „ეკატერინასაცა და შენცა“ – საუბარია ად-
რესატის დედაზე – ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავა-
ძე-დადიანისაზე.

გვ.: 212,8. „ტასო ოკლობუიოსას“ – იგულისხმება გრი-
გოლის ბიძაშვილიშვილი – ანასტასია კონსტანტინეს ასული
ორბელიანი-ოკლობუიოსი.

გვ.: 212,10. „მუხტარფაშას“ – საუბარია ოსმალეთის იმ-
პერიის დიდ ვეზირსა და სარდალ ახმედ მუხტარ-ფაშაზე.

გვ.: 212,13. „ველიკი კრიაზი“ – იგულისხმება მეფისნაც-
ვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 212,14. „მირსკი და პავლოვი“ – საუბარია დიმიტრი
ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და კავკასიის სამხედრო
ოლქის შტაბის უფროს პლატონ პეტრეს ძე პავლოვზე.

გვ.: 212,14. „ველიკი კნეინა“ – საუბარია მეფისნაცვალ
მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორის ასულ ბა-
დენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 212,17. „პორუჩიკი გიორგი“ – იგულისხმება გრიგო-
ლის ძმისნული – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 212,21-22. „ლენერალ ლურკომ“ – საუბარია გენე-
რალ იოსებ ვლადიმერის ძე გურკოზე, რომელიც იმხანად დუ-
ნაის არმიას ხელმძღვანელობდა.

გვ.: 213,11. „ბიძაშენი კონსტანტინე“ – იგულისხმება
კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი.

ყაფლან ორბელიანისადმი №23 (916) გვ.: 213-214.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №405/№27 (ძველი S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1r / 17r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ორად გადაკეცილი ხაზიანი ფურცელი; ზომა: 21,6X13,7 სმ.; შესრულებულია შავი მელით. IV გვერდზე მითითებულია ადრესატის ვინაობა მისამართის მითითების გარეშე.

თარიღი და ადგილი: „4^მ სეკდ.“

ხელმოწერა: „შენი მარადის და მარადის ძმა და მოსამსახურე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულითსაყუარელო ძმაო ყაფლან!“

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილ-სამყოფელი, მაგრამ ირკვევა, რომ თბილისში არ არის, რადგან ავტორი აქედან სწერს წერილს: „გიახელ საღუსალამად სატახტო ქალაქს თბილისს.“ ყაფლანის ოჯახი ხშირად იყო სოფელ კოდაში და, სავარაუდოდ, ბარათი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. ხელნაწერშია „ტასი-სო“; 3. თარიღი ხაზგასმულია; 4. ღვთით; 5. ამ ბოლო ორი სიტყვის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი ჰუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: ყაფლან ორბელიანი გარდაიცვალა 1878 წლის 13 ივლისს, შესაბამისად, წერილი, რომელსაც 4 სექტემბერი აწერია, დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1877 წლისა.

გვ.: 213,16-17 „ტასიკო, სოსიკო, გიგო, და ალექსანდრე მნიკოვი“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე, იოსებ და გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანებსა და თბილისის გუბერნიის მდივან ალექსანდრე ონიკაშვილზე.

გვ.: 213,17. „ძალუას სიყუარულით“ – საუბარია ყაფლან ორბელიანის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №4 (917) გვ. 214.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), ორმაგი პაგინაციით: 5r-v (წითელი ფანქრით) / 6r-v (შავი ფანქრით),

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 20,7X15,5 სმ.; ნერილი შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია ॥ გვერდზე. ხელნაწერზე არის მისი ნალვენთები. რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: «8^{oe} Сент: 1877 г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Милостивый Государь, Дмитрий Семенович!»

ადრესატის მისამართი: 1876 წლიდან ადრესატი მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე და წერილიც, შესაბამისად, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია «отправлениі»; 3. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია «большую частью».

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 214,7. «Ея Императорское Высочество» – საუბარია მეფისნაცვლის მეუღლეზე – ოლდა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაკავებული იყო პოსპიტლის მეთვალყურეობით.

გვ.: 214,9-10. «**Николай Иванович Моренц**» – საუბარია გენერალ ნიკოლოზ ივანეს ძე მორენცზე.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №19 (918) გვ.: 215-217.

თეთრი პირის ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №514/№30 (ძველი S: 5327), სამმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r, 3r / 27r-v, 28r, 29r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ორად გადაკეცილი ქალალდი; ზომა: 27X21 სმ.; წერილი შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც გაუღენთილია ფურცელი. I გვერდზე მიმართვის სიტყვები მელნით უფრო გამუქებულია. IV გვერდზე დაბლა მიწერილია რიცხვების შეკრება:

6	
- 10	

26	
220	

520	40
	13
120	8
----- 2	
	104
	40

	4160

რესტავრირებულია. ხელნაწერის V გვერდზე დაწერილია წერილის შავი პირი.

თარიღი და ადგილი: „25^ტ სეკდემ: 1877, თბილისით“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო ნიკო!“

შავი პირის ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №514/№30 (ძველი Q:155), სამმაგი პაგინაციით: 1r (ლურჯი მელნით), 3r / 29r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 33X22,3 სმ.; წერილი დაწერილია ხელნაწერის V გვერდზე. I-III გვერდებზე განთავსებულია წერილის თეთრი პირი. შესრულებულია შავი ფანქრით. თარიღის მარჯვენა მხარეს შავი ფანქრითვე რუსულად მიწერილია «պლი», რომელიც წრეშია ჩასმული, მის გვერდით წერია «ა». ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „1877.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ნ: ჭავჭავაძეს“ / „ჩემო გულით საყუარელო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი განჯის გენერალ-გუბერნაციორის თანამდებობაზე მსახურობდა. ტექსტის შინაარსითაც ირკვევა, რომ იგი სამსახურებრივი მოვალეობის ადგილას იმყოფება. ავტორი მას სწერს: „მომწერე, როგორა-სარ შენ შენის ღუბერნიით?“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი განჯაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 3. ეს სამი ქართულად დაწერილი რუსული სიტყვა ხაზგასმულია; 4. „ი“ და „ს“ გადაბმულია და ისე ჩანს, თითქოს „როდეს“ წერია; 5-6. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 7. ამ ადგილას მელანია დალვენთილი და „ვ“ ასო არ იკითხება.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის მეორე აბზაცის ნაწილი („ლევან მწერს... თორემ თათორებსა რა უჭირთ“) და მესამე აბზაცი: მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორ-

ბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 125-126.

გვ.: 215,24-25. „სოსიკო ნავიდა ლეზგინსკის ლინიის ნაჩალნიკად“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი. ლეზგინის ხაზი კი იყო XIX საუკუნის სასაზღვრო სიმაგრეების სისტემა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კავკასიონის მთების ძირში, მდინარეების – იორისა და ალაზნის – გასწვრივ.

გვ.: 215,25. „რევაზის მაგიერ“ – საუბარია რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 216,9. „საბუეში ჰსდგას“ – საუბარია ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელზე.

გვ.: 216,10. „საცხენისში“ – საუბარია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელზე.

გვ.: 216,17. „ლევან მწერს“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 216,32-33. „ველიკის კნიაზსა, ანუ მირსკის“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 217,2-3. „მინგეჩაურის პერეპრავა“ – საუბარია იმუამინდელი სოფლის, მინგეჩაურის, ტერიტორიაზე.

გვ.: 217,11. „ნიკო თანა-შემწედ“ – ადრესატი ადრე მსახურობდა ლევან მელიქიშვილის თანაშემწედ.

გვ.: 217,14. „დიდსა ჭელმზიფესა“ – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II.

გვ.: 217,15. „ივანესი და სოფიოს“ – საუბარი უნდა იყოს ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მის მეუღლე სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

ოლღა პადენელ-რომანოვისადმი №5 (919) გვ. 218.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №146/№67, 169r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,5X22,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. II გვერდზე ნაწერი თითქმის სრულადაა გადაშლილი. ამავე გვერდზე, საანალიზო ნერილის დაბლა, განთავსებულია მიხეილ რომანოვის, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისა და მიხეილ ლორის-მელიქოვისადმი ამავე დღეს მიწერილი ტელეგრამები. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «4^{го} Окт: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ея Высочеству Государыне Великой Кня^{нe} Ольге Феодоровне.» / «...Государыня...»

ადრესატის მისამართი: «В Александрополь»

შენიშვნები: 1-2. სტრიქონების ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 218,4. «**Его Высокия Михайла Михайловича**» – საუბარია ადრესატის ვაჟზე – მიხეილ მიხეილის ძე რომანოვზე.

გვ.: 218,4-5. «**блестательною победою**» – იგულისხმება რუსეთის არმიის გამარჯვება ავლიარის სიმაღლეებზე 1877 წლის 3 ოქტომბერს.

მიხეილ რომანოვისადმი №12 (920) გვ.: 218-219.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №146/№67, 169r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,5X22,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. II გვერდზე ნაწერი თითქმის სრულადაა გადაშლილი. ამავე გვერდზე, საანალიზო ნერილის დაბლა, განთავსებულია მიხეილ ლორის-მელიქოვისადმი ამავე დღეს მიწერილი ტელეგრამები. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

რილის ზემოთ, განთავსებულია ოლდა ბადენელ-რომანოვის, ხოლო მის დაბლა – დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისა და მიხეილ ლორის-მელიქოვისადმი ამავე დღეს მიწერილი ტელეგრამები. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «4^{го} Окт: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Его Высоч^{ия} Главно Командующему Кавк: Армією»

ადრესატის მისამართი: «В Карайл»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 218,16. «о блистательной победе» – იგულისხმება რუსეთის არმიის გამარჯვება ავლიარის სიმაღლეებზე 1877 წლის 3 ოქტომბერს.

გვ.: 218-219. «Сердце Царево» – იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II.

დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №5 (921) გვ. 219.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №146/№67, 169r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,5X22,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. II გვერდზე ნაწერი თითქმის სრულადაა გადაშლილი. ამავე გვერდზე, საანალიზო ნერილის ზემოთ, განთავსებულია ოლდა ბადენელ-რომანოვისა და მიხეილ რომანოვისადმი ამავე დღეს მიწერილი ტელეგრამები. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «4^{го} Окт: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «К^и Святополк-Мирскому.»

ადრესატის მისამართი: «Карайл»

შენიშვნები: 1-2. სტრიქონების ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 219,14. «**Святополк-Мирскому**» – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, მეუღლე – გენერალი დიმიტრი ივანეს ძე სვიათოპოლკ-მირსკი.

გვ.: 219,16. «**о уничтожении Армии Мухтара**» – იგულისხმება რუსეთის არმიის გამარჯვება მუხტარ ფაშაზე ავლიარის სიმაღლეებთან 1877 წლის 3 ოქტომბერს.

მიხეილ ლორის-მელიქოვისადმი №3 (922) გვ. 220.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №146/№67, 169r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,5X22,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. II გვერდზე ნაწერი თითქმის სრულადაა გადაშლილი. ამავე გვერდზე, საანალიზო წერილის ზემოთ, განთავსებულია ოლდა ბადენელ-რომანოვის, მიხეილ რომანოვისა და დიმიტრი სვიათოპოლკ-მირსკისადმი ამავე დღეს მიწერილი ტელეგრამები. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «4^თ Окт: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Генерал Адъютанту Лорис-Меликову»

ადრესატის მისამართი: «Карааял»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 220,7. «**Генерал Адъютанту Лорис-Меликову**» – წერილის ადრესატია მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი.

გვ.: 220,10. «**уничтожившею Армію Мухтара**» – იგულისხმება რუსეთის არმიის გამარჯვება მუხთარ ფაშაზე ავღიარის სიმაღლეებთან 1877 წლის 3 ოქტომბერს.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №76 (923) გვ.: 221-222.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №161/№58, 14r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ქალდი; ზომა: 35,4X22,4 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.
II გვერდზე შავი მელნით, შავი ფანქრითა და წითელი ფანქრით მიწერილია: „№30, 1877, 6.“ ფურცელს დაცულობის გამო ახლავს თაბახის ფურცელი. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «8^{го} Окт: 1877. Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «...мой друг варвара...»

ადრესატის მისამართი: «В Александрополь.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2. «все наши здоровыи» ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის მეორე აბზაცი: მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 126.

გვ.: 221,3-4. «**в окрестностях Александро:**» – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა იმხანად იმყოფებოდა სომხეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ალექსანდროპოლში, ამჟამინდელ გიუმრში.

გვ.: 221,6. «**мысль о Георгіе**» – საუბარია ადრესატის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე, რომელიც იმხანად ფრონტზე იბრძოდა.

გვ.: 221,15-16. «**о уничтожении Армии Мухтара Паши**» – საუბარია ოსმალეთის იმპერიის დიდ ვეზირსა და სარდალ ახმედ მუხტარ-ფაშაზე და იგულისხმება მისი მარცხი ავლიარის სიმაღლეებთან 1877 წლის 3 ოქტომბერს.

გვ.: 221,16-17. «**с Арсенальских высот**» – იგულისხმება თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მდებარე მთა.

გვ.: 221,21. «**где Экзарх**» – იმ დროს საქართველოს ეგზარქოსი იყო ევსევი (ალექსეი ალექსეის ძე) ილინსკი.

გვ.: 221,25-26. «**под Плевною**» – იმ პერიოდში ქალაქი პლევნისთვის რუსებს ალყა ჰქონდათ შემორტყმული და მის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომის განვითარებისთვის.

გვ.: 221,29. «**К^{2в} Мирский телеграфирует Софию**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და მის მეუღლე დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 222,2. «**с Генер: Исправиль беком**» – სავარაუდოდ, საუბარია ისრაფილ-ბეგ ედიგაროვზე.

გვ.: 222,4. «**Сосико славно**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 222,10. «**Нико Чавчав:**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილშვილ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 222,14. «**Графине Ностиц**» – საუბარია გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ივანეს ძე ნოსტიცის მეუღლეზე – გრაფინა ანასტასია ივანეს ასულ მოროზოვა-ნოსტიცისაზე.

სალომე დადიან-მიურატისადმი №2 (924) გვ.: 224-226.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №118/№66, 3r-v.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,6X22,3 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდის ბოლოში შავი ფან-

ქრით მიწერილია ციფრები: „578, 582.“ ამათგან პირველი გადახაზულია. II გვერდის ბოლოში შავი მელნით მიწერილია ციფრი: „77.“ ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „12 ოქტომბერი: 1877.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „პრინცესსა სალომეს მიურადისას.“ / „ჩემო დედუფალო, ნათელ-შემოსილო სალომე!“

ადრესატის მისამართი: „ზუგდიდს.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 3. სიტყვა ხაზგასმულია; 4. ლმერთმან; 5. ყველა გეოგრაფიული სახელი ხაზგასმულია; 6-7. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 8. ღვთის; 9. „ღენერალ ღეიმან“ ხაზგასმულია; 10. სამივე გეოგრაფიული სახელი ხაზგასმულია; 11-12. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 13. „ისმაილ ფაშას“ ხაზგასმულია; 14. სიტყვა ხაზგასმულია; 15. „ღენერალ ლაზარევი“ ხაზგასმულია; 16. სიტყვა ხაზგასმულია; 17. „მუხთარ ფაშა“ ხაზგასმულია; 18. სიტყვა ხაზგასმულია; 19. ორივე გვარი ხაზგასმულია;

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. დღემდე გამოქვეყნებულია წერილის პირველი აბზაცის ნაწილი („ყოვლად მოწყალემ ღთ მან... აი როგორ ძვირფასია ქართველების წმინდა სისხლი!“): მეუნარებია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბედან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 128.

გვ.: 224,6-7. „თქუმშნის აშილისა და შვილებისა“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე აშილ მიურატი და მათი შვილები – ლუსიენი და ნაპოლეონი.

გვ.: 224,10. „ძმისწული, გიორგი“ – საუბარია გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 224,12-13. „ძალუას ვარინკასა“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ.: 225,24-25. „მუხთარის დამარცხებისა“ – საუბარია ოსმალეთის იმპერიის დიდ ვეზირსა და სარდალ ახმედ მუხთარ-ფაშასა და ოსმალეთის არმიის 3 ოქტომბრის მარცხზე.

გვ.: 225,25-26. „ლენერალ ლეიმან“ – საუბარია ვასილი ალექსანდრეს ძე გეიმანზე.

გვ.: 225,26. „ვლადიყარსიდამ სარიყამიშისაკენ“ – საუბარია როსტოვის ოლქის სოფელსა და ყარსის რაიონის ქალაქზე.

გვ.: 225,27-28. „ციტოვიჩი – ყალიზმანზე“ – საუბარია გენერალ ვიქტორ სტეფანეს ძე ციტოვიჩზე და ყარსის პროვინციის ქალაქზე.

გვ.: 225,28. „ისმაილ ფაშას“ – იგულისხმება იზმაილ ხაკი-ფაშა.

გვ.: 225,29. „მისდევს ტერლუქაზოვი“ – იგულისხმება არზას არტემის ძე ტერლუკასოვი.

გვ.: 225,29-30. „ლენერალ ლაზარევი“ – საუბარია გენერალ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 226,1. „პლევნომ ძალიან“ – საუბარია თურქეთის ქალაქ პლევენზე, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული.

გვ.: 226,6. „ველიკის კნიაზის შვილები“ – საუბარია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის შვილებზე – ნიკოლოზ, მიხეილ, გიორგი, ალექსანდრე, სერგეი მიხეილის ძე რომანოვებსა და ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

გვ.: 226,7. „ველიკის კნეინას“ – საუბარია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 226,8. „ნიკო ჭავჭავა:“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 226,9. „ნაკაშიძისა და ტერასატუროვის“ – საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ნაკაშიძეზე, რომელმაც 1877 წლის 5 ოქტომბერს დაამარცხა აჯანყებული მთიელები, და დიმიტრი ბოგდანის ძე ტერასატუროვზე, რომელმაც ასევე თავი გამოიჩინა აჯანყებული მთიელების მოგერიებაში.

გვ.: 226,13. „ყაფლან ჯერ“ – საუბარია გრიგოლის ბი-
ძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 226,20-21. „დას ეკატერინას“ – იგულისხმება ადრე-
სატის დედა – ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-და-
დიანისა.

გვ.: 226,22. „ანდრია ძალიან კარგად არის“ – საუბარია
ადრესატის ძმაზე – ანდრია დავითის ძე დადიანზე.

ყაფლან ორბელიანისადმი №24 (925) გვ.: 226-227.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №402/№27
(ძველი S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 30r-v, 31r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
სქელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული,
ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21,1X13,4 სმ.; შესრუ-
ლებულია შავი მელნით. IV გვერდის ქვემოთ შავი ფანქრით
წერია: „1877.“ იმავე გვერდზე იასამნისფერი მელნით უკულმა
წერია: „19.“ იგივე ციფრი იმავე მელნით ორჯერ წერია |
გვერდზეც.

თარიღი და ადგილი: „5^ა ნოემბ: 1877“

ხელმოწერა: „შენის მარადის ერთგული მოსამსახურე და ძმა
გრიგოლ ორბელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, საყუარე-
ლო ძმაო ყაფლან.“

ადრესატის მისამართი: წერილიდან ჩანს, რომ ადრესატი თბი-
ლისში არ იმყოფება. ავტორი მას სწერს: „ნისლი, ნისლი ისე-
თი რომ თითქმის ქაშუეთიც არა ჰსჩანს, სევდებს მიშლის და
ველი, და ველი, როდის ჩამოხვალთ.“ ყაფლანის ოჯახი ხში-
რად სოფელ კოდაში იყო და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნ-
და იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ხაზგასმულია; 3. თარიღი ხაზგასმუ-
ლია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 227,6. „ვარინკა ძალუა და გიორგი“ – საუბარია გრიგოლის ძმის ცოლ-შვილზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 227,7-8. „ეკატერინა დადიანისა და იმის ქალი სალომე“ – საუბარია ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანსა და სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე.

გვ.: 227,10. „ლევან... ჯარით“ – იგულისხმება ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი.

გვ.: 227,13. „ნიკო ორის ბატალიონით“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 227,17-18. „მამაცოვმა ნუხის სიახლოეს“ – საუბარია კონსტანტინე ქრისტეფორეს (ქაიხოსროს) ძე მამაცაშვილზე, რომელიც 1877-1878 წლებში იყო ელიზავეტოპოლის გენერალ-გუბერნატორი.

გვ.: 227,19. „პოლკოვნიკმა შკურინსკიმ“ – საუბარია დალესტნის ცხენოსანთა რაზმის მეთაურ სიმონ ათანასეს ძე შკურინსკიზე.

გვ.: 227,23. „საყუარელი ძალუა“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 227,24. „ჩემი დარდი სოფიო“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა, რომლის მეუღლესაც, ივანე დავითის ძე ორბელიანს, ფინანსური პრობლემები ჰქონდა.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №5 (926) გვ. 228.

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, ალწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), ორმაგი პაგინაციით: 179r (წითელი ფანქრით) / 35r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის ალწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,

საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 19,0-Х17,8 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. მარჯვენა მხარეს ტექსტს წითელი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «17^{го} Нояб: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Дмит: Сем: Старосельско-му»

ადრესატის მისამართი: 1876 წლიდან ადრესატი მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე და წერილიც, შესაბამისად, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 228,3. «**Ея Высочества**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე, რომელიც სამხედრო ჰოსპიტალს ზე-დამხედველობდა.

მაქსიმილიან ოსტენ-საკენისადმი №2 (927) გვ. 229.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515ა (ძველი №175), ორმაგი პაგინაციით: 57г (წითელი ფანქრით) / 59г (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 31,2Х24,5 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ქვედა მარცხენა კიდეზე მელნის ნალვენთია. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «17^{ое} Дек: 1877.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Максимилиану Александровичу, Барону Остен Сакену.»

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი თბილისის გუბერნატორი იყო და წერილიც, შესაბამისად, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2-3. გვარი ხაზგასმულია; 4. სიტყვა არა აქვს დამთავრებული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 229,1. «**Максимилиану Александровичу**» – წერილის ადრესატია სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძის მეუღლე – ბარონი მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენი, რომელსაც იმხანად თბილისის გუბერნატორისა და მეფისნაცვლის სასახლის კამერგერის თანამდებობა ეკავა.

გვ.: 229,6. «**о Науменко**» – პირის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

იოსებ ორბეელიანისადმი №2 (928) გვ.: 230-232.

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა 1, საქმე №7515° (ძველი №175), 60r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალალდი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „22^ს დეკემ: 1877. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მა..“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო სოსიკო!“

ადრესატის მისამართი: „ცარსკის კალოდცს“

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. სიტყვა ხაზგასმულია; 3. რომელსაცა; 4. სიტყვა ხაზგასმულია; 5. სიტყვის პირველი ასო დიდია; 6. „კლუბსაცა, თორემ დამემდურებიან“ ხაზგასმულია წითელი ფანქრით; 7-8. გვარები ხაზგასმულია; 9. რომელიცა; 10-11. ადგილის სახელები ხაზგასმულია; 12. რომელიცა; 13. რომელმანცა; 14. სიტყვა ხაზგასმულია; 15. სიტყვა დაუმთავრებელია, წერია მხოლოდ 2 ასო (სავარაუდოდ, „მა“) და გვერდზე უწერია ორი წერტილი. შესაძლოა, ავტორი გულისხმობდა სიტყვას „მარადის“; 16. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, ვაჟი – იოსები.

გვ.: 230,28-29. „მოქმედება ტერლუქაზოვისა“ – საუბარია გენერალ არზას არტემის ძე ტერლუქასოვზე.

გვ.: 231,3-4. «**Так, вот Судьба твоих сынов, о Рим, о Громкая Держава**» – ამონარიდია ალექსანდრე პუშკინის პოემიდან «Цыганы»: «Так вот судьба твоих сынов,

О Рим, о громкая держава!

Певец любви, певец богов,

Скажи мне, что такое слава?»

გვ.: 231,11. „**ღენერ: ამილახუარი**“ – საუბარია ივანე გოვის ძე ამილახვარზე.

გვ.: 231,11-12. „**მოვიდა ლაზარევიცა**“ – საუბარია რუს გენერალ-მაიორ ივანე პეტრეს ძე ლაზარევზე.

გვ.: 231,12. „**ცოლის სანახავად**“ – გენერალ ლაზარევის ცოლის სახელი მითითებული არ არის.

გვ.: 231,17-18. „**გიგო სუმბათოვი**“ – საუბარია გიორგი (მიხეილ) ლუარსაბის ძე სუმბათაშვილზე, რომელმაც გენერალ-მაიორის წოდება მიიღო 1877 წლის 25 დეკემბერს.

გვ.: 231,19-20. „**ველიკის კნეინისა და მირსკის შუა**“ – საუბარია ოლდა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 231,25-26. „ძალუა ვარინკაცა... გიორგიცა“ – საუბარია გრიგოლის ძმის ცოლ-შვილზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 231,32. „ვანოსაგან გამოგზავნილი“ – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 232,3. „სანდომაც შეიტანა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანი.

გვ.: 232,7. „შენი დები, ნინოჩა-ელიჩათი“ – საუბარია სოფიო (ხორებან) კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე და მის ქალიშვილებზე – ელენესა და ნინოზე.

გვ.: 232,8. „ლუბერნატორს გვიცვლიან“ – 1876-1877 წლებში თბილისის გუბერნატორი იყო მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ოსტენ საკენი.

გვ.: 232,9. „ქუთაისიდამ კნ: გაგარინ“ – საუბარია კონსტანტინე დიმიტრის ძე გაგარინზე.

გვ.: 232,10. „შემოვიდა ჩემთან ჯომარდიძე“ – საუბარია მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარდიძეზე.

გვ.: 232,11-12. „რევაზ ანდრონიკოვი“ – საუბარია რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 232,19. «**Комаров совершил**» – სავარაუდოდ, საუბარია პოლკოვნიკ ალექსანდრე ბესარიონის ძე კომაროვზე.

გვ.: 232,21. „ნიკო წავიდა განჯას“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 232,21-22. „კნ: ლევანის ადგილს აძლევენ დალისტანში“ – საუბარია ლევან მელიქიშვილზე, რომელსაც ამ დროს დაღესტნის ოლქის უფროსის თანამდებობა ეკავა.

რევაზ ერისთავისადმი №2 (929) გვ. 233.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №86/№57, 2r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, მელნით დაწინწკლული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 20,8X13,3 სმ.; წერილი შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია || გვერდზე. ტექსტის ზემოთ შავი ფანჯრით რუსული მინაწერია: «Григорія Орбеліані Ревазу Эриставу»

თარიღი და ადგილი: „28 დეკემბერი: 1877. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო რევაზ!“

ადრესატის მისამართი: სხვა წერილებიდან ვიცით, რომ ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანი-ერისთავისა ცხოვრობდა ქართლში. ნიკო ჭავაჭავაძისადმი 1876 წლის 30 დეკემბერს გაგზავნილი წერილიდან კი ჩანს, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი იყო გორში. ავტორი ნიკოს სწერს: „ყაფლან წაათრიეს გორს ეკატერინასთან დღესასწაულების იქ გასატარებლად.“ შესაბამისად, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს გორში.

შენიშვნები: 1. ავტორს „ე“ გამორჩენილი აქვს; 2. თავადი; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 233,1. „ჩემო გულით საყუარელო რევაზ!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიან-ერისთავის, ვაჟი – რევაზ შალვას ძე ერისთავი.

გვ.: 233,5-6. „ვაი მე, რომ ჩემთვს აღარავინ იქნება ეკატერინა“ – ამ დროს გარდაიცვალა გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი – ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანი-ერისთავისა.

გვ.: 233,8. „დავჭრუდე ყაფლანს“ – საუბარია ეკატერინეს ძმაზე, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 233,17. „ქეთევანს და ელენეს შენ მიუტირე“ – საუბარია გარდაცვლილის ქალიშვილ ქეთევან შალვას ასულ ერის-თავზე და, შესაძლოა, ეკატერინე მელიტონის ასულ ბარათაშვილისა და რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის ქალიშვილზე – ელენე რევაზის ასულ ერისთავზე.

საძიებლები

პირთა ანოტირებული საძიებელი

აბაშიძე აბას ბეგი – ახალციხის მაზრის მცხოვრები. 117.

აბაშიძე-ორბელიანისა ნინო სიმონის ასული (1831-1919) – გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანის მეუღლე. 190.

ადლერბერგი ალექსანდრე ვლადიმერის ძე (1818-1888) – გრაფი, საიმპერატორო კარისა და ხელმწიფის ადგილმამულების მინისტრი (1870-1881), გენერალ-ადიუტანტი. 22.

ადლერბერგი-დადიანისა მარია ალექსანდრეს ასული (1849-1926) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, ნიკო დადიანის, მეუღლე, ინფანტერიის გენერლის, ალექსანდრე II-სთან დაახლოებული პირის, სახელმწიფო საბჭოს წევრის, კავკასიის ომების მონაწილის, 1870-1881 წლებში საიმპერატორო კარისა და საუფლისწულო მამულის მინისტრის, ალექსანდრე ვლადიმერის ძე ალერბერგის, შვილი. 15, 16.

ავთანდილოვი (ავთანდილაშვილი) ზაქარია სტეფანეს ძე – სახელმწიფო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი. 124.

ალექსანდრე I (1777-1825) – რომანოვების დინასტიის წარმომადგენელი, იმპერატორ პავლე I-ის უფროსი შვილი, რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წლებში; იმავდროულად, 1815-1825 წლებში, იყო პოლონეთის მეფე, ხოლო 1809-1825 წლებში – ფინეთის პირველი რუსი მთავარი. 64.

ალექსანდრე II (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილი. ქვეყანაში გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელთაგან აღსანიშნავია ბატონიუმობის გაუქმება 1861 წელს, აგრეთვე სასამართლო, განათლებისა და სამხედრო რეფორმები. „ნაროდნიკებმა“ ის სასიკვდილოდ დაჭრეს 1881 წელს. 64, 102.

ალექსეევ-მესხიევი (ალექსი-მესხიშვილი) მიხეილ დიმიტრის ძე (18??-) – მთავარმართებლის სამმართველოს ჩინოვნიკი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, ცოლისძმა. 58.

ალექსი-მესხიშვილი აპოლონ სარდიონის ძე (1850-1909) – გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის მონაწილე, გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, ძმისშვილი. 93, 95.

ალექსი-მესხიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ეკატერინე იაკინთეს ასული (1845-1905) – გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, ცოლის ძმისშვილი, გიორგი ნიკოლოზის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. 101.

ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე (XIX ს-ის 10-ანი წლები -?) – აზნაური, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, ცოლისძმა. წერილის ადრესატი.

ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული (1812-1895) – ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ქალიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, მეუღლე. 39, 44, 77, 94, 209. წერილების ადრესატი.

ამილახვარი-ალექსი-მესხიშვილისა ნატალია ვახტანგის ასული
(1822-1894) – გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევან
ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, ძმის, აზნაურ იაკინ-
თე ალექსი-მესხიშვილის, მეუღლე. 77.

ამილახვარი ამირინდო ამირინდოს ძე (1848-1886) – ქართველი
თავადი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 84.

ამილახვარი ივანე გივის (ეგორის) ძე (1829-1896) – გენერალ-ლე-
იტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის, ყირიმისა და
რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე,
კავკასიის სამხედრო კორპუსის მეთაური. მისი დღიურე-
ბი და მოგონებები (ჟურნალი „კავკაზიკი სბორნიკი“,
1908-1909, ტ. 26-29) საინტერესო ცნობებს შეიცავს იმ
ეპოქისა და მის დროს მოღვაწე ადამიანების, მათ შო-
რის, შამილის შესახებ. 231.

ამიროვი სტეფანე – სამხედრო პირი. მსახურობდა მოსე არ-
ლუთინსკისთან. 45, 171, 186.

ანდრეევსკაია ნინო ერასტის ასული (1848-1876) – კავკასიის
მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმის,
ერასტი ანდრეევსკის, და ბარბარე გიორგის ასულ
თუმანიშვილის უფროსი ქალიშვილი. მტკვარში დაიხ-
რჩო 1876 წელს. 135.

ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე (1809-1872) – მეფისნაცვალ
მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმი, ბარბარე გიორგის
ასულ თუმანიშვილის მეუღლე. 135.

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის (მელქისედეკის) ძე (1798-1868)
– რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი, თბილისის
სამხედრო გუბერნატორი 1849-1855 წლებში, სამოქალა-

ქო ნაწილის მმართველი. მონაწილებდა რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ამებში. იხსენიება 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო საქმეებში. 1841 წელს გენერალ-მაიორია, 1849-1856 წლებში – თბილისის სამხედრო გუბერნატორი. ყირიმის ომის დროს სარდლობდა ახალციხის რაზმს. გარდაიცვალა თავის საგვარეულო მამულში, ყოფილი სიღნაღის მაზრის სოფელ ქოდალოში. 191.

ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული (1832-) – ივანე მელქისედეკის (მალხაზის) ძე ანდრონიკაშვილისა და ნინო კონსტანტინეს ასულ ბაგრატიონის ქალიშვილი, გენერალ-მაიორ ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლე. 191.

ანდრონიკაშვილი-ჭავჭავაძისა დარია რამაზის ასული (1846-) – რამაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილისა და ანასტასია ივანეს ასულ რუსიშვილის ქალიშვილი, გენერალ-მაიორ ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძის მეუღლე. 140.

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) ემანუილ (ია) ანდრონიკეს (დონიკეს) ძე (1811-) – ანდრონიკე (დონიკე) ზაალის ძე ანდრონიკაშვილისა და ნინო იოსების ასულ ორბელიანის შვილი. 190.

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) რამაზ ივანეს ძე (1813-1885) – ტიტულოვანი მრჩეველი, 1847-1849 წლებში თელავის მაზრის მმართველი. 124, 140.
წერილის ადრესატი.

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) რევაზ ივანეს ძე (1814-1877) – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, ლეკთა კორდონის ხაზის უფროსი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მე-7 მარშალი. 186,

215, 232.

წერილის ადრესატი.

არლუთინსკი-დოლგორუკოვი (არლუთინსკი-მხარგრძელი) ნიკოლოზ ვასილის ძე (1851-1919) – პოლკოვნიკი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, პირველი კლასიკური გიმნაზიის მზრუნველი, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის მდივანი. 186.

ასტაფიევი მიხეილ ივანეს ძე (1821-1884) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, ერევნის სამხედრო გუბერნატორი, სახელმწიფო ქონების სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი, ორენბურგის გენერალ-გუბერნატორი. 123.

წერილის ადრესატი.

ასტაფიევი ნიკოლოზ ალექსეის ძე (1842-1889) – დავით ჭავჭავაძის ქალიშვილის, ელენეს, მეულლე. 84.

აფხაზი ალექსანდრე შერმაზანის ძე (1823-) – ქართველი თავადი, პოდპოლკოვნიკი. თავადის წოდება მას და მის შვილებს – გრიგოლსა და სვიმონს – დაუმტკიცდათ რუსეთის საიმპერატორო სენატის დადგენილებით. ცოლად ჰყავდა თინათინ ივანეს ასული ანდრონიკაშვილი. 190.

ალაპევუმალა (ალაპეიშ ალა) – ყარაბალის ხანების შთამომავალი, იბრაიმ ხანის შვილი, ყაჯარების დინასტიიდან ირანის მეორე მმართველის, ფეთხ ალი შაჰ ყაჯარის, პირველი ცოლი. 64.

ალალაროვი ჭავან ბეგი (1812-) – აზერბაიჯანული წარმოშობის რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. თავი გამოიჩინა უნგრეთის 1848-1849 წლების აჯანყების ჩაბშობაში, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. 85.

ახმედ მუხთარ-ფაშა // გაზი ახმედ მუხთარ-ფაშა (1832-1919) – ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი. 180, 212, 219, 220, 221, 225.

ბაბლუცა – პიროვნება დაუდგენელია. 190.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია ალექსანდრა ილიას ასული (1845-1909) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და, ფრეილინა. 175.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ბაშმაკოვისა ელისაბედ ილიას ასული (1836-1863) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 1857 წელს იქორწინა არკადი დიმიტრის ძე ბაშმაკოვზე. 96.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია გაიანე ილიას ასული (1832-1903) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 175.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია ოლღა ილიას ასული ((1840-1913)) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. წერილის ადრესატი.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა ბარბარე (ვარვარა) ილიას ასული (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმის, ილიას, მეუღლე, გიორგი XII-ის ვაჟის,

ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი. 17, 18, 43, 66, 71, 94, 96, 124, 140, 149, 202, 224, 227, 231.

წერილების ადრესატი.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-სვიატოპოლკ-მირსკისა ვერა ილიას
ასული (1842-1861) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 1860 წელს ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის. 96.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-სუმბათაშვილისა ქეთევან გრიგოლის ასული (1830-1891) – გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და ვარვარა თეოდორის ასულ ბუკრინ-სკაიას ქალიშვილი, გენერალ-მაიორ მიხაკო (მიხეილ ლუარსაბის ძე) სუმბათაშვილის მეუღლე. 96.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისა ანა (ანეტა) ილიას ასული (1828-1905) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და, სასახლის ფრეილინა. 1852 წელს ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟს – დავითს. ანა ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძღვის თელავში ქალთა განათლების კერების დაარსების საქმეში. 22.

ბაგრატიონ-გრუზინსკი გრიგოლ ილიას ძე (1855-1899) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, შვილი, გრიგოლ ორბელიანის რძლის, ბარბარეს, ძმა.
წერილის ადრესატი.

ბაგრატიონ-გრუზინსკი ილია გიორგი XII-ის ძე (1790-1854) – გიორგი XII-ისა და მარიამ დედოფლის შვილი. გადასახლებული იყო რუსეთში, სნავლობდა პაჟთა კორპუსში, მონაწილეობდა 1812 წლის ომში ნაპოლეონის

წინააღმდეგ, თადარიგში გავიდა პოლკოვნიკის ჩინით,
ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. 17, 18.

ბაგრატიონ-გრუზინსკი ირაკლი ალექსანდრეს ძე (1827-1882) –

უგანათლებულესი თავადი, ერეკლე II-ის ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილის, და მარიამ ისააკის ასულ აღა-
მალოვას შვილი. დაიბადა სპარსეთში, იზრდებოდა
ჯერ ერევანში დედასთან, ხოლო შემდეგ მასთან ერ-
თად გაამგზავრეს პეტერბურგში, სადაც იმპერატორმა
ნიკოლოზ I-მა თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო. 60-
იან წლებში მკურნალობდა საფრანგეთში, სადაც დაუ-
ახლოვდა საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ს.
აქვე იქორწინა დავით ჭავჭავაძის ასულ თამარზე. სა-
ქართველოში ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო
და საქველმოქმედო საქმიანობას. იყო ერთადერთი ბა-
ტონიშვილი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა.
22, 27, 43, 70, 84, 86, 96, 101, 115, 181.

ბაგრატიონ-გრუზინსკი ნიკოლოზ ილიას ძე (1844-1916) – გი-

ორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, შვილი, ილია
ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, ძმა, ნამდვილი სა-
ხელმწიფო მრჩეველი, ვლადიმირის გუბერნიის თავა-
დაზნაურთა წინამდლოლი, ვილნის გუბერნატორი. 175.

ბაგრატიონი-ორბელიანისა თეკლა ერეკლე II-ის ასული (თეკლა

ბატონიშვილი (1776-1846) – პოეტი, ვახტანგ ორბელი-
ანის მეუღლე. მის ლექსებში გამოხატულია ძველი დი-
დების დაკარგვით გამოწვეული სევდა. 1832 წლის
შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ორი წლით გადა-
სახლებული იყო ქალაქ კალუგაში. 211.

ბაგრატიონი-ციციშვილისა მარიამ ერეკლე II-ის ასული (მარიამ

ბატონიშვილი) (1755/58-1828) – პოეტი, სარდლისა და
თბილისის მოურავის, დავით ალექსანდრეს ძე ციციშ-

ვილის, მეუღლე, „პატრიოტული რომანტიზმის“ ერთ-ერთი პიონერი დებთან, ქეთევან და თეკლა ბატონიშვილებთან, ერთად. 211.

ბაგრატიონ-მუხრანელი გიორგი კონსტანტინეს ძე (1820/1821-1877) – ცარიზმის ერთგული მოხელე, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, სენატორი, სახელმწიფო ინსპექტორი. 27, 85, 95, 125, 162, 164, 165, 169.

წერილის ადრესატი.

ბაგრატიონ-მუხრანელი გრიგოლ (გიორგი) ივანეს (იოანეს) ძე (1790-1861) – გენერალ-მაიორი, რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე. მსახურობდა განსაკუთრებულ დავალებათა აღმსრულებლად მთავარსარდალთან (1822). ჭარ-ბელაქნის ოლქის გენერალ-გუბერნატორი. 177.

ბაგრატიონ-მუხრანელი ივანე კონსტანტინეს ძე (1812-1895) – გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1882-1885 წლებში საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, 1881 წლიდან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, ყველაზე მსხვილი მემამულე თბილისის გუბერნიაში, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ღვინის ქარხნის მეპატრონე. 79, 125, 164.

ბაგრატიონ-მუხრანელი ირაკლი კონსტანტინეს ძე (1813-1892) – სამეფო ოჯახის წევრი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მუხრანელთა შტოს მეთაური, „ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 115, 125.

ბაგრატიონ-მუხრანელი კონსტანტინე (კონია) ივანეს ძე (1838-1903) – გენერალ-მაიორი, საზოგადო მოღვაწე, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, ქველმოქმედი. მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ ეროვნულ დაწესებულებებს, სტუდენტებს. მან დიდი თანხა გაიღო ქართული გიმნაზიის შენობის (შემდგომში უნივერსიტეტი) ასაგებად. 123, 204.

ბაგრატიონ-მუხრანელი მიხეილ კონსტანტინეს ძე (1831-1907) – კონსტანტინე იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ხორეშან ზაალის ასულ გურამიშვილის შვილი, ოლღა გურამიშვილის მამიდაშვილი. მეუღლესთან, ელისაბედ (ელიზავეტა) დომიტრის ასულ ივინსკაიასთან, ერთად ცხოვრობდა მოსკოვში. 165.

ბაგრატიონ-მუხრანელისა ქეთევან ერეკლე II-ის ასული (ქეთევან ბატონიშვილი (1764-1840)) – პოეტი, იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანპატონის მეუღლე. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ მონაწილეობას იღებდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, რისთვისაც იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით დროებით პატიმრობაშიც იყო, 1810 წელს კი გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა. 211.

ბაგრატიონ-მუხრანელი-ტრუბეცკოსა სოფიო ირაკლის ასული (1850-1932) – ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ეკატერინე ივანეს ასულ არლუთინსკი-დოლგორუკოვას ქალიშვილი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსის, სერგეი ტრუბეცკოის, მეუღლე. 125.

ბადალი – რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მეპრძოლი.
სხვა ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა. 129.

ბადენელი-რომანოვისა ოლღა თეოდორის ასული (1839-1891) –
დიდი ჰერცოგის, ლეოპოლდ ბადენელის, ქალიშვილი,
კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, მეუღ-
ლე. 39
წერილების ადრესატი.

ბარათაშვილი-გერმანოზიშვილისა ნინო მელიტონის ასული (1828-1906) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და. ცოლად
გაჰყვა „ცისკრის“ თანამშრომელს, ლიტერატორ ლევან
(ლეონიდ) გერმანოზიშვილს (ბარათაშვილს). 80.

ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული (1824-1892) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ას-
ლანის ძე ორბელიანის, მეორე ცოლი. 43, 209.

ბარათაშვილი-ჯომარდიძისა ელენე გრიგოლის ასული (1840-) –
დერბენდის გუბერნატორის, მიხეილ გრიგოლის ძე ჯო-
მარდიძის. მეუღლე. იქორწინეს 1857 წელს. 27, 39.

ბარანოვსკი ნიკოლოზ ივანეს ძე (1829-1878) – სენატორი, საი-
დუმლო მრჩეველი, თბილისის სამოქალაქო ვიცე-გუბერ-
ნატორი 1860-1863 წლებში, კავკასიის მეფისნაცვლის
მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეების დეპარტა-
მენტის დირექტორი, XIX საუკუნის 60-70-იანი წლების
ლიბერალური რეფორმების განხორციელების აქტიური
მონაწილე. 122.
წერილების ადრესატი.

ბელენიცინა-კარმალინისა ლიუბოვ ივანეს ასული (1834-1903)
– მომღერალი (სოპრანო). აღაზნის ნაპირზე განლაგე-
ბული ჯარების მეთაურის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

კარმალინის, მეუღლე. 1862 წელს იმოგზაურა კავკასიაში. 181.

ბისმარკი ოტო ედუარდ ლეოპოლდ (1815-1898) – გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე, გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცილერი. 54.

ბიჩურინა ანნა ალექსანდრეს ასული (1853/1854-1888) – დიდი რუსი საოპერო მომღერალი. დაიბადა თბილისში. გარდაიცვალა სანკტ-პეტერბურგში. დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. 43.

ბულატოვი ფოკიონ ესტატეს ძე (1823-1895) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების ვიცე-დირექტორი, ელიზავეტოპოლის გუბერნიის პირველი გუბერნატორი 1868-1876 წლებში. 171.

ბუტურლინი დიმიტრი სერგეის ძე (1850-1920) – გენერალ-მაიორი (1895), რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების აქტიური მონაწილე. 161, 174, 175, 181.

გაგარინი გრიგოლ გრიგოლის ძე (1810-1893) – გამოჩენილი რუსი მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, რუსეთის იმპერატორის კარის ობერგოფმეისტერი, გენერალ-მაიორი, რუსეთის იმპერიის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოში ყოფნის 6 წლის განმავლობაში მან მოხატა სიონის ეკლესიის კედლები, თბილისის ყოფილი საოპერო თეატრის დარბაზი და ფოიები, საკუთარი ხარჯით აღადგინა ბეთანიის ეკლესიაში თამარ მეფის პორტრეტი და ფრესკა. მის კალამს ეკუთვნის მაიკო ორბელიანისა და დავით ჭავჭავაძის პორტრეტები და სხვ. 56.

გაგარინი კონსტანტინე დიმიტრის ძე (1843-1916) – გენერალ-მაიორ დიმიტრი გაგარინის შვილი, საიდუმლო მრჩეველი, სენატორი, თბილისისა (1878-1883) და რიაზანის (1883-1886) გუბერნატორი. 232.

გარსევანიშვილი-ორბელიანისა ალექსანდრა (საშა) – გენერალ-მაიორ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის („ვანკა პაჟარნი“) მეუღლე. 22, 66, 86.

გეიმანი ვასილი ალექსანდრეს ძე (1823-1878) გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის დაბყრობისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. 197, 225.

გერმანოზიშვილი (ბარათაშვილი) ანასტასია ლევანის (ლეონი-დის) ასული (1868-1878) – კარის მრჩევლის, ლეონიდ გერმანოზის ძე ბარათაშვილის, და ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილის შვილი. 80.

გერმანოზიშვილი (ბარათაშვილი) ლევან (ლეონიდ) გერმანოზის ძე (1826-1875) – ლიტერატორი, „ცისკრის“ თანამშრომელი, ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილის მეუღლე. 54, 80.

გერმანოზიშვილი (ბარათაშვილი) ნატალია ლევანის (ლეონი-დის) ასული (1866-1917) – კარის მრჩევლის, ლეონიდ გერმანოზის ძე ბარათაშვილის, და ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილის შვილი. 80.

გორგი XII (1746-1800) – ერეკლე II-ის ძე, ქართლ-კახეთის მეფე 1798-1800 წლებში. 211.

გოლენიშჩევ-კუტუზოვი მიხეილ ილარიონის ძე (1745-1813) – რუსი ფელდმარშალი, 1812 წლის რუსეთის სამამულო ომის გმირი. 154.

გოლიცინა-სვერინისა ლიუბოვ სერგეის ასული – რუსი სამხედრო მოღვაწის, ინფანტერიის გენერალ ალექსანდრე ალექსეის ძე სვერინის, მეუღლე. 86.

გოლიცინა-შერემეტივისა ევდოკია ბორისის ასული (1848-1910) – გენერალ-ადიუტანტის, უბრნყინვალესი თავადის, ბორის გოლიცინის, შვილი. ქმრის დამსახურების გამო დაჯილდოებული იყო წმ. ეკატერინეს ჯვრით. 198.

გოლიცინი დიმიტრი ბორისის ძე (1851-1920) – კავალერიის გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი, შუა აზის ლაშქრობების მონაწილე. 178, 181.

გორბუნოვი ვასილი პეტრეს ძე – სახელმწიფო ქონების სამმართველოს მოხელე XIX ს-ის 70-იან წლებში. 123.

გრიგოროვი მიხეილ ივანეს ძე – თელავის მაზრის უფროსი XIX ს-ის 60-იან წლებში, ელიზავეტოპოლის მაზრის უფროსი 70-იან წლებში. მოკლეს 1874 წელს. 64, 103.

გულევიჩი ნიკოლოზ ვასილის ძე (1817-1876) – რუსი მოხელე, საიდუმლო მრჩეველი. 1865 წელს დაინიშნა რუსეთის იმპერატორის სახელმწიფო მდივნად. იმავე დროს ხელმძღვანელობდა რუსეთის იმპერატორის კანცელარიაში არსებულ კავკასიის კომიტეტს. 95.

გურიელი დიმიტრი ქახოსროს ძე (1822-1882) – გენერალ-მაიორი, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, მეთაურობდა ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკს, იყო იმპერატორის ამალის განსაკუთრებული დავალებების შემსრულებელი. მის მიერ 1873 წელს აშენებული სასახლე ოზურგეთში დღეს წარმოადგენს შე-

მოქმედის ეპისკოპოსის რეზიდენციას. 163.

გურიელი ლევან დავითის ძე (1824-1888) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების მონაწილე. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამდღოლი. დიდი წვლილი შეიტანა აჭარის შემოერთების საქმეში. 163.

გურიელი-წერეთლისა პელაგია ქაიხოსროს ასული – ფრეილინა, გიორგი V გურიელის შვილიშვილი, ნესტორ დიმიტრის ძე წერეთლის მეუღლე, მწიგნობრული ინტერესების მქონე მანდილოსანი, გრიგოლ ორბელიანის ლექსების ადრესატი. გარდაიცვალა 1883 წელს. 163.

გურკო იოსებ ვლადიმერის ძე (1828-1901) – გენერალ-ფელდმარშალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი. 212.

დადიანი ანდრია დავითის ძე (1850-1910) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და დაძმასთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. დაამთავრა ჰაიდელბურგის უნივერსიტეტი. იყო ცნობილი მოჭადრაკე. 15, 71, 226.

დადიანი გრიგოლ ლევანის ძე (1814-1902) – პოეტი, საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, სამეგრელოს მთავრის, ლევან V-ის, შვილი. 72, 164.

დადიანი-ვიტგენშტეინისა პელაგია (პაშა) მანუჩარის (ალექსანდრეს) ასული (1847-1919) – გენერალ-მაიორ, ფერდინანდ კარლის ძე ვიტგენშტეინის მეუღლე, ალექსანდრე ლევანის ძე დადიანის ქალიშვილი. 164.

დადიანი კონსტანტინე ლევანის ძე (1819-1889) – გენერალ-ლეიტენანტი, ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე. 213.

დადიანი-მიურატისა სალომე დავითის ასული (1848-1913) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი. XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და ძმებთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. 1868 წელს ცოლად გაჰყვა შარლ ლუი ნაპოლეონ აშილ მიურატს (1847-1895), ნაპოლეონის ძმისშვილს. მათი ქორწინება პარიზში წლის მოვლენად აღიარეს. 1873 წელს წყვილი სამეგრელოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. 1913 წელს დაქვრივებული სალომე საფრანგეთში გაემგზავრა სამკურნალოდ, სადაც მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე. 71, 163, 165, 210, 227.
წერილების ადრესატი.

**დადიანი ნიკო დავითის ძე (1847-1903) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, გენერალ-მაიორი, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. მისი კანდიდატურა განიხილებოდა ბულგარეთის მთავრად. გარდაცვალების შემდეგ თავისი ბიბლიოთეკა უანდერძა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“ 15, 22, 70, 71.
წერილის ადრესატი.**

დალი ალა – რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი. სხვა ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა. 129.

დეველი თეოდორ დანიელის ძე (1818-1887) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე. 169, 180.

დენი ვოლდემარ კარლ ფონ (1838-1900) – ფინელი პოლიტიკოსი, ფინეთის სენატის წევრი, მინისტრი, ნინა დიმიტ-რის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას მეუღლე. 33, 52, 122.

დიბირმაჰმა (დიბირმაჰმადი) – სამხედრო პირი, შტაბსკაპიტანი, გრიგოლ ორბელიანის თანამოსამსახურე. 56.

დოლუხანვი – „პოდპორუჩიკი.“ XIX ს-ის 70-იანი წლების შუა ხანებში მსახურობდა ალექსანდრეს სახელობის ქვეით პოლკში. წარმოშობით იყო შუშიდან. 112.

დროგინი ნიკოლაი – იგივე მირზა ბაბა. პატიმარი. სასჯელს იხდიდა თბილისის ციხეში. გრიგოლ ორბელიანმა მისი საპატიმროდან განთავისუფლების თხოვნით მიმართა მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვსა და თბილისის გუ-ბერნატორ მაქსიმილიან ოსტენ-საკენს. 155.

დუბასოვი თეოდორ ვასილის ძე (1845-1912) – რუსეთის სამ-ხედრო-საზღვაო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, ადმირალი, მოსკოვის გენერალ-გუბერნა-ტორი. 191.

ედიგაროვი ისრაფილ-ბეგი (1815-1884) – ბორჩალოელი აზნაუ-რი, გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-რცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებე-ლი. 54, 72, 154, 222.

ერეკლე II (1720-1798) – თეიმურაზ II-ის ძე, ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში. 211.

ერისთავი ალექსანდრე (სანდრო) ესტატეს ძე (1839-1899) – პო-რუჩიკი, მეტსახელად „ამერიკანეცი.“ 28, 232.

ერისთავი-ამილახვრისა მარიამ (მაიკო //მაშო) დავითის ასული (1851-1888) – დავით ლუარსაბის ძე ქსნის ერისთავის შვილი, ამირინდო ამირინდოს ძე ამილახვრის მეუღლე. 84.

ერისთავი დავით გიორგის ძე (1847-1890) – დრამატურგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პროფესიული ქართული თეატრის აღმდეგენი კომიტეტის წევრი, ქართული თეატრის რეჟისორი. 66, 73.

ერისთავი დავით ესტატეს ძე (1843-1910) – ინფანტერიის გენერალი, გარდაიცვალა პეტერბურგში. დაკრძალულია იქვე. 123.

ერისთავი ელენე რევაზის ასული (1845-1892) – რევაზ შალვას ძე ერისთავისა და ეკატერინე (კატო) მელიტონის ასულ ბარათაშვილის შვილი. 233.

ერისთავი ელიზბარ დიმიტრის ძე (1838-1890) – პოლკოვნიკი, გიორგი („რუსეთუმე“) ერისთავის ძმა, აკაკი წერეთლის ქვისლი. 67.

ერისთავი ზაქარია გიორგის ძე (1844-1912) – საზოგადო მოღვაწე, მენარმე, ქველმოქმედი, კოოპერატივის დამაარსებელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 170, 181, 186, 192.

ერისთავი-თარხან-მოურავისა ელენე იაკობის ასული (1852-1922) – თავად გრიგოლ ალექსანდრეს ძე თარხან-მოურავის ცოლი. გარდაიცვალა ყირიმში. 167.

ერისთავი ნიკოლოზ (კოლა) რევაზის ძე (1850-1915) – ქსნის ერისთავების შთამომავალი. ნიკოლოზ ბარათაშვილის

დის, ეკატერინეს, და გვარდიის როტმისტრის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრის, რევაზ შალვას ძე ერისთავის, ვაჟი. 66.

ერისთავი-ორბელიანისა სოფიო შალვას ასული (1832-1887) – ქსნის ერისთავების წარმომადგენელი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე. 158, 217, 227.
წერილების ადრესატი.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824-1901) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ისტორიკოსი, ეთნოლოგი, დრამატურგი, პუბლიცისტი. 73.

ერისთავი რევაზ შალვას ძე (1828-1899) – გვარდიის როტმისტრი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი.
წერილის ადრესატი.

ერისთავი ქეთევან შალვას ასული (1826-1906) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანის, და შალვა რევაზის ძე ერისთავის შვილი, ელიზბარ ერისთავის მეუღლე. 233.

ვასილიევი ანდრეი იაკობის ძე – გენერალ-მაიორი, კავკასიის არმიის ოფიცერი. 147, 188.

ვაჩაძე-ორბელიანისა ხორეშან ვასილის ასული (1805-1874) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, მეუღლე. 22.

ვახო – გრიგოლ ორბელიანის წერილის მიხედვით, მეგობარი იული თეოდორის ძე მინკვიცის ვაჟისა, რომელმაც დუელში მოკლა იგი. 40.

ვექილოვი ფანა აღა – პიროვნება დაუდგენელია. 154.

ვიზგალოვი კონსტანტინე თელორეს ძე – მათემატიკოსი. თბილისის გუბერნატორის კანცელარიის უფროსი. 66.

ვიტგენშტეინი ევგენი ალექსანდრეს ძე – თავადი, დიპლომატი, ელიზავეტა ეილერის (1816-1896) მეულლე. 192.

ვლასტოვი გიორგი კონსტანტინეს ძე (1827-1899) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი. სხვადასხვა დროს იყო კავკასიის მეფისნაცვლის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკი, სტავროპოლისა და ქუთაისის გუბერნატორი, თბილისის ვიცე-გუბერნატორი, სამეგრელოს სამთავროს მმართველი. 80.

ვოლფრამი თეოდორ ქრისტიანის ძე – 1869-1872 წლებში ბაქოს ვიცე-გუბერნატორი, შემდეგ კი სახელმწიფო პრიკაზის მმართველი.
წერილის ადრესატი.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – რუსი თავადი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1854 წლებში. მანამდე ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალი იყო. 3 წლიდან 19 წლამდე ლონდონში იზრდებოდა, სადაც მამამისი რუსეთის იმპერიის ელჩად მუშაობდა. უდიდესი წვლილი შეიტანა ოდესის განვითარებაში. შამილის ნინაალმდევ ბრძოლისა და ჩეჩენეთში გამოჩენილი თავგანწირვისათვის პრინცის წოდება მიანიჭეს. 1848 წლისთვის დაღესტნის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. სარდლობდა დარღოს ოპერაციას, რომელიც რუსეთის მხედრობისთვის სამარცხვინო კრახით დასრულდა. თბილისში მის დროს დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, ბოტანიკური ბაღი, ქართული უურ-

ნალი, ოპერა, ქართული და რუსული თეატრები და
სხვ. 25, 152.

ვრანგელი კარლ-გუსტავი (1613-1676) – შვედი მეთაური, გრა-
ფი, გენერალ-მაიორი, შვედეთის ფლოტის ადმირალი,
ფელდმარშალი. 197.

ვსევოლოჟსკი ანდრეი ნიკიტას ძე (1840-1893) – რუსეთის სა-
ხელმწიფო მოლვანე, ნამდვილი სახელმწიფო მრჩევე-
ლი და სასახლის კამერგერი, ნიუე-გოროდის ვიცე-გუ-
ბერნატორი. მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვალთან,
როგორც XIX ს-ის 50-იან, ისე 70-იან წლებში. იყო
წითელი ჯვრის წარმომადგენელი. 204, 207.

ზაზა – პიროვნება დაუდგენელია. 197.

ზისერმანი არნოლდ ლევის ძე (1824-1897) – რუსი სამხედრო
ისტორიკოსი, პოლკოვნიკი, კავკასიის ომების მონაწი-
ლე. გატაცებული იყო კავკასიით და კარგად იცნობდა
მას. სრულყოფილად ფლობდა ქართულ და აზერბაი-
ჯანულ ენებს. მსახურობდა სხვადასხვა ადგილას კავ-
კასიაში. მოგვიანებით დაკავდა კავკასიის ომების ის-
ტორიის კვლევით. მის მთავარ თხზულებას წარმოად-
გენს ორტომეული – „ოცდახუთი წელი კავკასიაში.
1842-1867“, რომელიც 1879 წელს გამოსცა. მეტად
ფასეულია მის მიერ კავკასიაში მიმდინარე სოციალუ-
რი და სამოქალაქო ცვლილებების, მნიშვნელოვანი პი-
როვნებების ცხოვრების, სამხედრო მედიცინის, სამ-
ხედრო ფოტოგრაფიისა და მეფისნაცვლის კარზე მომ-
ხდარი სკანდალების აღწერა. 124.

**ზოლოტარევი (ზოლოტარიოვი) ვასილი გრიგოლის ძე (1837-
1891)** – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-თურქეთის
1877-1878 წლების ომის მონაწილე. მსახურობდა კავ-

კასიაში დაღესტნის ჯარების შტაბის უფროსად, რუსეთის არმიის მთავარ შტაბში, ბულგარეთის სამთავროში სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე. 58.

წერილის ადრესატი.

თალალა – პიროვნება დაუდგენელია. 44.

თამამშევი მიხეილ იაგორის ძე – ცნობილი მეცენატი, პირველი გილდიის ვაჭარი, თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე. 56, 121.

თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი) იოსებ დავითის ძე (1819-1878) – გენერალი, კავკასიისა და ყირიმის ომების მონაწილე. დაქორნინებული იყო ვარვარა (ბაბო) მამუკას ასულ ორბელიანზე. 169.

თუბა ბეგუმი – ნუხის გამგებლის, ისმაილ ხანის, შვილი, შირხან აღას მეულლე. 102.

თუმანიშვილი-ანდრეევსკისა ბარბარე გიორგის ასული – ექიმ ერასტი ანდრეევსკის მეულლე. 135.
წერილის ადრესატი.

თუმანოვი (თუმანიშვილი) ისაკ შიოს (სოლომონის) ძე (1803-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა და ყირიმის ომების მონაწილე, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საველე აუდიტორატის წარმომადგენელი, ნავანგინის ქვეითი პოლკის მეთაური. 27, 36, 85, 93, 101, 135, 181, 209.

თურმანიძე – ცნობილი სოფლის ექიმების საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი. 101.

იასინსკი მარკ კონსტანტინეს ძე – პოლკოვნიკი, კავკასიის

ომების მონაწილე, ნოვოროსიისკის კომენდანტი, გრი-
გოლ თრბელიანის თანამებრძოლი დალესატანში. 29.

იბრაიმი // ირაიმი – ლტოლვილი ციმბირიდან. რუსეთის ხელი-
სუფლების წინააღმდეგ მებრძოლი. სხვა ცნობების მო-
ძიება ვერ მოხერხდა. 129.

იბრაიმოლი – პიროვნება დაუდგენელია. 154.

იბრაჟიმ ხანი (იბრაჟიმ ხალილ ხანი) (1732-1806) - ყარაბალის
ხანი (1759/1763-1806), რომლის მმართველობის დრო-
საც ყარაბალის სახანო ერთ-ერთ უძლიერეს აზერბაი-
ჯანულ ერთეულად ჩამოყალიბდა. მისი გავლენა მე-
ზობელ სახანოებზეც ვრცელდებოდა. 64.

იედლინსკი ალბერტ არტურის ძე (1813-1878) – გენერალ-ლეი-
ტენანტი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე. 123.

იზმაილ ხაკი ფაშა – ოსმალეთის ჯარების სარდალი რუსეთ-
თურქეთის 1877-1878 წლების ომში, ბალკანეთის ნახე-
ვარკუნძულზე მდებარე ტელიშის სიმაგრეების კომენ-
დანტი. 225.

ისაკოვი ნიკოლოზ ვასილის ძე (1821-1891) – ინფანტერიის გე-
ნერალი, მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველი, რუ-
სეთის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების უფრო-
სი, XIX ს-ის 60-70-იან წლებში რუსეთის სამხედრო
განათლების რეფორმის ხელმძღვანელი. რუსეთში ნი-
თელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგი-
ლე. 207.

ისარლოვი (ისარლიშვილი) ლუკა სტეფანეს ძე (1814-1893) –
პოეტი, პუბლიცისტი, ცენზორი. სახელმწიფო მოხელე,
ცარიზმის ოფიციალური პოლიტიკის ერთგული გამტა-

რებელი. ფსევდონიმი – „სამცხელი.“ სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, რომელზეც საინტერესო მოგონება დატოვა. 32, 33, 58.

ისკანდერი – რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი. სხვა ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა. 129.

ისმაილ კიორი – რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი. 128, 129.

ისმაილ ხანი – ნუხის (შექის) გამგებელი 1814-1819 წლებში. 102.

კარაუვი ანტონი – პიროვნება დაუდგენელია. 134.

კარამზინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1815/1816-1888) – პოეტი, „პროპორმჩიკი“, ცნობილი ისტორიკოსის, ნიკოლოზ მიხეილის ძე კარამზინის, ვაჟი. თადარიგში გასვლის შემდეგ მისდევდა სოფლის მეურნეობას. იყო ნიუეგოროდის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღვარი. 165.

კარბელოვი (კარბელაშვილი) პოლიევეტოს გრიგოლის ძე (1855-1936) – ისტორიკოსი, მწერალი, მუსიკოსი, დეკანოზი, ძველი ქართული საგალობლების მკვლევარი და შემსრულებელი. მან გადაწერა და შემოინახა 2000-მდე ქართული საისტორიო საბუთი, ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას. 136, 139.

კარმალინი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1824-1900) – ინფანტერიის გენერალი, ერევნის სამხედრო გუბერნატორი, ყუბანის კაზაკთა ჯარების ატამანი, სამხედრო საპჭოს წევრი. 80.
ნერილის ადრესატი.

კარნინი – ოპერის მომღერალი. ბარიტონი. მღეროდა თბილისის ახლად დაარსებულ ოპერაში. 101.

კარპოვიჩი ვლადიმერ ვალერიანის ძე – წერილების მიხედვით, ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი. დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

წერილის ადრესატი.

კარცოვი ალექსანდრე პეტრეს ძე (1817-1875) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, მეფისნაცვლის თანაშემწერი, სამხედრო საბჭოს წევრი. დაკავებული იყო აკადემიური საქმიანობითაც, მის კალამს ეკუთვნის სამხედრო ხასითის არაერთი ნაშრომი. 107.

წერილის ადრესატი.

კაუფმანი კონსტანტინე პეტრეს ძე (1818-1882) – რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, შუა აზიის რეგიონების დაპყრობისა და კოლონიზაციის ხელმძღვანელი. 154.

კეისერუხსკი ალი ჰესეინ ოღლი – კავკასიის მკვიდრი, რუსეთის არმიის კაპიტანი. აქტიურად იბრძოდა კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისათვის, რის გამოც 1863 წელს დაჯილდოვდა წმ. გიორგის ჯვრით. 171, 172.

კეკე – პიროვნება დაუდგენელია. 209.

კლუშინი პავლე ნიკოლოზის ძე (1810/1814-1886) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, პერმის, ვოლინის, ვიტებსკის, ხერსონის გუბერნიების გუბერნატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 114, 115, 121, 123, 149, 158.

კომაროვები – 170.

**კომაროვი ალექსანდრე ბესარიონის ძე (1830-1904) – ინფანტე-
რიის გენერალი, კავკასიის ომებისა და თურქესტანის
ლაშქრობების მონაწილე. 180, 232.**

**კოპეიშვილი // კოპიაშვილი პეტრე – ქუთაისის ცხენოსანთა
ბოლიგის როტმისტრი, გრიგოლ ორბელიანის ყოფილი
თანამებრძოლი, წმ. სტანისლავისა და წმ. ანას მესამე
ხარისხის ორდენების კავალერი. 18, 19, 20, 164.**

**კორსაკოვი ვლადიმერ ნიკიტას ძე (1846-1900) – რუსი სამხედრო
მოღვაწე, გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთის 1877-
1878 წლების ომის მონაწილე, კავკასიის არმიის მთა-
ვარსარდლის განსაკუთრებულ დაგალებათა ოფიცერი.
66.**

**კორსანოვი – ცარსკოე სელოს მცხოვრები, რომლის სახლშიც
დროებით ცხოვრობდა გრიგოლ ორბელიანის რძალი –
ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა. 149.**

**კრავჩინკო პავლე პავლეს ძე (1829-1889) – გენერალ-ლეიტე-
ნანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის
მონაწილე, თურქეთის დესანტისაგან სოხუმის დაცვის
ხელმძღვანელი. 185, 191.**

**კრიუკოვი პროკოფი ილიას ძე (1824-1895) – გენერალ-მაიორი
1883 წლიდან. 1871-1876 წლებში მეთაურობდა კაზაკ-
თა პოლკს. 179.**

**კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისა მარია ვასილის ასული (1820-
1901) – ბაქოს სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-
ლეიტენანტ მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის, ცოლი.
აქტიურად ეხმარებოდა მეუღლეს ბაქოს საზოგადოებ-**

რივ საქმიანობაში. დიდი წვლილი შეიტანა ქალთა განათლების საქმეში, იყო ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი.
წერილის ადრესატი.

კუნძუა – თბილისელი ყასაბი და მოკრივე. 85.

ლაზარევი ივანე დავითის ძე (1820-1879) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიისაა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე. 65, 197, 225.

ლაზარევი ივანე პეტრეს ძე (1763-1803) – გენერალ-მაიორი. რუსეთის იმპერატორის მიერ 1801 წელს უფლისწულ დავითის ნაცვლად ქართლ-კახეთის დროებით მმართველად დაინიშნა. მარიამ დედოფლის საქართველოდან ძალით გასახლების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა სასახლეში. 231.

ლევაშევი (ლევაშოვი) ვლადიმერ ვასილის ძე (1834-1898) – გრაფი, არტილერიის გენერალი, ყირიმის ომის მონაწილე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1871-1874 წლებში, ქალაქ ოდესის თავი 1874-1878 წლებში. 57. წერილის ადრესატი.

ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888) – გენერალ-ადიუტანტი, გრაფი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880-1881 წლებში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და უანდარმერიის შეფი, რუსეთის პირველი კონსტიტუციის პროექტის ავტორი. ალექსანდრე II-ის მევლელობის შემდეგ, რომლის უსაზღვრო ნდობითაც სარგებლობდა, თანამდებობიდან გადადგა და დარჩენილი წლები, ძირითადად, უცხოეთში გაატარა. სომხური ნარმოშობის მიუხედავად, თავს ქართველად თვლიდა და მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. გარდაიცვალა

1888 წელს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში. 1889 წელს ჩამოასვენეს და დაკრძალეს თბილისში, ვანქის ეკლესის გალავანში. 80, 141, 169, 171, 180.
წერილის ადრესატი.

მალაუსა – თბილისის მოქალაქე. 85.

მამაცოვი (მამაცაშვილი) იოსებ ქრისტეფორეს ძე (1809-1874) – ქართველი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მსახურობდა გორში ოლქის უფროსის თარჯიმნად და თბილისის უზენაეს სასამართლოში (Экспедиция суда и расправы). 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადასახლეს ვიატკაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1836 წ.) ეწეოდა ინტენსიურ საზოგადოებრივსა და ლიტერატურულ საქმიანობას. ბეჭდავდა სტატიებს უურნალებში – „ცისკარი“ და „გუთნის დედა.“ 58.

მამაცოვი (მამაცაშვილი) კონსტანტინე ქრისტეფორეს (ქაიხოსროს) ძე (1818-1900) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე, განჯის გუბერნატორი, საზოგადო მოღვაწე. მან დიდი ღვაწლი დასდო სათავადაზნაურო ბანქს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, იყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული ყურადღება მაჰმადიანი ქართველების მიმართ. 227.

მართა – პიროვნება დაუდგენელია. 44.

მარუცა – პიროვნება დაუდგენელია. 190.

მაჭავარიანი – თბილისელების ნდობით აღჭურვილი ექიმი. 131.

მაჰმადა (მაჰმად) ყელესე – დაღესტნელი მთიელი. ევგენიევსკის მცხოვრები, „პროპორშჩიკი“, რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი, ბარონ ნიკოლაისთან დაახლოებული პირი. ბარონი მისი ხელით უგზავნიდა გრიგოლ ორბელიანის ბარათებს შამილსა და მის ქართველ ტყვეებს და აწარმოებდა მოლაპარაკებას კახეთიდან გატაცებული ქალებისა და ბავშვების გამოხსნაზე. 28.

მეინდორფი თეოფილ იაგორის ძე (1838-1919) – კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთისა და 1904-1905 წლების რუსეთ-იანონის ომების მონაწილე, 1874 წლიდან – ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის მეთაური. 87.

მელიქოვა (მელიქიშვილი)-ერისთავისა სოფიო ლევანის ასული (1859-1912) – გენერალ ლევან მელიქიშვილის შვილი, ზაქარია გიორგის ძე ერისთავის მეუღლე. 186.

მელიქოვი (მელიქიშვილი) ივანე (ვანო) ლევანის ძე (1855-) – გენერალ ლევან მელიქიშვილის უფროსი ვაჟიშვილი. 198.

მელიქოვი (მელიქიშვილი) ლევან ივანეს ძე (1817-1892) – თბილისელი ხელმოკლე თავადი, რომელიც შემდგომში საკმაოდ დაწინაურდა სამხედრო სამსახურში: მთიელებთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქნა ჯერ შტაპსკაპიტნის, შემდეგ კაპიტნის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლობასაც მიაღწია. იყო მეფისნაცვლის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 4 თვის განმავლობაში ნახტევანში ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. ცოლად ჰყავდა მამუკა ორბელიანის ქალიშვილი ალექსანდრა. დაკრძალულია მამადავითის ეკლესიაში. 22, 27, 55, 56,

58, 80, 85, 89, 119, 141, 149, 170, 181, 186, 192, 216, 217, 227, 232.

მესხი სერგეი სიმონის ძე (1845-1883) – მწერალი, პუბლიცისტი, უურნალისტი. 1868 წლიდან უურნალ „დროების“ რედაქტორი, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის აქტიური მონაწილე. მან დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის, კრიტიკის, უურნალისტიკისა და ქართული თეატრის განვითარების საქმეში. 74.

მინკვეიჩი ივანე ივანეს ძე (1826-1897) – პოლონური წარმოშობის რუსი ექიმი. 1853-1856 წლების ყირიმის ომის მონაწილე. 1856 წლიდან კავკასიის არმიის მთავარი ქირურგი. კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთერთი დამფუძნებელი. 101, 135.

მინკვიცი იული თეოდორის ძე (1807-1870) – გენერალ-ლეიტენანტი 1858 წლიდან, 1857 წლიდან ხელმძღვანელობდა კავკასიის უანდარმერიას. დერბენდის გუბერნატორი. 40.

მინკვიცისა – დერბენდის გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტის, იული თეოდორის ძე მინკვიცის, მეუღლე. 23.

მირზოევი – პიროვნება დაუდგენელია. 198.

მირზოევი (მიზოევი, მირზოიანი) ივანე (ოვანეს) მინაის (მინასის) ძე – თბილისელი მდიდარი ვაჭარი, რომლისგანაც სესხს იღებდნენ. 192.

მიულფელდი სერგეი კარლის ძე – რუსი ჩინოვნიკი, მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვალთან, 1858-1860 წლებში ლაზა-

რევის ინსტიტუტში სწავლობდა აღმოსავლურ ენებს.
186.

მიურატი აშილ შარლ ლუი ნაპოლეონი (1847-1895) – ფრანგი მეწარმე. ნეაპოლის მეფის, იოანიმ მიურატის, შვილიშვილი. ნაპოლეონ III-ის ადიუტანტი. 1868 წელს იქორნინა დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილ სალომეზე. დაკრძალულია სამეგრელოს სოფელ ჭკადუაშის კათოლიკური ეკლესიის ბაღში. 210, 213, 224, 226.

მიცევიჩი ადამ (1798-1855) – უდიდესი პოლონელი პოეტი, დრამატურგი, ესეისტი, მთარგმნელი და პოლიტიკოსი. ის ასევე მიჩნეულია ლიტვისა და ბელორუსის პოეტად. 181.

მიხეილი (მიხეილა) – მზარეული. 45.

მოლიერი (პოკლენი) ჟან-ბატისტი (1622-1673) – ფრანგი დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე, თეატრალური დასის ხელმძღვანელი, „მაღალი კომედიის“ ჟანრის ფუძემდებელი. 85.

მორენცი ნიკოლოზ ივანეს ძე (1818-1882) – გენერალ-მაიორი 1860 წლიდან, გენერალ-ლეიტენანტი 1869 წლიდან. 214.

მორიცი პეტრე ალექსანდრეს ძე (1818-1898) – რუსეთის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი. წერილის ადრესატი.

მოროზოვა-ნოსტიცისა ანასტასია ივანეს ასული – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, გიორგი ივანეს ძე ნოსტიცის, მეუღლე. 204, 222.

მრევლოვი (მრევლიშვილი) სოლომონ იოსების ძე (1835-1909) – თბილისელი ექიმი, მედიცინის დოქტორი; ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, კავკასიის სამედიცინო საზოგადოების აქტიური წევრი. 95.

მურავიოვ-ყარსელი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1794-1866) – კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალი 1854-1856 წლებში, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 196.

მუსა – ლტოლვილი ციმბირიდან. რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი. სხვა ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა. 129.

ნაბოკოვი ივანე ალექსანდრეს ძე (1787-1852) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ნაპოლეონის წინააღმდეგ მოის აქტიური მონაწილე. სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ იყო პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის კომენდანტი. 115, 122.

ნაკაშიძე ალექსანდრე დავითის ძე – გენერალ მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის ადიუტანტი. 226.

ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821) – მსოფლიო მასშტაბის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი, საფრანგეთის რევოლუციის გენერალი, პრემიერ-კონსული, საფრანგეთის პირველი იმპერატორი (1804-1815). ევროპის სახელმწიფოების კოალიციასთან საბოლოოდ დამარცხებული. ევროპაში გაბატონების მსურველი ნაპოლეონი გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც ექვსი წლის შემდეგ გარდაიცვალა. 197.

ნაუმენკო – სამხედრო პირი. 229.

ნევედომსკაია-ხილკოვისა ანნა ნიკოლოზის ასული (1839-1892)

– რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს სანიტარული მატარებლის წითელი ჯვრის წარმომადგენლის, მიხეილ ივანეს ძე ხილკოვის, მეუღლე. 201.

ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე (1821-1899) – ბარონი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1863 წელს დაინიშნა სენატორად და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსად, ასევე ამავე სამმართველოში – ამიერკავკასიაში გლეხთა მდგომარეობის კეთილმოწყობის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ. 1864 წლიდან მუშაობდა სახალხო სასწავლებლების სანიმუშო წესდებისა და საგლეხო და სასამართლო რეფორმების შემუშავებელ კომისიებში. 1881-1882 წლებში იყო რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების მინისტრი. ცოლად ჰყავდა სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე. 52, 80, 121, 158. წერილის ადრესატი.

ნიკოლაი-შერვაშიძისა მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასული (1859-1919) – ფრეილინა, ალექსანდრე ნიკოლაისა და სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის შვილი. 52, 80.

ნიკოლოზ I (1796-1855) – ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი, რუსეთის იმპერატორი 1825-1855 წლებში. ცნობილი იყო თავისი კონსერვატორული შეხედულებებით. მისი მეფობა გამოირჩიოდა იმპერიის გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებით, რეპრესიული პოლიტიკით, ეკონომიკური სტაგნაციით, კორუფციული ბიუროკრატიით, სუსტი ადმინისტრაციული პოლიტიკით, აგრესიული ომების წარმოებით, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენდა ყირიმის 1853-1856 წლების ომი. 169.

ნიკოლსკი ისიდორ (იაკობ) სერგეის ძე (1799-1892) – რუსეთის

მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი, ორლოვის სასულიერო სემინარიის რექტორი.
წერილის ადრესატი.

ნინოჩა – პიროვნება დაუდგენელია. 192.

ნურიჩი – შტაბსკაპიტან დიპირმაჲმადის მამა. 56.

**ოგოლინი ალექსანდრე სტეფანეს ძე (1821-1911) – რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, სენატორი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე, ქუთაისისა და ვიტებსკის გუბერნატორი.
წერილის ადრესატი.**

ოკლობუიო ელენე (ელიჩა) ივანეს ასული – კავკასიის ომების აქტიური მონაწილის, ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოს, და ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის შვილი. 186, 197, 232.

**ოკლობუიო ივანე დიმიტრის ძე (1821-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების აქტიური მონაწილე. 45, 84, 125, 134, 169, 180.
წერილების ადრესატი.**

ოკლობუიო ნინო (ნინოჩა) ივანეს ასული (-1917 წლის შემდეგ) – კავკასიის ომების აქტიური მონაწილის, ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოს, და ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის შვილი. 1911 წელს ცოლად გაჰყვა ლევანდოვსკის. 186, 197, 232.

ონიკოვი (ონიკაშვილი) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე – თბილისის გუბერნიის მდივანი, მწიგნობარ და კალიგრაფ ნი-

კოლოზ ონიკაშვილის ვაჟი, გრიგოლ ორბელიანის მე-
გობარი. 28, 45, 80, 213.

ოპოჩინინა-სტატკოვსკისა ნინა ალექსეის ასული – გენერალ
ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და გრიგოლ ორბე-
ლიანის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბე-
ლიანის, ქალიშვილი. 22, 197.

ოპოჩინინი ალექსეი პეტრეს ძე (1807-1885) – ინფანტერიის გე-
ნერალი, თბილისის კომენდანტი 1868-1885 წლებში.
გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბე-
ლიანის, მეუღლე. 22, 39, 46, 48, 84, 125, 127, 134,
159, 165, 171, 181, 197.

ოპოჩინინი პეტრე ალექსეის ძე (1853-1907) – გენერალ ალექ-
სეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და გრიგოლ ორბელიანის,
ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანის,
შვილი. 125, 126.

ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე (1829-1869) – გენერალი,
პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, მანანა ორბელია-
ნის ვაჟი. 165.

ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია (ტასო) დავითის ასული
(1825-1907) – გრიგოლ ორბელიანის ნათესავი, მეორე
ცოლი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე
ივანეს ძე გაგარინისა, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრა
სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა
1857 წელს. მეუღლის მევლელობის შემდეგ დასახლდა
მის მამულში, ყირიმში, სადაც ააგო ციხე-სიმაგრე. გა-
მოირჩიოდა მოსახლეობისადმი მზრუნველობით. 28,
71, 124, 167.
წერილის ადრესატი.

ორბელიანი გიორგი ილიას ძე (1853-1924) – გენერალ-ლეიტენანტი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილიას, შვილი (ტყუპისცალი), რუსეთ-იაპონიის, რუსეთ-თურქეთის ომებისა და । მსოფლიო ომის მონაწილე. 1886 წელს იქორწინა მარიამ ალექსანდრეს ასულ ორბელიანზე. გარდაიცვალა საფრანგეთში. დაკრძალულია იქვე. 17, 22, 23, 35, 37, 38, 39, 43, 46, 47, 48, 51, 52, 59, 60, 66, 71, 78, 79, 80, 87, 88, 89, 94, 96, 101, 113, 114, 124, 125, 126, 140, 158, 159, 177, 178, 197, 202, 203, 204, 212, 221, 222, 224, 227, 231.

ორბელიანი გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე (1836-1887) – შტაბს-კაპიტანი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 119, 190, 213.

ორბელიანი დავით (დათივო) მამუკას ძე (1838-1875) – შტაბს-როტმისტრი. 70.

ორბელიანი დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე (1806-1882) – გვარდი-ის „პოდპორუჩიკი“ (1832), საზოგადო მოღვაწე, თეკლა ბატონიშვილის შვილი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავი, მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის სიმამრი. 48, 86.

ორბელიანი-ერისთავისა ეკატერინე ასლანის ასული (1802-1877) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, შალვა რევაზის ძე ქარის ერისთავის მეუღლე. 102, 152, 233.

ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე (1812-1890) – გენერალ-მაიორი, პოლკოვნიკ ვახტანგ ორბელიანისა და ერეკლე II-ის ასულის, თეკლა ბატონიშვილის, შვილი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. 22.

ორბელიანი ივანე დავითის ძე (1824-1893) – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის ვაჟი. მოიხსენიებდნენ „მანანი-ჩად.“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 28, 65, 100, 102, 124, 158, 217, 231.

ორბელიანი ივანე (ვანო) კონსტანტინეს ძე („ვანკა პაუპარნი“) (1830-1892) – ფლიგელ-ადიუტანტი, გენერალ-მაიორი 1887 წლიდან. გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, შვილი. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქში, მეთაურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილს. სიცოცხლის ბოლო წლები რუსეთში გაატარა, სადაც გარდაიცვალა. დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. 22, 35, 39, 86, 101. წერილების ადრესატი.

ორბელიანი ივანე მამუკას ძე (1844-1919) – გენერალ-მაიორი, კავკასიის კაზაკთა დივიზიის მეორე ბრიგადის მეთაური, მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანისა და ქეთევან გიორგის ასულ ერისთავის ვაჟი, მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას მეუღლე. 45.

ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე იაკობის ასული (1824-1875) – გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 102.

ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1815-1853) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, გენერალ-მაიორი. მონანილეობდა დაღესტნის ბრძოლებში, რის შედეგადაც ტყვედ ჩაუვარდა მთიელებს (1842). სხვა ტყვეებთან ერთად იგი შამილს მიჰვარეს დარღოში (შამილის რეზიდენცია 1840-1845 წლებში). რამდენიმე თვეის შემდეგ გაქცევა უცდია, მაგრამ გზაზე, სოფ. მეხელტას ახლოს, დაუჭერიათ და უკანვე მიუგვრიათ იმამის-

თვის. გათავისუფლების შემდეგ, 1846 წელს, დანიშნეს მაზრის უფროსის თანამდებობაზე განჯაში, სადაც სა-შუალება მიეცა, მიეხედა თავისი დისტვილის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – საფლავისთვის. გარდაიცვალა ყირიმის ომში მიღებული ჭრილობის შედეგად. დაკ-რძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. 17

ორბელიანი იოსებ (სოსიკო) კონსტანტინეს ძე (1824-1879) – გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების მონაწილე, წმინდა გიორგის ორდენის კავალე-რი, ალაზნის ხაზის ჯარების სარდალი. გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი. 42, 43, 45, 60, 66, 85, 124, 128, 129, 134, 186, 192, 197, 198, 209, 213, 215, 216, 222.
წერილების ადრესატი.

ორბელიანი მამუკა (მაკარ) ივანეს ძე (1873-1924) – საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი. 70.

ორბელიანი მარიამ (მარია // მანია) ალექსანდრეს ასული – ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისა და ევდოკია სომოვას შვილი. მამის გარდაცვალების შემდეგ დედა-მისი გათხოვდა ლუი ნაპოლეონ მიურატზე და ამიტომ გაზარდა ბებიამ – მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვისამ. 165.
წერილის ადრესატი.

ორბელიანი-მელიქიშვილისა ალექსანდრა (საშა // ანა) მამუკას ასული (1835-1914) – ლევან მელიქიშვილის მეუღლე. მან იშვილა მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის დაობლებული შვილი. თვითონ სამი ვაჟი შეეძინა ლევანთან. 58, 100, 170.

ორბელიანი-ოკლობუიოსი ანასტასია (ტასო, ტასიკო) კონსტანტინეს ასული (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოს მეუღლე. 35, 39, 66, 124, 186, 197, 198, 209, 212, 213.
წერილის ადრესატი.

ორბელიანი-ოპოჩინინისა ბარბარე იაკობის ასული (1820-) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ-მაიორ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის მეუღლე. 22,

ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა სოფიო იაკობის ასული (1829-1879) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის მეუღლე. 45, 52, 221.

ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე (1813-1878) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. გადმოცემით, კარგი მომღერალი და მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი. მღეროდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. 43, 45, 57, 72, 77, 93, 95, 102, 124, 135, 152, 171, 192, 214, 226, 233.
წერილების ადრესატი.

ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასული (1827-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი, ზურაბ დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლე. 44, 84, 197, 209.

ორბელიანი-წულუკიძისა ნინო (ნინუცა) ყაფლანის ასული (1839-) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, შვილი. 1864 წელს იქორნინა თავად დიმიტრი პაატას ძე წულუკიძეზე. 209.

**ორლოვ-დენისოვი პეტრე მიხეილის ძე (1852-1881) – გრაფი,
ფლიგელ-ადიუტანტი, შუა აზიის დაპყრობებისა და
რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე.
181.**

**ორლოვსკი კონსტანტინე ივანეს ძე (1810-1876) – საიდუმლო
მრჩეველი, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი
1860-1876 წლებში. 114, 121.
წერილის ადრესატი.**

**ოსტენ-საკენი ფონ დერ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე (1833-
1884) – ბარონი, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე,
კავკასიის ომის მონაწილე, საიდუმლო მრჩეველი, სტა-
ვრობოლისა (1873-1876) და თბილისის (1876-1877) გუ-
ბერნატორი, მეფისნაცვლის სასახლის კამერგერი, სა-
ლომე დავითის ასულ ჭავჭავაძის მეუღლე. 80, 114,
122, 124.
წერილების ადრესატი.**

**პავლოვი პლატონ პეტრეს ძე (1834-1904) – ინფანტერიის გენე-
რალი, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების აქტი-
ური მონაწილე, კავკასიის არმიის შტაბის უფროსი.
212.
წერილების ადრესატი.**

**პასეკი დიომიდე ვასილის ძე (1808-1845) – გენერალ-მაიორი,
დაღესტნის ბრძოლების წარმატებული მხედართმთავა-
რი. სხვადასხვა დროს იყო აფშერონის პოლკის მეთაუ-
რი, ხუნდახის გარნიზონის უფროსი. 29.**

**პასკევიჩი ივანე თეოდორის ძე (1782-1856) – გენერალ-ფელდ-
მარშალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის იმპერიის
სამხედრო მოღვაწე, რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუ-
სეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომების დროს იყო**

კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, ხელმძღვანელობდა პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების ჩახშობას. პქონდა ერევნის გრაფისა და ვარშავის პრინცის წოდებები. 1831 წელს დაინიშნა პოლონეთის სამეფოს მეფისნაცვლად. უნგრეთის 1848-1849 წლების რევოლუციის დროს სარდლობდა რუსეთის არმიას. აქტიური მონაწილეობა მიიღო ყირიმის ომში. 117, 196.

პოპორილოპულო ალექსანდრე ივანეს ძე – საიდუმლო მრჩეველი. 134.

პოპრუჟენკო დანიელ – სასულიერო პირი. XIX ს-ის 40-იან წლებში მსახურობდა ოფშერონის პოლკი, მონაწილეობდა კავკასიის ომებში.
წერილის ადრესატი.

პუშჩინა-კარცოვისა ეკატერინე ნიკოლოზის ასული – მეფისნაცვლის თანაშემწის, ინფანტერიის გენერალ ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვის, მეუღლე, ამიერკავკასიის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრი. 104, 186.
წერილის ადრესატი.

უდანოვა – პიროვნება დაუდგენელია. 45.

რეადი ნიკოლოზ ანდრეას ძე (1793-1855) – გენერალი, კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო სამმართველოს ინსპექტორი, მოგვიანებით – კავკასიის ჯარების კორპუსის სარდალი. მასზე გრიგოლ ორბელიანი წერდა: „ისე წავიდა კავკასიოდან, ვერ გაარჩია დუშეთი თუშებისაგან.“ 122.

რემერტი ადოლფ ალექსანდრეს ძე (1835-1902) – მედიცინის დოქ-

ტორი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, XIX ს-ის 70-იან წლებში იყო თბილისის სამედიცინო განყოფილების მმართველი, მოგვიანებით კი – რუსეთის არმიის მთავარი სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს უფროსი.

წერილის ადრესატი.

რიუკოვისა – თბილისის ვაჟთა გიმნაზიის რუსული სიტყვიერების პედაგოგის, სტეფანე ივანეს ძე რიუკოვის, მეუღლე. 44.

რიუკოვი სტეფანე ივანეს ძე – თბილისის ვაჟთა გიმნაზიის რუსული სიტყვიერების პედაგოგი, პუბლიცისტი. 44.

რომანოვა ანასტასია მიხეილის ასული (1860-1922) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის ქალიშვილი, პერცოგ ფრიდრიხ ფრანც III-ის მეუღლე. გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზითა და კეთილშობილებით. გარდაიცვალა საფრანგეთში. 92, 133.

რომანოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (1827-1892) – დიდი მთავარი, გენერალ-ადმირალი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 1865-1881 წლებში, პოლონეთის მეფის-ნაცვალი 1862-1863 წლებში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის უმცროსი ძმა. 185.

რომანოვი მიხეილ მიხეილის ძე (1861-1929) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის ვაჟი. ბავშვობა გაატარა თბილისში. 1881 წლიდან მსახურობდა ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკში, სადაც მალე მიიღო პოლკოვნიკის ჩინი. 1891 წელს იმპერატორ ალექსანდრე III-ისა და მშობლების ნებართვის გარეშე იქორნინა ალექსანდრე პუშკინის შვილიშვილზე, გრაფინია სოფია ნიკოლოზის ასულ მერენბერგზე (დეტორბიზე), რის გამოც ის განთავისუფლდა სახელ-

მწიფო სამსახურიდან და ჩამოერთვა ყველა უფლება, აეკრძალა რუსეთში შესვლაც. ამის გამო ის მეუღლეს-თან ერთად ცხოვრობდა საფრანგეთსა და ინგლისში. გარდაიცვალა ლონდონში. 218.

რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832-1909) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე შვილი, იმპერატორ ალექსან-დრე II-ის ძმა, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ფელდცეიხმეისტერი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდო-მარე, რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე. 1862 წლიდან 20 წლის განმავლობაში იყო კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის არმიის მთავარსარდალი. წერილის ადრესატი.

რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1831-1891) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მესამე შვილი, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა, გენერალ-ფელდმარშალი, რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე, სახელმწიფო საბჭოს წევ-რი. 152, 154.

როსლავლიოვი მიხეილ ივანეს ძე (1822-1887) – გენერალ-ლეი-ტენანტი, რუსეთ-თურქეთის 1853-1856 და 1877-1878 წლების ომების მონაწილე, ერევნის სამხედრო გუბერ-ნატორი. 80, 194.

რუმიანცევი პეტრე ალექსანდრეს ძე (1725-1796) – რუსი მხე-დართმთავარი, გრაფი, გენერალ-ფელდმარშალი, სამ-ხედო თეორეტიკოსი. 154.

რუსთაველი შოთა – XII-XIII საუკუნეების დიდი ქართველი პოეტი. 60.

საპინინი მიხეილ (გობრონი) პავლეს ძე (1845-1900) – ბერი გობ-რონი, საქართველოს ეკლესიის ისტორიკოსი, თბილი-

სის გიმნაზიისა და პეტერბურგის სასულიერო აკადე-
მის კურსდამთავრებული. 141, 142, 144, 145.

საგინოვი (საგინაშვილი) **ალექსანდრე დიმიტრის ძე** (1808-
1887) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. მე-
ლიტონ ბარათაშვილის დის, მარიამ (მაია) ნიკოლოზის
ასულ ბარათაშვილის, შვილი და გრიგოლ ორბელიანის
ბიძაშვილის, ბარბარე სამარაგლონის ასულ ორბელია-
ნის, მეულლე. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის
(1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829, 1877-
1878) და კავკასიის ომებში. 1869 წელს მიიღო გენე-
რალ-მაიორის ჩინი. ბარბარეს გარდაცვალების შემდეგ
დაქორწინდა ასაკით ბევრად უმცროს ელისაბედ გრი-
გოლის ასულ ჭავჭავაძეზე (ილიას დაზე). ალექსან-
დრეს არც ერთი ქორწინებიდან შვილი არ ჰყოლია. 39,
43, 135.

საგინოვი (საგინაშვილი) **ივანე ბესარიონის (ვასილის) ძე** (1825-
1909) – გენერალ-მაიორი 1880 წლიდან, თადარიგში
გასვლის შემდეგ, 1897 წლიდან, იყო თბილისის გუ-
ბერნიის თავადაზნაურთა წინამძღვრი. 192.

სავანელი ალექსანდრე ივანეს ძე – მომრიგებელი მოსამართლე
დუშეთში ილია ჭავჭავაძის შემდეგ, უურნალ „ცის-
კრის“ თანამშრომელი, ცნობილი მუსიკოსის, თბილი-
სის მუსიკალური სკოლის დამაარსებლის, ხარლამპ
სავანელის (1812-1890), ძმა. 150.

სალუსბერი (სალისბერი, სოლისბერი) **რობერტ არტური** (1830-
1903) – ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ლორდთა
პალატის წევრი, 1885-1892 და 1895-1902 წლებში
ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. 154.

სამოილოვი ნიკოლაი ალექსანდრეს ძე – პოლკოვნიკი. 121.

სარაჯევი გიორგი მიხეილის ძე – ექიმი. 27.

სარაჯოვი (სარაჯიშვილი)-ერისთავისა მარიამ (მაშა) ზაქარიას ასული (1851-1913) – დრამატურგ დავით გიორგის ძე ერისთავის მეულლე. 66.

სარაჯოვი ზაქარია – დრამატურგ დავით გიორგის ძე ერისთავის სიმამრი. 66.

სარჯველაძე ლევან – პიროვნება დააუდგენელია. 95.

სერაფიმოვიჩი იოსებ მარტინის ძე (1832-1881) – რუსი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, გეორგიევსკის ორდენის კავალერი, ზაქათალის ოლქის უფროსი. წერილის ადრესატი.

სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისა მარიამ (მაკო) დიმიტ-რის ასული (1853-1889) – დიმიტრი ივანე ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის შვილი, გენერალ-მაიორ ივანე მამუკას ძე ორბელიანის მეულლე. 22, 46, 159.

სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე (1824-1899) – გენერალი, კავკასიის, ყირიმის ომისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1863-1867 წლებში, სახელმწიფო საბჭოს წევრი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ქმარი. 33, 39, 45, 48, 52, 60, 79, 84, 85, 86, 134, 151, 159, 185, 197, 198, 207, 212, 216, 221, 231. წერილების ადრესატი.

სვიატოპოლკ-მირსკი ნიკოლოზ ივანეს ძე (1833-1898) – კავა-

ლერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ვერა ილიას ასულ ბატონიშვილის მეუღლე, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, დონის კაზაკთა ჯარების მეთაური. 48.

სვიატოპოლკ-მირსკი პეტრე დიმიტრის ძე (1857-1914) – რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემნე, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი, დიმიტრი ივანე ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის შვილი. 48, 71, 125, 126.

სვისტუნოვი ალექსანდრე პავლეს ძე (1830-1903?) – არტილერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიისა და ყირიმის ომების აქტიური მონაწილე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, თერგის ოლქის უფროსი და თერგის კაზაკთა ჯარების ატამანი.
წერილის ადრესატი.

სიმონი – პიროვნება დაუდგენელია. 167.

სისინი პავლე ათანასეს ძე – ტოპოგრაფი, „პოდპორუჩიკი.“ 119.

სოფიო – პიროვნება დაუდგენელია. 209.

**სტაროსელსკი დიმიტრი სიმონის ძე (1832-1884) – გენერალ-ლეიტენანტი, ბაქოს გუბერნატორი, ამიერკავკასიაში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, ოლდა გურამიშვილის დის, ეკატერინეს, მეუღლე. 80, 85, 122.
წერილების ადრესატი.**

სულთან კრიმ-გირეი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1836-1917/20)

– რუსი სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მთავარი სამმართველოს სამოქალაქო ნაწილის საბჭოს წევრი, 1903 წლიდან საიდუმლო მრჩეველი, 1905 წლიდან – კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე სამოქალაქო დარგში. 85.

სულხანიშვილი-ორბელიანისა მაკრინე ივანეს ასული (1815-

1885) – აზნაურ ივანე სულხანიშვილის შვილი, ესტატე იოსების ძე ორბელიანის მეუღლე. 42, 43, 93.

სუმბათოვი (სუმბათაშვილი) გიორგი (მიხეილ) ლუარსაბის ძე (1822-

1886) – პოლკოვნიკი, კაპიტანი, გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომებში. 71, 231.

სუმბათოვი (სუმბათაშვილი) ივანე მიხეილის ძე (1855-) – სამხედრო

პირი. 71, 96.

ტაშდემური – რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი მთიელის მამა. 129.

ტერ-ასატუროვი დიმიტრი ბოგდანის ძე (1836-1897) – თბილი-

სელი სომეხი. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე. 226.

ტერლუკასოვი არზას არტემის ძე – გენერალ-ლეიტენანტი, კა-

ვკასიისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე, აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაური. 169, 180, 185, 194, 196, 197, 225, 230, 232.

ტიოცი – ოპერის მომღერალი ქალი. მღეროდა თბილისის ახლად დაარსებულ ოპერაში. 101.

ტრუბეციო სერგეი ნიკიტას ძე (1829-1899) – ოპერ-გოფმარშალი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსი, საიმპერატორო ერმიტაჟის დირექტორი, სოფიო ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. 115, 125, 164.

უსუფოვი მუსა ალა – ილია ორბელიანის თანამებრძოლი. 148.

ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული (1840-1916) – კონსტანტინე (კოტე) ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. 79.

ფალავანდიშვილი-ორბელიანისა მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასული (1852-) – შტაბს-კაპიტან ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის მეუღლე. 44, 56, 84, 93.

ფალავანდოვი ილია – ქართველი თავადი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა ციმბირში გადასახლება პოლიციის პრისტავთან კონფლიქტის გამო. გრიგოლ ორბელიანმა მისი საპატიმროდან განთავისუფლების თხოვნით მიმართა თბილისის გუბერნატორ მაქსიმილიან ოსტენ-საკენს. 156.

ფეხს ალი შაჰი // ბაბა ხანი (1771-1834) – ირანის შაჰი ყაჯართა დინასტიიდან 1797-1834 წლებში. ყაჯართა დინასტიის დამაარსებლის, საჭურისი ალა მუჰამედის, ძმის-შვილი და მემკვიდრე. 64, 103.

ფილოსოფოვი დიმიტრი ალექსეის ძე (1837-1877) – გენერალ-მაიორი (1875 წლიდან), კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ადიუტანტი, რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიის კურსდამთავრებული, რუსეთ-თურ-

ქეთის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე.
123.

ფისუნი ალექსანდრე ალექსეის ძე – კავკასიის სააქციო სამ-
მართველოს უფროსი. 181.

ფოკი-სვისტუნოვისა მარია ბორისის ასული – კავკასიის სამ-
ხედრო ოლქის შტაბის უფროსის, ალექსანდრე პავლეს
ძე სვისტუნოვის, მეულლე. 46.

ფრანკლინი ვიქტორ ანტონის ძე (1820-1892) – გენერალ-ლეი-
ტენანტი, სამხედრო მწერალი, ყარსის პირველი გუ-
ბერნატორი. 181.

ფრედერიქს-ალოპეუსისა ალექსანდრა პეტრეს ასული (1815-
1901) – ბარონესა, რუსეთის საიმპერატორო კარის
ფრეილინა, თეოდორე დავითის ძე ალოპეუსის მეულ-
ლე. 186.

წერილის ადრესატი.

ფრიდრიხ II დიდი (1712-1786) – ჰოენცოლერნების დინასტიის
წარმომადგენელი. პრუსიის მეფე და სამხედრო მოლ-
განე, განათლებული აბსოლუტიზმის თვალსაჩინო
წარმომადგენელი, გერმანული სახელმწიფოებრიობის
ფუძემდებელი. გერმანელმა ერმა მას „ფრიდრიხ დი-
დი“ და ზედმეტსახელად „პეტერი ფრიცი“ შეარქვა.
197.

ქეთევან დედოფალი / ქეთევან ნამებული (1560-1624) – წმინდა
დიდმოწამე, საქართველოს მნათობი, კახეთის დედო-
ფალი. აშოთან მუხრანბატონის ქალიშვილი, კახეთის
მეფის, დავით I-ის, მეულლე, თეიმურაზ I-ის დედა,
ქრისტიანობისათვის და სამშობლოსათვის წამებული
1624 წელს. 211.

ქობულოვი (ქობულაშვილი) ოთარი – ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დაწინაურებული პირის, დავით ქობულაშვილის, ვაჟი. მათ ნაბოძები ჰქონიათ კახეთის მდივნობა. ამ თანამდებობაზე მამის შემდეგ ოთარიც უკურთხებიათ. 100.

ქობულოვისა (ქობულაშვილისა) ბარბარე (-1875) – ოთარ ქობულაშვილის მეუღლე, სილამაზითა და გონიერებით გამორჩეული ქალბატონი, ერთ-ერთი პირველი ლიბერალი ქალი საქართველოში. 97, 100.

ლამბაროვი – ვინაობა დაუდგენელია. 134.

ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე (1840-1921) – ინფანტერიის გენერალი, სამხედრო მწერალი, ივანგოროდის, ვარშავისა და ვლადივოსტოკის ციხე-სიმაგრეების კომენდანტი. 170.

ყიფიანი ლიმიტრი ივანეს ძე (1814-1887) – ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული. 73.

ყორლანაშვილი-თამამშევისა ბარბარე ვასილის ასული – მიხეილ იაგორის ძე თამამშევის მეუღლე. ცოლ-ქმარი აქტიურად იყო ჩართული თბილისის კულტურულ ცხოვრებაში და ჰქონდათ პირველი არისტოკრატული „ინგლისური“ კლუბი. 121, 134.

ყორლანოვი (ყორლანაშვილი) // ყორლანიანცი ანტონ სოლომონის ძე // (1838-1902) – კაპიტანი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, რომლის დამთავრების შემდეგ გადავიდა სამოქალაქო სამსახურში.

1879 წელს არჩეულ იქნა თბილისის თავად, მაგრამ მალევე გადადგა. ხელმძღვანელობდა თბილისის საკრედიტო საზოგადოებას. 59.

ყორლანოვი (ყორლანაშვილი) სტეფანე სიმონის ძე – პოდპოლკოვნიკი. 1874 წლიდან მსახურობდა კავკასიის არმიაში. 175.

შალიკოვი (შალიკაშვილი) სვიმონ იოსების ძე (1808-1863) – გენერალ-მაიორი. მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში 1830-1850 წლებში, ზაქათალის ოლქში (ამჟამად შედის აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში) ქართველ გრენადერთა პოლკის ხაზინადრად 1850-1854 წლებში. 60-იან წლებში იყო ზემო დაღესტნის ჯარების უფროსი. 172.

შამილი (1798-1871) – კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი (1834-1859). წარმოშობით დაღესტნელი. მის მიერ დაარსებულმა მოძრაობამ – მიურიდიზმა – დაღესტანი და ჩეჩენეთი, სადაც ის განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა, რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისთვის გააერთიანა. 1859 წლის 28 აგვისტოს დაატყვევეს და ოჯახით კალუგაში გადაასახლეს. გარდაიცვალა ქ. მედინაში (ახლანდელი საუდის არაბეთი), სადაც მოსალოცად იყო წასული. 171.

შაროევი ნიკოლოზ ეგნატეს ძე – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელე. 106, 110.

შახოვსკი ალექსანდრე ივანე ძე (1821-1900) – რუსეთის არმიის გენერალი. მონაწილეობდა კავკასიის პრძოლებში მთიელთა წინააღმდეგ. 85, 165.

**შერემეტიევი სერგეი ალექსეის ძე (1836-1896) – გენერალ-ადიუ-
ტანტი, კავალერიის გენერალი, ყუბანის ოლქის უფრო-
სი, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. 194.**

**შერვაშიძე გიორგი დიმიტრის ძე (1847-1918) – რუსეთის არმიის
გენერალ-მაიორი, ტიტულოვანი მრჩეველი, კამერგერი,
თბილისის ვიცე-გუბერნატორი, შემდგომში – გუბერნა-
ტორი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელე-
ბელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 95.**

**შესტაკოვი ალექსანდრე პავლეს ძე (1848-1903/1904) – რუსე-
თის საიმპერატორო ფლოტის კონტრ-ადმირალი, რუ-
სეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე.
191.**

**შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვისა მარია პავლეს ასული (1851-
მდე-1883) – მიხეილ სომოვის მეუღლე, მარიამ ალექსან-
დრეს ასულ ორბელიანის გამზრდელი ბებია. 165, 167.**

**შირხან ალა – ყარაბალის ხანების შთამომავალი. მისი მამიდა
იყო ირანის გამგებლის, ფეხს ალი შაჰის, პირველი
ცოლი. ცხოვრობდა ელიზავეტოპოლის სოფელ ლაკში.
64, 102.**

**შკურინსკი სიმონ ათანასეს ძე – გენერალ-მაიორი, დაღესტნის
ცხენოსანი რაზმის მეთაური, კავკასიისა და რუსეთ-
თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე. 227.**

**შტოკინი თეოდორ ედუარდის ძე (1828-1896) – პოლკოვნიკი, კავ-
კასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლე-
ბის ომების მონაწილე, ბაიაზეთის კომენდანტი. 207.**

**შჩუკინი – რუსი ჩინოვნიკი. სხვა ინფორმაციის მოძიება ვერ მო-
ხერხდა. 45.**

ჩარკვიანი ნინო – პატიმარი. სასჯელს იხდიდა თბილისის ციხეში. გრიგოლ ორბელიანმა მისი საპატიმროდან განთავი-სუფლების თხოვნით მიმართა მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვსა და თბილისის გუბერნატორ მაქსიმილიან ოსტენ-საკენს. 155.

ჩერქეზიშვილი-ხერხეულიძისა ანასტასია (ტასო) – გრიგოლ ორბე-ლიანის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, დისშვილი. 43, 44, 45, 77, 93, 95.

ჩეხოვსკი ივანე ივანეს ძე – ახალციხის მაზრის უფროსი XIX ს-ის 70-იანი წლების შუა ხანებში. წერილის ადრესატი.

ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე (1828-1903) – ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენელი. მის ოჯახს ჰქონია მდიდარი ბიბლი-ოთეკა (მათ შორის, უცხოენოვანი) და ძველი ქართუ-ლი სიგელ-გუჯრები. მისი ქალიშვილი მელიტა მონათ-ლული ჰყოლია ილია ჭავჭავაძეს. 70, 72.

ჩოლოყაშვილი ილია ზაალის ძე (1823-1877) – გენერალ-მაიო-რი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე, მრავალი ორდენის კავალერი. 190.

ციტოვიჩი ვიქტორ სტეფანეს ძე (1824-1882) – რუსეთის გენე-რალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, აკმოლინის ოლქის სამხედრო გუბერნატორი და ჯარების სარდალი, რუსეთის საიმპე-რატორო გეოგრაფიული საზოგადოების დასავლეთ ციმ-ბირის განყოფილების წევრი. 225.

ციციანოვი (ციციშვილი) პავლე დიმიტრის ძე (1754-1806) – გე-ნერალ-ლეიტენანტი, რუსეთის პოლიტიკური და სამ-

ხედრო მოღვაწე. დაიბადა და სამხედრო განათლება მი-
იღო მოსკოვში. გამოირჩეოდა რუსეთის იმპერიის ერ-
თგულებით. 102.

ციციშვილი-ბაგრატიონისა მარიამ გიორგის ასული (1768-1850)

– ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი XII-ის, მეორე ცო-
ლი. 1803 წელს გადაასახლეს რუსეთში, ბელგორდის
ერთ-ერთ მიყრუებულ მონასტერში. 8 წლის შემდეგ
მოსკოვში ცხოვრების ნება დართეს, სადაც გარდაიც-
ვალა. 65.

წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840-1915) – ცნობილი ქარ-

**თველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, სა-
ქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრა-
ობის ერთ-ერთი ლიდერი, ახალი ქართული ლიტერა-
ტურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თანამედროვე ქარ-
თული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი რეფორმატო-
რი. 73.**

წერეთელი-ბაგრატიონ-მუხრანელისა მარიამ ქაიხოსროს ასუ- ლი (1807-1877) – გრიგოლ (გიორგი) იოანეს (ივანეს) ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. 177.

წერეთელი ნესტორ დიმიტრის ძე (-1883) – გენერალ-მაიორი,

იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, კავკასიის ომების
აქტიური მონაწილე, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნა-
ურობის მარშალი 1861-1867 და 1877-1883 წლებში,
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.
წერილის ადრესატი.

წერეთელი ქაიხოსრო (17??-1828) – პოლკოვნიკი, XVIII საუკუნის

90-იანი წლებისა და XIX საუკუნის I მეოთხედის ზემო
იმერეთის უკანასკნელი სარდალი. იმერეთის აჯანყების

დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში გაჰყვა სოლომონ II-ს.
1816 წელს კი საქართველოში დაბრუნდა და რუსეთის
მთავრობას შეურიგდა. 177.

ჭავჭავაძე ალექსანდრე დავითის ძე (1853-1900) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი. ერთი წლის ასაკში შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა ოჯახის წევრებთან ერთად. ცოლად ჰყავდა თავად ალექსანდრე მარალაშვილის ასული თინათინი. გარდაიცვალა ბაქოში. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის ეკლესიის გალავანში. 40.

ჭავჭავაძე ანასტასია (ნასტენა) დავითის ასული (1856-1927) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი. ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკ ნიკოლოზ (კიკო) ზალის ძე ჩოლოყაშვილს. 159.

ჭავჭავაძე-ასტაფიევისა ელენე დავითის ასული (1850-1929) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი, გენერალ ნიკოლოზ ალექსეის ძე ასტაფიევის მეუღლე. 22, 27, 152, 159.

ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისა თამარ დავითის ასული (1852-1933) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი, ფრეილინა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“ წევრი, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე. ორი წლის ასაკში შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა ოჯახის წევრებთან ერთად. დაკრძალულია სვეტიცხოველში. 22, 159.

ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული (1816-1882) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მეუღლე, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფლალი. მემკვიდ-

რის სრულწლოვანებამდე, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1853 წელს, რუსეთის იმპერატორმა რეგენტად დაამტკიცა. ყირიმის ომის დროს ეკატერინე პირადად მონაწილეობდა ოსმალთა სარდალ ომარ ფაშას წინააღმდეგ კამპანიაში. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ დასახლდა ჯერ სანკტ-პეტერბურგში (სადაც „სტატს დამის“ წოდება მიანიჭეს და წმინდა გიორგის მედლით დააჯილდოვეს), შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა. 60-იანი წლების ბოლოს, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ოჯახის მიწვევით, შვილებთან ერთად საცხოვრებლად პარიზში გადავიდა. გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, მეუღლის გვერდით. 163, 165, 211, 213, 226, 227.

წერილების ადრესატი.

ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1817-1884) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, შტაბსკაპიტანი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი. მსახურობდა ლეიბგვარდიის გრენადერთა პოლკში. ყირიმის ომის დროს (1853-1856) ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმებისაგან. 1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა და მეფის ფლიგელ-ადიუტანტი გახდა. 1856 წელს თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წელს გენერალ-მაიორის ჩინი მიენიჭა და მეფის ამაღლაში ჩაირიცხა. ამავდროულად, კავკასიის არმიაშიც მსახურობდა. ცოლად ჰყავდა ილია ბატონიშვილის ასული ანა (ანეტა). 40, 43, 71.

ჭავჭავაძე ზაქარია გულბაათის ძე (1825-1905) – გამოჩენილი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი. 17 წლის ასაკში ნიუნი-ნოვგოროდის დრა-გუნთა პოლკში ჩაირიცხა მოხალისედ. 1885-1893

წლებში კავკასიის არმიის პირველ კორპუსს მეთაურობდა. ოფიცრობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, „ბრილიანტის ნიშანი“ და ალექსანდრე ნეველის I კლასის ორდენი გადაეცა. დაკრძალულია წინანდალში, საგვარეულო სასაფლაოზე. 57, 84, 169-170, 180.

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837-1907) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, მწერალი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს დეპუტატი 1906-1907 წლებში. მან გადამწყვეტი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ლიბერალური ფასეულობების გავრცელებაში. ხშირად მას „საქართველოს უგვირგვინო მეფედ“ მოიხსენიებენ. 56, 73.

ჭავჭავაძე მარიამ (კაკო) დავითის ასული (1949-1921) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი, ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძის მეუღლე. გამოირჩეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. იყო შესანიშნავი ცხენოსანი. 22, 43, 57.

ჭავჭავაძე ნიკო (ნიკოლოზ) ზურაბის ძე (1830-1897) – „დიდი ნიკო“, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის „პირუჩიკი“, კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე, დასავლეთ დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი 1866-1876 წლებში, განჯის გენერალ-გუბერნატორი 1876-1877 წლებში, დაღესტნის ოლქის უფროსი და ჯარების სარდალი 1880-1883 წლებში. გარდაიცვალა დაღესტანში. 28, 80, 141, 171, 217, 222, 226, 227, 232.
წერილების ადრესატი.

ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისა სალომე დავითის ასული (1848-1919) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი, ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენის მეუღლე. გარდაიცვალა პეტროგრადში, ინვალიდების სახლში. 159.

ჭავჭავაძე-საგინაშვილისა ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის ასული (1840-1925) – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ილია ჭავჭავაძის და, გენერალ ალექსანდრე საგინაშვილის მეორე ცოლი. 39, 43, 135.

ჭილაევი (ჭელიძე) იაგორ ალექსის ძე – სამხედრო პირი. 27.

ჭილაევი (ჭილაშვილი) მიხეილ ეგორის (იაგორის) ძე (-1878) – კავკასიისა და ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ნაწილის მმართველი, სამეცნიეროს სამთავროს დროებითი მმართველი 1865 წლამდე. 85.

ხალილი – რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი. სხვა ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა. 129.

ხატიროვი – ვინაობა დაუდგენელია. 134.

ხრეშჩატიცკი როსტისლავ ალექსანდრეს ძე (1841-1906) – კავალერიის გენერალი, ამურისპირეთის ჯარების სარდალი და მხარის გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი. 179, 180.

ჯაფარ ყული ხანი (-1814) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ხოის სახანოს უკანასკნელი გამგებელი. იგი განუდგა ფეთხ ალი შაჰს და რუსეთის მხარეზე გადავიდა ალექსანდრე I-ის მეფობის დროს. მისი ერთ-ერთი ცოლის, გოვხარ ალას, დედა აბაშიძე იყო. 64, 102.

ჯომარდიძე მიხეილ გრიგოლის ძე (1822-1889) – დალესტნის ცხენოსანთა პოლკის უფროსი 1852-1854 წლებში. მსახურობდა აფშერონის პოლკშიც. ქუთიშის ბრძოლის შემდეგ მიიღო კაპიტნის ხარისხი. 1853-1868 წლებში იყო დერბენდის ქალაქის თავი. 27, 232.

ჯორჯაძე გრიგოლი – ქართველი თავადი. რამაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილის მძახალი. 140.

ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე (1822-1883) – საოლქო კანცელარიის გამგე დალესტანში, ქალაქ თემირხანშურაში (დღევანდელი ბუინაქსკი). მოგვიანებით გახდა მეფის-ნაცვლის საბჭოს წევრი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. რუსი ჩინოვნიკის, სემიონ შჩუკინის, დახასიათებით, ის იყო კეთილშობილი პიროვნება, რომელსაც დახმარებისათვის მიმართავდა ნაცნობი თუ უცნობი და მისგან ღებულობდა ადამიანურ სითბოსა და ყოველგვარ შემწეობას. 58, 85, 95, 181, 198.
წერილების ადრესატი.

ჯორჯაძე იოსებ (სოსო) დავითის ძე (1820-1879) – გენერალ-მაიორი, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე. მეთაურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილს. 190.

ჰასინსკი ასან ალა – რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. 129.

ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხი (1770-1831) – გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი და რექტორი 1829-1830 წლებში. 148.

გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი⁸⁹

აგრიკარი – აქ: სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში.⁹⁰ 119.

ადაგუმი – სოფელი კრასნოდარის მხარეში. 179.

ავსტრია – სახელმწიფო ცენტრალურ ეკონომიკი. დედაქალაქი – ვენა, სახელმწიფო ენა – გერმანული. 177.

აზია – 22, 36, 66, 68, 101, 126, 212.

ალექსანდროვის ბალი – რუსთაველის გამზირის ნაწილი, ამჟამინდელი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია. გაშენდა 1859 წელს ალექსანდრე ბარიატინსკის ინიციატივით საასპარეზო ყაბახის ძველ ტერიტორიაზე. სახელი ეწოდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის საპატივსაცემოდ. 181, 191.

ალექსანდროპოლი – დღევანდელი ქალაქი გიუმრი სომხეთის ტერიტორიაზე. 80, 141, 163, 174, 178, 186, 190, 191, 192, 197, 202, 203, 204, 212, 218, 221, 224.

ანატოლია – კავკასიასთან ერთად წარმოადგენს ევროპისა და აზიის შემაერთებელ ხიდს. შეადგენს თურქეთის აზიურ ნაწილს. 218.

⁸⁹ სამეცნიერო აპარატის დასაწყისში, კერძოდ, წერილში „ტექსტი-სათვის“ აღვნიშნეთ და აქაც შევახსენებთ მკითხველს, რომ საქართველოს ქალაქები და კუთხეები, ასევე კონტინენტები საძიებელში მოცემულია ანოტაციების გარეშე.

⁹⁰ ამ დასახელების მთა და მდინარეც არის ცნობილი ამავე მუნიციპალიტეტში.

ანგლია (ინგლისი) – გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციული ერთეული. მოიცავს დიდი ბრიტანეთის კუნძულის ორ მესამედს. დედაქალაქი – ლონდონი. 140, 154, 212, 225, 231.

ანწუხი – ხუნძების სამოსახლო დაღესტნის თლიარატის რაიონში (ეკუთვნის რუსეთის ფედერაციას). ძველად იყო ხუნძეთის (ავარიის) ნაწილი. რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში ღუნძიბის ოლქის, ხოლო 1920 წლიდან რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. 1921-1926 წლებში – ანწუხ-კაპუჭის რაიონი ეწოდებოდა.⁹¹ 215.

არაგვი – მდინარე საქართველოში. მიედინება ყაზბეგის, დუშეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. 186.

არდაგანი // არდაჰანი – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, საქართველოს საზღვართან ახლოს. 180, 185, 189, 190.

არზრუმი (იგივე ერზურუმი) – ქალაქი თურქეთის ჩრდილო აღმოსავლეთში, ერზურუმის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქურთები შეადგენენ. 180, 225.

⁹¹ ჯავახიშვილი, ნ. (2021). „საქართველო და მსოფლიო / ანწუხი და ანწუხელნი – საქართველოს ისტორიაში (XIV-XVIII საუკუნეები):“ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, №1 (25), გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ.: 110-127.

არსენალის სიმაღლე – არსენალის მთა. მდებარეობს თბილის-ში, ჩულურეთის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით. 218, 221.

ასტარა – ქალაქი სამხრეთ აზერბაიჯანში, ირანის რესპუბლიკის საზღვართან. 54.

ასტრახანი – ქალაქი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, მდინარე ვოლგის დელტაში. 129.

აფხაზეთი – 197.

აჭარა – 180.

ახალქალაქი – 224.

ახალციხე – 94, 109, 117, 163, 197, 224, 232.

ახატელი – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, თელავის მუნიციპალიტეტში. 57.

ახტა – სოფელი დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, ყოფილი სამურის ოლქში, ახტისა და სამურის მდინარეების შენაკადთან. ადრე კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა ტლურის სახელწოდებით, შემდეგ – ლაკსის ადრეფეოდალურ სახელმწიფოში, უფრო მოგვიანებით კი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 227.

ბათუმი – 94, 180, 232.

ბაიაზეთი – ქალაქი თურქეთში (თურქ: დოღუბაიაზით 1934 წლამდე). 180, 181, 196, 197, 207.

ბაქუ (ბაქო) – აზერბაიჯანის დედაქალაქი. „ბაქო“ აზერბაიჯანულად ნიშნავს ქარიან ადგილს. მდებარეობს კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, აფშერონის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. 76, 96, 122, 224.

ბელაქანი – ქალაქი აზერბაიჯანში, ბელაქნის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, შაქი-ზაქათალის ეკონომიკური ზონის ნაწილი. მოსახლეობის უმეტესობას აზერბაიჯანელები შეადგენენ, დაახლოებით მეხუთედი ხუნძები არიან, ცხოვრობენ ასევე ქართველები (ინგილოები). 171.

ბოთლიხი – სამხრეთ-დასავლეთ დაღესტნის სოფელი და რაიონული ცენტრი. ბოთლიხები დაღესტნის ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხია. 26, 57, 119.

ბორჯომი – 39, 42, 43, 44, 52, 80, 84, 88, 91, 96, 123, 133, 207, 212, 226.

ბუხარა – ქალაქი უზბეკეთში, ბუხარის ვილაიეთის დედაქალაქი. 149.

განჯა – ისტორიულად ირანის (სპარსეთის) მნიშვნელოვანი ქალაქი, ამჟამად აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქი. რუსეთის იმპერიის პერიოდში „ელიზავეტოპოლი“ ერქვა, 1920-1935 წლებში ეწოდებოდა „განჯა“, 1935-1991 წლებში – „კიროვაბადი.“ 1991 წლიდან ისევ „განჯა“ დაერქვა. 148, 232.

გაურახი – სოფელი ყოფილ ბორჩალოს მაზრაში. 178.

გოლოვინის პროსპექტი – დღევანდელი რუსთაველის გამზირი. 211.

გორდი – დაბა იმერეთში. აქ მდებარეობდა დადიანების საზაფხულო რეზიდენცია, გორდის სასახლე. 210.

გორი – 152.

გროზნა (გროზნო) – ჩეჩენეთის დედაქალაქი. მდებარეობს მდინარე სუნჯაზე. დაარსდა 1818 წელს. 65.

გუდაური – სამთო-სათხილამურო კურორტი ყაზბეგის მუნიციპიტეტში. 175.

გურჯაანი – 136, 139.

დაღისტანი (დაღესტანი) (სიტყვა თურქულია, „დაგ“ მთებს ნიშნავს, „სტანი“ – მინას) – დაღესტანის რესპუბლიკა. შედის რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობაში, დედაქალაქი – მაჰარიცალა. 1813 წელს დაღისტანი გულისტანის ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიას მიუერთეს, 1860 წელს კი დაარსდა რუსეთის იმპერიის დაღესტანის ოლქი. 1920 წელს გამოცხადდა დაღესტანის ავტონომია, 1921 წელს შეიქმნა დაღესტანის ასარ. 1991 წელს დადგინდა მისი სტატუსი: დაღესტანის რესპუბლიკა – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. 19, 57, 59, 65, 141, 156, 158, 171, 185, 189, 215, 216, 217, 222, 226, 227, 232.

დედუფლის წყარო (დედოფლისწყარო) – დედოფლისწყაროს მუნიციპიალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. საპჭოთა ხელისუფლების დროს „წითელწყარო“ ეწოდა, მანამდე კი, XIX საუკუნის დასაწყისში, რუსებმა „ცარსკიე კოლოდცი“ დაარქვეს. პირვანდელი სახელწოდება „დედოფლისწყარო“ ქალაქმა 1991 წელს აღიდგინა. 216.

დემურჩასალი – სოფელი ყოფილ ბორჩალოს მაზრაში. 178.

დერბენდი – ძვ. დარუბანდი (სპარს. დარ – კარი, ბანდ – ზღუდე), ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე. 1722 შეუერთდა რუსეთს, მაგრამ 1735 წლის განჯის ხელშეკრულებით ისევ ირანს დაუბრუნდა. 1747 დაარსდა დერბენდის სახანო. 1813 წლის გულისტანის საზავო ხელშეკრულებით, საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. 23, 224.

დიდუბე – უბანი თბილისში. ადრე აქ დასახლება ყოფილა, სადაც განთავსებული იყო მეფის სასახლე, ეკლესია, ბაღები და სარწყავი არხი. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თბილის შემოუერთეს. 56.

დუნაი – ევროკავშირის ტერიტორიზე ყველაზე გრძელი და ევროპაში სიგრძით მეორე მდინარე. მიედინება 10 სახლმწიფოს ტერიტორიაზე. 154, 181, 185, 204, 207, 212, 225.

დუშეთი – 122, 150.

დლვინი – სოფელი აჭარაში. 180.

ევროპა – 26, 54, 101, 117, 140, 144, 170, 177, 185, 204, 212, 224, 225, 231.

ევფრატი – დასავლეთ აზიის ყველაზე გრძელი მდინარე. ძველი სახელწოდება – ბურანუნი. 185.

ეკატერინოდარი – 1792 წელს ეკატერინე II-მ გამოსცა წყალობის სიგელი, რომლის მიხედვითაც, შავი ზღვის კაზაკთა ჯარებს მუდმივი სარგებლობის უფლებით გადაეცათ ყუბანის მიწა. კაზაკებმა ამ ადგილს ეკატერი-

ნეს საპატივსაცემოდ „ეკატერინოდარი უწოდეს.“ 1860 წლიდან დასახლება იქცა ყუბანის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად. ქალაქის სტატუსი 1876 წელს მიიღო. 1920 წელს ეწოდა „კრასნოდარი.“ 179.

ელისავეტოპოლი – ანოტაციისთვის იხ. განჯა. 141, 168.

ერევანი – სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქი. მდებარეობს მდინარე რაზდანზე. სხვადასხვა დროს ერქვა „ერებუნი“, „ერივანი.“ 102, 163, 186, 197, 201, 207, 224, 231.

